

ბიზა



№12 24/3/2016 ფასი 1.5 ლ

„სიყვარული
თამაში არ არის“

კაცი,
როელიც სხვის
შვილებს ზრდის

თაკო
ცქვიტინიძეს
ანონიმურ
წერილებს
უგზავნიან

ლუკა:
„მამის მეზინია...
დავიღალე
წერვიულტობით“

83. 20


მოკალადა მშობლებისგან გამოქცეული
პატარების თავშესაფარი

83. 47



83. 64

> რა წარწერა გააკეთა ჰიტლერმა
„ვეფხისტყაოსანზე“
> ეს წიგნი საჭარტვლოში
ვერავის ჩამოვქონდა



83. 62

„მეგობრებმა
ერთად ღვინის
დაყენება
დავიწყეთ“

> გოგა ვივინაშვილის
ექსპერიმენტები



83. 67

მიწისძვრისგან დანგრეული
ქართული ქალაქი

„რამდენიმე ადამიანი შიშისგან
> გაიქცა, ფემძიმეებს კი
წადრავი მშობიარობა დაეწყოთ“

ISSN 1987 - 5029



9 771987 502009



ფიოდორ დოსტოევსკი

თარგმანთმცემი ტომი V

შემდეგი

ტომი VI

ვიპროსალი B®

დაივინყე ტკივილი!



გველის შხამის
შემცველი ეფექტური
ტკივილგამაყუჩებელი
საშუალება სახსროვანი
და ნერვული ტკივილის
სამყურნალოდ!



ააქტიურებს ორგანიზმის დამცავ მექანიზმებს
აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას რბილ ქსოვილებში


გამოყენების წესი და დოზირება
მტკივნეული უბნის ზომის მიხედვით საჭიროა 5-10 გ მალამოს კანში შეზღუდა, გამოიყენება
დღეში 1-2 ჯერ ტკივილის სინდრომის გაქრობამდე

გამოყენებისას გაცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოკლებების შესახებ დატელური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

Grindex



ქვეყანა



„ვჭამთ და ვფიქრობთ, რომ ცოტა ხნის სიცოცხლე დაგვრჩენია“

„გლეხი თუ არ არის ძლიერი, ქალაქს პროდუქტებით როგორ გაუძლიერებს ზურგს? ჰოდა, ჭამენ კიდევ ქალაქელები უცხოურ პროდუქტს, ვინ იცის, რით გაუფენთილსა და მონამლულს!.. ისეთი პროდუქტი რატომ უნდა შემოდოდეს ქვეყანაში, რომელმაც შეიძლება, მოსახლეობას ჯანმრთელობის პრობლემა შეუქმნას? მაგრამ მერე როგორ გაასაღონ ეს ძვირად ღირებული ნამლები?!“

10



ვინ არის ბოგონა, რომელსაც მსახიობობა უადვილდება

„გიორგი ბახუტაშვილი თბილი ადამიანია, სულ მეფერება და მკოცნის... გადაღებების დროს ტირილი ადვილი არ არის. მოგიყვებით, როგორ ვტირი ხოლმე. თავიდან დედამ ხახვი წამოიღო, თვალებთან წამისვა და ასე ვიტირე, მაგრამ მერე ხახვი აღარ დამჭირვებია. საკუთარ თავს ვუჩქმეტ ხოლმე და მაშინვე მეტირება...“

24



სახე



„მთვარის შუქზე ერთმანეთს სიყვარული შევფიცეთ“

„ერთ-ერთ ზაფხულს, ციციწო დასასვენებლად ფოთში წავიდა, მე — ფასანაურში წავედი. 4 აგვისტოს დაბადების დღე მაქვს. ჩემთან მეგობრები ჩამოვიდნენ. ვიდრე სუფრა გაიშლებოდა, წყაროზე ჩავირბინე. დავინახე, გზაზე ორი გოგონა მოდიოდა. შევხედე და ციციწო არ შემჩნა? წარმოიდგინე, ფოთიდან ჩემ გამო ჩამოვიდა...“

22

- **მინიატიურები** 5
მყარდება ლარი და „ნაცმოდრაობა“?!
- **თვალსაზრისი** 6
„ოჯახის ყველაზე მაღალი კულტი ევროპაშია, სადაც ქალი და მამაკაცი თანასწორნი არიან“
- **სახელმწიფო** 7
საუკეთესო ქართული თაფლი ჩვენი ქვეყნიდან არალეგალური გზით გააქვთ
- **მათქმევიანეთ!** 10
„სახეზე ღიმილფარებული, ემოციისგან დაცლილი პოლიტიკოსები“
- **კრიმინალი** 12
ჯარისკაცის მკვლელობაში 19 წლის გოგონა მხილებული
- **ერთი მინის შვილები** 15
აფხაზეთი მორიგი დაპირისპირების წინაშე
- **საზოგადოება** 17
დიპლომატიანი „ტაქსისტი“, გადამდები სიკეთე და ბურგერი ყველას!
- **ასტროლოგორები** 20
ჭორები, შუღლი და ანონიმური გზავნილები თაკო ცქვიტინიძის ცხოვრებაში
- **ოჯახი** 22
„მთვარის შუქზე ერთმანეთს სიყვარული შევფიცეთ“
- **თაობა** 24
ვინ არის გოგონა, რომელსაც მსახიობობა უადვილდება




ჩემი რჩეული მსოფლიო

ფიოდორ დოსტოევსკი

თერთმეტობეულში შედის

- I-II იდიოტი
- III-IV დანაშაული და სასჯელი
- V თეთრი ლამეები (მოთხრობები)
- VI მკვდარი სახლის ჩანაწერები (მოთხრობები)
- VII-VIII ყმაწვილი
- IX მოთამაშე (მოთხრობები)
- X-XI ძმები კარამაზოვები



- **გემოვნება**
„ხალხის გულშემატკივრობა მენატრება“
- **საკატარღო**
მზითვიანი და წარმატებული პიანისტი
- **ადამიანი**
„მინდა, სხვადასხვა შუამ პირთა ჯგუფზე მორგებული ცეკვის დარბაზი მქონდეს“
- **სახალისო ფსიქოლოგია**
ბავშვობიდან გამოყოფილი წყენა...
- **კვალი**
პოლიგლოტი მთარგმნელის ცხოვრების სტილი
- **თავისუფალი თემა**
„ადამიანების თანადგომამ ფაქტობრივად, სიცოცხლე დამიბრუნა...“
- **ბესტსელერი**
ჯეინ ეარი (გაგრძელება)
- **სულის სიმტკიცე**
სხვის შვილებზე მზრუნველი კაცის ამბავი
- **სიტუაცია**
„ძალიან ახლობლებსაც ნუ გადაჰყვები“
- **ბედისწერა**
გათავისუფლებული მონა ანუ მდაბიო ქალის ლეგენდარული კარიერა
- **რომანი**
მთავარი როლი (გაგრძელება)
- **ტაძარი**
როგორ და რატომ წარმოიშვა წარმართობა ადამიანთა შორის?
- **ერულიტი**
პერსონაჟები, რომლებთანაც მზია შარაშიძე იმეგობრებდა
- **პროფესია**
„მეტყვევს უნდა უყვარდეს თავგადასავლები, ცხოვრების აქტიური რეჟიმი და ბუნებაში ხეტიალი“...
- **გურმანი**
გოგა პიპინაშვილი, ოხრახუშ-ბოლოკა და მელიორაციული ექსპერიმენტები
- **კოლმედიანერი**
რა წარწერა გააკეთა ჰიტლერმა „ვეფხისტყაოსანზე“?
- **ისტორიის ლაბირინთები**
დამანგრეველი მინისძვრა გორში
- **ბანმრთელობა**
ორთოპედიალ დაავადებათა სკრინინგი და აღდგენითი თერაპია თბილისის მერიის ინიციატივით
- **მობილი-გაცია**
- **კოროსკოპი**
- **ტიმ-აუტი**
- **სპანმორდი**

- 26
- 28
- 30
- 32
- 34
- 36
- 39
- 47
- 49
- 50
- 52
- 56
- 58
- 60
- 62
- 64
- 67
- 69
- 73
- 79
- 80
- 82




„ხალხის გულშემატკივრობა მენატრება“

„საქართველოში დავბრუნდი თუ არა, ჩემმა ჩაცმულობამ ყველა გააოცა: ამერიკაში, სადაც ვცხოვრობდი, იმ პერიოდში ძლიერი სიცხე იყო. აქ რომ გამოვემგზავრე, „შორტები“, ბრეტელბიანი მაისური, „დიდი“ ბოტასები მეცვა, სხეული დაკუნთული მქონდა და ძალიან ამერიკულ „ვიდზე“ მყოფი, ჭკუაზე არ ვიყავი. აეროპორტიდან რომ გამოვედი, ყველა ისე მიყურებდა, როგორც გიჟს...“

26



ქორეოგრაფი, რომელმაც სტერეოტიპები დაამსხვრია

„ბერლინში ყოფნისას, სმენადაქვეითებული გოგონებისა და ვაჟებისაგან შემდგარმა ანსამბლის წევრებმა ცეკვა რომ დაასრულეს, გამიკვირდა, ტაში რომ ვერ გავიგონე. ალბათ, ცეკვა არ მოენონათ-მეთქი, — ვიფიქრე. წინ ვიჯექი და უკან გავიხედე: თურმე, ტაშს ჟესტების ენაზე უკრავენ და თან, ანსამბლს ისევე სცენაზე უხმობენ...“

30

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოცემის კვირაში ერთხელ, სუთმობათმობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დაგეგმვა

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლიკა ქაჯაია, მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **გიორგი ბაბუციძე**

დირექტორი: **ლაშა გიორგაძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიძე**



დაინტერესდით
სტამბა
კოლორში

„პალიტრამედის“ ცხელი ხაზი: (+995 32) 219 60 13; (+995 32) 219 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. 49; ელ.ფოსტა: gza@palitra.ge
სარეკლამო განყოფილება: (+995 32) 237 78 07

მყარდება ლარი და „ნაცმოძრაობა“?!



შესავლის მახიმერ თუ არ ვცდები, 81 კაცი ყოფილა ბრალდებული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოების გადაღების გამო. მშვენიერი სტატისტიკაა! ქართული კინემატოგრაფია ტყუილად გვეგონა მკვდარი. ამდენი რეჟისორი თუ ოპერატორი ბოლივუდსაც არ ეყოლება... ვაშაძემ რიხიანად განაცხადა, — ჩვენი მმართველობის დროს არ გამოქვეყნებულა, ეს ბიძინას „სასტავის“ გამოფენილიაო. შედეგი ფრიად გულის მომკვლელია, მაგრამ საკითხავი ისაა, კარიერა მიინცდამინც საწოლიდან იწყება?

იძისა და მეჭიაურის გამონათქვამებზე (კიდევ კარგი, „მრენველი“ გოგი წყნარადაა). კორძაიამ ხელმოსმით გამოიტანა მათი განაჩენი: ჰომოფობებზე მე არ ვიტყვი არაფერს, მაგათ ამომრჩეველი მიხედავსო. ოღონდ ეს ამომრჩეველი რომ ბიძინა იქნება, ეგ არ უთქვამს!

„ეს შენ გეხებას“ პროტესტს ფრიად დინჯი ახალგაზრდა კაცი აკვირდებოდა, თან პირჯვარს იწერდა: საკვირველია, უფალო, საქმენი შენი, რამეთუ გადამღებნი და გადაღებულნი ერთად მართავენ აქციასო.

გერმანელ გიდო ვესტერველეს ორნაირად გამოემშვიდობა ქართველი ერი. ერთმა წყებამ, სამოქალაქო ღირსება მაგ კაცს ჰქონდა, ორიენტაცია არ დაუმალავსო; მეორე ჯგუფმა კიდევ, გეი რომ იყო, მაგიტომ გაუთეთრდა სისხლიო... უცხოეთზე ვლაპარაკობთ და ბარემ მეზობელ აზერბაიჯანზეც ვთქვათ: ალიევმა ისეთი პატიმრები შეიწყალა, ვის შეწყალებასაც არ ელოდა „შემწყნარებელი“ დასავლეთი! ისე, ამერიკაში დემოკრატია მართლა მიდის წინ. ვილაც ქალი (გვარად — რობინსონი) მაღალ სამხედრო თანამდებობაზე დაუნიშნავთ, კაი ხნის წინ ფერადკანიანიც აირჩიეს პრეზიდენტად და თუ ოდესმე მელოტსა და ქალსაც აირჩევენ, ბარე ეს იქნება დემოკრატიის შუქურაზე უფრო მეტიც (ამბობენ, „აშუშუს“ ყველა პრეზიდენტი ქოჩორა იყო). ისე, ამ ფარულ ვიდეოებს დიდი სარგებელიც მოაქვს ამერიკაში, ჩვენგან განსხვავებით, ცნობილ რესლერს მეგობრის ცოლთან გადაუღეს „იმნაირი“ ვიდეო და 115 მილიონი დოლარიც მიუღია იმ ბაბუს ამ სკანდალის ამტეხებისგან (25 მილიონს დამატებით ცალკე ითხოვს თურმე)!

ალეკო ელისაშვილმა მკვეთრი ხმით თქვა, მაგ ქალებს (კობახიძესა და ბესელიას) თავის პროკურორებიანად „მატროსოვზე“ ვიხილავთ მალეო. ამის გამგონე ბესელია ტელეეთერში კინაღამ გადაბჟირდა სიცილით და კინაღამ „გაუცრელი ინფორმაციით“ გაზრდილი ჟურნალიტი ეძახა თბილისის ფრიად პატივისცემს საკრებულოს დამოუკიდებელ წევრს.

კიდევ არ მოეშვა ჩვენი ძვირფასი პრეზიდენტი მრავალფეროვნების თემას — მხოლოდ შავ-თეთრ ფერშია პოლიტიკური სპექტრი, ეს დაუმეგებელიაო! ოღონდ არ დაუზუსტებია, მავი ან თეთრი ფერის რომლები არიან, „ნაცები“ თუ „ქოცები“...

პოზიტივებიც აღვნიშნოთ. კულტურის მინისტრმა, რამაზოტი და უილიამსი უნდა ჩამოვიყვანოთო. მიშას დროს არ მოგვწონდა შაკირა, თორემ ახლა ყველაფერი გაძვირფასდა... არადა, ზუგდიდის თეატრის ერთი ხელმძღვანელი პირი სკამიანად რომ ჩავარდა დაბლა სართულზე, ეგ რა კულტურის სამინისტროს სადარდებელია?

„ქართულმა ოცნებამ“ ბოდიში მოიხადა ნიშნიან-



P.S. მიწის დაკანონება იოლად მოხდებაო, საპენსიო ფონდი შეიქმნებაო, ლარი გამყარდა და ავეყვავდებითო... აი, ლარის გამყარებაზე გამახსენდა: ავტობუსში კაცს ქალი ეჩხუბება, გაიწიე, შენი „იგი“ მეხახუნებაო. არაა, ქალბატონო, ეს „იგი“, ხელფასი ავიღე და ჯიბეში მიდევესო. ქალმა შეჰკივლა, ნუთუ ჩვენი ლარი ასე გამყარდა, ვენაცვალე ეკონომიკურ გუნდს, მე რა არ ვიფიქრე, ეგებ კამერაც კია სადმე აქ და კადრები უნდა ახლა ჩემს აწეწილ ცხოვრებასო?

ოდესიდან ახალი რეკომენდაცია გამოიგზავნა, — ახალი სახეებით გამყარეთ პარტიაო. „გამყარებელთა“ შორის თუნდაც ლარის „დამსლაბებელი“, ყოფილი „ერბანკელი“ იყოსო... რა ტყუილად ჩაუარა ერთგულებამ „მასტერას“, მავას კი გაასამართლებენ და „ნაცმოძის“ „გაპრიალებულ“ ნაწილს კი საარჩევნო სიის პირველი ათეული ელოდება!

პროვოკატორი



თავითა დაღეპული

— პოლიტიკურ მოვლენებს საინფორმაციო საშუალებებით ვადევნებ თვალყურს და „ფეისბუკით“ ვეხმიანები ხოლმე. რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი ან მხარდამჭერი არასდროს ვყოფილვარ, ჩემს თავს მხოლოდ არჩევნებში მონაწილის სტატუსით განვიხილავ. ერთადერთი, როცა სხვა ქვეყნების ჩემთვის საინტერესო ლიდერები ჩამოდიან, ფოტოებს ვიღებ ჩემი არქივისთვის. ვოცნებობ იმ დროზე, როცა საქართველო ისე დალაგდება, რომ ადამიანებს არ დააინტერესებთ, ვინ არიან პოლიტიკოსები. ხშირად ამბობენ და არ ვეთანხმები, რომ ამერიკაში ხალხმა არ იცის, ვინ არის პრეზიდენტი. არც მთლად ასეა. ძალიან კარგადაც იციან, აბა, ისე როგორ აირჩევენ? მინდა, რომ მნიშვნელოვანი პოლიტიკოსები კი არა, პროგრამები და მათი განხორციელება იყოს.

— როგორი შეხედულება გაქვს ქართულ პოლიტიკაში მყოფ პერსონებზე?

— დრო და ენერჯია ძიძგილაობებ-



განათლებულ ადამიანს შური და ბოღმა ნაკლებად ამოძრავებს

„ოჯახის ყველაზე მაღალი კულტი ევროპაშია, სადაც ქალი და მამაკაცი თანასწორნი არიან“

„ევროპასთან დაახლოება თუ გვინდა, პირველ რიგში, ეს კანონების აღსრულებაში უნდა გამოიხატოს. კანონი უნდა მოერგოს მოქალაქეებს და არა — კონკრეტულ ადამიანებს“, — აღნიშნავს ფოტოგრაფი ბობა ჩანაღირი და სხვადასხვა საკითხზე თავის შეხედულებას გვიზიარებს:

სადა შურისძიებაში, ნიშნის მოგებასა და ჩასაფრებაში არ უნდა იხარჯებოდეს. ეს ენერჯია რომ სახელმწიფოს მშენებლობისა და განვითარებისკენ მიმართონ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა. კრიტიკა სასარგებლოა, როცა ის გულშემატკივრის პოზიციიდან მოდის. მომწონს ის ადამიანები, ვინც ქვეყნის გულშემატკივარია. ისინი თავიანთ საქმეებს ტოვებენ და ამ დანატოვარზე მათმა შთამომავლობამ უნდა იცხოვროს და ბარემ კარგი და ღირსეული დაუტოვე. ჩვენ ხომ გვინდა, სახლი ავაშენოთ, რომ ჩვენი შვილი კარგად და ბედნიერად იყოს? იგივეა სახელმწიფო. რატომ უნდა გიხაროდეს, რომ ვილაცამ ასფალტი ცუდად დააგო? პირიქით, შენუხდი, თუ ცუდად გაკეთდა და გზა მოძებნე უკეთესის გასაკეთებლად.

— შენი აზრით, რომელი სფეროა უფრო მეტად პრობლემური და მისახედი?

— განათლება. აქედან მოდის ყველაფერი. განათლებულ ადამიანებს შეუძლიათ, მოძრაობის წესებიც დაიცვან, სახელმწიფო სიღარიბიდან გამოიყვანონ, ნაგავი არ დაყარონ და ბევრი სხვა პრობლემა მოაგვარონ. განათლებულ ადამიანს შური და ბოღმა ნაკლებად ამოძრავებს, განვითარებად არ ვილაცის ჩასასაფრებლად არ სცალია. განსაკუთრებით, ტექნოლოგიური მიმართულებით განათლებაა საჭირო, დოვლათის შექმნაზე ორიენტირება. დავაფინანსებდი ინჟინრებს, კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტებს, მეცნიერებს, აგრონომებს, რომლებიც რაღაცას ქმნიან, მოსავალს, წარმოებას და ა.შ.

— რეგიონებში ხშირად მოგზაურობ, რა პრობლემებს აწყდები იქ?

— რეგიონებში უამრავი პრობლემაა. მაგალითად, პანკისის ხეობაში ძალიან ცოტა ისტორიული ძეგლია დარჩენილი. ერთ-ერთი ასეთი — თორღვა პარკელის ციხეა. შესაძლებელია იქ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, ციხე აღსადგინა და ქართველებიც კი იშვიათად ჩადიან. კარგი იქნება, ციხე გადარჩეს

და ტურისტულად გამოცოცხლდეს. ასევე, დუროიანის სახლი იყო დარჩენილი სოფელ ღებში, სამი კედელი ჩამონგრეულია და სამწუხაროდ, ცუდ დღეშია. როგორც იცით, რეგიონებში ძირითადად, ინფრასტრუქტურისა და ინტერნეტის პრობლემაა, დაბალია სასოფლო-სამეურნეო პროცესებში ჩაბმის მოტივაცია. ჩემს ერთ ახლობელს თბილისში საღვეზელე აქვს გაკეთებული, სადაც ორი რაფველი დაასაქმა — ლობიოსა და ლორს მათგან ყიდულობს და ამით დაინტერესა, რომ იქ დარჩენილიყვენ.

— ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზეც გკითხავ: ბევრმა ადამიანმა დააფიქსირა საკუთარი შეხედულება ამასთან დაკავშირებით. შენ რა აზრის ხარ?

— მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ადამიანის, ნებისმიერი ორიენტაციისა და რელიგიური შეხედულების მქონე პირის მიმართ შემწყნარებელი ვარ, ქორწინება, კლასიკური გაგებით, კაცისა და ქალის ერთობად მიმაჩნია. ქალისა და ქალის ან მამაკაცისა და მამაკაცის ერთად ყოფნას თანაცხოვრებას დავარქმევდი და არა — ოჯახს ან ქორწინებას. ეს ტერმინი მათთვის შესაფერისად არ მიმაჩნია. მათი თანაცხოვრება მათი პირადი საქმეა. დაკანონო ის, რაც ბუნებაში არ არსებობს, ჩემთვის გაუგებარია. ევროპასთან დაახლოება თუ გვინდა, პირველ რიგში, ეს კანონების აღსრულებაში უნდა გამოიხატოს. კანონები იდეალური გვაქვს, მაგრამ აღსრულება — სუსტი. კანონი მოერგება მოქალაქეებს და არა — კონკრეტულ ადამიანებს. ევროკავშირში ბევრგან არ არის ერთნაირსქესიანთა ქორწინება... რატომ არავინ ამბობს, მაგალითად, რომ ევროპასთან საგზაო მოძრაობის წესების დაცვა დაგვაახლოებს, ნავის აკრეფა, სუფთა ქუჩები? ოჯახის ყველაზე მაღალი კულტი სწორედ ევროპაშია, სადაც ქალი და მამაკაცი თანასწორნი არიან. მოკლედ, ქორწინება ჩემთვის ქალისა და მამაკაცის ერთობაა და სხვა არაფერი.

საუკეთესო ქართული თაფლი ჩვენი ქვეყნიდან არალეგალური გზით გააქვთ



მეფუტკერობას საქართველოში უძველესი დროიდან მისდევენ. ქართული თაფლი განსაკუთრებული შემადგენლობით გამოირჩევა და ძალიან სასარგებლოა, რაც ევროკავშირის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს. მათ სპეციალური კვლევა ჩაატარეს და დაასკვნეს, რომ სწორედ თაფლია ის პროდუქტი, რომელსაც თხილსა და ღვინოსთან ერთად ევროკავშირის ბაზარზე შესვლის რეალური პერსპექტივა აქვს. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ქართული თაფლი ექსპორტზე ძირითადად ლიბიაში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, საუდის არაბეთში, ერაყსა და ლიბანში გადის. გასულ წელს ამ ქვეყნებს ჩინეთი და კორეაც დაემატა. მართალია, ევროპის ქვეყნებში თაფლზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ ამ ბაზარზე შესვლა არც ისე მარტივია მკაცრი კონტროლისა და მაღალი სტანდარტების გამო.

ხატუნა ჩიბოგიძე

ამჟამად საქართველო წელიწადში დაახლოებით 4 000 ტონა თაფლს აწარმოებს, მაგრამ ეს უმნიშვნელო რაოდენობაა იმ პოტენციალთან შედარებით, რაც ამ დარგში გვაქვს. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო ცდილობს, მეფუტკერებს შეძლებისდაგვარად დაეხმაროს: გასულ წელს შემუშავდა „მეფუტკერობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამა და ფერმერებს ახალი სკები დაურიგეს. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, ეს არის ძალიან კარგი ხარისხის სკები, რომლებიც ფინეთში, პოლონეთში, გერმანიასა და აშშ-შია დამზადებული. ჩვეულებრივი ხის სკებისგან განსხვავებით ბევრი უპირატესობა აქვს — დამზადებულია მსუბუქი, ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან და კარგად უძლებს კლიმატურ ცვლილებებს. რა ხდება ამჟამად მეფუტკერობაში, რა კეთდება იმისათვის, რომ ეს უძველესი, ტრადიციული დარგი განვითარდეს? — ამ შეკითხვით სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებს და მეფუტკერებს მივმართეთ:

ბიორბი მიშელაძე, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ უფროსი:
— საქართველოში წარმოებულ პროდუქტებს შორის თაფლს მართლაც ყველაზე დიდი პერსპექტივა აქვს, მაგრამ იმისათვის, რომ ქართული თაფლი ევროკავშირის ბაზარზე

გავიდეს, ჩვენმა მეფუტკერებმა საჭირო სტანდარტები უნდა დააკმაყოფილონ. ყველანაირად ვცდილობთ, ავამაღლოთ მეფუტკერების ცოდნა, რომ მათ პროდუქტში არ იყოს ანტიბიოტიკები და საექვო მინარევები, რადგან თაფლის ხარისხი ევროკავშირის ქვეყნებში მკაცრად კონტროლდება. რაც შეეხება რადიაციას, საბედნიეროდ, საქართველო არ არის რადიაციულად დაბინძურებული ქვეყანა, რის გამოც ჩვენს თაფლში რადიაციის დონე იშვიათად არის მაღალი. მეფუტკერობის განვითარება ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონშია შესაძლებელი, ამიტომ თითქმის ყველა რეგიონში დავარიგეთ სკები. დღეისათვის უკვე 7 600-მდე სკა დარიგდა — ზოგიერთ რეგიონში ბევრი და ზოგან — ნაკლები. 98-მდე კოოპერატივი იყო ჩართული ამ პროგრამაში და ყველამ მიიღო სკა. გასულ წელს, დასაველეთ საქართველოში ამ მხრივ ყველაზე აქტიური რეგიონი რაჭა-ლეჩხუმი იყო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — სამცხე-ჯავახეთი. ამ ორი რეგიონიდან ყველაზე მეტი მოთხოვნა იყო შემოსული სკებზე. 2016 წელს განაცხადები სხვა კოოპერატივებმაც გააკეთეს და თუ შარშან პროგრამის ფარგლებში მხოლოდ სკებს ვურიგებდით, ახლა თაფლის შესანახი ავზებისა და თაფლის საწურების დარიგებასაც ვაპირებთ. მსურველთა რეგისტრაცია დასრულებულია და ახლა ხელშეკრულებების გაფორმების ეტაპზე გადავდით. შეიძლება

მკითხველს გაუჩნდეს კითხვა — რატომ კოოპერატივები და არა ინდივიდუალური მწარმეები? — იმიტომ, რომ კოოპერაცია თაფლის წარმოებაში ყველაზე აპრობირებული და საიმედო გზაა. ის ხელს უწყობს, რომ მეფუტკერებმა უფრო დიდი რაოდენობით ხარისხიანი თაფლი აწარმოონ და ექსპორტზე გაიტანონ. ევროკავშირის წარმომადგენლებმა ქართული თაფლი მოინონეს. ეს არის ყველაზე დიდი ბაზარი და თუ ევროპის ქვეყნების მოთხოვნებს დაეკმაყოფილებთ, მაშინ ნებისმიერ ქვეყანაში შექმლბთ ჩვენი თაფლის გატანას. თაფლზე მოთხოვნილება საქართველოშიც მაღალია, უცხოეთში ექსპორტიც თუ გაიზრდება, ეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დარგი იქნება. თანაც, მეფუტკერობა არ არის მხოლოდ თაფლის წარმოება

ქველ-სახსართა პრობლემები


კოქსართოზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზური სპონდილიტას, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ზრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება.

მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე ძვლის მკვებებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, იმუნოტეტის გაძლიერებით. სისხლის მიმოქცევის აღდგენით, მარილების, შლაკებისა და ქოლესტერინისაგან გაწმენდით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესო და მყარი.

ბელ: 599 91-37-65 ქ-6ი: ქაითაოი

რამდენად იღია მოთხოვნა ქართულ თაფლზე

ქართული თაფლი განსაკუთრებული შემადგენლობით გამოირჩევა და ძალიან სასარგებლოა, რაც ევროკავშირის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს. „საქსტატის“ ცნობით, საქართველოდან ყოველწლიურად გააქვთ უცხოურ ბაზარზე რამდენიმე ტონა თაფლი:



2014 წელს საქართველოდან თაფლის ექსპორტი 5 ქვეყანაში განხორციელდა: საუდის არაბეთში ექსპორტზე 4,3 ტონა ქართული თაფლი გავიდა, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში — 0,1, ჰონკონგში — 0,6, ჩინეთში — 0,3, ხოლო კორეაში — 0,1 ტონა თაფლი.

— მეფუტკრეს შეუძლია ანარმოს ფუტკრის რძე, დინდგელი, ფუტკრის შხამი და ბევრი სხვა ძვირფასი პროდუქტი. ამიტომ უალერესად პერსპექტიული დარგია საქართველოს პირობებში.

ჯაბა ჭიჭიშვილი, ფერმერი, ასოციაცია „ელკანას“ კონსულტანტი:

— ასამდე სკა მაქვს და ვიცი, რა უჭირთ და რა ულხინთ ქართველ მეფუტკრეებს. იმისათვის, რომ ექსპორტი გაიზარდოს, მენარმეს ქვეყნიდან თავისი პროდუქტის გატანისას ბარიერები არ უნდა ხვდებოდეს. თურქეთში მაგალითად, მენარმეს თუკი რაიმე უცხოეთში გააქვს გასაყიდად, სახელმწიფო გადასახადებს არ ახდევინებს. ალბათ ამ დარგში უნდა მივბაძოთ ჩინელებს, რომლებიც ფუტკარს ლამის წველიან და მისგან წარმოებულ ყველა პროდუქტს იყენებენ. ამისთვის საჭიროა მეფუტკრეების პროფესიული დონის ამაღლება და საჭირო ცოდნის შეძენა. სკების დარიგება და იაფი კრედიტების გაცემა კარგია, მაგრამ ფერმერს სახელმწიფო დაბრკოლებებს თუ არ შეუქმნის,

თვითონ შეძლებს განვითარდეს და თავის მეურნეობასაც გააფართოებს. საქართველოში მეფუტკრეს პრეპარატებიც ძვირი უჯდება, ფუტკრის მოვლაც, ამიტომ ქართული თაფლი ძვირია. საერთოდ, ფუტკრის მიერ წარმოებული ყველა პროდუქტი ძვირფასია და მთელ მსოფლიოში კარგი ფასი აქვს, მით უმეტეს, ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც ხარისხიან თაფლზე მოთხოვნა მაღალია, სამწუხაროდ, მათ სტანდარტებს ჩვენ ვერ ვაკმაყოფილებთ. ძალიან კარგი შანსი გვაქვს, რომ ამ ბაზარზე შევიდეთ, მაგრამ ამის მისაღწევად მათი სტანდარტებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ქართულ თაფლს უამრავი ღირსება აქვს: თუნდაც ის, რომ მრავალი სახეობისაა: გვაქვს ნაბლის, აკაციის, ცაცხვის, შერეული თაფლი, ჩვენი თაფლი გემოთიც განსაკუთრებულია. მოკლედ, შანსი გვაქვს, მაგრამ ამ შანსს გამოყენება უნდა. ამიტომ, მეფუტკრეების ცოდნის დონე უნდა ამაღლდეს. საქართველოში მეფუტკრეების დიდი ნაწილი მოყვარულია, ძალზე ცოტას ჰყავს 300 და მეტი ფუტკრის

ოჯახი. ზოგჯერ მეფუტკრემ არ იცის სკას და ფუტკრებს როგორ მოუაროს, არასაჭირო პრეპარატებს იყენებს, ეს კი, თაფლის ხარისხზე უარყოფითად აისახება. ზოგჯერ სკებს შეხვდებით დიდ ტრასებთან ან საწარმოებთან — იქ, სადაც გარემოს დაბინძურება მაღალია, ეს თაფლის ხარისხზე ყოველთვის მოქმედებს. აქვე უნდა ვთქვა, რომ თაფლზე არანაკლები საქსპორტო პოტენციალი აქვს ქართულ დედა ფუტკარსაც. უნიკალური თვისებების გამო ქართულ ფუტკარზე მაღალი მოთხოვნაა. ქართული ფუტკარი თავისი უნიკალური თვისებებით გამოირჩევა: ის განსაკუთრებულად შრომისმოყვარეა, ყველაზე შორ მანძილზე დაფრინავს და ნექტარს წვიმის დროსაც კი აგროვებს, როცა სხვა ფუტკარი სკიდან საერთოდ არ გამოდის. გარდა ამისა, მშვიდია და უფრო მეტ ნექტარს აგროვებს. ამ ყველაფერს გამოყენება უნდა. ჩემი აზრით, თაფლის მწარმოებელ ქვეყნებს კონკურენცია რომ გაუწიოთ, ქართველი მეფუტკრეების პროფესიული ცოდნა უნდა გაღრმავდეს

და ჩვენი თაფლი ბიოლოგიურად სუფთა უნდა იყოს. სწორედ გემოთი და ხარისხით თუ შევძლებთ ამ ბაზარზე ჩვენი ნიშა მოვძებნოთ. ასე რომ, პერსპექტივა გვაქვს, მაგრამ რამდენად გამოვიყენებთ, ეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული.

როლანდ ზირაძე *პიპინი, შპს „მეთაფლიას“ დამფუძნებელი და დირექტორი:*

— ვფიქრობ, რომ მხოლოდ თავლზე ლაპარაკი არასწორია, აქცენტი უნდა კეთდებოდეს მთლიანად მეფუტკრეობის პროდუქტების ექსპორტზე. ჩემი აზრით, თაფლი იმდენად პერსპექტიული არ არის, რადგან ის საქართველოშიც დეფიციტური პროდუქტია. თანაც, არის წლები, როდესაც თაფლი საკმაო რაოდენობით არ მოდის. რაც შეეხება სხვა პროდუქტებს, როგორცაა ქართული სანაშენე ფუტკარი, ის მთელი მსოფლიოსათვის არის ცნობილი, ასევეა ფუტკრის რძე, რომელიც უფრო პერსპექტიულ პროდუქტად მიმაჩნია, ვიდრე თაფლი. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი საფუტკრეობის პროდუქტიულობა დაბალია: მათი საშუალო პროდუქტიულობა 10-12 კილოგრამია, ამ მხრივ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს, როგორც არის საფრანგეთი, გერმანია, კანადა, ჩინეთი, მექსიკა, აშშ, კონკურენციას ვერ გავუწევთ. ამ ქვეყნებში სკების პროდუქტიულობა 50-60 კილოგრამია. მართალია, ჩვენი თაფლი შედარებით მაღალხარისხიანია, მაგრამ ის შიდა ბაზარზეც ძვირი და დეფიციტურია, ამიტომ, მეფუტკრეობის პროდუქტებზე უნდა დავამყაროთ იმედი და არა მხოლოდ თაფლზე. ამ ეტაპზე კი, საკმარისი რაოდენობით არც თაფლი გვაქვს, არც ფუტკრის რძე და არც დედა ფუტკარი. ამიტომ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და კოოპერატივების სააგენტომ ამ მიმართულებით მეფუტკრეობი უნდა წახალისოს, ქვეყანაში საკმაო რაოდენობის პროდუქცია რომ შეიქმნას. 4 000 ტონა თაფლი წელიწადში საკმარისი არ არის. ახლა მაგალითად, რომ მოინდომოთ და სადმე მოვოთ მაღალხარისხიანი თაფლის მარაგი, ვერსად იპოვით. ეს დეფიციტური პროდუქტია, ამიტომ, თუ გვინდა, რომ საკმარისი რაოდენობის თაფლი გვქონდეს, სერიოზული სუბსიდირება და მუშაობაა საჭირო. სკების დარიგება კარგია, მაგრამ სხვა მიმართულებითაც უნდა ვიმუშაოთ,

მიზანს რომ მივალნიოთ. ჩვენ უნდა გავზარდოთ ფუტკრის ოჯახების პროდუქტიულობა. რაც შეეხება მაღალ ფასს, თაფლი ჩვენთან ყოველთვის ძვირი იქნება, რადგან საქართველო მცირემინიანი ქვეყანაა და აქ დიდი რაოდენობით თაფლის წარმოება ვერ მოხერხდება, რაც უფრო მეტია ფუტკრის რაოდენობა, მით უფრო ნაკლებია თაფლის ხარისხი, ჩვენ კი, პირველ ყოვლისა, ხარისხზე უნდა ვიმუშაოთ. ამ დარგის წინსვლას ძალიან აფერხებს ფალსიფიკაცია და ქუჩაში ვაჭრობა,

თურქებიც ამრავლებენ აქვე, ჩვენს მომიჯნავე მაჭახელას ხეობაში და ყიდნიან. საქართველოდან ის არალეგალური გზით გაჰყავთ. ინფლაციის გამო რუსეთსა და უკრაინაში თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტები ძალიან იაფია. ამიტომ იქ ალარ გადის იმ რაოდენობით თაფლი, რამდენიც ადრე გადიოდა. პირიქით, უკრაინიდან აქ შემოაქვთ თაფლი და როგორც ქართულს, ისე ყიდნიან, რატომ უნდა, ესეც ბინძური თამაშია. რაც შეეხება აზერბაიჯანს და თურქეთს, იქაც არაოფიციალური გზით



ჩვენი თაფლი შედარებით მაღალხარისხიანია, მაგრამ ის შიდა ბაზარზეც ძვირი და დეფიციტურია

რაც უნდა აილაგმოს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებიან მეფუტკრეები, რომლებსაც წამდვილი, ხარისხიანი თაფლი აქვთ, დაზარალება ქართული თაფლის იმიჯი. ასევე საჭიროა მსხვილი საფუტკრეობის ფორმირება და მათი საჭირო მონეობილობით აღჭურვა.

— რით შეიძლება აიხსნას, რომ ქართული თაფლი ბოლო წლებში ექსპორტზე არაბულ ქვეყნებში გადის, ჩვენი რეგიონის ქვეყნები კი, ოფიციალურ სტატისტიკაში არ ჩანან?

— იმით, რომ ჩვენი საზღვრები დაუცველია და მეფუტკრეობის პროდუქტები საქართველოდან არალეგალური გზით გადის, მაგალითად: დედა ფუტკარი თურქეთის გავლით გაჰყავთ, რადგან ქართული ფუტკარი შეუცვლელია მსოფლიო ბაზარზე, ამიტომ მის მიმართ ინტერესი ყოველთვის დიდი იყო, საბჭოთა პერიოდში მაგალითად, ის 48 ქვეყანაში იყიდებოდა. სხვათა შორის, ქართულ ფუტკარს ამჟამად

გადის დიდი რაოდენობით წაბლის თაფლი, რადგან ეს ჩვენი მეზობელი ქვეყნებია, ხალხი იოლად გადადის საზღვარზე, შემოდიან აქ, მაღალ ფასს იხდიან და არალეგალურად გააქვთ თაფლი საქართველოდან. ამიტომ, ოფიციალურ მონაცემებში არაბული ქვეყნები უფრო ჩანს, ვიდრე ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები.

გახდომა 5-დან 18 კმ-მდე თიხაში
გასუქება 3-დან 5-6 კმ-მდე თიხაში


მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე, რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მლაკებისგან, სისხლძარღვები-ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება ახალგაზრდა, ელასტიკური. დადებით სასურველ წონაზე და სტაბილურად შეინარჩუნებთ მას.

ასევე სიმძლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად. კურსით 3-5მ მომატებით 25 წლამდე. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძელის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშებით. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია, განმეორება შეეძლიათ სასურველ შედეგამდე. უკუხუჭება 0-ია.

შედეგები 100%-იანი.

ტელ: 577 29-37-41, 247-58-83
ქ-ში მარიაში

„სახეზე დიდილაფარებული, ემოციისგან დაცლილი პოლიტიკოსები“



„გზამთ და ვფიქრობთ, რომ ცოტა ხნის სიცოცხლე დაგვრჩენია“

„ყველა ადამიანს თავისებური ფიქრები აწუხებს და ჩვენი გამოცდილებაც განსხვავებულია. იშვიათად ნახავთ ისეთ ზრდასრულ ადამიანს, სხვისი თვალდახუჭულს რომ სჯეროდეს და ეს ყველაფერი თითქოს, დრომ, გამოცდილებამ მოუტანა კაცობრიობას. ქართველმა პოლიტიკოსებმა რომ უნდობლობა დაიმსახურეს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ველარ ვიგებ, ხელისუფლებაში რისთვის არიან, თუ მათი გვერდის ავლით, ქვეყანაში „უცხო ჩიტებიც“ დაფრინავენ და როგორც მოესურვებათ, ისე დაგვასაქმებენ თავზე? რად მინდა ისეთი მთავრობა, რომელიც ხალხის უსაფრთხოებაზე ვერ იზრუნებს? რომელიც ვერ ალაგმავს გახრწნილების ჩვენებას ტელევიზიით ან ინტერნეტსივრცეში? რომელიც ქვეყანაში სიტუაციას ვერ აკონტროლებს?“ — ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით აღშფოთებულია ბატონი აკაკი. როცა ვკითხე, — საიდან მირეკავთ-მეთქი? — ამ კითხვით უკმაყოფილომ მიპასუხა: საქართველოს მოქალაქე ხომ ვარ, გამართული ქართულით ხომ გელაპარაკები და რაიონს რა მნიშვნელობა აქვსო? არადა, მაინტერესებდა, ჩემთან შეხვედრას შეძლებდა თუ ტელეფონით უნდა გვესაუბრა...

ლიკა ქაჭაია

— თქვე კი ადამიანებო, ამ ისე-დაც დაპატარავებულ საქართველოს კიდევ უფრო მეტად რომ აქუცმაცებთ, სინდისი აღარ არის? რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რომელი კუთხიდან ვართ, როცა საბოლოოდ, ყველანი ქართველები ვართ და იმის ხაზგასმა, რომ კახელი ვარ, იმერელი, მეგრელი ან რაჭველი, არა მგონია, საჭირო იყოს.

— უკაცრავად, თუ შეკითხვა არასწორად დაგისვით და უნებურად, გული გატკინეთ. მითხარით, რა განუხებთ, რისთვის დაგვიკავშირდით? მაინც, რატომ ხართ ასეთი აღშფოთებული და ქართველი პოლიტიკოსებით უკმაყოფილო?

— აბა, კმაყოფილი რით უნდა ვიყო? ლამისაა, შვილიშვილებს ვუთხრა, განათლება არ მიიღოთ, ეს ცუდია, ყველა ნასწავლი რაღაცას ბუუტუტურობს და მხოლოდ თავის ჯიბე-ცხვირს ხედავს-მეთქი. გლეხი კაცი არასდროს იკადრებს თავისი სოფლის გაყიდვას, პოლიტიკოსებს კი ასე მგონია, სინდის-ნამუსი სულაც არ აწუხებთ. როცა მათ ლანძღავენ, აგინებენ, არც ეს ადარდებთ. შეიძლება, პირშიც მიახალო სათქმელი, ისინი კი სახეზე ღიმილაფარებულები, აუღელვებლად, თითქოს ემოციისგან

დაცლილები მოგისმენენ და გეტყვიან, — ნუ ლელავთ, ყველაფერი კარგად იქნებაო. ასეთ რობოტ ადამიანებს ნეტავ, სპეციალურად ზრდიან სადმე? აბა, საიდან მოდიან ან როგორ ყალიბდებიან ასეთებად? აი, ახლა ვიდუოკადრები რომ გაავრცელეს, რას ემსახურება სხვისი ლაფში ამოსვრა? ამით თვითონ ქულებს დაინერს, ვინც გაავრცელა, თურა ხდება? ის, ვისზეც ეს ვიდუოები გაავრცელეს და ჩირქი მოსცხეს, რა ისეთი პოლიტიკური ფიგურა იყო, ვინმესთვის რაიმეში ხელი რომ შეეშალა? ვაი, ამათ პატრონს! პაიკებს კლავენ, რომ მერე დიდამდეც მიაღწიონ და ჰგონიათ, ხალხი სულელია, ვერავინ ვერაფერს მიხვდება. ერთი და იმავე გუნდის წევრებს რომ უსწორდებიან, ესეც შეუმჩნეველი დარჩება? არა, ყველა ამბობს, რომ ახლა კონკრეტული გუნდის შიში აქვთ და მის ჩამოშორებას, დასუსტებას ცდილობენ, მაგრამ არაფერი გამოუვათ! „ოცნება“ ველარ გაიმარჯვებს მომავალ არჩევნებში, რადგან უუნაროები არიან ქვეყნის სწორ გზაზე დაყენების, აღმშენებლობის საქმეში; მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვა გამოსდით კარგად, თორემ თანაგუნდელებსაც რომ აღარ ინდობენ, ეს კარგად ჩანს.

— რას გულისხმობთ?

— ხელისუფლების სათავეში ერ-

თად მოსულებმა და ვითომ ერთ გუნდად შეკრულებმა, მალე მოახერხეს ერთმანეთის დაჭმა. მეორე ვადით რომ იყვნენ არჩეულები, კიდევ, ჰო, მაგრამ ასე უცებ თუ დაიშლენოდნენ მარტივ მამრავლებლად, ამას ვერ ვიფიქრებდი. ამ გოგი თოფაძეს „ნაციონალების“ დროს ხმის ამოღებისაც ეშინოდა, მერე ბიძინას ზურგს ამოფარებულმა დაიწყო ნრუნუნის და ახლა უხვად ფანტავს მარგალიტებს. ადრე ხომ აქებდნენ ამ კაცს, თვალში ნაცარს გვაყრიდნენ და ახლა კი ყველა ღიად აგინებს ან მის ასაკს მიაწერენ გოგიას „ბრწყინვალე“ გამონათქვამებს. არადა, მას ვიცნობ, სულ ასეთი იყო. ეტყობა, ბიზნესი ვისაც აქვს და ფულის შოვნის მარეფათი, ყველა ერთნაირია. რა ვიცი, ძალიან განათლებული და კარგი ქართულით მოსაუბრე ქართველი ბიზნესმენი ტელეეკრანიდან არ მინახავს და პირადად აბა, რომელიმე მათგანს ვინ შემახვედრებდა? მოკლედ, საქართველოში ძალიან ცუდი მდგომარეობაა. არ ვიცი, ხალხს მოთმინება როდემდე ეყოფა? მიშა სააკაშვილზე მთელი ქვეყანა ლაპარაკობდა, — სექსუალურად დაუოკებელიაო, მაგრამ თავად ამ თემაზე სახალხოდ არასდროს ულაპარაკია, ყოველ შემთხვევაში, არ მახსოვს. ეტყობა, თავშეკავების უნარიც ჰქონ-

და და ამიტომ! ეს მარგველაშვილი კი, ნორმალური კაცი რომ მეგონა, ტელევიზიით გამოვიდა და, — არიქა, მეც მაჩოვარ, პატივი მეცითო. კარგი, რა, კარგი! მორჩით სისულელეებს და აკეთეთ საქმე, რომელიც ჩემსა და თქვენს შვილებს ერთი ნაბიჯით მაინც წასწევს ნინ.

— სააკაშვილის ხელისუფლება ქვეყანას კარგად მართავდა?

— არც მათ ვემადლიერებოდი, რადგან ბევრი უკადრებელი რამ იკადრეს. თუმცა, რალაცები მაინც, ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ რომ კეთდებოდა, ამას უკვე ყველაზე „ოცნებისტიც“ კი აღიარებს. აბა, წარმოიდგინეთ: ესენი უყვიროდნენ, — ყველაფერს ისე აკეთებთ, რომ მალე დაინგრევა. მშენებლობები იმიტომ წამოიწყეთ, რომ ბევრი ფული შეჭამოთ, თორემ ქვეყანა არ გედარდებათ. ყველაფერი მალე დაგვემხოვა თავზეო. ჰოდა, მოვიდნენ ახლა ეს „ქოცები“ ქვეყნის სათავეში და აღმოჩნდა, რომ რაც გაკეთებული დახვდათ, სულაც არ ყოფილა დასანგრევი. ჰოდა, თვალის გასახარებლად ესეც გეყოფათ, ახლა სხვა რალაცებს უნდა მივხედოთო. თქვენ მითხარით ახლა, რა გააკეთეს ჩვენთვის სასიკეთო? მეც პენსიონერი ვარ და ეს თქვენი ასაკოვანი რესპონდენტები რომ გაჰყვირიან, — ჯანდაცვის მადლიერები ვართო, — მაინტერესებს, ამას რატომ ამბობენ? ამას წინათ ავად გავხდით და ჯერ პოლიკლინიკის რიგში ყოფნამ გამაცალა ქანცი. ბოლოს, როგორც იქნა, ექიმის კაბინეტში შევედი. იმან კი გამისინჯა ფილტვები, მაგრამ დამამალა: უფასოდ გემსახურები, ამაში „კაპიკებს“ მიხდები. ეს იმდენჯერ გაიმეორა და იმდენი ინჟინერა, რომ ჯიბეები მოვიქექე. მერე ნაირ-ნაირი წამლები გამომიწერა და აფთიაქში გამიშვა. წამლებს ფასი აქვს, იცოცხლე, ცეცხლისკიდება პირდაპირ! დაფურეკე ამ ექიმს, — შემცვლელი და ცოტა იაფი რომ ვიყიდო, ვერ მიშველის-მეთქი? აკივლდა: რაც გითხარი და სადაც, იქიყიდე, თორემ შენს ჯანმრთელობაზე პასუხს არ ვაგებო. გავატყავე შვილები, იმდენი თანხა გადავიხადე წამლებში და ახლა მითხარით, რად მინდა უფასო ექიმი, რომელიც გასინჯვის ნაცვლად, დამაყვედრის თავის უხემ მომსახურებას? რად მინდა ისეთი აფთიაქები, სადაც შესული, ბევრჯერ ხელცარიელი გამოვსულვარ იმ იმედით, რომ

ძვირად ღირებული წამლის გარეშეც შევძლებდი ტკივილთან გამკლავებას? ეს არის დემოკრატიული და საუცხოო ქვეყანა? ყველაზე იაფი რაც უნდა ღირდეს, რაც ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, იმას უკიდია სწორედ ცეცხლი. კომუნისტების დროს ყველაფერი „კაპიკები“ ღირდა და მაინც უკმაყოფილოები ვიყავით. ჰოდა, ღირსი ყოფილვართ ისეთი ჯოჯოხეთური ცხოვრების, როგორც დღეს გვაქვს.

— არჩევნებზე დადინართ ხოლმე?

— მივდივარ, აბა, ჩემს ხმას ხომ არ გავაყალბებინებ ამ ღვთის გლახებს? შევცდი, მეც „ოცნება“ შემოვხაზე არჩევნებზე, მაგრამ სიაში უკეთესი გუნდიც რომ არ იყო, ესეც უნდა აღვნიშნო და მთლად ჩემი ბრალიც არ არის, ესენი რომ უდგანან ქვეყანას სათავეში. რას ვიფიქრებდი, ისედაც დაქცეულებს კიდევ უფრო თუ გადაგვივლიდნენ და საბოლოოდ ამოგვწოდნენ წვეთობით დარჩენილ სისხლს დაბეჩავებული სხეულიდან?! სოფელშიც კი, გლეხები თავს ძლივს ირჩენენ. შრომა არ აკლიათ, მაგრამ ბუნებაც არ უწყობს ხელს ამ ადამიანებს და მთავრობა, მით უმეტეს, არაფერში არგიათ. გლეხს რომ თავის გატანა გაუჭირდება, იმ ქვეყნის საქმე ცუდადაა. გლეხი თუ არ არის ძლიერი, ქალაქს პროდუქტებით როგორ გაუძლიერებს ზურგს? ჰოდა, ჭამენ კიდევ ქალაქელები უცხოურ პროდუქტს, ვინ იცის, რით გაჟღენთილსა და მონამლულს! ყოველკვირა წერთ ჟურნალისტები: ეს არ მიირთვით, კიბოს აჩენს; იმაში თურმე, სანამლაგი ურევია; მარილში დარიშხანი იპოვესო და ა.შ. ლამისაა, სულ აღარ ვჭამოთ არაფერი, შიმისგან, ან ვჭამთ და ვფიქრობთ, რომ ცოტა ხნის სიცოცხლე დაგვრჩენია. აბა, გამამტყუნეთ ახლა, ისეთ მთავრობას რომ ვაგინებ, რომელიც თავის მოქალაქეებს არ იცავს. ისეთი პროდუქტი რატომ უნდა შემოდოდეს ქვეყანაში, რომელმაც შეიძლება, მოსახლეობას ჯანმრთელობის პრობლემა შეუქმნას? მაგრამ მერე როგორ გაასაღონ ეს ძვირად ღირებული წამლები?! ჩემი აზრით, უვარგისი პროდუქცია საბაჟოზე უნდა გააჩერონ და იმ ქვეყანაში გააბრუნონ, სადაც აწარმოეს.

— დამისახელეთ პოლიტიკოსი, რომელიც თქვენს სიმპათიას იმსახურებს და რომლისაც გჯერათ.

— ასეთი ადამიანი (და არა პო-

ლიტიკოსი) მერაბ კოსტავა იყო და გაუყენეს კიდევ იმქვეყნიურ გზას ეს კარგი ადამიანი. ახლა აღარავისი მჯერა, მაგრამ ამ ალასანიას „ნაცებიც“ და „ქოცებიც“ ისე ებრძვიან, მგონია, ეს ბიჭი სუფთა სინდისის ადამიანია, რომლის ხელისუფლებაში ყოფნა არ სურთ იმიტომ, რომ ირაკლის შეუძლია, ბევრი კარგი საქმე გააკეთოს მოქალაქეებისთვის. შეიძლება ვცდები, მაგრამ ასე ჩანს შორიდან. პირველი სწორედ ის არ განირეს თანაგუნდელებმა? რატომ, ცუდად აკეთებდა საქმეს?



არ არის გამორიცხული, „ოცნების“ ჯიბრზე, სწორედ ალასანიას გუნდს დაუჭირო მხარი

ასე რომ ყოფილიყო, აუცილებლად იყვირებდნენ ამას, მაგრამ ირაკლი რომ კარგად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, ამიტომაც, მის დაქვემდებარებაში მყოფ ადამიანებს მოსცხეს ჩირქი და ყველაფერი გააკეთეს, თავდაცვის მინისტრის სავარძელი რომ გათავისუფლებულიყო და მერე, მის ადგილას კი ვხედავთ, ხიდაშელი რომ დააბრძანეს. რა, ეს ქალბატონი უკეთესად უძღვება დაკისრებულ მოვალეობას? ვერაფრით დაეიჯერებ, რომ ირაკლიზე გონიერია და გამოცდილი იმ საქმეში, რაც აბარია. ასეა, ზოგჯერ პატიოსანი ადამიანის გვერდით ყოფნა არ აწყობს და ამას ხალხი ხედავს სწორედ მაშინ, როცა ასეთი პიროვნებების დევნას იწყებენ. ასე რომ, არ არის გამორიცხული, „ოცნების“ ჯიბრზე, სწორედ ალასანიას გუნდს დაუჭირო მხარი.

ჯარისკაცის მკვლელობაში 19 წლის გოგონაა მხილებული

39 წლის ჯარისკაცი, რომან ბედიანაშვილი მშობლიურ კუთხეში, გორის რაიონის სოფელ ფხვენისში დაკრძალეს. იგი 7 მარტს გორში ე.წ. კომბინატის დასახლებაში საერთო საცხოვრებელში გარდაცვლილი იპოვეს. ბინიდან გამო- მავალი კვამლი მეზობლებმა შენიშნეს, მაშინვე სახანძრო სამსახური გამოიძახეს და კაცის გადარჩენა საკუთარი ძალებითაც სცადეს, მაგრამ — ამაოდ. თავიდან ყველა ფიქრობდა, რომ ჯარისკაცი ბინაში გაჩენილ ხანძარს შეეწირა, მაგრამ ძალოვანებმა საქმეს განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია მისცეს და დანაშაული ოპერატიულად გაიხსნა.



თეა ხურცილავა

მკვლელობაში ეჭვმიტანილი, 19 წლის გოგონა პოლიციამ იმავე დღეს დააკავა. როგორც ირკვევა, დანაშაულში ეჭვმიტანილი ძალოვანთა მახეში მალევე გაება: დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ღამის 3 საათზე ქუჩაში გავიდა. პატრულირებისას პოლიციამ ქუჩაში შენიშნა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც თავზე ე.წ. კაპიუშონი ჰქონდა ნამოფარებული. სამართალდამცავებმა გოგონა გააჩერეს. როგორც ჩანს, დაიბნა და მისმა ქცევებმა მათ ეჭვი გაუჩინა. სამართალდამცველებმა ის მანქანაში ჩასვეს და ვადამონუმების მიზნით, პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. ამ ფაქტიდან მალევე განყოფილებაში შევიდა შეტყობინება, რომ კომბინატის დასახლებაში მდებარე საერთო საცხოვრებელში ცეცხლი იყო გაჩენილი.

ნანა, კომბინატის დასახლებაში მცხოვრები:

— ეს ბიჭი ამ ბინაში ქირით ცხოვრობდა. აქვეა მისი ბატალიონი, სადაც მსახურობდა. მისი ბინიდან ჩხუბისა და აყალმყალის ხმა არასოდეს გაგვიგონია. საკმაოდ მშვიდი ბიჭი ჩანდა, სალმიანი და მიდიოდა თავისი საქმეზე. არც იმ ღამეს გაგვიგონია მეზობლებს ხმაური, მაგრამ ერთ-ერთმა მეზობელმა ფანჯრიდან გამოსული კვამლი რომ შენიშნა, 112-ში დარეკა. მაშინვე შეიკრიბნენ მეზობლებიც, მოვიდა სახანძროც და პოლიციაც. ყველას ეგონა, რომ რომანი ნასვამი იყო, რამე დარჩა ჩართული და ხანძარი ამიტომ გაჩნდა. პატრულმა კარი რომ ვერ შეანგრია და ფანჯრიდან გადავიდნენ, ბიჭი ნახევრად დამწვარი იყო. შემდეგ თქვეს, რომ ხანძარი ხელოვნურად იყო გაჩენილი და მკვლელობაში ეჭვმიტანილი — ახალგაზრდა გოგონა. მე არ ვიცნობ დაკავებულს, არც ის ვიცი, რატომ მოკლა, ამაზე ვერაფერს გეტყვით. როგორც ამბობენ, ისინი იცნობდნენ

ერთმანეთს, სხვებს უნახავთ გოგო აქ მოსული.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულმა ჯარისკაცის მკვლელობა აღიარა. მიზეზად სექსუალური ძალადობა დაასახელა. როგორც ირკვევა, იგი რომან ბედიანაშვილს და მის მეგობარ ჯარისკაცებს იცნობდა. მეზობლები იმასაც ამბობენ, რომ ამ გოგოსთან ახლო ურთიერთობა გარდაცვლილის ძმაცაცებსაც ჰქონდათ. მორიგი შეხვედრისას, რომანმა სექსობრივი ურთიერთობის დამყარების მიზნით, გოგო სახლში მიიყვანა, რაც მკვლელობით დასრულდა. კონფლიქტის დეტალებს გამოძიება დაადგენს. ბრალდებული ირწმუნება, რომ რომან ბედიანაშვილმა მასზე იძალადა, რის გამოც მისი მოკვლა განიზრახა.

საქმის ირგვლივ გამოძიება გრძელდება. ბრალდებულს ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა. მალე გაირკვევა, ჰქონდა თუ არა ადგილი ქალზე სექსუალურ ძალადობას მსხვერპლის მხრიდან. როგორც ცნობილია, გარდაცვლილსაც ჩაუტარდა ექსპერტიზები. მის სხეულში დიდი ოდენობით ფსიქოტროპული ნაშთების კვალი აღმოჩნდა. როგორც ვარაუდობენ, ბრალდებულმა რომანს ყავაში ფსიქოტროპული ნაშთები ჩაუყარა, დააძინა და ამის შემდეგ ლეიბს ცეცხლი წაუკიდა. სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ ახალგაზრდა ქალმა ახლომდებარე ავტოგასამართ სადგურში ერთი ლიტრი ბენზინი შეიძინა. ქალს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, თუმცა შესაძლოა, პატიმრობის ნაცვლად, ის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანონ: სამხედრო მოსამსახურის მკვლელობაში ბრალდებულის დედა ირწმუნება, რომ მის ქალიშვილს ფსიქიკური პრობლემები აქვს.

ნინო ბაშარაშვილი, ეჭვმიტანილის დედა:

— ორი წელია, ჩემი შვილი არ მინახავს. სახლიდან გაქცეული იყო. ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა და ფსიქოტროპულ ნაშთებსაც სვამდა, აღრიცხვაზეც იყო კლინიკაში. ორი წლის წინ თვითმკვლელობაც სცადა... სანამლავი დალია, თბილისში გადასხმები გავუკეთეთ. როცა გამოკეთდა, ისევ გაგვეპარა... არ ვიცი, რატომ ჩაიდინა ეს. პოლიციელებმა გამაგებინეს მომხდარი. როგორც მითხრეს, ჩემი შვილი თავად მივიდა

პოლიციაში და მკვლელობა აღიარა. არ მეკონტაქტებოდა, არც კი მოუკითხავარ ნორმალურად. თავისებური ბავშვია, მაგრამ ეს ნაბიჯი რატომ გადადგა, არ ვიცი. არც ის ვიცი, ვინ არის ის კაცი, ვინც მოკლა...

სოფელ ფხვენისის რწმუნებულის, ალექსი მთვარაძის თქმით, რომანი 5 შვილის მამა იყო. ძირითადად ჯარში იყო, ამიტომ მის შვილებს რომანის დედა ზრდიდა. რომანის მეზობლები მომხდართი შეძრულები არიან. ამბობენ, რომ იგი ძალიან მშვიდი, განონასწორებული, უკონფლიქტო ადამიანი იყო.

მალხაზ სადლოპელაშვილი, მეზობელი:

— ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო რომანი. უკვე მეორედ გააფორმა კონტრაქტი ჯარში და ამ ფულით არჩენდა ოჯახს. არ მახსოვს, ვინმესთან კონფლიქტი მოსვლოდეს. სამწუხაროდ, ოჯახი აერია, მისი მეუღლე წავიდა სახლიდან და რომანის 5 შვილს დედამისი ზრდიდა. ოჯახის შემოსავალი მარტო ამ ბიჭის ხელფასი იყო. ძალიან დიდი ტკივილი აქვს გადატანილი ოჯახს, წლების წინ რომანს 22 წლის ძმა მოუკლეს, მა-

ნამდე მამამისი მოკლეს. რომანის მამა ტაქსის მძღოლი იყო, ძალიან ბევრს შრომობდა. დააყარა და მტკვრის პირას ნახეს დაღუპული. ეს საქმე, როგორც ვიცი, გამოძიებული არ არის. რაც შეეხება რომანის მკვლელობას, სოფელში მომხდარის დეტალები არაფინიცის. რომანის მეუღლე დაკრძალვის დღეს იყო სოფელში ამოსული და ისევ წავიდა. ფაქტობრივად, ბებიას, ქალბატონი ციურის გასაზრდელია ხუთი ბავშვი. სამწუხაროდ, ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსიც კი არა აქვს.

ძებნილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

გასულ კვირას, ორი ადამიანის მკვლელობაში მხილებული კახა ქისიშვილის ცხედარი თბილისში, ერთ-ერთ ნაქირავებ ბინაში იპოვეს. როგორც ჩანს, მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მას სამართალდამცავები თვეზე მეტხანს უშედეგოდ ეძებდნენ. ფაქტია, გორში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, ქისიშვილი ქვეყნიდან გაქცევა არც უცდია, არადა, მაშინ ეჭვობდნენ, რომ ცხინვალში გადავიდა და ოკუპირებულ ტერიტორიას შეაფარა თავი. გაირკვა, რომ მან თბილისში ბინა იქირავა და იქ ცხოვრობდა, მაგრამ ძალოვანებმა დედაქალაქში ძებნილის კვალს ვერ მიაგნეს.

მომხდარზე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს გამოძიება. მალე ალბათ საქმე თვითმკვლელობის მუხლით დაიხურება და ამასთან ერთად, სამართალდამცავებს გორში მომხდარი შემზარავი მკვლელობის საქმის დახურვაც ისე მოუწევთ, რომ მკვლელობის მოტივს ვერ დაადგენენ.

შეგახსენებთ, 10 თებერვალს, ღამის 2 საათზე, გორში, გურამიშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, ხალხის თვალწინ, კახა ქისიშვილმა ყოფილი მეუღლე, 45 წლის ირმა გაგლოშვილი და მისი მეორე ქმარი, რომა ჯოჯიშვილი „მაკაროვის“ პისტოლეტიდან რამდენიმე გასროლით მოკლა. ამ ფაქტს 25-მდე ადამიანი შეესწრო. ხალხი იმ საღამოს 25 წლის მარიამ ქისიშვილის ისრაელიდან ჩამოსვენებას ელოდა. ახალგაზრდა გოგონას უმძიმესი ოპერაცია ჩაუტარდა, ღვიძლი გადაუნერგეს, მაგრამ

საავადმყოფოში გარდაიცვალა. მარიამი გათხოვილი იყო, მაგრამ შვილი არ ჰყავდა. ისრაელიდან ცხედარი მარიამის მეუღლემ და დედამ ჩამოასვენეს.

როგორც მეზობლები ამბობენ, მთელი დღე კახა ქისიშვილი ნერვიულად დადიოდა ეზოში და ელოდებოდა შვილის ჩამოსვენებას. დილით კოსტიუმში გამოწყობილი, საშინლად შეწუხებული სახით ნახეს. სამძიმარსაც იღებდა. შუადღისთვის კაცი საოცრად შეიცვალა, უცებ სხვა ტანსაცმლით გამოჩნდა, სპორტულად ჩაცმული. გაუკვირდათ კიდეც მეზობლებს და ნათესავებს, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა იმას, რაც შემდგომ მოხდა?! გოგონას ცხედარი ღამის ორ საათზე მიასვენეს ეზოში. „კატაფალკი“ წინ მჯდარა ირმას მეორე ქმარი, რომა. მეზობლების თქმით, კახას ის რომ დაუნახავს მანქანაში, უთქვამს, ერთი „ტრუპიც“ დავიმატო. მანქანა გაჩერდა, მარის ცხედარი გადმოსვენეს, „კატაფალ-

კის“ საბარგულს კეტავდა რომა, როცა მას ქისიშვილი მიუახლოვდა და პირდაპირ თავში დაახალა ტყვია. მამაკაცი ნაიქცა. ამის დანახვაზე ირმამ ატეხა კივილი. შემდეგ ქისიშვილმა ირმას ესროლა ორჯერ, მერე მიუახლოვდა, ხელი თმაში წაავლო და კიდეც სამჯერ ესროლა; იქიდან მობრუნებულმა კი ძირს დაგდებულ რომას კიდეც ორი ტყვია დაახალა. როგორც ამბობენ, ამ დროს რომა მაინც გარდაცვლილი იქნებოდა, რადგან პირველი ტყვია მას კეფაში მოხვდა. ყველაფერი იმდენად ელვისებურად მოხდა, ვერავინ შეძლო რეაგირება. ამის შემდეგ ქისიშვილი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

კახა ქისიშვილი ადრე ნასამართლევი იყო. გორში დადებითად ახასიათებდნენ მას. მძღოლი იყო და სულ შრომობდაო. რატომ მოკლა მან ორი ადამიანი, შურისძიება იყო თუ სხვა მოტივით ჩადენილი მკვლელობა — ეს საიდუმლო კახა ქისიშვილმა თან გაიყოლა.



კახა ქისიშვილი შვილებთან ერთად

ადამიანთ ვაჭრობისთვის – 12 წელი

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ადამიანთ ვაჭრობისთვის ბრალდებულ უზბეკეთის მოქალაქეს, დილრაბო ასლანოვას განაჩენი გამოუტანა და მას 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა. პროკურატურის მტკიცებით, ასლანოვამ 2013 წელს, უზბეკეთიდან მოტყუებით ჩამოიყვანა ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც საქართველოში მედდად დასაქმებასა და ხელფასის

სახით, 500 დოლარს ჰპირდებოდა. საქართველოში ჩამოსულ გოგონას დილრაბო ასლანოვამ ჩამოართვა უზბეკეთის მოქალაქის პასპორტი, შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება, ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, ძალადობით, შანტაჟითა და იძულებით, პროსტიტუციაში ჩააბა და მას რამდენიმე თვე სექსუალურ მომსახურებას აიძულებდა. გოგონამ

ერთ დღეს ბუნაგს თავი დააღწია და დახმარებისთვის პოლიციას მიმართა. დილრაბო ასლანოვა 2015 წლის 29 ივნისს დააკავეს. მას დაზარალებული დაუპირისპირდა და დანაშაულში ამხილა. სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით, უტყუარად დადასტურდა მისთვის ნაყენებული ბრალდება, რის შედეგადაც, უზბეკეთის მოქალაქეს რუსთავის ქალთა დაწესებულებაში 12 წლის გატარება მოუწევს.

ნადეჟდა სავჩენკოს სოლიდარობის ნიშნად პატიმარი შიმშილობს

გლდანის მე-8 დაწესებულებაში მარტიდან პატიმარი ოთარ გაბიევი შიმშილობს. მან ეს გადაწყვეტილება უკრაინელი პილოტის, ნადეჟდა სავჩენკოს მხარდასაჭერად მიიღო. ოთარ გაბიევი ციხიდან დამიკავშირდა და მიახმბო:

— უკვე რამდენიმე დღეა, ნადეჟდას სოლიდარობის ნიშნად ვშიმშილობ გლდანის სამკურნალო დაწესებულებაში. მიმაჩნია, რომ სავჩენკო არის სამშობლოს სიყვარულის მაგალითი. რასაც ის აკეთებს, ჩემი აზრით, ვაჟკაცობაა. ის ჩემს თვალში დიდი პატიროტია და ამიტომაც, სოლიდარობას ვუცხადებ. მინდა, ნადეჟდამ გაიგოს, რომ როცა ის ციხეში გამოკეტილი იცავს თავის უფლებებს, მაშინაც არ არის მარტო და მის მხარდასაჭერად საქართველოშიც შიმშილობს პატიმარი. მე მის გვერდით ვარ. მართალია, თვითონ ვარ გამოკეტილი ციხეში, მაგრამ ვფიქრობ, მსოფლიოს ძალიან აკლია

სამშობლოს სიყვარულის ასეთი მაგალითები. მე გავაგრძელებ შიმშილობას მანამ, სანამ თავად სავჩენკო არ შეწყვეტს შიმშილობას.

— თქვენ რისთვის იხდით სასჯელს?

— 5 წელი და 3 თვე მომისაჯეს მკვლელობის მცდელობისთვის. „შეკერილი“ საქმეა, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. 8 თვე მაქვს დარჩენილი და აქედან გავალ. მთავარია, რომ გამაოცა ამ ქალის ვაჟკაცობამ. ჯანმრთელობის პრობლემა მაქვს. C ჰეპატიტი აღმომაჩნდა, ჩართული ვარ ელიმინაციის პროგრამაში და ვმკურნალობდი, მაგრამ ამ შიმშილობის გამო მომიწია მკურნალობის შეწყვეტამ. ექიმებმა განმიმარტეს, რომ შიმშილობის დროს წამლის მიღება ავნებს ჩემს ჯანმრთელობას და თუ შიმშილობას გავაგრძელებდი, ამ პერიოდში წამალს ვერ მივიღებდი, მაგრამ წამალზეც ვთქვი უარი, რადგან ვთვლი, რომ ამ ახალგაზრდა ქალს ახლა მთელი მსოფლიოს მხარდაჭერა სჭირდება.

ნადეჟდა სავჩენკოს უკრაინის ლუგანსკის ოლქის ტერიტორიაზე რუსი ჟურნალისტების მკვლელობაში ადანაშაულებენ. „ნადეჟდა სავჩენკო დამნაშავეა კორნელიუკისა და ვოლოშინის მკვლელობაში, რაც წინასწარი შეთქმულებით მოხდა“, — განაცხადა სასამართლოს თავმჯდომარემ, ლეონიდ სტეპანენკომ. მან ასევე დაამატა, რომ სავჩენკომ რუსეთის საზღვარი უკანონოდ გადაკვეთა. სავჩენკოს ადვოკატი, მარკ ფეიგინი აცხადებს, რომ სასამართლოს განაჩენის გამოცხადების შემდეგ ბრალდებული კვლავ მშრალ შიმშილობას გამოაცხადებს.



ქეთევან იგნატოვას სახლზე თავდასხმაში ბრალდებული დააკავეს

რამდენიმე დღის წინ ქეთევან იგნატოვას სახლში ყაჩაღობა მოხდა. ბოროტმოქმედმა ბინიდან ძვირფასეულობა წაიღო. ეს საქმე ძალუკანებმა ოპერატიულად გახსნეს. ყაჩაღობისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ბრალდებით, 26 წლის რევაზ კ. დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ რევაზმა 14 მარტს ღამით, საცხოვრებელ სახლში შეაღწია. ამ დროს იქ 5 ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის — მცირეწლოვანი ბავშვი. შეიარაღებული პირი მუქარით, ოქროსა და ძვირფასეულობას ითხოვდა. შედეგად, ქეთევან იგნატოვას ოქროს ბეჭედი, 200 ლარი, 2 ძვირადღირებული მობილური ტელეფონი, 2 „ნოუტბუკი“, 400 დოლარი წაიღო. დამნაშავემ ოჯახის წევრებს, მათ შორის მცირეწლოვან ბავშვს თითქმის ერთ საათზე მეტი ხნით, თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთა. ბოროტმოქმედთან სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოუხდა ოჯახის უფროსს, რა დროსაც დაიჭრნენ ქეთევან იგნატოვა და მისი მეუღლე, ზაზა. მათ დამნაშავემ დაწინაურებულ დაზიანებები მიაყენა. მიუხედავად ამისა, ბრალდებულმა ნაყაჩაღარი ნივთები ბინიდან გაიტანა და მიმალვაც მოახერხა.

დაჭრილ ცოლ-ქმარს სამედიცინო დახმარება სტაციონარში ჩაუტარდათ, მძარცველი კი მალე დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი — 2 დანა და 210 ლარი ნივთმტკიცებად მისგან ამოიღეს. გამოძიება ყაჩაღობისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტზე მიმდინარეობს.

აფხაზეთი მორიგი დაპირისპირების წინაშე



ადგილობრივი ისტორიკოსის თვალთშეპყრობით დასახული რეალობა

„სწირად მიფიქრია, ხომ არ შევეშვა პოლიტიკურ თემებზე საუბარს და წერას-მეთქი, მაგრამ აფხაზეთში არსებული ვითარება არ მაძლევს დუმის უფლებას. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, ველარ ვითმენ და ისევ ვინცეწ წერას იმის შესახებ, რაც ჩემ გარშემო ხდება... სწირად მომისმენია — დრო გავა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგებაო. მართალი გითხრათ, მეც მიფიქრია ასე, მაგრამ ეს დრო, რომელიც უკეთეს ცვლილებებსა და სიახლეებს მოიტანს, თავისით არ მოვიდა. არადა, დრო გადის...“

ლალაი ჰაპასკირი

ეს არის ფრაგმენტი აფხაზი ისტორიკოსის, დავიდ დასანიას წერილიდან, რომელიც სოციალურ ქსელში რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა და დიდი გამოხმაურება მოჰყვა...

ყურნალ „გზის“ მკითხველს შევახსენებთ, რომ დავიდ დასანიას ადრეც ვესაუბრეთ. მაშინ მან ენგურს აქეთ საქართველოში ყოფნის შთაბეჭდილებები გაგვიზიარა. ის „საქართველოში ნანახსა და განცდილს“ ჯერაც საბჭოთა კავშირივით მცხოვრებ აფხაზეთის რეგიონს ადარებდა...

როგორც მაშინ, ახლაც აფხაზეთის ერთი ნაწილი ალაშფოთა დასანიას წერილმა, სხვების თქმით კი, — მან მათი სათქმელი თქვა, ვისაც ეს ანუხებს, მაგრამ ვერ ან არ ამბობს... დასანიამ კი, გარკვეული დროის შემდეგ, დუმის დაარღვია და აფხაზეთის ე.წ. ხელმძღვანელობასა და საზოგადოებას გამოსაფხიზლებელი წერილით მიმართა...

„მე და უამრავმა ჩემნაირმა დავამავთ დუმის დრო და მოლოდინის რუქივით ყოფნით. არ უნდა მიგვეცა აფხაზეთში კლანებისა და კორუფციისთვის გაფურჩქნის საშუალება. ახლა ჩვენი წინაპრების საუკუნოვანი

ოცნება ჩვენივე ხელით განადგურდა... იმის მოლოდინმა, რომ ყველაფერი თავისით მოგვარდება, აფხაზეთი დეგრადაციამდე მიიყვანა... უკვე დღესაც ვნათელა, რომ აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელსა და სუვერენულ სახელმწიფოს, არსებობა არ შეუძლია. ვადიარებ, არ გვეყოფნის თამამი პოლიტიკის წარმოების გამბედაობა და გამოცდილება. ყველამ ვიცით, რომ ის, რაც ახლა აფხაზეთში ხდება, ცხოვრება არ არის. ცუდი ის არის, რომ ბევრი გაურბის ამ რეალობას... ქვეყანა სავსეა უმუშევარი ადამიანებით, დასაქმებულებს კი, ძალიან დაბალი ანაზღაურება აქვთ. აფხაზეთი არ ვითარდება. კოლაფსია. კიდევ ერთი „რევოლუცია“ მნიფდება... ხალხზე არავინ ფიქრობს, არადა, მათ ახლა ადრინდელზე მეტად უჭირთ, ამას კი, „ობიექტური მიზეზი“ აქვს, — საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი. პროგნოზი იოლია — მომავალ წელი უარესი იქნება. საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ნავაგეთ მშვიდობა, მოგებულ ომში. პოლიტიკური პარტიების ასეთი შემადგენლობა აფხაზეთს არ ახსოვს, პოლიტიკაში სარგებლის მიღებისთვის მიდიან, რაც კარგ შედეგს არასდროს იძლევა... არადა, შეგვეძლო გავგეოცებინა

სამყარო აფხაზეთში ქვეყნის მართვისა და „ხელისუფლება-ოპოზიცია-საზოგადოების“ ურთიერთობათა ჰარმონიით... ახლა, საკუთარი თითქმის არაფერი გაგვანჩია — ელექტროენერჯისა და კომუნიკაციების მოვიხმართ, რუსეთისგან ყიდულობს საქართველო ჩვენივე. ამ დროის განმავლობაში, ისიც კი ვერ შევძელით, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორისგან ნდობა მოგვეპოვებინა... აფხაზეთში ახლა მორიგი დაპირისპირება მნიფდება, მაგრამ ისე ვიქცევით, თითქოს არაფერი ხდება. აშკარაა ხელისუფლების განწყობა, — ის თავის პოზიციას

მამაკახუზის გაჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: სწირი და უნებლიე, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქაფილი, ტკივილი. გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობების საგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან საშუალოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნერვოზების, დერეისის, უძილობის, შიშების, აკვიტების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა. კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება, კოლიტი, ბუასილი, ლეიქოსის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლესი აპარატურით (უფასო). ანონიმურობით. მყარი 100%-იანი შედეგით.

მის: ნარეთლის 142, I სართული, VI კაბინაში
ბაჟ: 599 90-54-78, 234-02-38 ქაითი

დაიცავს, რაც ვითარებას ამძიმებს. რისი თქმა მიიწმინდა?.. — არ მიიწმინდა კიდევ ერთი რევოლუცია, — ამას აფხაზეთი ველარ გაუძლებს. ვნახოთ, ვის ეყოფა სიბრძნე, ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალი იპოვოს. პირველ რიგში, გონივრულობა უნდა ეყოს ხელისუფლებას. მისი პასუხისმგებლობა ამ რთულ ვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანია... ის გამაერთიანებელ ძალად უნდა იქცეს, რაც აქამდე ვერ შეძლო.

შეცდომებს შეცდომები ემატება... ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მი-



შეცდომებს შეცდომები ემატება...

ნისტრი აცხადებს, რომ მისი თანამდებობიდან გათავისუფლება 2019 წლამდე არ მოხდება. ამას რეაქცია არ მოჰყოლია. ნუთუ ხელისუფლებამ და მსგავსი განცხადების ავტორებმა არ იციან, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში ასეთი რამ ქმედუწუნარობაზე მიანიშნებს?“

არ უნდა მიგვცა აფხაზეთში კლანებისა და კორუფციისთვის გაფურჩქნის საშუალება. ახლა ჩვენი წინაპრების საუკუნოვანი ოცნება ჩვენივე ხელით განადგურდა...

დავიდ დასანიას აღშფოთება სულაც არ არის საფუძველს მოკლებული, — აფხაზეთში მორიგი დაპირისპირება მნიშვნელოვანია. ყველაფერი 7 მარტს დაიწყო, როდესაც საგზაო ინსპექციის თანამშრომელმა დრანდის ციხის ყოფილ უფროსს ავტომანქანის გაჩერება მოსთხოვა, რასაც ჯელია არ დაემორჩილა. დაუმორჩილებლობის შემდეგ, „საგზაო მილიციამ“, გაფრთხილების ნიშნად ჰაერში გაისროლა, თუმცა თავად ჯელია ამტკიცებს, რომ მილიციამ მისი მიმართულებითაც ისროლა. მას მანქანაში ცოლ-შვილიც ეჯდა, მა-

გრამ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

ამ ფაქტის შემდეგ, რუსულან ჯელიას, რომელიც ომში მონაწილეობისთვის „აფხაზეთის გმირად“ არის აღიარებული, არავინ დაჰკავშირებია. 9 მარტს მისმა ახლობლებმა ე.წ. შს სამინისტროს წინ „მიწის-

ტრის“ გადადგომის მოთხოვნით აქცია გამართეს. მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ აქციის მონაწილეებმა მათთან სასაუბროდ ჩამოსული „შს სამინისტრო“, ლეონიოდ ძიაპშას სცემეს. დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგი ვერ შედგა. ძიაპშამ თავს გაქცევით უშველა. თუმცა, ყველაფერი ამით არ დასრულებულა, — აფხაზეთის „შს“-მ აქციის მონაწილეების წინააღმდეგ მოკვლევა დაიწყო და მათ „მიწისტრზე“ თავდასხმისთვის პასუხისმგებლობაში მიცემა ემუქრებათ. ამის შემდეგ, საპროტესტო მუხტი უფრო მეტად დაიძაბა, — მათ აფხაზეთი ოპოზიციის ნაწილიც

მსოფლიოს ფული და ძალაუფლება განაგებს!

ნიგნის სპეციალური ფასი **5.50 ლ**
შურნალთან ერთად **7 ლ**

შემდეგი ნიგნი
ყმაწვილი
ნიგნი 1

ფიოდორ დოსტოევსკის
11 ტომეული
შურნალ „გზასთან“ ერთად

31 მარტიდან
7 აპრილამდე

მკვდარი სახლის ჩანაწერები
მოთხრობები

აალიტრა L

იპიტხეთ ნიგნის მაღაზიებში და კრების გამრცელებების პუნქტებში ან დარეკით ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილობრივ მოგზაობებში უკვე გამოცემული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ ნიგნის მაღაზიებში

შეუერთდა და აქციაზე თვით დე ფაქტო პრეზიდენტის, რაულ ხაჯიმბას გადადგომაზე კი მოითხოვეს. ამის კვალდაკვალ კი, დე ფაქტო შს მინისტრი აცხადებს, რომ არეულობის ყველა აქტიური მონაწილე დაისჯება, რადგან ეს არეულობა პოლიტიკურ დესტაბილიზაციას ისახავს მიზნად. მისი თქმით, „შს სამინისტროს შენობასთან, რუსლან ჯელიას ნათესაუბისა და მომხრეების გარდა ადრენასამართლევი და კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანები იყვნენ, რომელთაც ოპოზიცია ძალოვან სტრუქტურებთან დასაპირისპირებლად იყენებს“.

რუსლან ჯელია დრანდის ციხის ხელმძღვანელის თანამდებობიდან 2015 წლის ნოემბერში გათავისუფლდა. მაშინ ითქვა, რომ ციხიდან საქართველოს მოქალაქის, ბაჩუკი ლატარია გაქცევას შეენირა. მაშინ ჯელიას ქართველებთან ახლო ურთიერთობა და საიდუმლო კავშირებიც კბრალდებოდა. საქმის გამოძიება გრძელდება...

ჩვენ დავეუკავშირდით ღაბრიელ ღასანიას სოხუმში და რამდენიმე კითხვა დავეუსვით.

— ამ პოსტს დიდი გამოსხაურება მოჰყვა, — იყვნენ და არიან ისეთები, ვისაც მიაჩნია, რომ ასეთი „გამოსვლით“, აფხაზეთს ჩირქს ვცხებ და ვაკნინებ, მაგრამ საბედნიეროდ ისეთებიც არიან, ვისაც მოჰპებრდა სირაქლემის პოზიციაში ყოფნა. მათგან ნაწილი პირადად, ზოგიც, აშკარად მეუბნება, რომ ვილაცამ უნდა თქვას სიმართლე. ჯერ პროკურატურაში არავის დაფუბარებივარ, მაგრამ ამასაც ველოდები, რადგან ჩვენთან განსხვავებული აზრი, როგორც წესი, ისჯება. ჯერ გაფრთხილებენ, ხომ იცი, სად ცხოვრობო, შემდეგ პირდაპირ გეუბნებიან, ხომ არ ჯობია, სხვა, უფრო მშვიდობიანი ჰობი აირჩიო. ეს ჩემი ჰობი არ არის, ეს ჩემი სამშობლოა და ყველაფერი, რაც მას ეხება, მეც მეხება, რადგან მინდა, რომ ჩემი შვილები აქ გაიზარდონ... სრულეებით არ მაინტერესებს არც ჯელია და არც მინისტრის პოსტი. მინდა, ყველაფერი კანონის ფარგლებში მოგვარდეს. არც ჯელიასთვის იყო „გმირობის სტატუსი“ ალიბი და არც მინისტრისთვის — მისი თანამდებობა, მაგრამ ვხვდები, რომ ამას წლები დასჭირდება...

გაგრძელება იხ. 83. 72

დიპლომატიანი „ტაქსისტი“, გადამდები სიკეთე და ბურბერი ყველას!

აქა სინჯიკაშვილი ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელია, წლების განმავლობაში სატელევიზიო სცენარებზე მუშაობდა და ვინ იცის, რამდენჯერ გაგვცინებია მის ხუმრობებზე ამა თუ იმ სერიალსა თუ გადაცემაში. ადამიანში, რომელიც ხუმრობას „ქმნის“, წესით, სხვებზე მეტი პოზიტივი უნდა იყოს და აკაც ამის კარგი მაგალითია — ნამოიწყო სოციალური აქცია — „საჭმელი ყველას“ და დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, მოძებნა დრო, ავტომობილს ტაქსის ტრაფარეტი დაადგა და მთელი ღამის განმავლობაში დადის, რომ ამგვარად გამოუმუშავებული ფულით დილით ადამიანებს გემრიელი ბურგერი, ყავა ან სხვა საჭმელი მიუტანოს და გაახაროს.



ვერ ვიტან და მაწუხებს, როცა ადამიანი მშიერია

თავითა დაღებული

„წუხელ 98 ლარი შეგროვდა. ზუსტად ოცდაათმა ადამიანმა მიიღო საუზმე ამ დილით — ექვსმა ტაქსისტმა, რომლებიც მანქანაში ცხოვრობენ, სამმა უსახლკარომ, რომლებიც პირდაპირ ქუჩაში ათევენ ღამეს, პატრულის ორმა თანამშრომელმა, რომლებიც მთელი ღამე მორიგეობდნენ და დანარჩენი, თითქმის ყველა მეეზოვემ აბაშიძის, ბარნოვის, ფალიაშვილისა და მარჯანიშვილის ქუჩებზე. მეეზოვეებში უკვე გაბაზრდა ჩემი ამბავი და ზოგი დაჟე მელოდებოდა. იმედი მაქვს, ტყუილად არ დავძრნივარ მთელი ღამე, ეს შედეგს გამოიღებს და ყველას მოგინდებათ, რამდენჯერაც შეძლებთ, ადამიანებს საკვებით მიეხმაროთ“, — წერს აკა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

— აკა, რატომ გადანყვიტეთ ამგვარი აქცია ნამოიწყოთ?

— საერთოდ, ყველაზე მეტად ვერ ვიტან და მაწუხებს, როცა ადამიანი მშიერია. ვთვლი, რომ დედამიწაზე, სადაც ამდენი საკვებია, იგი ყველას უნდა ჰქონდეს და საშინელებაა, როცა ასე არ არის. სულ მეუბნებიან, — სიკეთეს აფიშირებას რატომ უკეთებო? ეს აფიშირება არაა. უბრალოდ, აქამდე ამას ჩემი ძალებით ვცდილობდი, მარტო რამდენჯერაც გავედი და ვიტაქსავე, ვერაფერი მოვავროვე და იმდენი ხელფასიც არა მაქვს, რომ ბევრი ადამიანი დავაპურო. ამიტომ გამოვაქვეყნე „ფეისბუქზე“ და ადამიანები მირეკავენ, მიძახებენ და მეც ვაკითხავ ხოლმე. მერე კი პოსტის ქვეშ დეტალურად ვდებ, ვისთან ვიყავი, რამდენი გამოვართვი, რაში დავხარჯე და ა.შ. ვინმეს ეჭვი რომ

არ გაუჩნდეს, თვითონ წაიღო. ან წასაღები რა უნდა იყოს? რამდენი შეიძლება ერთ ღამეში გამოიმუშაო? რად უნდა ასე დანვრილებით გადმოცემაო, მიწერენ, მაგრამ საჭიროა. მოკლედ, ამყოლიც ბევრი გამოიმჩნა. ხალხი თბილ სიტყვებს მწერს და ძალიან მიხარია, როცა ადამიანების თანადგომას ვგრძნობ.

როცა იგებენ, რომ უბრალოდ, მე თვითონ გადავწყვიტე მათი დახმარება, უხარიათ და მკოცნიან

ამას იქამდე გავაკეთებ, სანამ ბევრი ამყოლი არ მეყოლება. როცა მეორედ დღეს სამსახურში ვარ წასასვლელი, ღამეს ვერ ვათევ, ახლა ანგარიშს მიწვევენ და საშუალება მომცეს, შუადღისას მივიდე, რომ დილით ცოტა დავიძინო. მწერენ ხოლმე, — როცა გახვალ, მომწერე და მეც გამოვალო, მაგრამ ამ საქმის გასაკეთებლად მაინცდამაინც ჩემთან დაკავშირება არაა აუცილებელი, 7 ლარი ღირს ტაქსის ნიშანი, შეუძლიათ, დაიდგან მანქანაზე და თვითონაც გააკეთონ ის, რასაც მე ვაკეთებ.

— როგორია იმ ადამიანების



ხალხი თბილ სიტყვებს მწერს და ძალიან მიხარია

რეაქცია, ვისთანაც ეს პროექტი მიგაქვთ?

— თავიდან უნდობლად მიყურებენ და რამდენიმე იმის გამო არ მართმევდა, რომ საიდანაც ვეგონე, რომელიმე ორგანიზაციიდან ან ჰუმანიტარული დახმარებააო, ფიქრობდნენ. ზოგჯერ რალაც მოგონილ სახელს ვეუბნებოდი, —

იქიდან ვარ და გამომართვი-მეთქი. მერე კი როცა იგებენ, რომ უბრალოდ, მე თვითონ გადავწყვიტე მათი დახმარება, უხარიათ და მკოცნიან. თქვენ არ იცით, რამდენად ბედნიერი სახე აქვს ადამიანს, რომელსაც შია და საჭმელს მიუტან.

— პოსტებში მძლოლისადმი დამოკიდებულებაზეც საუბრობდით.

— ტაქსის მძღოლებს ადამიანად არავინ თვლის, პატივისცემა საერთოდ არა აქვთ. ეს ვიგრძენი. როგორც ჩვეულებრივ ნივთს, ისე უყურებენ მანქანაში და მასთან ერთად ყველაფერი შეიძლება, მაგალითად, ცოლის გინება. მგზავრები ყოვლად უსირცხვილო ფასს გთავაზობენ, მაგალითად, ყაზბეგის გამზირიდან ვარკეთილში — 4 ლარი. საინტერესოა პირველი 3-4 საათი, სანამ ისე არ დაიღლები, რომ ენას ვედარ აბრუნებ და ვედარ ლაპარაკობ, მაგრამ ვცდილობ ხოლმე, განწყობა შევუქმნა ისეთი, რა განწყობითაც მირეკავენ, არ მინდა, რომ მოწყენილი სახით დავხვდე და მგზავრობა, ძირითადად, მხიარულად მიდის ხოლმე.

— რა თემებზე გელაპარაკებიან ხოლმე მგზავრები?

— უცნობები, ძირითადად, გულს იფხანენ, 70% ნასვამი მხვდება და პრობლემებზე ჰყვებიან, უფრო მეტად — ვალებზე. სოციალურ პირობებზე, დოლარის კურსზე, შეყვარებულზე, მის ოჯახზე, თავის ცოლზე, ძმაკაცებზე და რა ვიცი, რაზე აღარ (იციან). აქამდე, მგზავრზე მეტი მძლოლი მყოლია და ტყუილებში ჯერჯერობით მძლოლები უგებენ (იციან). მგზავრებიც არ აკლებენ და ტყუილია თუ მართალი, ძნელი მისახვედრია, მაგრამ ზოგჯერ ძალიან აშკარად გატყუებენ რალაცას.

— რა პრობლემები ახლავს თან ამ საქმიანობას?

— ბევრი. სხვათა შორის, ორჯერ „გადამადეს“ კიდევ, ფული არ გადამიხადეს. ერთმა უცხოური ფული მომცა და მითხრა, 20 ლარიო და სინამდვილეში 38 თეთრი აღმოჩნდა. ირანული ფული ყოფილა და რას გავიგებდი? (იციან). ერთი საერთოდ გადახტა და გაიქცა. მთვრალები როცა არიან, მაშინ „ვაჟკაცდებიან“, აგდებულად გიყვებიან თავიანთი „ვაჟკაცობების“ შესახებ და შენთანაც დიდი გული აქვთ. ზოგი ღორივით იქცევა, ნაგავს ყრის და სიგარეტს სალონში აქრობს.

— ქართველებს ბოლო პერიოდში განსაკუთრებულად დაგვჩემდა ყველაფრის კრიტიკა. შენს ამ კეთილ ნამონწყებას თუ მოჰყვა ვინმესგან უარყოფითი გამოხმაურება?

— სხვათა შორის, რამდენიმე იყო. მაგალითად, ხორცსა და შოკოლადს ნუ არიგებ, იმიტომ, რომ მარხვია და ხალხს ცოდვაში აგდებო. ვერ მივხვდი ამას... რამდენიმე მწერდა, პატრულს ნუ აჭმევ, ეგენი ღირსები არ არიანო. ვერ არის ეს თავის მატორზეო, ჩემზე ამბობდნენ და ა.შ. (იციან). ასეთი ხალხი კეთილის მსურველებს ვერასდროს მოერევა, ესენი არიან დაახლოებით 100-დან 2% და დანარჩენები, რა თქმა უნდა, ყველა კეთილგანწყობილია და თქვენი საშუალებითაც მინდა ყველას დიდი მადლობა გადავუხადო, ვინც რალაც ფორმით მაინც მონაწილეობს ამაში.

— რამდენიმე სიტყვით თქვენს ძირითად საქმიანობაზე გვიამბეთ. როგორც ვიცით, სცენარისტი ხართ.

— დიას, ვმუშაობ, ასევე, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ერთ-ერთ საარეკლამო სარეკლამოში. სხვადასხვა პროექტს ვწერდი — „შუა ქალაქში“, „ოთარ ტატიშვილის შოუ“, „ქლაბ 11“, რამდენიმე სერიალს, სხვადასხვა სტუდიაში ვმუშაობდი, ლიტერატურულ კონკურსებში ვმონაწილეობდი, უფრო ხშირად ვიმარჯვებდი, ვიდრე — არა და ა.შ. მყავს მეუღლე და 4 წლის ქალიშვილი. ჩვეულებრივად ვცხოვრობ, როგორც სხვა დანარჩენი ადამიანები, არაფერი განსაკუთრებული. უბრალოდ, ამ აქციით იმაზე მეტმა გამიცნო, ვიდრე აქამდე მიცნობდა და ეს აქცია კარგია იმიტაც, რომ რაც უფრო გავრცელდება ეს ამბავი, ასე მგონია, ყველას მოუნდება სიკეთის კეთება. სიკეთე — გადამდებია! ■

მსოფლიო რბენის კეთილი ნების ელჩები 8 მაისისთვის ემზადებიან!

Wings for Life მსოფლიო რბენა — ყველაზე მასშტაბური საქველმოქმედო ღონისძიება მსოფლიო სპორტის ისტორიაში 8 მაისს კახეთში, ლოპოტის გადასახვევიდან კავკასიონის ქედის გაყოლებით უკვე მესამედ გაიმართება. 2015 წელს მსოფლიო რბენაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 5000 ადამიანი დარეგისტრირდა.



მსოფლიო რბენაში ასეთი ჩართულობა და ყოველ წელს ამ ღონისძიების პოპულარობის გაზრდა, სხვა გარემოებებთან ერთად, მსოფლიო რბენის კეთილი ნების ელჩების დამსახურებაც არის.


Wings for Life World Run-ის კეთილი ნების ელჩები სხვადასხვა სფეროს გამორჩეული წარმომადგენლები არიან, რომლებიც მსოფლიო რბენის პროექტს ხალხის ყურადღების მიპყრობაში ეხმარებიან. ესენი არიან: პოპულარული სპორტსმენები, მსახიობები, ტელენამყვანები, მომღერლები და ა.შ. ეს ხალხი თავისი კეთილი ნებით იღებს მონაწილეობას მსოფლიო რბენაში და ცდილობს, რაც შეიძლება მეტ ადამიანს მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს კვლევებს ზურგის ტვინის დაზიანების სფეროში.

Wings for Life მსოფლიო რბენის კეთილი ელჩების შეხვედრა 12 მარტს ყვარელში, იუსტიციის სასწავლო ცენტრში ჩატარდა. აქ ერთმანეთს გაეცნენ ახალი და ძველი ელჩები, გაკეთდა პრეზენტაცია მსოფლიო რბენასთან დაკავშირებულ სიახლეებზე და საინტერესო ფაქტებზე, მიმდინარეობდა ფოტო

და ვიდეოგადაღება. ასევე ჩატარდა სიმბოლური სატესტო გარბენი. გარბენის გამარჯვებულები გახდნენ: გიგა ძალუაშვილი, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მორბენალი, და თამარ გელაშვილი, რომელიც 2015 წელს ყველაზე სწრაფი იყო ქართველ ქალ მორბენლებს შორის.

საქართველოში კეთილი ნების ელჩები არიან ცნობილი სპორტსმენები: სეულის ოლიმპიადის პრიზიორი სირბილში მაია აზარაშვილი (ამავდროულად, ღონისძიების სპორტული დირექტორი), კალათბურთელი კოტე ტულუში, ძიუდოისტი ვარლამ ლიპარტელიანი, მრბოლელი დავით ქაჯაია, მოთხილამურე ივანე კლავრი, მორაგბეები — ვასილ ლობჯანიძე და ბაჩო კოლეიშვილი, პარალიმპიელი ირმა ხეცურიანი, წყალბურთელი ზუკა რურუა, მოცურავე ჰენრი კუპრაშვილი, მოყვარული მორბენლები — თამარ გელაშვილი და გიგა ძალუაშვილი. პროექტში აქტიურად არიან ჩართულნი არა მარტო სპორტსმენები. კეთილი ნების ელჩები არიან: ინტელექტუალი გიორგი ბაქრაძე, მუსიკოსები — აჩიკო გულედანი, ნიკა კოჩაროვი და ელენე კალანდაძე, ქირურგი და

გადაცემა „ექიმების“ ნამყვანი ლევან ხარაშვილი; ცნობილი სახეები — ნიკა გრიგოლია, ქეთი ხატიაშვილი, დავით ქაცარავა, ირაკლი კაკაბაძე, ნინუცა მაცაშვილი, მანუკა ასათიანი, მარიამ სანოგო, მირიან ჯეჯელავა, მერაბ დუკაშვილი, ეკა ამირეჯიბი.

მსოფლიო რბენის მონაწილე შეიძლება გახდეს 18 წელს მიღწეული ნებისმიერი ადამიანი, რომელიც 2016 წლის 4 მაისამდე რეგისტრაციას გაივლის ვებგვერდზე: www.wingsforlifeworldrun.com 





სახე

თამუნა კვინიკაძე

— ასტროლოგიით დიდად დაინტერესებული არ ვარ და დღის ან კვირის პროგნოზს გართობის მიზნით თუ გავეცნობი. ჩემი ნიშნის დახასიათება ნაკითხული მაქვს. სხვათა შორის, ბევრი თანხვედრაც აღმომიჩენია.

— **„მისი მთავარი დამახასიათებელი თვისება თავდაჯერებულობაა“.**

— ამას ჩემზე ვერ ვიტყვი. თავდაჯერებულობა მაკლია. სულ მგონია, რაღაცას ვერ ვაკეთებ ან კარგად ვერ გამომდის.

— **„ის გარშემო მყოფებს რჩევას არასდროს ეკითხება, ყველაფერს საკუთარი ჭკუითა და ძალისხმევით აგვარებს“.**

— შეიძლება, სხვისი აზრი მოვისმინო, მაგრამ არ გავითვალისწინო.

— **„აქვს ნიჭი, ადამიანებში მის მიმართ ნდობა გააღვიძოს“.**

— ეს თვისება მაქვს. ადამიანის მოსმენას ნიჭი უნდა, მე კი კარგი მსმენელი ვარ. ჩემში ერთგულებას ხედავენ. იციან, რაც სათქმელი არ არის, არ ვიტყვი. მიხარია, როცა ნდობას ვიმსახურებ.

— **„უყვარს ადამიანებზე დაკვირვება“.**

— პროფესიიდან გამომდინარე, ვალდებულიც კი ვარ, ადამიანებს დავაკვირდე და მერე ეს დაკვირვების შედეგი სცენაზე, რომელიმე პერსონაჟზე აისახება.

— **„მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, ქოლერიკია“.**

— სანგვინიკი (მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე. — ავტ.) უფრო ვარ. მელანქოლია, შესაძლოა, რამდენიმე საათით დამეუფლოს. რაც შეეხება ჩემს ქოლერიკობას: მართალია, არის ხოლმე სიტუაციები, როცა ჩემში „ფეთქებადი“ ხასიათი წინ იწევს.

— **„უმჯობესია, წინააღმდეგობა არ გაუწიოთ, ამ დროს უფრო საშიში ხდება“.**

— მართალია, წინააღმდეგობას თუ წავანყდები, ჩემში მეტი პროტესტი წარმოიშობა. ასეთ დროს ცოტა ხნით უნდა შემეშვა.

ჭორები, შული და ანონიმური გზავნილები თაკო ცჰვიტინიძის ცხოვრებაში

„ლალი ადამიანის შთაბეჭდილებას ვტოვებ“

„მისი მთავარი დამახასიათებელი თვისება თავდაჯერებულობაა. აქვს ნიჭი, ადამიანებში ნდობა გააღვიძოს. მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, ქოლერიკია. მასში არაა სისასტიკე, ხშირად გულუბრყვილო და ბავშვურად გულწრფელია. წყენას ადვილად ივიწყებს, საკმარისია, ვინმემ გულში ჩაიკრას, მიუალერსოს. მასავით არავის სჯერა სასწაულების“, — ასე ახასიათებენ ასტროლოგები ხარის წელში დაბადებულ ვერძს, ეს კი მსახიობ თაკო ცჰვიტინიძის ზოდიაქოს ნიშანია.



არ ვარ ის ადამიანი, რომელიც წინ განზრახ დგება და ცხოვრება რქებით გააქვს

— **„ხშირად საკუთარ თავში ჩაკეტილია“.**

— ჩემს პრობლემებზე საუბარი და ადამიანებთან ურთიერთობისას იმის ხაზგასმა, რომ რაღაცას განვიცდი, ვნერვიულობ, არ მჩვევია. როდესაც მეკითხებიან, — როგორ ხარ? წუწუნს არ ვიწყებ. ვპასუხობ, — „ძალიან კარგად“ და ამ დროს შესაძლოა, კარგად სულაც არ ვიყო. გარეგნულად მხიარული, ლალი ადამიანის შთაბეჭდილებას ვტოვებ. პრობლემები ვის არ აქვს და გამოწვევისი მეც არ ვარ. მეფიქრება, ვნერვიულობ, რაღაც მანუხებს, მაგრამ ეს გარეგნულად არასდროს მეტყობა. შეიძლება, მხოლოდ უახლოესმა მეგობრებმა შენიშონ,

რომ ჩემკენ რაღაც კარგად ვერ არის.

— **„ვერ იტანს სიახლეებს, რომელსაც შეუძლია, მისი სიმშვიდე დაარღვიოს“.**

— რისკიანი ვარ. ხშირად ვრისკავ და სიახლეებიც მაინტერესებს. არ გავურბივარ, არ ვემალეები იმას, რაც დისკომფორტს მიქმნის.

— **„ძალაუფლებისა და ტრადიციების მოყვარეა“.**

— ბავშვობიდან მოყოლებული, ისე ხდებოდა, რომ პირველობა მიყვარდა. არ ვარ ის ადამიანი, რომელიც წინ განზრახ დგება და ცხოვრება რქებით გააქვს. ჩემი პირველობა თითქოს, თავისთავად ხდებოდა და ამას იმდენად შევეჩვიე, რომ დღეს ხშირად მაქვს მოთხოვნი-

ლება, ყურადღების ცენტრში ვიყო... რაც შეეხება ტრადიციების სიყვარულს: ტრადიციული ადამიანი ვარ, ტრადიციული ოჯახიდან. ოღონდ, ეს ყველაფერი მარაზში, ფანატიზმში, უცოდინარობასა და სიბნელეში არ უნდა იყოს გადასული, რაც ჩვენთან ხშირად ხდება. მე ყველა ტრადიცია გააზრებული მაქვს, ბრძადა არაფერს მივეყვები.

— „ხარის წელში დაბადებულ ქალებზე დაყრდნობა შეიძლება! მას ოჯახში კეთილდღეობა შეაქვს“.

— ოჯახში ალბათ, მამაკაცი უფრო მყარი საყრდენია. მე და ნიკუშა (მსახიობი ნიკა კუჭავა) მნიშვნელოვან გადანყვეტილებებს ერთად ვიღებთ. ჩვენ შორის გენდერულ საკითხებზე გაუგებრობას ადგილი არასდროს ჰქონია. ვთვლი, რომ ქალი მაინც, ნაზი არსებაა, საყრდენი კედელი კი მამაკაცია. თავი ქალად რომ იგრძნო, გვერდით სწორედ ასეთი მამაკაცი უნდა გყავდეს. ვფიქრობ, ქალბატონები გაცილებით მეტს აღწევენ, ვიდრე — მამაკაცები. ხშირ შემთხვევაში ისინი კაცებზე მეტს მუშაობენ და მე ვამაყობ ჩვენი ემიგრანტი ქალებით, რომლებიც სამშობლოდან შორს, ბევრ რამეს უძლებენ და აქ ოჯახებს არჩენენ.

— განცდა თუ გაქვს, რომ გარშემო მყოფებს ცუდად ესმით შენი?

— ძალიან ბევრი ადამიანისგან მსმენია, რომ კომფორტული პიროვნება ვარ. ჩემთან ურთიერთობა ადვილია. არ ვქმნი ბარიერებს, არ დავდივარ „ანეული“ ცხვირით... შემიძლია, ადამიანისთვის ანგარიშის განევა, რალაცაზე თვალის დახუჭვა. შემიძლია, მე მოვიკლო, სხვას გავუკეთო. გარშემო მყოფები ამ ყველაფერს ხვდებიან.

— ჯიუტი ხარ?

— ზომიერად.
— „სიყვარული მისთვის ხუმრობაა. შეიძლება, იყოს მგრძნობიარე, ერთგული, მაგრამ არა — რომანტიკული. ის არ ცნობს ფლირტს“.

— ასე არ არის. ძალიან მოსიყვარულე და ემოციური ადამიანი ვარ. ჩემთვის სიყვარული გართობა და თამაში არ არის.

— „თავგამოდებით იცავს სიმართლეს და ყოველთვის დაჩაგრულის მხარეს დგას“.

— სიმართლის მოყვარული ვარ. ადამიანების ჩაგვრას ვერ ვეგუები. მოძალადეს სუსტს არ დავაჩაგრინებ. ხშირად, ამის გამო უსიამოვნო

სიტუაციაშიც აღმოვჩენილვარ. შეიძლება, ჩემი საქმე საერთოდ არ იყოს, მაგრამ მე მაინც გავაპროტესტო. ერთი პერიოდი ჟანა და არკს მეძახდნენ.

— „მასში არ არის ეშმაკობის მარცვალის კი“.

— ასეა და მინდა გითხრა, რომ ეს ძალიან ცუდია. კარგი იქნებოდა, ცოტათი ეშმაკი ვყოფილიყავი. მე მჯერა ადამიანების და მგონია, ისე ფიქრობენ, როგორც ლაპარაკობენ. მერე, როცა რეალობას ვეჯახები, ძალიან ცუდი განცდა მეუფლება. ბოლო რამდენიმე წელია, რალაცების გადახარისხება დავიწყე. ვილაცის ძველებურად აღარ მჯერა, აღარ მნამს, აღარ ვენდობი. ვილაცასთან დისტანცია დავიკავე. ასაკს გამოცდილებაც მოაქვს.

— ხშირად, გულუბრყვილო და ბავშვურად გულწრფელია. მასში არაა სისასტიკე“.

— მართალია. არ არსებობს ადამიანი, რომელზეც შემიძლია ვთქვა, რომ მეზიზღება, ვერ ვიტან... ზოგიერთი ძალიან მიყვარს, ზოგიერთი — ნაკლებად.

— „ის ადამიანებს ორ კატეგორიად ჰყოფს: მეგობრებად და მტრებად“.

— „მტერი“ ცოტათი უხეშად ნათქვამი მგონია. რომ მკითხო, — ყველაზე მეტად რა მემამაყება? გიპასუხებ, რომ ეს ჩემი სამეგობროა! მათთვის ყველაფერი შემიძლია გავაკეთო. ყოველთვის მხარში მიდგანან. მიჭირს თუ მილხინს, ჩემთან არიან. მტრებიც მყავს. ისეთი პროფესია მაქვს, ვილაცას შეიძლება, ნერვებს ვუშლიდე. არის ჭორები, შუღლი, ანონიმური გზავნილები.

— პროფესიასთან დაკავშირებული?

— პროფესიასა და ოჯახთან დაკავშირებულიც.

— ამაზე როგორ რეაგირებ?

— ეს ეტაპი უკვე გავლილი მაქვს. როდესაც ტელევიზიაში ვმუშაობდი, ჩემზე გამუდმებით ჭორაობდნენ. ამბობდნენ, რომ ტუჩი და ცხვირი მქონ-

და „გაკეთებული“. ამაზე მეცინებოდა და თავიც არასდროს მიმართებია. ჩემებმა ყველაფერი იციან. ვილაცას თუ არ ვესიმპათიურები და ბოლმა ახრჩობს, მერისი გაკეთება შემიძლია მის დასახმარებლად?

— მაგალითად, როგორი გზავნილი მოგდიოდა?

— ნიკას მოუვიდა გზავნილი, რომ მე სადღაც ვიყავი, არადა, სწორედ მაშინ, მის გვერდით გახლდით. მსგავსი შინაარსის მესიჯებს ხან ერთს გვიგზავნიან, ხან — მეორეს.



ქალი მაინც, ნაზი არსებაა, საყრდენი კედელი კი მამაკაცია

— „წყენას ადვილად ივინყებს. საკმარისია, ვინმემ გულში ჩაიკრას, მიუალერსოს“.

— 100%-იანი სიმართლეა! გეტყვი, ამ მხრივ თუნდაც, ნიკასთან მიმართებაში რა ხდება. ჩვენ ხშირად ვკამათობთ, ვჩხუბობთ, მაგრამ 10-15 წუთში რომ მკითხო, რაზე ვიჩხუბეთ,

თაკო ცქვიტინიძე სპექტაკლზე — „მაუგლი“ მუშაობს, რომლის პრემიერაც აპრილში, თეატრში გაიმართება. თაკო მაუგლის შეყვარებული გოგოს როლს თამაშობს... პარალელურად პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა და სტუდენტებს კომუნიკაციის ხელოვნებას ასწავლის.



არ მახსოვს. მე არ ვარ ის ადამიანი, რომელიც სახლში ცხვირჩამოშვებულ ივლის. სამეგობროშიც, ოჯახშიც როცა რამე მწყინს, პირდაპირ ვამბობ, რა არ მესიამოვნა, რა არ მომეწონა... ვისაუბრებთ და მერე ყველაფერი თავისით დალაგდება.

— „სხვას ცრემლს არასდროს უჩვენებს“.

— იმიტომ, რომ არ მიყვარს წუნწანი. არ მიყვარს, როცა ვინმეს ვეცოდები. ძალიან ემოციური ვარ. მეტირება ნიგნების კითხვისას, ფილმების ან სპექტაკლის ყურებისას, სიმღერის მოსმენისას...

— „ის არ განეკუთვნება იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც დგანან და ელიან, როდის დაატყდებათ თავზე ბედნიერება. ურჩევნია, ბედნიერებისთვის იბრძოდეს“.


— ჩემთან მარტივად არ მოდის არც წარმატება, არც ბედნიერება. ბევრი უნდა ვიშრომო, ბევრჯერ უნდა ვცადო, რომ რაღაც გამომივიდეს — ამას უკვე მივიჩვევ.

— „თუ რამე ირწმუნა, მისი გადარწმუნება შეუძლებელია. მასში დონ-კიხოტის სული ცოცხლობს“.

— კი, არის თემები, როცა შეიძლება, ჯორზე შევჯდეთ და პოზიცია არ დავთმო.

— „ის არ ეჭვიანობს მეუღლეზე“.

— მიზეზი თუ არ მაქვს, არ ვეჭვიანობ. არ ვარ ის ცოლი, რომელიც დღეშირამდენჯერმე ურეკავს ქმარს და ეკითხება, — სად ხარ? ვისთან ერთად ხარ? ნიკას შეუძლია, სახლში დილის 9 საათზე მოვიდეს, მე ეს არ მაბრაზებს. ისედაც, ჩვევად აქვს, ყოველთვის მწერს სად არის, ვისთან ერთად არის და ა.შ. მთხოვს ხოლმე, მასთან მივიდე, მაგრამ ამას ხშირად ვერ ვახერხებ. ურთიერთობაში მთავარი ნდობაა.



ძალიან ემოციური ვარ

„მთვარის შუქზე ერთმანეთს სიყვარული შევფიცეთ“

ცოტა ხნის წინ, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში **ციცინო კომპაზილის** სპექტაკლი — „კაცები“ ვნახე, სადაც ერთ-ერთ მთავარ როლს რეჟისორის მეუღლე, მსახიობი **თიმურ კილაძე** ასრულებს. სპექტაკლით ძალზე ვისიამოვნე და მაშინვე გადავწყვიტე, რომ ცოლ-ქმართან ინტერვიუ ჩამეწერა. წყვილს შინ ვეწვიე.



ხელოვანი წყვილის მხიარული ინტერვიუ

ნათია შივიძე

— **ერთმანეთი როგორ გაიცანით?**
თიმურ:

— ახალგაზრდობაში გოგონების მოხიბვლის ათასნაირი მეთოდი მქონდა (ახლა დავბერდი და ასეთ მეთოდებს აღარ ვიყენებ). მაგალითად, ქუჩაში რომ მივდიოდი, ვთქვათ, საზამთროთი ხელში და ლამაზ გოგონას დავინახავდი, გადავუგდებდი ამ საზამთროს, ის დაიჭერდა, გაიცინებდა და ამით ვსარგებლობდი (*იციინის*).

ციცინო:

— რომ ვერ დაეჭირა ის საზამთრო და თვითონ მოხვედროდა?

თიმურ:

— არა, აუცილებლად დაიჭერდა... მოკლედ, თეატრალურ ინსტიტუტში „დავლანდე“ მშენიერი, „მარილიანი“, ფერხორციანი, ჯანმრთელი ქართველი გოგონა...

— **არ მითხრათ, რომ ქალბატონ ციცინოსაც საზამთრო ესროლეთ...**

— არა, მას მზერა „ვესროლე“. კიბის საფეხური ჩამტვრეული იყო. თვალი გავუშტერე და გავითამაშე, ვითომ, იმ ჩამტვრეულ საფეხურზე ფეხი ამიცდა, ამებლანდა.

ციცინო:

— ახლა ამბობს, რომ ითამაშა, თორემ მაშინ დავიჯერე, რომ ეს ნამდვილად დამემართა.

თიმურ:

— ჰოდა, იმ კიბეზე რომ ჩავვარდი, მას ლამის ხელეში ჩავუვარდი. ასე გავიცანით ერთმანეთი.

ციცინო:

— ანუ თვალში ჩამივარდა, რადგან მანამდე საერთოდ ვერ ვამჩნევდი.

თიმურ:

— მე კი პირიქით მახსოვს: შენ შეგიმჩნევივარ და ვილაცხვებო გითხრეს, — ეს პატარა ბიჭი რად გინდაო?

ციცინო:

— არა, კიბეზე რომ ფეხი აგიცდა, იმ შემთხვევის მერე ვიკითხე, — ეს ბიჭი ვინ არის-მეთქი? მითხრეს, მესამეკურსელიაო და ვიფიქრე, ბავშვი ყოფილა-მეთქი... თეატრალურ ინსტიტუტში სამი წლის მანძილზე ვაბარებდი და ჯგუფში ყველაზე დიდი ვიყავი. მერე აღმოჩნდა, რომ ისიც ორი წელი აბარებდა, მანამდე კი ჯარშიც იყო. მოკლედ, თანატოლები ვართ.

თიმურ:

— მას მერე, გარკვეული დრო შეყვარებულები ვიყავით და ყველგან ერთად დავდიოდით. ერთ-ერთ ზაფხულს, ციცინო დასასვენებლად ფოთში წავიდა. ნასვლის წინ, მთვარის შუქზე ერთმანეთს სიყვარული შევფიცეთ. მერე მეც ფასანაურში წავიდი. 4 აგვისტოს დაბადების დღე მაქვს. ჩემთან მეგობრები ჩამოვიდ-

ნენ. ვიდრე სუფრა გაიშლებოდა, წყაროზე ჩავიბრუნე. დავინახე, გზაზე ორი გოგონა მოდიოდა. შევხედე და ციცილო არ შემჩნა? წარმოიდგინე, ფოთიდან ჩემ გამო ჩამოვიდა. მე კი ყოველთვის ჯენტლმენი ვიყავი. ქალი ამხელა გზაზე რომ ჩამოვიდა, უკან ხომ არ გავუშვებდი? რადგან მოვიდა, ე.ი. ჩემთვის უნდა დამეტოვებინა. ჰოდა, ასეც მოვიქეცი.

— ე.ი. ვერ მოასწართ მისთვის გეთხოვათ, ცოლად გამომყევით? ციცილო:

— ასე იყო, მაგრამ მე იქ დაბადების დღის მისალოცად ჩავედი. დარჩენა განზრახული არ მქონდა.

— დაოჯახებისას ორივე მსახიობი იყავით. თქვენი, როგორც რეჟისორისა და მსახიობის თანამშრომლობა როდის შედგა?

— ძალიან დიდი ხნის მერე. 24 წელი სცენაზე ვიდექი და სარეჟისოროზე მერე ჩავაბარე, რის გამოც, თემური ნახევარი წელი არ მელაპარაკებოდა. ძალიან დიდ წინააღმდეგობას მინევდა. იმ პერიოდში უკვე ბავშვების დასი მყავდა, რომლებთან ერთადაც არაერთი სპექტაკლი დავდე და ეს საქმე გამომდიოდა. ამის შემდეგ მივხვდი, რომ უფრო მეტი შემეძლო და რეჟისურის ფაკულტეტზე უნდა ჩამებარებინა.

თემაური:

— წინააღმდეგობას ნამდვილად ვუწევდი. არ მსურდა, რეჟისორი გამხდარიყო. მერე კინორეჟისორობა რომ მოინდომა, სულ გადავირიე...

ციცილო:

— კინორეჟისურაზე მაინც ჩავაბარე, მაგრამ მერე ამ სფეროთი განვიხიბლე, რადგან ცუდი პერიოდი იყო. სწავლაც ფასიანი გახლდათ და ძალიან გამიჭირდა ამ ფაკულტეტის დამთავრება. თუმცა, ყველაფერი წარმატებით დავასრულე. არტიტებს რომ რეჟისორად აღვექვი, ამისთვის დიდი შრომა დამჭირდა, მაგრამ ღვთის წყალობით, მოვახერხე. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს სპექტაკლში როლი თემურსაც მივეცი...

— თუ როლს არ მისცემთ, ხომ არ გინაწყენდებოდა?

— კი, მგონი, სწყინს ხოლმე.

თემაური:

— ასე არ არის. მისთვის როლი არასოდეს მითხოვია. პირიქით, ოჯახის წევრთან ერთად სპექტაკლზე მუშაობა საკმაოდ რთულია. ჯაბა (მსახიობი ჯაბა კილაძე. — ავტ.) ყოველთვის უარს ეუბნება, მაგრამ

მე ვთანხმდები, რადგან არ მინდა, ვაწყენიო. წარმოიდგინე, შენი და მეზობლის ბავშვები რომ ერთად თამაშობდნენ და რამე დააშავონ, შენ ხომ შენს შვილს გაუბრაზდები, რომ „იმ ბავშვმა“ გაიგოს? რეპეტიციის დროსაც ასე ხდება. მე თუ რამეს ვეტყვი, ამას ძალიან სწყინს. გარდა ამისა, არ მიყვარს, ვინმე ოჯახის

შემდეგ ვამბობ, რომ ან მომეწონა, ან არა. ამიტომ კონფლიქტი თავიდან აცილებული გვაქვს.

— ქალბატონო ციცილო, როცა ახალ სპექტაკლზე მუშაობთ, მეუღლეს რჩევას არ ეკითხებით?

— კი, ამის შესახებ აუცილებლად ვსაუბრობთ, ვმსჯელობთ. ეს ჩვენს ოჯახში ჩვეულებრივი ამბავია. მხო-



არტიტებს რომ რეჟისორად აღვექვი, ამისთვის დიდი შრომა დამჭირდა

წევრს რომ ასაქმებს. ხალხი აუცილებლად იფიქრებს, — რადგან მისი ქმარი ვარ, როლიც ამიტომ მომცა.

ციცილო:

— თავშიც არ მომსვლია მსგავსი რამ. უბრალოდ, მართლა კარგი არტიტი ხარ და როლებსაც ამიტომ გთავაზობ.

თემაური:

— შენ აზრად არ მოგსვლია, მაგრამ სხვის თვალში ასე ჩანს და ეს არ მსიამოვნებს.

— ყოფილი შემთხვევა, რომ რეპეტიციის დროს დაწყებული კამათი, ოჯახშიც გაგიგრძელებიათ?

— „კაცების“ რეპეტიციის დროს რაღაც საკითხზე ვიკამათეთ. შინდაბრუნებულმა შევამჩნიე, რომ ჩემზე ნაწყენი იყო და იბუსხებოდა. მაშინ ავუხსენი, რომ ის იყო თეატრი და რაც იქ მოხდა, ის პრობლემა სახლში არ უნდა მოიტანოს. ეს ოჯახია. ოჯახის დანგრევად ნამდვილად, არც ერთი სპექტაკლი არ მიღირს.

— ალბათ ძალიან რთულია, სამი ხელოვანი ადამიანი ერთ ოჯახში რომ ცხოვრობს...

— ჩვენ ერთმანეთის სპექტაკლებს არ ვარჩევთ. ჯაბას სპექტაკლს რომ დავეხსენებ, ჩვეულებრივი მაყურებელივით ვუყურებ და დასრულების

ლოდ სპექტაკლზე კი არა, ჩვენ აბსოლუტურად ყველა საკითხს ერთმანეთთან განვიხილავთ, რადგან პირველ რიგში, ერთმანეთის მეგობრები ვართ. რაც შეეხება ჩვენს შვილს — ჯაბას, პრემიერის წინ, მის სპექტაკლზე აუცილებლად ვსაუბრობთ.

— ცოტა ხნის წინ, თქვენი სპექტაკლი — „კაცები“ ვნახე. ეს პიესა ქართველი ავტორის არ არის, მაგრამ თქვენ ქართულ ხასიათს მოარგეთ. რატომ გადაწყვიტეთ, რომ კაცების თემას შეეხებოდით?

— ნილ საიმონი ცნობილი ამერიკელი დრამატურგია, რომელმაც ეს პიესა დაწერა. მას ასევე, აქვს მსგავსი პიესა — „ქალები“. თავდაპირველად, სწორედ „ქალები“ დავდე, მერე კი „კაცებზეც“ ვიმუშავე. ორივე პიესა ადაპტირებულია და ქართულ ხასიათს მოვარგე. პერსონაჟების სახელებიც ქართულია და იუმორიც. სხვათა შორის, პიესის მიხედვით ფილმიც კია გადაღებული, რომელშიც ჯეკ ლემონი თამაშობს იმ პერსონაჟს, რომელსაც ჩემს სპექტაკლში თემური განასახიერებს. ძალიან კარგი ფილმია, მაგრამ ჩემი სპექტაკლისგან განსხვავდება. ამ სპექტაკლების დადგმაზე ძალიან

ბევრი ვინვალე. არადა, თავიდან მეგონა, რომ რეპეტიციებზე ბევრს ვიხალისებდი. მაგალითად, ჩემი კიდევ ერთი სპექტაკლი — „დაანებე ჩემს ცოლს თავი“ ფარსია და თითქოს, მისი ყურებისას სულ უნდა იცინო, მაგრამ არტისტებს თამაში ძალიან გაუჭირდათ.

დედოფალი“ დადგა. ჩვენი ჯაბა მაშინ დაახლოებით 8 წლის იყო. მედიკომ მითხრა, — მინდა, სპექტაკლში ჯაბას როლი მივცეო. ვუპასუხე: თქვენ თუ დაითანხმებთ, კი-მეთქი, მაგრამ ჯაბამ უარი თქვა. მაშინ ძალიან მორცხვი იყო. მერე ამ ქალბატონმა კიდევ მთხოვა, ხათრი



ლიზა ძალიან ნიჭიერია, მაგრამ მსახიობობა არ სურს

— ახლა რა სპექტაკლზე მუშაობთ?

— არის ასეთი იტალიელი დრამატურგი — ბენედეტი და მის პიესას — „სიყვარულის სუბლიმაცია“ ვდგამ. არაჩვეულებრივი პიესაა. სულ სამი პერსონაჟია და როლები ლელა მებურიშვილმა, ნოდარიკო ძონენიძემ და თემურმა მოირგეს. თემურის გმირი ერთ-ერთი მინისტრია. ძალიან აქტუალური და პიკანტური პიესაა.

— მსახიობური მონაცემები ჯაბას ბავშვობიდან აღმოაჩნდა?

— არა. თეატრი ისე ჰქონდა ყელში ამოსული, რომ მსახიობობაზე ნამდვილად არ ფიქრობდა. თოთო იყო, როცა თეატრში დავათრევდით. მე რომ სცენაზე ვიდექი, ის კულისებში ტიროდა. ამის გამო, კოლეგები დამცინოდნენ კიდევ. ჯაბა სულ ამბობდა, — თეატრი არ დამანახვითო. ჩვენც წყნარად ვიყავით. გვეგონა, არტისტობას არ მოინდომებდა, მაგრამ მეთათე კლასში რომ გადავიდა, მაშინ გამოგვიცხადა, — თეატრალურში ვაბარებო. გავოცდით. რასაკვირველია, მისთვის ხელი არ შეგვიშლია.

თეატრი:
— მედიკო კუჭუხიძემ სპექტაკლი — „საქართველოს უკანასკნელი

ველარ გაუტეხე და ჯაბას დაველაპარაკე. როგორც იქნა, დავითანხმე. უფლისწულის როლს ასრულებდა, მე კი თარჯიმანს ვთამაშობდი. მეფე (ოთარ კობერიძე) უფლისწულთან ერთად რომ შემოვიდოდა სცენაზე, ჯაბა წინ, მყურებლისკენ კი არ იყურებოდა, სულ მე მიყურებდა.

— ჯაბას ქალიშვილს აქვს მსახიობობის ნიჭი?

ციციწინო:
— ლიზა ძალიან ნიჭიერია, მაგრამ მსახიობობა არ სურს. უნდა, ვეტერინარი გამოვიდეს.

თეატრი:
— სიგიჟემდე უყვარს ცხოველები და ზოოპარკის დირექტორობაზე ოცნებობს.

ციციწინო:
— არაჩვეულებრივად მღერის, მაგრამ მომღერლობაც არ სურს. რალაც, სხვანაირი გოგოა. ვგიჟდები ახლანდელ თაობაზე. ისე ჩამოგიყალიბებენ ყველაფერს, გაგაოცებენ. ბაბუზე გიჟდება.

თეატრი:
— ამ სახლში ყველგან ლიზას ადგილია, მაგრამ მისთვის განსაკუთრებული მაინც, ჩემი კისერია. შემომაჯდება ხოლმე კისერზე და ისე ვთამაშობთ...

ნათია ჰივიძე

— ლიზი, ამ სერიალში როგორ მოხვდი?

— დედას დაურეკეს და უთხრეს, რომ კასტინგი ტარდებოდა. მანამდე ცოტენეს (მსახიობი გიორგი ბახუტაშვილი. — ავტ.) არ ვიცნობდი. კასტინგზე ვნახე და გაუცინე. მაშინ მივხვდი, რომ ამ სერიალში თამაში ძალიან მინდოდა. რთული დავალება არავის მოუცია და რაც დამავალეს, ყველაფერი ადვილად გავაკეთე. რეჟისორმა მითხრა, — კარგი გოგო ხარო. თან, ჩემი სახელიც მოეწონა. მითხრა: ლიზი ლამაზი სახელია და სერიალში სხვა სახელს არ დაგარქმევო.

— ცოტენესა და თიკას შვილობაც ადვილია? შენი დედიკო ხომ მათა და იქ სხვა დედა რომ გყავს, ამას როგორ ეგუები?

— ორივე ისეთი თბილია, ისე მეფერებიან, რომ თავიდანვე ძალიან მომეწონენ. ამიტომ, მათი შვილობაც ადვილია.

— ცოტენეს ისე ეფერები, ადამიანს ეგონება, რომ მართლა შენი მამიკოა.

— მართლა ძალიან მიყვარს და იმიტომ! თბილი ადამიანია, სულ მეფერება და მკოცნის.

— ყველაზე მეტად, რომელი ეპიზოდის თამაში გაგიჭირდა?

— რატომღაც, ყველაზე ადვილად ის სცენა ვითამაშე, როცა მომიტაცეს. საერთოდ არ გამჭირვებია და არც შემშინებია. ძნელი კი ის იყო, ცოტენემ რომ სახლიდან გამომაპარა და პიჟამათი კიბეზე ჩამოვდიოდი. ის კიბე ცივი იყო, მე კი ჩუსტისა და პიჟამას გარდა არაფერი მეცვა. ისე ციოდა, რომ ხელები გამეყინა და ველარ ვშლიდი. მაშინ იმ კიბიდან ცოტენე ჩავარდა, ვითომ ფეხი მოიტეხა, მე კი მართლა შემეშინდა და ცოტა ვიტირე კიდევ.

— ვიცი, რომ გადაღებები საკმაოდ დამღლელია. შენ არ იღლები?

— ხანდახან მეც ვიღლები (ილი-მის).

— გადაღებების დროს რომ გეუბნებიან, იტირეო, ამას როგორ ახერხებ?

— ტირილი ადვილი არ არის. მოგიყვებით, როგორ ვტირი ხოლმე. თავიდან დედამ ხახვი წამოიღო, თვალებთან წამისვა და ასე ვიტირე, მაგრამ მერე ხახვი აღარ დამჭირვებია. საკუთარ თავს ვუჩქმეტ ხოლმე და მაშინვე მეტირება.

ვინ არის ბობონა, რომელსაც მსახიობობა უადვილდება

„ცოტნე თბილი ადამიანია, სულ მეფერება და გოცნის“

სერიალი — „ჩემი ცოლის დაქალები“ განახლდა. სიუჟეტის მიხედვით, ცოტნე ცოტაშვილი, რომელიც საქართველოდან გაქცეული იყო, შვილის გამო, კვლავ თბილისში დაბრუნდა. როგორ განვითარდება მოვლენები, ამას შემდეგი სერიებიდან შევიტყობთ, ჩვენ კი ცოტნე ცოტაშვილის ქალიშვილის როლის შემსრულებელი, 7 წლის **ლიზი მარლანია** უნდა გაგაცნოთ. ის პროდუსერისა და ტელენამეყვანის, მაია სტეფანაძის ქალიშვილი გახლავთ.

ამაზე რა აზრის ხარ? ამის გამო ხომ არ კამათობთ ხოლმე?

— დედას მხოლოდ იმაზე ვეჩხუბები, — სახლში მალე მოდი-მეთქი, რადგან სულ სამსახურშია. მარტო შაბათ-კვირას არის ჩემთან. დანარჩენ დღეებში ჩემთან ძიძა — ირმაა.

— დაბოლოს, იქნებ გაგვიჩილო, რა მოხდება შემდეგ სერიებში?

— ცოტნე თბილისში დაბრუნდება და აღარ წავა. დანარჩენს ვერ მოგიყვები, რადგან ყველაფრის მოყოლა არ შეიძლება.

— შენ ალბათ, მსახიობობა გინდა.

— არა, მოდელირებაზე ვოცნებობ. ადრე პოლიციელობა მინდოდა, რადგან მათი ფორმა მომწონს, მაგრამ გადავიფიქრე. ან იყოს: მოდელიც ვიქნები და პოლიციელიც. მსახიობობა არ მინდა, რადგან ვიცი, ხანდახან ცუდ კინოებში გადამიღებენ. მე კიდევ, ცუდი როლების შესრულება არ მინდა.

— ახლა სერიალში თამაშის გარდა, კიდევ რითი ხარ დაკავებული?

— თანამედროვე ცეკვებსა და სიმღერაზე დავდივარ. ადრე სხვაგან დავდიოდი. იქ ბევრი სიმღერა ვისწავლე და კლიპიც გადამიღეს, მაგრამ ნელ ცეკვებს გვასწავლიდნენ, მე კიდევ, სწრაფი ცეკვები მომწონს. ახლა რომელ სტუდიაშიც ვარ, იქ სწრაფ ცეკვებს გვასწავლიან. გიგა კუხიანიძე დედას მეგობარია და შესთავაზა, ლიზი ჩემთან ატარეო. დედამაც მიმიყვანა.

მაია სტეფანაძე:

— გიგა მართლა ჩემი მეგობარია და თვითონ შემომთავაზა, რომ ლიზის მასთან უფასოდ ესწავლა ცეკვა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. ლიზი ძალიან მონდომებულია. რომ გითხრათ, იმის იმედი მაქვს, რომ „ევროვიზიაზე“ გავა-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ ვნახოთ, შეიძლება ასეც მოხდეს.

— ლიზი, სკოლაში ბევრი მეგობარი გყავს?

— კლასში სულ 20 ბავშვი ვართ და მათგან 13 ჩემი მეგობარია.

— ალბათ, ყველამ იცის, რომ სერიალში თამაშობ და შენი სკოლელები გცნობენ კიდევ, არა?

— ერთხელ ქუჩაში ქალმა მიცნო. სკოლაში სულ მეკითხებოდნენ, სერიალი როდის გაგრძელდება? ჩემს მასწავლებელს ეს სერიალი ნანახი არ ჰქონდა და ვუთხარი, — იქ ვთამაშობ-მეთქი. გაუკვირდა და მერე არ



ყველაზე ადვილად ის სცენა ვითამაშე, როცა მომიტაცეს

ვიცი, უყურა თუ არა.

— ლიზი, ყველაზე მეტად, რაზე ოცნებობ?

— ხანდახან მსახიობობაზეც კი მეფიქრება, მაგრამ უფრო იმაზე ვოცნებობ, მოდელი როდის გავხდები. ლამაზი ტანსაცმელი მიყვარს. გადაღებებზეც ჩემი შერჩეული ტანსაცმელი მაცვია. გამახსენდა, კიდევ ვოცნებობ, რომ ჩემი უფროსი დაც ჩემთან იყოს. ის ჩინეთში ცხოვრობს და სულ მენატრება. ხშირად ვურეკავ.

— შენს დას მოსწონს, სერიალში რომ თამაშობ?

— კიდევ ერთი დაიკო მყავს, თეონა ჰქვია. ჰოდა, „ჩემს სერიალს“ ნინოს ის უგზავნის ხოლმე. ნინო კი ეუბნება, — ლიზი მაგარი გოგოაო.

— შენ და დედიკო რომ კონკურენტ ტელევიზიებში მუშაობთ,



მათი შვილობაც ადვილია



„ხალხის გულზემატკივრობა მენატრება“

გიგი ბაჩიანილამ შეცვლილ ამბულანსში

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ყოფილი მოცეკვავე — გიგი ბაჩიანილამ პროექტის ახალ სეზონში ქორეოგრაფის ამბულანსში იქნება. გიგის (რომელიც ამავდროულად, საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტიც გახლავთ) შოუსთვის მომზადებული თუ მოსამზადებელი საცეკვაო ნომრებისა და საერთოდ, გემოვნების შესახებ ვესაუბრე.

ეთო ყორღანაშვილი

— გიგი, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ახალი სეზონის მთავარი ქორეოგრაფი ხარ, არა?

— დიახ. ერთი ასისტენტი — ირაკლი საბაძე მყავს, რომელიც „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეორე სეზონში ცეკვავდა, მაგრამ ახლა, მე მეხმარება, მერე კი შეიძლება, ისიც „დანყვილდეს“.

— სცენაზე გასვლა არ გენატრება?

— კი, ძალიან მენატრება, მაგრამ სამწუხაროდ, ერთდროულად ქორეოგრაფობა და ცეკვა არ გამოდის... თუნდაც, ხალხის გულშემატკივრობა მენატრება. ქორეოგრაფად მუშაობის შესახებ შემოთავაზება პროექტიდან მივიღე და რა თქმა უნდა, ეს ჩემი სურვილიც იყო, რადგან ჩემს სამუშაო სფეროსთან პირდაპირ კავშირშია. მინდა, კარგი ნომრები დავდგათ.

— შენთვის ცეკვა უფრო კომფორტულია თუ ქორეოგრაფობა?

— ჩემთვის ცეკვა უფრო ადვილია — მთელი ცხოვრება ამას ვაკეთებ.

— შენ მიერ მომზადებული ქორეოგრაფიული ნომრების მთავარი ხიზლი, განმასხვავებელი ნიშანი რა არის?

— ყველაფერი შედარებითია. თუ იმ ნომრებს შევადარებთ, რაც პროექტში აქამდე იყო, ვფიქრობ, ჩემი ნამუშევრები იმით განსხვავდება, რომ ნომერი „დოგმა ცეკვად“ არ არის დადგმული, რომ გინდა თუ არა,

გარკვეული მოძრაობა აუცილებლად უნდა შეასრულო. თითოეული ცეკვა მუსიკაზეა მორგებული, პატარა ამბავს გიყვება. ასევე, უფრო მეტი დატვირთვა სამეჯლისო-სპორტულ ცეკვაზეა და არა — მოგონილ მოძრაობებზე ანუ საბაზისო მოძრაობებს უფრო მეტად ვიყენებთ.

— მოსწავლეებთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— ისინი უკეთ გეტყვოდნენ, მაგრამ მათ სიტყვებს გავიმეორებ: როცა გაკვეთილს ვატარებ, საკმაოდ მკაცრი ვარ. ისე, ყოველთვის მეგობრული გახლავართ: მოსწავლეების პრობლემებს ვიზიარებ, მუდამ მხარში ვუდგავარ, ლხინშიც მათთან ერთად ვარ... საქმეში ყოველთვის მაქსიმუმს ვითხოვ, მინიმალურით არასოდეს ვკმაყოფილდები.

— ახლა უკვე ქორეოგრაფს, „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილეებთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— ძალიან კარგი, რადგან ჩემი საცეკვაო კარიერის დამთავრების შემდეგ, მათ მე ვასწავლიდი. ქორეოგრაფის ამბულანსში ჩემი მათთან ურთიერთობა ახალი არ ყოფილა: სტუდიაში ისედაც მასწავლებელ-მოსწავლის დამოკიდებულება გვაქვს, სტუდიის გარეთ კი საუკეთესო მეგობრები ვართ.

— სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტიც ხარ. ამის გამო, შენი ჩაცმის სტილი უფრო სოლიდური ხომ არ გახდება?

— კი, თან — ძალიან, რადგან პროექტამდე, კვირაში დაახლოებით ორჯერ უცხოეთში გამგზავრება მიხდებოდა. უცხოელებს როცა ვხვდები, მათთვის ისედაც ცოტათი გასაკვირია, რომ ასეთი ახალგაზრდა, უკვე პრეზიდენტი ვარ და ჩაცმულობას ყურადღება უნდა მივაქციო, თინეიჯერულად ჩაცმა არ შეიძლება (ილიმის).

— ჩაცმის სოლიდური სტილი შენთვის უკვე ორგანული გახდა თუ ცოტათი დისკომფორტს გიქმნის?

— ორგანული გახდა და სხვათა შორის, ძალიანაც მომწონს, ასეთ სამოსში თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ.

— შოპინგი გიყვარს? სამოსის შესარჩევად რამდენი დრო გჭირდება?

— როგორც მამაკაცთა უმრავლესობას, შოპინგი არც მე მომწონს, რადგან ბევრი სიარულია საჭირო. ძირითადად, მაღაზიაში მივდივარ, ვიყიდი, რაც მინდა და მოვდივარ. სამოსის შესარჩევად ბევრი სიარული ჩემი სტილი არ არის.

— საერთოდ, გარეგნობაზე ზრუნვას (წონის კონტროლი, სახის კანის მოვლა, ვარცხნილობა...) რამდენ დროს უთმობ?

— როცა მცალია, საკმაოდ ბევრ დროს ვუთმობ. დილის სამზადისს შინიდან გასვლამდე 2 საათით ადრე ვიწყებ. მეხუმრებიან კიდეც, — პატარძალი უფრო სწრაფად ემზადება ქორწილისთვის, ვიდრე შენო (იციანის).

ნონას რაც შეეხება, ტრენაჟორებზე აქტიური ვარჯიშისთვის ხშირად ვერ ვიცლი. ამიტომ, ზოგჯერ ქარბი ნონა ცოტათი მანუხებს (იკინის).

— საკუთარ თავს გემოვნებიან ადამიანად მიიჩნევ?

— მგონი, კი. შეიძლება, საზოგადოების მიერ „დანახებულ“ ჩარჩოებში ცოტათი ვერ ვვადები, მაგრამ ჩემი, განსაკუთრებული გემოვნება მაქვს, რომელზეც ვილაღვ იტყვის, რომ კარგია, ვილაღვს კი არ მოეწონება.

— შენი აზრით, ადამიანის ინტელექტი და გემოვნება ერთმანეთთან კავშირშია?

— ძალიან დიდ კავშირშია. აქ ნიგნიერ განათლებაზე არაა საუბარი: ცხოვრების აზრზე უნდა იყო, რაღაცები ნანახი გქონდეს... ადამიანს თუ არაფერი გინახავს, ცხოვრების შესახებ არაფერი იცი, შენს უბანსა თუ ქალაქში გამოკეტილი ხარ, ცხადია, გემოვნებაც დაბალი დონის გექნება.

— შენი გემოვნების ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა რამ მოახდინა?

— ამერიკამ, რადგან ის წლები, როცა გემოვნება მიყალიბდებოდა, ამ ქვეყანაში გავატარე. ყველაფერი იქ ვისწავლე — ცუდისა და კარგის გარჩევა...

— საქართველოში დაბრუნებულს, შენ მიმართ ხალხის განსხვავებული დამოკიდებულება თუ გიგრძნია?

— საერთოდ, საქართველოში დაბრუნებულს, განსხვავებული სიტუაცია დამხვდა: პირველი ჩამოსვლისას ტელეფონი „ამახიეს“ (იკინის). ასეთი რამ ამერიკაში ვერც კი წარმომედგინა. იქ ჩვეულებრივი ამბავია, რომ ადამიანს სთხოვო, დამარეკვინეო. თან, ტელეფონი ძალიან ძვირიც არ ღირს. საქართველოში კი მიხვდები, რომ კარგი ტელეფონი ძვირად ღირებული სიამოვნება ყოფილა... კიდევ ბევრი ნიუანსი იყო...

— საქართველოში შენი ჩაცმულობა, აზროვნება ხალხის გაოცებას ხომ არ იწვევდა?

— დაბრუნდი თუ არა, ჩემმა ჩაცმულობამ ყველა გააოცა: ამერიკაში, სადაც ვცხოვრობდი, იმ პერიოდში ძლიერი სიციხე იყო. აქ რომ გამოვემგზავრე, „შორტები“, ბრეტელებიანი მაისური, „დიდი“ ბოტასები მეცვა, სხეული დაკუნთული მქონდა და ძალიან ამერიკულ „ვიდზე“ მყოფი, ჭკუაზე არ ვიყავი. აეროპორტიდან რომ გამოვედი, ყველა ისე მიყურებდა, როგორც გიჟს (იკინის). ხალხი

„შუბებით“ დადიოდა... მერე, ნელ-ნელა სხვებმაც დაიწყეს ისე ჩაცმა, როგორც მე ვიცავდი. ამიტომ, ჩაცმულობასთან დაკავშირებით, დიდი პრობლემა არ იყო. მენტალიტეტს რაც შეეხება: პრობლემები ხშირად იყო, რადგან ბევრ რამეს ვერ ვიგებდი. მსგავს პრობლემებს დღესაც ვაწყდები, როცა ვერ ვხვდები, ხალხი ასე რატომ აზროვნებს?!

— ბოლოს და ბოლოს, შენ უფრო მოერგე აქაურობას თუ ინდივიდუალიზმი შეინარჩუნე?

— ეს შეკითხვა საკუთარი თავისთვის ბევრჯერ დამისვამს, — ძალიან ხომ არ გადმოვედი აქაურ ყაიდაზე-მეთქი? ვცდილობ, ისეთად დავრჩე, როგორც ვარ: გარკვეულ საკითხებზე ამერიკაში უკეთესი დამოკიდებულება აქვთ. რა თქმა უნდა, ქართულ მენტალიტეტს ცოტათი მეც მოვერგე, მაგრამ საქართველო განვითარდა, თვითონაც მოერგო ჩემს მენტალიტეტს. მოკლედ, ახლო კავშირი გვაქვს (იკინის).

— შენთვის სამაგალითო მოცეკვავე დამისახელე.

— სლავიკ კრიკლივი და პიტერ სტოკებრო ჩემი კერპები არიან. რეალურად, ცეკვას რაც შეეხება, გოჩა ჩერტკოვეის ხელში ვარ გაზრდილი. ამიტომ, ჩემთვის სამაგალითო ის არის.

— გოჩას ახლანდელმა იმიჯმა, ცოტა არ იყოს, საზოგადოების შოკი გამოიწვია. მისი იმიჯი თუ მოგწონს?

— ძალიან მომწონს! იმ საქმის შესაფერისია, რასაც გოჩა აკეთებს. მხოლოდ სტუდიის ხელმძღვანელი ან თუნდაც, იურისტი რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ახლანდელი იმიჯი არ მოუხდებოდა, მაგრამ გოჩა მსახიობი, შოუმენი გახლავთ.

— გიგი, თავისუფალ დროს როგორ ერთობი?

— ახლაც ცოტათი გათიშული ვარ, რადგან ერთი კვირის განმავლობაში, მგონი, დღე-ღამეში ერთი საათი მძინავს. ძირითადად, ჩემთვის განტვირთვა ოჯახთან, მეგობრებთან ერთად ყოფნაა. მოგზაურობაც ძალიან მიყვარს. უცხოეთში სამუშაოდ მივემგზავრები ხოლმე, მაგრამ დამატებით 1-2 დღეს ყოველთვის ვრჩები, რომ განვიტვირთო, ქვეყანა ვნახო, რაღაც ახალი ვისწავლო და რაც კარგია, ჩემს ცხოვრებაში გადმოვიტანო.

— შინ კომფორტს რა გიქმნის?

— სინყნარე, სიმშვიდე. არის დღეები (1-2 თვეში ერთხელ), როცა ადამიანი „ბოლომდე გაღიხარ“

და ყველაფერს თავზე იმსობ, მაგრამ ძირითადად, ჩემთვის მთავარი სიმშვიდეა. როცა კაფეში ან თუნდაც, ქალაქგარეთ მივედივარ, ყოველთვის



საზოგადოების მიერ „დაწესებულ“ ჩარჩოებში ცოტათი ვერ ვვადები

ისეთი ადგილის შერჩევას ვცდილობ, სადაც ნაკლები ხალხი და სინყნარეა. ბუნებასთან სიახლოვე მიყვარს.

— შენი ოთახი როგორ გაქვს მოწყობილი?

— ჩემი ოთახი მთლიანად საძინებელია — მთელ ოთახში საწოლია. ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ შემძლია, კარის ზღურბლთან ტანსაცმელი დავკიდო და პირდაპირ დიდ ლოგინზე „შეგვორდე“ (იკინის). სახლს რაც შეეხება, ჯერჯერობით, ყველაფერი ისე არ არის მოწყობილი, როგორც მინდა. მე იატაკზე დაგებული ხალიჩა, სითბო, სიმყუდროვე უფრო მომწონს.



იურისტი რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ახლანდელი იმიჯი არ მოუხდებოდა

მზითვიანი და წარმატებული პიანისტი



„საკუთარი პრინციპების ღალატი, ეს საკუთარი თავის ღალატი!“

21 წლის ანა ყიფიანი უკვე წარმატებული, არაერთ საერთაშორისო ფესტივალზე გამარჯვებული ქართველი პიანისტი. მას ჟურნალ „გზის“ მკითხველი უკვე იცნობს... ანა ელისო ვირსალაძის მოსწავლეა. ამჟამად, რუსეთში ცხოვრობს და მოსკოვის კონსერვატორიის მეოთხე კურსის სტუდენტია. როგორც ამბობს, შეყვარებული არ ჰყავს. მისი მზითვეი კი მხოლოდ ის დიპლომების კოლექცია იქნება, რომელსაც წლებია, აგროვებს.

სოფო ჟონიშვილი

— დედაჩემი ექიმი-კარდიოლოგია, მამა კი — ავიამშენებელი. ისეთ ოჯახში ვიზრდებოდი, სადაც ყველაფერში ზომიერება იყო დაცული. ვგრძნობდი, საკმარისად თავისუფალი ვიყავი, ზედმეტად არავინ არაფერში მზღლუდავდა. თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისთვის, რომ ადამიანმა კარიერა აიწყო.

— საკუთარ თავზე ლაპარაკი შეგიძლია?

— როგორც ყველას, მეც მიჭირს საკუთარ თავზე საუბარი... რა თქმა უნდა, მაქვს როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი თვისებებიც.

— შენს უარყოფით თვისებად რა მიგაჩნია?

— ყველაზე ცუდი, რაზეც სხვებიც კი ამახვილებენ ყურადღებას, არის ის, რომ დეტალების მიმართ გადაამეტებული ყურადღების გამოჩენა მჩვევია. შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტად ემოციურიც ვარ.

— ამ ყველაფრის გამო, შენიშვნას ხშირად იღებ?

— რა თქმა უნდა, შენიშვნებს ხშირად ვიღებ და ვითვალისწინებ კიდევ. საკუთარ თავზე მუდმივად ვმუშაობ. მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდები.

— რამდენად პრინციპული ადამიანი ხარ? ვის ან რის გამო შეიძლება, საკუთარ პრინციპებს უღალატო?

— საკუთარი პრინციპების ღალატი, ეს საკუთარი თავის ღალატი! საბედნიეროდ, არასდროს მქონია ისეთი მომენტი, რომ მსგავსი რადიკალური ზომების მიღება აუცილებელი გამხდარიყო.

— როგორ ფიქრობ, სიამაყე კარგი თვისებაა?

— ალბათ, ამაყი მეც ვარ, მაგრამ არა — ამპარტავანი. ამპარტავნებს ვგმობ და მიმაჩნია, რომ ეს ძალიან ცუდი თვისებაა... ამაყი მაშინ ვარ, როდესაც ვგრძნობ, რომ რაღაც სასარგებლო და კარგი გავაკეთე...

— როცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევი, ეს ყველაფერი უხერხულობას გიქმნის თუ პირიქით, ამით ამაყობ?

— მსგავს სიტუაციაში ყოფნა, რა თქმა უნდა, უხერხულობას მიქმნის ხოლმე. თუმცა, რომ არ მოვიტყუო, თავისებურად მახარებს კიდევ... სასიამოვნოა, როცა ადამიანებს უყვარხარ, პატივს გცემენ.

— საოჯახო საქმეების კეთება თუ გეხერხება? მაგალითად, სადილის მომზადება, სადღესასწაულო სუფრის გაშლა, სახლის დალაგება?

— გამომდინარე იქიდან, რომ მოსკოვში მარტო ვცხოვრობ, ხანდახან მიწევს საკუთარი თავისთვის საუზმის ან სადილის მომზადება. აი, სადღესასწაულო სუფრა კი ჯერ დამოუკიდებლად არასდროს გამიშლია.

— საერთოდ, სამზარეულოში ფუსფუსი გიყვარს?

— როდესაც თავისუფალი დრო მაქვს, ჩემთვის საყვარელი კერძების მომზადება მსიამოვნებს.

— რას ამზადებ ყველაზე გემრიელად?

— „სტიკს“ ბოსტნეულით, გრილზე. ვინც დააგემოვნა, ყველას მოეწონა.

— როგორ ფიქრობ, როცა გათხოვდები, საოჯახო საქმეებს თავს ადვილად გაართმევ?

— უახლოეს მომავალში გათხოვებას ნამდვილად არ ვგეგმავ. წინ საკმაოდ დატვირთული, აკადემიური საქმიანობა მელის და შესაბამისად, ამ თემაზე ჯერ არც მიფიქრია.

— მამაკაცის პერანგის დაუთოება შეგიძლია?

— მსგავსი რამის გაკეთება არასდროს დამჭირვებია. იმედია, პერანგის დაუთოება იმდენად რთული საქმე არ აღმოჩნდება, რომ ვერ გავაკეთო. მთავარი მონდომებაა.

— როგორი მამაკაცები მოგწონს?

— რაიმე კონკრეტულ თვისებას ვერ გამოვყოფ. ზოგადად კი, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში ურთიერთპატივისცემას, საერთო ინტერესებსა და კეთილსინდისიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— თუ გიფიქრია იმაზე, რომ შენი მომავალი მეუღლე აუცილებლად მდიდარი უნდა იყოს?

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩემს მომავალ მეუღლეს სხვა, გაცილებით ადამიანური კუთხით შევაფასებ. ვფიქრობ, სიმდიდრე და ფუფუნება წარმავალია. მხოლოდ სიყვარული, პატივისცემა და ურთიერთგაგება აბედნიერებს ადამიანებს და არა — მატერიალური სისულელეები.

— არსებობს მანდილოსნების გარკვეული კატეგორია, რომლებიც ე.წ. ზღაპრული ცხოვრების გამო, ნამდვილ სიყვარულს გვერდს უვლიან. ასეთ ადამიანებზე რას ფიქრობ?

— სიყვარულის დათმობა მატერიალური კეთილდღეობის გამო, ღირსეულ საქციელად არ მიმაჩნია. ეს ალბათ, ჩემგან განსხვავებული კატეგორიის ადამიანებს შეუძლიათ გააკეთონ.

— ერთი ნახვით შეყვარების გჯერა? ოდესმე მსგავს სიტუაციაში თუ აღმოჩენილხარ?

— რა თქმა უნდა, პირველი შთაბეჭდილება მნიშვნელოვანია, მაგრამ ზოგჯერ ხომ ხდება, რომ ადამიანის შეფასებისას ვცდებით? შესაბამისად, ერთი ნახვით შეყვარების არ მჯერა.

— მომბეზრებელი თაყვანისმცემელი თუ გყოლია — ისეთი, რომელიც მუდამ თან დაგდევს, ამოსუნთქვის საშუალებას არ გაძლევს?

— (იღიმის) არა, არ მყოლია. ვფიქრობ, როცა რაღაც ან ვიღაც არ გინდა, არ მოგწონს და ა.შ. ვერავინ ვერაფერს დაგაძალებს.

— რა უნდა გააკეთოს მამაკაცმა, რომ შენი გული მოინადიროს?

— არ ვიცი, ამ საკითხზე არ მიფიქრია... განსაკუთრებული კრიტიერიუმები არ მაქვს.

— მთავარი და აუცილებელი გარეგნობა მამაკაცში თუ მისი ადამიანური თვისებები?

— მთავარი და გადამწყვეტი, რა თქმა უნდა, ადამიანური თვისებებია, მაგრამ გარეგნობასაც დიდ ყურადღებას ვაქცევ.

— ადამიანებისთვის შეცდომის პატიება შეგიძლია?

— არის ისეთი რაღაცეები, რისი პატიებაც შეიძლება და არის ისეთი გულისტკენები, რასაც ალბათ, ადამიანს ვერასდროს აპატიებ. მე შემიძლია, ვიყო მიმტევებელი. ადამიანში ამ თვისებას ძალიან ვაფასებ.

— როგორ ქორწილზე ოცნებობ?

— ბავშვობაში არ მიყვარდა არც თოჯინებით თამაში და არც სადედოფლო კაბაზე ფიქრი. ქორწილის ცოტა მოდერნიზებული სახე მომწონს.

— საყვარელ ადამიანთან ერთად, თაფლობის თვეს სად გაატარებდი?

— ბევრი ისეთი ადგილია, სადაც საყვარელ ადამიანთან ერთად სიამოვნებით ნავალ... თუმცა, ვფიქრობ, თაფლობის თვის გასატარებელი ადგილი წყვილმა ერთად უნდა შეარჩიოს. ასე რომ, გადანყვეტილებას მომავალ მეუღლესთან ერთად მივიღებ (იღიმის).

— ქართული ტრადიციის თანახმად, ოჯახში გოგონა რომ ჩნდებოდა, მისთვის ე.წ. მზითვის — ლეიბების, საბნების, ბალიშების, ჭურჭლის და ა.შ. — შეგროვებას იწყებდნენ... ამ ტრადიციას დღესაც ბევრი იცავს. შენ თუ გაქვს მზითვი?

— დიახ, მზითვი მაქვს: განათლება და დიპლომები...

— მომავალმა მეუღლემ მშობლებთან ერთად ცხოვრება რომ შემოგთავაზოს, მის ამ გადანყვეტილებას როგორ შეხვდები?

— იქიდან გამომდინარე, რომ 18 წლიდან დამოუკიდებელი ვარ, ჩემთვის ცოტა არ იყოს, რთულია იმის წარმოდგენა, თუ როგორ შევეგუები მეუღლის მშობლებთან ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას. თან, ვფიქრობ, ახალშექმნილი ოჯახისთვის დამოუკიდებლობა აუცილებელია.

— შეძლებ, რომ დედამთილს „დედა“ დაუძახო?

— საკუთარ დედასაც კი ხშირად სახელით მივმართავ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, დედამთილს „დედას“ არ დაგუძახებ.

— ოჯახი თუ კარიერა — რომელი იქნება შენთვის პრიორიტეტული?

— მე ვთვლი, რომ ოჯახისა და კარიერის პრიორიტეტებად დალაგება მიზანშეწონილი არ არის, რადგან ადამიანის ცხოვრებაში ორივე მნიშვნელოვანია... თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერს თავისი დრო აქვს და ოდესმე, კარიერის მიტოვება უნებურად მომიწევს (იციინს).

— რას აკეთებ საიმისოდ, რომ მუდმივად მომხიბვლელად გამოიყურებოდე?

— იმისთვის, რომ მუდმივად სასურველ ფორმაში ვიყო, ბევრს არაფერს ვაკეთებ. უბრალოდ, ვცდილობ, ყოველდღე ვიარო ფიტნესდარბაზში, აუზზე. მიუხედავად ჩემი გადატვირთული დღის რეჟიმისა, საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვისთვის დროს მაინც, ყოველთვის ვპოულობ.

— რა სიახლეებია შენს პროფესიულ საქმიანობაში?

— უამრავი სიახლეა. საინტერესო შემოთავაზებები მაქვს ინგლისიდან, ესპანეთიდან და ამერიკიდან. ახლა მიდის მოლაპარაკება და თარიღების შერჩევა, რომ კონცერტები დაიგეგმოს... ასევე, ვემზადები სხვადასხვა კონკურსისთვის.

— საქართველოში ჩამოსვლას მხოლოდ არდადეგებზე ახერხებ?

— დიახ. ყოველთვის ვცდილობ, როცა არდადეგები მაქვს, თბილისში ჩამოვიდე და ყველა ახლობელი მოვინახულო, თითოეულს მივეფერო და მოვიკითხო.



18 წლიდან დამოუკიდებელი ვარ



ცხოვრება

შორენა ლაბაძე

— ბატონო კახა, საიდან გაჩნდა ყრუთა ანსამბლის შექმნის იდეა?

— ამ საქმეში ბადრი ცხოვრებაულმა, მერიის სუბივეილის სახელობის სტუდიის დირექტორმა ჩამართო. ყრუ გოგონების სილამაზის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენელს გზავნიდნენ, რომელსაც ორი ვაჟი უნდა ხლებოდა და კონკურსის მსვლელობისას ეცეკვათ. ბადრიმ მკითხა, — მუნჯები არიან და შეძლებ, რომ მათ ცეკვა ასწავლო? — თუ მუნჯია და სმენა აქვს, არაა პრობლემა-მეთქი. ორი ტყუპი ვაჟი და ულამაზესი ჟღალთმიანი გოგონა, ნინო კახაძე გამაცნეს. — აბა, დავინწყეთ, მოტრიალდით-მეთქი, — რომ დავიძახებ. რეაქცია არავის ჰქონია. მერე ტაში დაფუკარი, ხმას ავუწიე. ერთ-ერთი მშობელი მომიახლოვდა და მითხრა, რომ ბავშვებს არ ესმოდათ. ბადრის ერთი კი ვუთხარი, — რას მიპირებ-მეთქი? მაგრამ მუშაობა მაინც დავინწყეთ. მათთან „ყაზბეგური“ დავდგი. მალე მაია მეტონიძემ, ყრუთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა, ცეკვის სწავლა მოყვარულებთან ერთად დაიწყო. მითხრა, — ბავშვებს უნდათ, რომ ცეკვა ასწავლო. რამდენიმე პედაგოგი

ქორეოგრაფი, რომელმაც სტერეოტიპები დაამსხვრია

„მინდა, სხვადასხვა შშმ პირთა ჯგუფზე მორგებული ცეკვის დარბაზი მქონდეს“

„ხელოვნება ყველასია“, — ამბობს ქართული ცეკვისა და ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის პედაგოგი, კახა-ნიკოლოზ ხერხაძე და ამას პრაქტიკულადაც ამტკიცებს — ქართულ ცეკვას რამდენიმე სხვა ანსამბლის პარალელურად, სმენადაქვეითებული გოგონებისა და ვაჟებისაგან შემდგარ ანსამბლ „ლილეს“ ასწავლის, რომელმაც სულ მცირე დროში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანას უჩვენა, რომ ხელოვნებაში შეზღუდული შესაძლებლობა არ არსებობს... ხელმძღვანელმა „ნიჭიერის“ სცენაზე ჯერ ანსამბლი „ლილე“, შემდეგ კი მეგისა და გიორგის წყვილი გაიყვანა (გოგონა სმენადაქვეითებული, ვაჟი კი უსინათლო)...

მოვიწვიეთ, მაგრამ ურთიერთობა არ მოისურვესო. თავდაპირველად, ისინი სხვა ბავშვებთან ერთად დავაყენე და მათ შორის იდეალური კონტაქტი დამყარდა. მერე ანსამბლის ბავშვები შესტებით საუბარს მიეჩვივნენ. ბავშვობაში ყრუ-მუნჯი მეგობარი მყავდა. ჰოდა, ნელ-ნელა შესტების ენა მეც აღვიდგინე და მათთან კონტაქტი დავამყარე. რალაცებს არასწორად ვაკეთებდი და ბევრს იცინოდნენ. ნელ-ნელა ასეთი მოსწავლეების რიცხვი გაიზარდა და დღეს უკვე 8 გოგონა და 5 ვაჟი არიან. თავიდან მათთან მუშაობა შედარებით ლმობიერად დავიწყე, მაგრამ ახლა მათ სხვებისგან არაფრით გამოვარჩევისე, ერთი ხელის აწევაც კი საკმარისია, რომ მიხვდნენ, რა არის იმ წამს საჭირო. ერთ დღეში ერთი ცეკვაც კი დამიდგია. ამ ჯგუფთან ძველი, დავინწყებული ცეკვები აღვადგინე. მინდა, მათგან დიდი ჯგუფი შექმნა, მაგრამ



თოხი წლიდან სცენაზე ვართ

ხშირად, გათხოვების შემდეგ ცეკვას თავს ანებებენ.

— შშმ პირების რომელიმე სხვა ჯგუფთანაც ხომ არ გიცდიათ მუშაობა?

— უსინათლოებთან მუშაობა შემომთავაზეს და დიდი სიამოვნებით მივიღებდი ამ წინადადებას, მაგრამ მანძილისა და დროის უქონლობის პრობლემა მაქვს. მათ დარბაზი ფონიჭალაში აქვთ, მე კი იქ მისვლას ფიზიკურად ვერ ვახერხებ. უსინათლოების დიდი ნაწილი არაჩვეულებრივად მღერის და ამას გამოვიყენებდი. მინდა, მათთან ძველი „ფერხულები“ აღვადგინო. სხვათა შორის, ახლა უსინათლოების ტრიოს ვქმნი და გერმანიაში, „ლილესთან“ ერთად, მათ წაყვანასაც ვაპირებ.



კახა ხერხაძე შვილებთან ერთად

ძალიან მინდა, სხვადასხვა შპმ პირ-
თა ჯგუფზე მორგებული დარბაზი
მქონდეს. ცეკვის შესწავლის დიდი
სურვილი აქვთ ეტლით მოსარგებლე
ბავშვებსაც, მაგრამ დარბაზამდე
ფიზიკურად ვერ ამოდიან, დიდი
წონის მოზარდის კვირაში რამდენ-
ჯერმე ხელით ამოყვანა კი ძალიან
დამთრგუნველი და ძნელია...

**— მსოფლიოში „ლილეს“ ანალოგი
არსებობს?**

— არსებობს ჩინეთსა და იაპო-
ნიაში. მათი ცეკვა ნანახი მაქვს —
დარბაზის კუთხეებში 5 პედაგოგი
დგას და იღეთებს ხელით აჩვენებენ,
მე კი მხოლოდ დასაწყისსა და დასას-
რულს ვანიშნებ, იღეთები თავადაც
იციან. ჩინეთის ყრუთა ანსამბლში
80 წევრია. შემოსავალი იმდენად

ცეკვა რომ დაასრულა, მოცეკვავეებ-
მა მაყურებელს თავი დაუკრეს და
სცენა დატოვეს. გამიკვირდა, ტაში
რომ ვერ გავიგონე. ალბათ, ცეკვა
არ მოენონათ-მეთქი, — ვიფიქრე.
წინ ვიჯექი და უკან გავიხედე: თურ-
მე, ტაშს ჟესტების ენაზე უკრავენ
და თან, ანსამბლს ისევე სცენაზე
უხმობენ... სცენაზე ავედი, ანსამ-
ბლის წევრები კვლავ გამოვიყვანე.
კარგა ხანს არ შეწყდა ოვაცია. მალე
„ლილე“ ჯერ ესპანეთში, შემდეგ კი
გერმანიაში მიემგზავრება. ახლახან
ქუთაისიდან დამიკავშირდნენ. თურ-
მე, იქაური ყრუთა სკოლის ბავშვებს
ჩვენი ცეკვა უნახავთ და მათაც გას-
ჩენიათ მეცადინეობის სურვილი. მე-
გობარს შევთავაზე, მათთვის ცეკვა
ესწავლებინა და დღეს წარმატებით

ერთადაა შექმნილი. შუალამისას
ოთახის კარს რომ შევუღებ, მეუბ-
ნება, — ვმეცადინეობო, ამ დროს
კი „ყაზბეგური“ აქვს ჩართული და
უყურებს (იციან)... უფროსი ვაჟე-
ბიც ცეკვავდნენ, მაგრამ საბოლოოდ,
სხვა სპეციალობები აირჩიეს. ცეკ-
ვავენ მათი მეუღლეებიც. ჩემი პაპა
ფანდურზე, დუდუკზე, სალამურზე
უკრავდა. ბებია — ცეკვავდა. ჩემი
უმცროსი დაც ქორეოგრაფია... ლონ-
დას ოჯახშიც თითქმის ყველა ხე-
ლოვნებას ემსახურებოდა. დედამისი
ცეკვავდა, მამა სხვადასხვა საკრავზე
უკრავდა. მე, როგორც მოცეკვავე,
სკოლის პერიოდიდან ნუგზარ კა-
პანაძემ „გამზარდა“, გარკვეული
პაუზის შემდეგ კი კვლავ ცეკვისკენ,
ავთო თათარაძემ მიბიძგა.



ანსამბლი „ლილე“

დიდი აქვთ, საკუთარი ბიუჯეტი
შექმნეს. არაჩვეულებრივი კოსტიუ-
მებით გამოდიან, ასზე მეტ ქვეყანაში
არიან ნამყოფი. „ლილეს“ წევრები კი,
სამწუხაროდ, სხვადასხვა დაწესებუ-
ლებაში დამლაგებლებად, მრეცხავე-
ბად მუშაობენ. სამსახურში დილის 7
საათზე გასულები, აქ სამეცადინოდ
სალამოს, დაღლილები მოდიან. მინ-
და, ცეკვა მათი სამსახური გახდეს
და როგორც სახელმწიფო ანსამბლის
წევრებს, ხელფასი დაენიშნოთ. ეს
ყველასთვის სარგებლის მომტანი
იქნება; ჯერ ერთი, ბევრ შპმ პირს
დამატებით მოტივაციას შესძენს და
დიდი ჯგუფი გაკეთდება, რომელიც
საერთაშორისო მასშტაბით, წარ-
მატებით იმოგზაურებს... სხვათა
შორის, ბერლინში ჩვენმა ანსამბლმა

თანამშრომლობენ. მსგავსი რაღაც
სხვა ქალაქებშიც შეიძლება მოხდეს.

**— რას გვეტყვით თქვენი ოჯახის
შესახებ, რომლის თითქმის ყველა
წევრი ცეკვავს?**

— მე და ჩემმა მეუღლემ, ლონდა
უგულავამ, რომელიც ასევე ქორეო-
გრაფია, ფაქტობრივად, ყველაფერს
ერთად მივალწიეთ. ისიც და მეც
ოთხი წლიდან სცენაზე ვართ. ჯერ
საესტრადოზე ვსწავლობდით ერ-
თად, შემდეგ — თეატრალურ ინს-
ტიტუტში. დღემდე რამდენიმე ანსამ-
ბლს ვუძღვებით. ლონდა რამდენიმე
ქართულ ფილმშია გადაღებული,
მათ შორის, „ბებერ მეზურნეებში“,
ჯუნას როლს ასრულებს. უმცროსი
ვაჟი, ლაშა „სუხიშვილებში“ ცეკვავს.
წელს აბიტურიენტია და ბევრ საქმეს

**— საზღვარგარეთ დარჩენის
ცდუნება არასოდეს გქონიათ?**

— 2003 წელს „ნიუ-იორკ სი-
თი ბალეტში“ ვსწავლობდი. მისი
დასრულების შემდეგ, ბუხარელი
ებრაელების სტუდიაში, კონტრაქ-
ტით მიმიწვიეს, სადაც მსოფლიოს
ხალხთა ცეკვებს ვასწავლიდი. ყვე-
ლას ეგონა, რომ იქ დავრჩებოდი,
მაგრამ თბილისში დავბრუნდი... მიუ-
ხედავად იმისა, რომ ახალ გარემოს-
თან შეგუების პრობლემა არ მაქვს,
სხვა ქვეყანაში ცხოვრება არ მინდა.

**— მიუხედავად გადატვირთუ-
ლი რეჟიმისა, თეორეტიკოსებთან
ერთად ძველი ქართული ცეკვების
აღდგენა-იდენტიფიცირებაზეც
მუშაობთ, არა?**

— დიახ. შეუძლებელია, ცეკვავდე



მეგი გათხოვდა და როგორც გიორგისთან, ისე ჩემთან, ურთიერთობა შეწყვიტა

და არ იცოდე, ესა თუ ის ცეკვა საიდან მოდის ან კონკრეტული ილეთი რისი მანიშნებელი, რისი სიმბოლოა... ერთხელ, ანსამბლი სიცილიაში წავიყვანე. ჩვენი თანდასწრებით ოსებმა „აჭარული“, სუხიშვილების ნახაზით იცეკვეს. ხელმძღვანელს ვუსაყვედურე. რომ ვერაფერი მოიფიქრა, მითხრა: არასწორად გამოაცხადესო. „კინტაურს“ „სომხური შალახო“ დაარქვეს. არადა, ეს თბილისური, ქალაქური ცეკვაა, რომელიც ნინო რამიშვილმა გააცოცხლა. სხვა ქალაქებში ფიზიკურად არ ცხოვრობდნენ კინტოები. მაგალითად, „სამაია“ ფშავეური ცეკვაა, ქალებიც და კაცებიც ქორწილებში, ბავშვის დაბადებისას ცეკვავდნენ. მუსიკის წაღება-წამოღება ცალკე თემაა და ამ მხრივ, ჩასაფრებული ვარ. იცეკვოს, მაგრამ თქვას, რომ ქართულია. ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად გვინდა, ყველა ცეკვა დაპატენტდეს.

— რაც შეეხება „ნიჭიერის“ მონაწილე წევრებს — მეგის და გიორგის, ისინი თქვენთან ისევ ცეკვავენ?

— მეგი გათხოვდა და როგორც გიორგისთან, ისე ჩემთან, ურთიერთობა შეწყვიტა. ახლა გიორგისთვის ახალ პარტნიორს ვეძებ. სხვათა შორის, გიორგის ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეებია: ახლახან ოჯახი შექმნა და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, იყო ერთ პროფესორთან, რომელმაც უთხრა, რომ თვალებზე ბადურას შეუტყვის და მხედველობა აღუდგება.

ბავშვობიდან გამოყოფილი წყენა...

ინგა ჯაყელი

რადგან ჩემი ძირითადი პროფესია ფსიქოლოგიაა, მინდა, ამ დარგში მიღწეულ სიახლეებს არ ჩამოვრჩე და თუ სადმე საინტერესო ტრენინგი ან შეკრება ტარდება, ვცდილობ, ყველას დავესწრო. ფსიქოლოგიის ცოდნა ადამიანებთან ურთიერთობასაც მიადვილებს და საკუთარი თავის უკეთესად შეცნობის საშუალებასაც მაძლევს — უამრავ კითხვაზე ვპოულობ პასუხს და ვიცი, რა უნდა გავაკეთო, რომ არც სინდისის ქენჯნამ შემანუხოს, როცა თავს რაიმეს კეთებას ვერ ვაიძულებ და მით უფრო, დეპრესიაში არ უნდა ჩავვარდე. ადამიანი საოცრად რთული და ამოუცნობი არსებაა და რასაც უნდა აკეთებდეს, არაფერია შემთხვევითი, ყველაფერს თავისი საფუძველი აქვს. ხშირად, ჩვენს სამომავლო განწყობას, ქმედებებს ღრმა ბავშვობაში ეყრება საფუძველი. ამიტომ უნდა ვიყოთ ფრთხილები და ტაქტიანები, მომთმენები და სულგრძელები პატარებთან ურთიერთობისას და არასოდეს დავამახსოვროთ მწარედ რაიმე ისეთი, რის კვალსაც ველარასოდეს წავშლით მის სულსა და ცხოვრებაში...

ცოტა ხნის წინ ჩემს ყოფილ პედაგოგს, უკვე პენსიონერ ფსიქოლოგს — ბატონ ვლადიმერ მანაშეროვს ვესაუბრე და ამ საუბარმა მიბიძგა ამ მასალის მომზადებისკენ...

ვოვა მასწავლებელს ჩემს გაურკვეველ ფობიებზე ვკითხე, როგორბასაც დიდობაშიც ვერ დავაღწიე თავი და ბავშვობის დროინდელი ამბების გახსენება მთხოვა...

...მიუხედავად იმისა, რომ ატამი მიყვარს, მისი არათუ ჭამა, შეხებაც არ შემიძლია. საკმარისია, მისი მსუსხავი კანი დავინახო, რომ ქავილი დამენწყება და წამლის გარეშე ვერ ვუმკლავდები ალერგიულ შოკს...

დაახლოებით ხუთი-ექვსი წლის ვიქნებოდი, როცა რამდენიმე თანატოლთან ერთად, ეზოში „კლასობანას“ ვთამაშობდი და ასფალტზე დახატულ წრეებს მხიარული ასკინილათი ვუვლიდი გარს. ამ დროს

ეზოში მეზობელი შემოვიდა და გვერდით მიუჯდა ერთ-ერთი ბავშვის დედას, რომელიც ყურადღებას გვაქცევდა. ცელოფანის პარკიდან ატამი ამოიღო და შვილს მიანოდა: ნახე, დედიკო, შენ რომ გიყვარს, სწორედ ისეთია, წვნიანი... მეორე ატამი კი იმ ქალის შვილს მისცა, რომელსაც გვერდით ეჯდა. ჰოდა, როცა იმ ორმა ბავშვმა პირი გემრიელად აანკაპუნა, ლამის ნერწყვმა დაგვახრჩო დანარჩენები, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია... უცებ დამეკარგა თამაშის სურვილი და სახლში წასვლა დავაპირე. ამ დროს დავინახე, რომ ლაპარაკში გართულ ქალს ატამებიანი პარკი უყურადღებოდ დაეღო ზურგს უკან. ბევრიც არ მიფიქრია, ისე ამოვიღე ცელოფანიდან ერთი ატამი და სანამ ვინმე შემამჩნევდა, გავიქეცი...

შინ მისულს ნაქურდლის არც გარეცხვა მიფიქრია და არც ადამიანურად მირთმევა. სააბაზანოში ჩავიკეტე და ისე ჩქარა „ჩაფხეთქე“, გემოც ვერ გავუგე, მერე კი, — ვინმე არ მიმიხვდეს-მეთქი, მთელი რულონი ტუალეტის ქაღალდი შემოვავხვიე ერთი ციდა კურკას და სანაგვე ურნის ბოლოში ჩაჭურთე... და მაინც, მთელი დღე ვერ მოვისვენე. იმისი შიშით, რომ მეზობელი ნაქურდალ ატამს მოიკითხავდა და ჩემი ქურდობის ამბავს ყველა გაიგებდა, იმ ღამეს სიცხე მომცა. მას მერე ატამს აღარ ვაკვარდნივარ და როგორც ერთხარით — საშინელი ალერგია მაქვს ამ ხილზე:

— ტიპური შემთხვევაა, ფსიქოლოგიური ტრავმა ასე მატერიალიზდება და გონებაში დაღეკილი უსიამოვნება თავდაცვით რეაქციას ფიზიკურ დონეზე ინვესს! — მითხრა ბატონმა ვლადიმერმა: — ამიტომ უნდა ვიყოთ ფრთხილად ბავშვებთან და მაქსიმალურად დავიცვათ ისინი მსგავსი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო „ტკივილისგან“. ის, რაც შეიძლება, ადვილად დაივინყოს გონებაში, ქვეცნობიერის დონეზე განუკურნებელ დაავადებად შეიძლება დარჩეს და შენც ეს დაგემართა...

სხვათა შორის, ვერც იმ მეზობელს ვაპატიე მაშინ განცდილი

ელდა და როცა გარდაიცვალა, მის პანაშვიდზეც არ შევედი. ასე „ვიძიე შური“ ჩემი დაზარალებული ბავშვობის გამო...

ბავშვობიდან კიდევ ერთი „დამანგრეველი შიში“ გამომყვა: დაახლოებით სამი წლის ვიქნებოდი, როცა ბებიათა თავისი ავადმყოფი, მომაკვდავი დედის მოსანახულებლად წამიყვანა. ალბათ, იფიქრა, რომ მოხუცს შვილთაშვილის ნახვა გაახარებდა და მისი სანოლის კიდეზე ჩამომსვა...

არ ვიცი, მაშინ რა მომელანდა, მაგრამ დღეს მხოლოდ უცნაურ სიშავეს ვიხსენებ — სახეც კი შავი ჰქონდა თითქოს მოხუცს, რაღაცნაირად წაშლილი და... ვინივლერამდენიმე დღე ვინვოდი მალალი სიციხით და არანაირი წამალი არ მშველოდა. გონზე მოსული კი დაახლოებით სამი თვე არაფერს ვამბობდი და ისიც კი ჰგონებიათ, რომ დავემუნჯდი. საბედნიეროდ, მე კი გადავურჩი დამუნჯებას, მაგრამ მყავს მეგობარი, რომელსაც ოთხი წლის ასაკში დაეღუპა მამა და დაკრძალვის დღეს ხელში აყვანილი მიიყვანეს მის სასახლესთან, მერე კი აძალბებდნენ, მისთვის ბოლოჯერ, გამოსამშვიდობებლად ეკოცნა... შედეგად, მასაც „ჩაუფარდა ენა“ შიშით და დღემდე ებმის, ზოგჯერ ძლივს გვაგებინებს სათქმელს.

მე კი, იმ დღის მერე, რაც ბებიის დას მიჰვარეს ჩემი თავი, სიბერის ისე მეშინია, ღმერთს ვევედრები, სანამ მიიბაროს ჩემი სული, ვიდრე „სიცოცხლეშივე შთანმთქავს სიშავე“...

— ეგეც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რა სათუთი და მოსაფრთხილებელია პატარის მგრძობიარე სული და სამყარო, რომელიც ისევე შორია დიდების ემოციებისგან, როგორც ცა და დედამინა. ბავშვი



არ ვიცი, მაშინ რა მომელანდა, მაგრამ დღეს მხოლოდ უცნაურ სიშავეს ვიხსენებ

უნდა გაარიდოთ მძიმე რეალობას და მანამდე აცხოვროთ ზღაპარში, ვიდრე თავად არ მიხედება და გაიაზრებს ჭეშმარიტებას. დიდების

ნა, რომ ადამიანები, ვინც ბავშვურ უშუალოებას დიდხანს ინარჩუნებენ და სამყაროსაც მხიარულ ფერებში აღიქვამენ, ჯანმრთელობასაც

თუ გინდათ, თქვენი პატარა ლალ, თავისუფალ და უკომპლექსო ადამიანად ჩამოყალიბდეს, თქვენ იცხოვრეთ მისი ასაკის შესაბამისად

სამყაროსთან უდროო ზიარება ბავშვს გამოუსწორებლად უზიანებს ნერვულ სისტემასაც და ფსიქიკურ ნონასწორობასაც. თუ გინდათ, თქვენი პატარა ლალ, თავისუფალ და უკომპლექსო ადამიანად ჩამოყალიბდეს, თქვენ იცხოვრეთ მისი ასაკის შესაბამისად და ნუ აიძულებთ მას უდროო დაბრძენებას. მეცნიერებამ დიდი ხანია, დაადგი-

ინარჩუნებენ და უფრო დიდხანსაც ცხოვრობენ. მარტივად რომ ვთქვათ: თქვენ ისწავლეთ ბავშვებისგან სწორად ცხოვრება და ნუ აიძულებთ მათ, მხოლოდ ორი ფერი აღიარონ: შავი და ნაცრისფერი! — მითხრა ჩემმა ჭკვიანმა მასწავლებელმა და დამემშვიდობა.

P.S. ბავშვურ სილაღესა და სისუფთავეს გისურვებთ ყველას!



რამდენად ბედნიერია საქართველო

საქართველომ ბედნიერების ინდექსის მიხედვით, მსოფლიოს 156 ქვეყანას შორის 126-ე ადგილი დაიკავა. შესაბამისი ანგარიში „გაეროს“ „მდგრადი განვითარების გადამწყვეტის ქსელმა“ გამოაქვეყნა.

კვლევის მიხედვით, 2015 წელთან შედარებით, საქართველო ბედნიერების ინდექსის მიხედვით

დანინაურდა და პოზიცია 4 პუნქტით გაიუმჯობესა.

2016 წლის ბედნიერების ინდექსის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყანა კვლავ დანიაა, მეორე ადგილი კი შვეიცარიამ არავის დაუთმო. ხუთეულში ასევე, შევიდნენ: ისლანდია, ნორვეგია და ფინეთი.

პოლიგლოტი მთარგმნელის ცხოვრების სტილი

„ბოლო ხანს მის ხმაში შეფფოთება იგრძნობოდა...“

XX საუკუნის 40-იან წლებში შექმნილი „პატარა უფლისწული“ დღემდე ერთ-ერთ ყველაზე საკითხავ და ყველაზე მეტ ენაზე ნათარგმნ წიგნად ითვლება. ფრანგი მწერლის ყველაზე გახმაურებულ ნაწარმოებს ქართულად ბაჩანა ბრეგვაძის წყალობით გავეცანით. ბავშვობის წლების შემდეგ, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ვკითხულობდით ამა თუ იმ უცხოელი მწერლის შემოქმედებას და ალბათ, ბევრჯერ ყურადღებაც არ მიგვიქცევია, თუ ვის მოჰქონდა ჩვენამდე მშობლიურ ენაზე თარგმნილი ესა თუ ის ნაწარმოები...

ანა კალანდაძე


„ქართველი მკითხველი მისგან დავალებულია“, — ბოლო ხანს ალბათ, არაერთმა მოისმინეთ ეს ფრაზა და მართლაც, მისი თარგმნილი წიგნები იმდენად ბევრია, ჩამოთვლა მიჭირს, მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილ ნაწარმოებებს დავასახელებ: ნეტარი ავგუსტინის „აღსარებანი“, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“, მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტი“, მოპენჰაუერის „ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები“ და „ახალი აღთქმა“, რომლის თარგმნაც პატრიარქმა სთხოვა. შიში და სიხარული ერთმანეთში აირია, ყველა სხვა საქმე გვერდზე გადადო და „ახალი აღთქმა“ ერთწლიანი მუშაობის შე-

მიუხედავად ამისა, მაინც არ იცნობდა ფართო საზოგადოება — ეს ან თავმდაბლობის გამო არ სურდა, ან კიდევ, მსოფლიო ლიტერატურაში „გათქვეფილს“, ყოველდღიურობისთვის ნაკლებად რჩებოდა დრო. ბაჩანა ბრეგვაძის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში, სოციალურ ქსელში ლიტერატორ ზურაბ კიკნაძის ვრცელი წერილი გავრცელდა, რომელიც მან თავის მეგობარს მიუძღვნა. ერთგან მათ ნაცნობობას და ურთიერთობას „მთელი ეპოქა“ უწოდა. მთაწმინდის პანთეონში დაკრძალული, 80 წლის ბაჩანა ბრეგვაძის გარდაცვალებიდან 40 დღე გავიდა. ამ დღესთან დაკავშირებით, მეგობრის პორტრეტის „დასახატად“, სწორედ ბატონ ზურაბს მივმართეთ.

■ ხშირად გულისტკივილით იტყოდა: კი, მაგრამ სჭირდება ვინმეს, რასაც მე ვაკეთებო?

დეგად მოამზადა. ბაჩანა ბრეგვაძე თარგმნიდა ძველბერძნული, ლათინური, იტალიური, ფრანგული, ესპანური, გერმანული, პორტუგალიური, რუსული ენებიდან. მართალია, ჩვენში ადამიანებს მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ აფასებენ, მაგრამ ბაჩანა ბრეგვაძის ღვაწლს მის სიცოცხლეშივე გაეცა ხაზი. სხვადასხვა წელს მიღებული აქვს ჯილდოები: ივანე მაჩაბლის, ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის და დავით აღმაშენებლის პრემიები, ორგზის იყო „საბას“ მფლობელი — ერთხელ, როგორც მთარგმნელი და და მეორედ — „ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“ ნომინირებული. ასევე, ორჯერ დააჯილდოეს ღირსების ორდენით.

ზურაბ კიკნაძე: — კარგად მახსოვს მასთან პირველი შეხვედრა, მაგრამ არ მახსოვს, დათო წერედიანმა გამაცნო თუ ემზარ კვიციანიშვილმა ან ორივემ ერთად. 1958 წელს ბაჩანა ჯერ კიდევ სტუდენტი იყო. ასე მახსოვს, ვერაზე, „კომუნისტის“ რედაქციასთან ვიდექით და ვსაუბრობდით რამდენიმე მეგობარი. ჩვენ ხომ იმხანად ქუჩებში ვხვდებოდით ერთმანეთს, დავსეირნობდით რუსთაველზე, წინ და უკან, ვერადან „ერევნის მოედნამდე“, მერე ისევ მოედნიდან ვერამდე და ა.შ. ეს ერთგვარი რიტუალი იყო. ქუჩაში ამ სეირნობების დროს ვეცნობოდით ერთმანეთს. ჰოდა, იდგა ყმანვილი ბაჩანა თავის მეგობრებში, ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს, დავილაპარაკეთ საერთო ინტერესებზე. აღ-



ქართველი მკითხველი მისგან დავალებულია

მოჩნდა, რომ მან იცოდა სასაუბრო ესპანური, რაც მაშინ იშვიათობა იყო. საიდან იცოდა? — ნაძალადევაში, მის მეზობლად სამოქალაქო ომს გამორიდებული ესპანელთა ოჯახები ცხოვრობდნენ და იმ აბრეშუმის ფაბრიკაში მუშაობდნენ, ახლა რომ დანგრევის პირასაა... სახელიც კი მახსოვს მისი ესპანელი მეგობრის — ფერნანდესის! ესპანურის ცოდნამ, იტალიური ენის სწავლა გაუადვილა, იტალიურმა — ლათინური, რომლის შესწავლას სტუდენტობისას შეუდგა და ასე ძველბერძნულამდე მივიდა. რაც ისწავლა, საკუთარი ინიციატივით, მონდომებით, არავის წინაშე ვალდებულებით! რამდენადაც მახსოვს, მასწავლებელი არც ერთ ენაში და არც ერთ საგანში არ ჰყოლია, ყველაფერში თვითნასწავლი გახლდათ... ეგვიპტურ ენაშიც მოსინჯა ძალები. ეს ის პერიოდი იყო, როცა იმდენად დავახლოვდით, რომ თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ჩემს ბინაში, ვერაზე და თითქოს, ანგარიშს მაბარებდა ხოლმე, თუ რამდენად წაინია წინ იეროგლიფების შესწავლაში. ახლაც თვალწინ მიდგას ფაქიზი კალიგრაფიით ავსებული მისი რვეული.

— პრესითა და ტელევიზიით არ ჩანდა. ამიტომ, ბევრმა მისი გარდაცვალების შემდეგ შეიტყო, თუ ვინ იყო ბაჩანა ბრეგვაძე. საინტერესოა, როგორი პიროვნება იყო, რა უხარობა და რა სწყინდა?

— თავის გამოჩენა რომ ჰყვარებოდა (ეს არც იყო მიღებული ჩვენს წრეში), მაშინ ბაჩანა — ბაჩანა აღარ იქნებოდა! ოფიციალურობა, თავის გამოჩენა არ უყვარდა, ყურადღების ქვეშ ყოფნას გაუბოდა. არ მახსოვს, ოდესმე თავისი წიგნის პრეზენტაცია მოეწყოს, წიგნები კი დროთა განმავლობაში მომრავლდა, თითქმის ყოველ წელს ახალი წიგნი იბეჭდებოდა. ვერ ვიტყვი, რომ განდევნილი ცხოვრობდა ან არ აინტერესებდა მკითხველის აზრი. პოლიტიკაშიც კარგად ერკვეოდა. ახლო ნაცნობ-მეგობრების საზოგადოება, მხიარული თავყრილობები უყვარდა. არასდროს გაუბოდა სუფრას, ლხინს... მაგრამ მაინც, განმარტოებას ამჯობინებდა ხოლმე. ბევრი რამ ჰქონდა მოსასწრები, ისეთი ფართო იყო მისი ლიტერატურული თუ ფილოსოფიური ინტერესების წრე. ბევრი გააკეთა, მაგრამ ბევრიც ვერ მოასწრო.

— ქართველი მკითხველი მისი მადლიერი უნდა იყოს. ოდესმე, თუ უთქვამს საყვედური იმის გამო, რომ მისი გზა არ იყო ია-ვარდით მოფენილი?

— ალბათ, გულნაკლული წავიდა ამ სოფლიდან. ხშირად გულისტკივილით იტყოდა: კი, მაგრამ სჭირდება ვინმეს, რასაც მე ვაკეთებო? ეჩვენებოდა, რომ საზოგადოება გულგრილი იყო მისი შემოქმედების მიმართ. ამაში ცდებოდა, ცხადია. მისმა გარდაცვალებამ საზოგადოებას აჩვენა მისი შემოქმედების მასშტაბი და აუცილებელი საჭიროება. ის თითქოს, თავისი „ჭიის გახარებისთვის“ იღვწოდა, მაგრამ შედეგი გლობალური იყო.

— იქნებ მისი მეუღლე და შვილებიც გაგვაცნოთ. რომელიმე ოჯახის

წევრი მის საქმიანობას ხომ არ აგრძელებს?

— მოხდა ისე, რომ მომავალ მეუღლეს — ლია იმერლიშვილს, განათლებით ანგლიცისტს, კვალიფიციურ რედაქტორსა და შესანიშნავ მთარგმნელს (მისი თარგმნილია ჯოისის „დუბლინელები“), ბაჩანა მისმა პირველმა წიგნმა, პლატონის „ნადიმმა“ შეახვედრა. ლია მისი რედაქტორი იყო. ორი ქალიშვილი შეეძინათ: ქეთევანმა ფილოლოგიის ფაკულტეტის კლასიკური ენებისა და ლიტერატურის განყოფილება დაამთავრა... ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს. უმცროსი — ანი მუსიკოსია და მუსიკალურ რადიოგადაცემებს უძღვებოდა. მას სამი შვილი ჰყავს: ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი.

— სად და რა გარემოში გაატარა ბავშვობის წლები?

— რაჭის მაღალმთიან სოფელში, ამჟამად დაცლის პირას მისულ სხვაგვარი დაიბადა. მამა იოველი სამამულო ომში დაეღუპა. დედა თბილისში ზრდიდა, ხოლო ზაფხულს სოფელში, მამიდებსა და ბაბუასთან ატარებდა, რომელმაც ასწელს მიატანა. ბაჩანას მამისგან სიღინჯე გამოჰყვა, მეგრული დედისგან კი ფიცხი ხასიათი. ეს ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ტემპერამენტი როგორღაც თავსდებოდა მის პიროვნებაში. რაჭულმა ხასიათმა განსაზღვრა არა მხოლოდ მისი შრომისმოყვარეობა და გამძლეობა, არამედ ინტერესთა სტაბილურობა იმ სფეროში, რომელიც მან სიჭაბუკიდანვე აირჩია... როცა სხვაგვარი სტუმრობისას მისი ბაბუა, გედეონი გავიცანი, მივხვდი, რომ ბაჩანა ენისადმი თავის დამოკიდებულებაში წინაპრისგან იყო

დავალებული. ვისმენდი ბაბუამისის დინჯ, მწყობრ საუბარს ტკბილ დიალექტზე, რომელიც ბაჩანას თარგმანებში, განსაკუთრებით — „პლატონის დიალოგებში“, ბრწყინვალე სალიტერატურო ენად გარდაიხსნა.


— თავისი თარგმანებიდან „პატარა უფლისწული“ ძალიან უყვარდა. ასეთივე დამოკიდებულება კიდევ რომელიმე ნაწარმოებისადმი თუ ჰქონდა?

— არასოდეს დამისვამს მისთვის ასეთი კითხვა და არც ვიცი, რომელი ნამუშევრით ამაცობდა. მე მხოლოდ ჩემი გადასახედიდან შემიძლია ვილაპარაკო. თუ გადავხედავთ მის შემოქმედებას, მაინც „პლატონის დიალოგები“ უნდა დავასახელო და ვგონებ, დამეთანხმებოდა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, თავისი შემოქმედების მწვერვალს მიაღწევდა, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ რომ ეთარგმნა, რომლის ტექსტი შესანიშნავად იცოდა და დანტეს მისთვის პოეზიის მწვერვალი იყო, სიმბოლო ევროპული კულტურისა, რომელსაც ეთაყვანებოდა. აი, სად გამოჩნდა მისი ფიცხი ტემპერამენტი:

ერთხელ ცნობილი პროფესორი დანტეზე მოხსენებას კითხულობდა. მომხსენებელმა ისე წარმართა ლექცია, რომ რუსთაველის ქების ექსტაზში დანტე მის ჩრდილქვეშ მოაქცია. უნდა გენახათ ბაჩანას გამძვინვარება. გვერდით ვუჯექი და დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ მისი აღშფოთება მომხსენებელს არ შეემჩნია. რუსთაველის რასაწინააღმდეგო უნდა ჰქონოდა, მაგრამ დანტეს „დამცირება“ მისთვის აუტანელი იყო. „ღვთაებრივი კომედია“ რომ ეთარგმნა, თარგმანზე დართული კომენტარები და ნარკვევი (ესსე) მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებოდა ქართული კულტურისთვის.

— ამიერიდან, როცა ის გაგახსენდებათ, რა გაიელვებს გონებაში პირველი?

— ბევრი რამ გამახსენდება. განსაკუთრებით, ჩვენი დაახლოების პირველი ხანები, აზრთა გაზიარებაში თუ „სამკვდრო-სასიცოცხლო“ კამათში გატარებული საღამოები ჩემს ბინაში, სადაც ძმასთან ერთად ვცხოვრობდი... და ალბათ, ამიერიდან ხშირად გამახსენდება უკანასკნელი სატელეფონო საუბრები, მის დაღლილ ხმაში რაღაც შემფოთება რომ იგრძნობოდა, რაღაც ეგზისტენციური შიში ყოფიერების წინაშე... ნუგეში კი არ იყო.



ზურაბ კიკნაძე

„ადამიანების თანადგომამ ფაქტობრივად, სიცოცხლე დამიბრუნა...“

ჰენსიონერი, რომელსაც პოლიტიკოსები სწყალობენ

„მინდა, მოგიხროთ იმ ადამიანებზე, რომლებმაც მე, გაჭირვებულს, სრულიად უცნობს დახმარების ხელი გამომიწოდეს; მხარში ამომიდგნენ როგორც მატერიალურად, ასევე — მორალურად და ჩემი გასაჭირი, როგორც შეეძლოთ, გაიზიარეს“, — 68 წლის ქალბატონმა ზეინაბმა წერილი გამოგვიგზავნა, რომელიც რამდენიმე სახელმწიფო მოხელის ქება-დიდებათი გახლდათ სავსე. მძიმე ცხოვრება გამოვლილ ქალს, როცა ყველაზე მეტად გაუჭირდა, სწორედ მაშინ გადაწყვიტა, სახელმწიფო დახმარების სიკეთით ესარგებლა, მაგრამ სოციალური დახმარება არ მისცეს მხოლოდ იმიტომ, რომ თურმე, ისეთ თავშესაფარში ცხოვრობდა, სადაც არანაირი საცხოვრებელი პირობა არ იყო და აგენტები ვერაფრით დაარწმუნა იმაში, რომ ასეთ თავშესაფარში ათენ-ალამებდა დღეებს, თანაც, წლების განმავლობაში...

ლიკა ქაზანი

ქალბატონი ზეინაბის წერილს მცირედენი შემოკლებით ვთავაზობთ: „ჩემი ცხოვრება ძალიან მძიმე იყო და არის ახლაც. 35 წლის ქალს შვილი მომიკვდა. მასზე დარდს 4 თვეში მამამისიც შეეწირა. დავრჩით მე და ჩემი უფროსი ვაჟი, რომელიც მაშინ 16 წლის იყო. რაც შეეძლო, ყველაფერს ვუსრულებდი — მის გარდა, აბა, ვისთვის ვცხოვრობდი?! ერთ დღეს მითხრა: საქართველოდან ლენინგრადში, ექსკურსიაზე მივდივართ და გამიშვიო. უარი ვერ ვუთხარი, გული არ დავწყვიტე. საქართველოდან წასული, ავარიაში მოყვა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. სასწრაფოდ, ლენინგრადში გადავფერინდი. ერთი თვის განმავლობაში ებრძოდა სიკვდილს, მაგრამ გადარჩა ნახევრად ინვალიდი. დაზიანებული აქვს ყურის ბარბანი და თავის ტკივილები დღესაც არ ასვენებს. მის ჯანმრთელობაზე ზრუნვას შეენირა ჩვენი საცხოვრებელი ბინა, რომელიც

ვალების გამო გავყვიდე და ცოტაოდენი დარჩენილი ფულით ჯიხურის ტიპის, პატარა ფართობი შევიძინე. იქ წლების განმავლობაში ვცხოვრობდი შვილთან და შვილიშვილებთან (2 შვილიშვილი მყავს) ერთად. მერე, ვინაიდან საშინელ პირობებში გვიწევდა ყოფნა, ისინი ცალკე გადავიდნენ, რაღაც თავშესაფარი იშოვეს, მე კი დავრჩი ჩემს სახლში. მართალია, არანაირი ადამიანური პირობები არ მქონდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ჩემი გახლდათ და ქირას არავის ვუხდოდი...

ეს საცხოვრებელი „ნაციონალების“ დროს ვერ გადავიფორმე, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ დამიკანონა დიდი წვლების შემდეგ. მინდა, მაღლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც დახმარების ხელი გამომიწოდა. ვარ მეოთხე სტადიის ონკოლოგიური ავადმყოფი და ვიდრე ამქვეყნად ვსუნთქავ, არ მინდა, უმადური ქალის სახელი მქონდეს. ეს ადამიანები არიან, პირველ რიგში, „ნაციონალებიდან“ დათო გელაშვი-



ჩემს სახლში საოცარი სინესტეა

ლი — ვაკე-საბურთალოს რაიონის ყოფილი გამგებელი, რომელმაც გულთან მიიტანა ჩემი გასაჭირი და ყველანაირად მხარში მედგა. არ გამორჩენია არც ერთი დღესასწაული, რომელიც არ მოულოცავს და პროდუქტებითაც ახარებდა ჩემს პატარებს. ახლაც, ისე არ გავა თვე, რომ ჩვენი ამბავი არ იკითხოს.

ასევე, მაღლობას გადავუხდი ირაკლი შიხიაშვილსა და ბესო ბენდელიანს — საკრებულოდან, რომლებმაც დიდი სიკეთე გააკეთეს ჩემთვის. ირაკლისთან მიღებაზე რომ მივედი (მაშინ საკრებულოს თავმჯდომარე იყო), ჩემი „გაუბედურებული“ ფეხები რომ დაინახა, მითხრა: თუ ოპერაციის გაკეთება შეიძლება, დღესვე გაარკვიეთ და მთელ თანხას ჩაგირიცხავთო. წამლებისთვის კი მერიამი, ვინმე სანიკიძეს დაურეკა, მერე გამოიძახა მძლოლი, საკუთარი ჯიბიდან მომცა სახარჯო ფული და



დავით გელაშვილი, იგივე ფიშტო 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო — საბურთალოს რაიონში იყრიდა კენჭს. მაშინ მისი კონკურენტები იყვნენ: „რესპუბლიკელი“ თინა ხიდაშელი და „ქრისტიან-დემოკრატებიდან“ — ზაზა გაბუნია. საბურთალოს საარჩევნო უბანზე დავით გელაშვილმა 8345 ხმით გაიმარჯვა.

გასულ წელს, უკვე ყოფილი დეპუტატის სახელი ინტერნეტ-საიტებზე გამოჩნდა. როგორც მე-

დიასამუალებები წერდნენ, დავით გელაშვილმა არყის გამოსახდელი აპარატის აფეთქების შედეგად, სხეულის დამწვრობა მიიღო. ეს შემთხვევა მის აგარაკზე მოხდა. როგორც მაშინ მისი მკურნალი ექიმი, გუფა ქაშიბაძე ამბობდა: „დავითი აგარაკზე არაყს ხდიდა, როცა არყის გამოსახდელ აპარატს ხუფი აეხადა და აფეთქდა. იქვე ბავშვებიც თამაშობდნენ და ჩემი მეგობარი ამ ყველაფერს გადაეფარა, რის გამოც, სხეულის დამწვრობა მიიღო... ის მკურნალობას უკვე სახლში აგრძელებს...“

შემდეგ, მძლოლს დაავალა, — სადაც საჭირო იქნება, ყველგან მიიყვანე და მერე შინ მიაბრძანეო. გაოგნებული ვუსმენდი ამ ადამიანს. ასევე, უნდა ვახსენო საკრებულოს დეპუტატი ბესო ბენდელიანი, რომელმაც კეთილი ნება გამოიჩინა და გარდა იმისა, რომ ხსენებული ფართობის დაკანონებაში დამეხმარა, თავად, საკუთარი ხელფასიდან გადაიხადა ამისთვის საჭირო თანხა — 300 ლარი. ამის შემდეგ არ გასულა თვე, რომ არ მომიკითხოს, ადამიანურად არ გამაძლიეროს და ხვალინდელი დღის იმედი არ მომცეს.

ასევე, გავიცანი უმშვენიერესი ქალბატონი შორენა ბუხრაშვილი, რომელიც ჩვენი უბნის დეპუტატი ყოფილა. მირჩიეს, მენახა ყველას ხელის გამწვდომი ქალბატონი. მას მივაკითხე და ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა — ის დღემდე ზრუნავს ჩემზე.

გიზო ვასაძესა და გოგა ფარნაზიშვილს მადლობა იმისთვის, რომ სინესტიდან გამომიყვანეს და ბინა მიქირავეს. ასევე, მადლიერი ვარ დათო ნარმანიასი: ის ვაშლიჯვარში, თარაშ ემხვარის ბიუსტის გახსნის დღეს ვნახე კვირას და პარასკევს უკვე, 500 ლარი დამერიცხა ანგარიშზე. ასევე, რომ არა კახა კალაძე, ვერც დენის ფულს გადავიხდიდი და ვერც ნამლებს შევიძენდი.

ვინ იცის, იქნებ ეს წერილი მათდამი სიყვარულის გამოხატვის ბოლო შესაძლებლობა იყოს ჩემთვის. დაე, იცოცხლონ და იბედნიერონ. რაც კი სიკეთე აკეთონ, ყველა წინ დახვედროდეთ...

წერილის ბოლოს ტელეფონის ნომერი იყო მითითებული. ქალბატონ ზეინაბს დავურეკე და ვუთხარი, რომ მისთვის რამდენიმე კითხვის დასმა მინდოდა. მეორე დღეს რედაქციაში გვესტუმრა: ცუდად კი ვარ, მაგრამ სიარული ჯერ კიდევ შემიძლიაო.

— წლების წინ კარგი ცხოვრებით ვცხოვრობდი, მაგრამ მერე აირია ყველაფერი. როგორც მოგწერეთ, ჩემს ვაჟს თავის ტკივილები აქვს. მისთვის რომ მემკურნალა, სახლი გავყიდე და ვიყიდე ფართობი, რომელიც დამოუკიდებლად, მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ გადავიფორმე. მხოლოდ ირაკლი შიხიაშვილისა და ბესო ბენდელიანის წყალობით მაქვს დღეს შენობა, საიდანაც ვერასდროს ვერავინ გამომაგდებს.

— ნაყიდი ფართობის თქვენს სახელზე გაფორმების პროცესი რატომ გართულდა?

— ვიყიდე შენობა, რომელიც თვითონ მესაკუთრეს არ ჰქონდა ოფიციალურად დამტკიცებული ანუ

არ ინერვიულოო. ვკითხე: ხომ ჩემი შვილის სახელზე გააფორმეთ-მეთქი? — არაო. თურმე, დაავიწყდა, ეს რომ



იქნებ ეს წერილი მათდამი სიყვარულის გამოხატვის ბოლო შესაძლებლობა იყოს ჩემთვის

გამოდის, ჰაერი ვიყიდე და შესაძლებელი იყო, ვინმეს გამოვეგდე კიდეც იქიდან. მახსოვს, მაშინ შიხიაშვილი საკრებულოში ახალი მისული იყო და ხუთშაბათობით ჰქონდა მიღების დღე. იქ მისულს, უამრავი ხალხი დამხვდა. ღამის 12 საათამდე მეც ვიდექი რიგში, მერე ხალხს შევეცოდე და რიგი დამითმეს, როგორც მძიმე ავადმყოფს. შევედი ირაკლის კაბინეტში და ჩემი გასივებული ფეხი რომ დაინახა, გადაირია კაცი. მითხრა: დეიდა, შენ შენს შვილს და შვილიშვილებს ჯანმრთელი სჭირდება. თუ ოპერაციას გაგიკეთებენ, აუცილებლად გამოვყოფთ თანხას თქვენს დასახმარებლადო. მერე მძლოლს დაურეკა, ჩამსვა მანქანაში და გამიშვა ჩემს მკურნალ ექიმთან, რომელმაც მითხრა: ოპერაციას ვერ გაგიკეთებ. რომ გაგჭრა, მაგიდაზე დარჩებოდა. მოკლედ, ოპერაცია არ გაკეთდა და ტყუილად ვინ დამისვამდა თანხას ანგარიშზე? სამაგიეროდ, შიხიაშვილი დამეხმარა იმაში, რომ ბესო ბენდელიანთან გამგზავნა, — იმას აუხსენი შენი მდგომარეობა და თუ კანონის ფარგლებში რაიმეს გაკეთება შეიძლება, აუცილებლად გაგიმართავს ხელსო. ბესომ საბუთები დამატოვებინა, — ამ საქმეს განვიხილავთ და დაგიკავშირდებითო. ვთხოვე, ძალიან ცუდად ვარ და თუ შესაძლებელი იქნება, ჩემი შვილის სახელზე გააფორმეთ-მეთქი. დაახლოებით 2 კვირის მერე დამირეკა და გახარებულმა მითხრა: დეიდა, დაგიმტკიცეს ეს ფართობი, ოღონდ, სიხარულისგან გული არ გაგისკდეს,

ვთხოვე. მაინც, მადლობა გადავუხადე და დავკიდე ყურმილი. ცოტა ხანში თავადვე დამირეკა: დეიდა, საჯარო რეესტრიდან იყვნენ ახლა ჩემთან და სახლის თქვენს შვილზე გადაფორმება მოხერხდება, ოღონდ, 300 ლარის გადახდა მოგიწევთო. თან გამიხარდა და თან, საგონებელში ჩავვარდი, — ეს თანხა როგორ მეშოვა? ვკითხე, ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდა თუ არის შესაძლებელი-მეთქი? შენუხდა: არა, ასე არ გამოვა. არ ვიცი, რა მოგიხერხო. მოდი, ვინმეს გამოართვი თანხა და ხელფასს რომ ავიღებ, მე გადავიხდიო. გეფიცებით ორ შვილიშვილს, სიტყვასაც არ ვამბობ ტყუილს. ჰოდა, გამოიარა ერთ დღეს ჩემთან, არ მაკადრა ფულის მოცემა, დამელაპარაკა, მომიფერა და წავიდა. იმ დროს ჩემთან ამხანაგი ქალი იყო და იმან მითხრა, — მგონი, რალაც დატოვაო. ვნახე და თანხა დამხვდა. ჰოდა, ადამიანს ასეთი საქციელი არ დავუფასო? მადლობა არ გადავუხადო, გაჭირვებაში მყოფ, სრულიად უცნობ ადამიანს ასე რომ დამეხმარა?

— ახლა თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა როგორია?

— ხომ ხედავ, ფეხი როგორი შესივებული მაქვს, მაგრამ ეს არაფერია, ახლა კიდევ დამცხრაღია. მეოთხე სტადიის სიმსივნე დამიდგინეს. მკურნალობის კურსი ჩავიტარე ჩინელებთან, ნემსებით სულ დამწვლიტეს, მაგრამ ამას რას დავეძებ, ახლა უკეთ ვარ და სიარულიც შემიძლია... ნამლების შესაძენად საშუალება რომ არ მქონდა, მირჩიეს, დახმარება დეპუტატ შორენა ბუხრაშვილისთვის

მეთხოვა. მასთან მივედი, ყველაფერი ვუამბე. მისი კაბინეტიდან გამოსული, სახლისკენ წავედი. შინ მისულიც არ ვიყავი, ტანსაცმელი, საჭმელი რომ მომიტანეს. შორენამ მითხრა, უყურადღებოდ არ დაგტოვებო და სიტყვა შეასრულა კიდევც...

— **სოციალურ დახმარებაზე უარი რა მიზეზით გითხრეს?**

— ვინაიდან და რადგანაც, იმ შენობაში, სადაც ვითომ ცხოვრობთ, საცხოვრებელი პირობები არ არის, ვერ დაგეხმარებო.

— **ეს რას ნიშნავს?**

— ალბათ, არ დაიჯერეს, რომ იქ ღამეს ვათევდი. ჰოდა, აგენტს ვუთხარი, — საცხოვრებელი პირობები რომ გაუსაძლისია, ამიტომაც გთხოვთ დახმარებას, თორემ მათხოვარი კი არ ვარ. 11 წელია, აქ ვცხოვრობ. გამოკითხეთ მეზობლებს, გამვლელებს და ყველა დაგიდასტურებთ, რომ დღე და ღამე აქ ვარ-მეთქი. ხალხის გამოკითხვით თავი არავის შეუნუხებია.

ჩემს სახლში საოცარი სინესტია. ცალკე მდგომი შენობაა, მაგრამ მისი ყიდვა მიღირდა: ქირის გადახდას ხომ ჯობდა იქ ცხოვრება? ირგვლივ კორპუსები... სოციაგენტმა მიჩნია, — ბინა იქირავებთ და დახმარებას მერე მოგცემენო. ქირის გადახდის თავი რომ მქონოდა, მათი დახმარება რაღაში მჭირდებოდა? მერე გამგეობაში მივედი და ავუხსენი სიტუაცია. ვასაძემ გა-

მოიკითხა, ვინ ვიყავი, კონკრეტულად სად ვცხოვრობდი. ბოლოს მითხრა, — საბუთები მოიტანე და ჩათვალე, რომ საქმე გაკეთებულია, ბინას ჩვენ გიქირავებთ, მერე კი სოციალური სააგენტოდანაც მოვლენო. ამ ადამიანების თანადგომამ მე ფაქტობრივად, სიცოცხლე დამიბრუნა.

— **რა გითხრეს, როდემდე გადაგისდიან ბინის ქირას?**

— ალბათ, სანამ ცოცხალი ვარ, არ გამინრავენ (ილიმის). ახლა ველოდები, როდის დადგება სექტემბერი, რომ სოციალური სააგენტოდან ისევ მოვიდნენ შემონმებაზე.

— **ოჯახის წევრები ახლა თქვენთან ერთად ცხოვრობენ?**

— არა, ჩემი შვილი მეგობრებმა საზღვარგარეთ წაიყვანეს, სამკურნალოდ. ჯერ არ ვიცი, უცხოელი ექიმები შეძლებენ კი მის სრულად განკურნებას? ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს და მერე ვინძლო, სულაც არ დამჭირდეს დახმარება; ჩემი შვილი თუ შეძლებს მუშაობას, ყველაფერი კარგად იქნება... ჰო, ჩემი სახლი გავაქირავე. ვულკანიზაცია გახსნეს და ახლა პურის ფულიც მაქვს.

— **არ ფიქრობთ, რომ სხვებისგან განსხვავებით, თქვენ გაგიმართლათ?**

— კი და მეც სულ ამას ვამბობ... ისე, სადაც მივსულვარ, ყველგან მესმის მთავრობის ან ოპოზიციის ლანძღვა-გინება. ასე მეც რომ გამოანძლოს

ვინმე, არაფრით დავეხმარები. ჩვენ, ადამიანებმა ადამიანურობა არ უნდა დავკარგოთ! ისტერიკას თუ მოაწყობ, ამით თავს ვერავის შეაყვარებ. არ ვიცი, ჩინოვნიკები სხვებს რამდენად ეხმარებიან, მაგრამ ჩემს შემთხვევაში რაც მოხდა, უკვე გაიმბეთ... ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ერთხელ, როცა დავით ნარმანია თარაშ ემხვარის ბიუსტის გასახსნელად მივიდა, მას შევხვდი, მოკლედ ვუამბე ჩემ შესახებ და დახმარება ვთხოვე. ეს იყო კვირა დღეს. ორშაბათს შემოიტანე განცხადებაო, — და პარასკევს უკვე გამოყვეს თანხა ჩემს დასახმარებლად. ასევე, კახი კალაძის სახელზე წერილი დაგტოვე სამინისტროში და რამდენიმე დღეში დამირეკეს, — კახი გაითვალისწინა თქვენი მდგომარეობა და დაგეხმარებათო. ასეა, ადამიანების მხარში დგომას რომ იგრძნობ, სულ სხვანაირი სიტუაცია გეცხვება გულში. შეიძლება, პოლიტიკოსებს ბევრი რამ ემღობათ, მაგრამ სიკეთის კეთების უნარი რომ აქვთ, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, უშეცდომო ადამიანი კი ამქვეყნად არ მეგულება.

P.S. „გზა“ გაძლევთ შანსს, თქვენც გახდეთ ჩვენი რესპონდენტი! თუ საკუთარი საინტერესო თავგადასავლის მოყოლა გსურთ, მოგვწერეთ ტელეფონის ნომერზე: 5(58) 25.60.81 ან მიელზე: lika.qajaja@gmail.com



გასულ წელს პოლონეთში, მსოფლიო ვეტერანთა ფედერაციის 28-ე გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე, რომელზეც არჩეულ იქნა ფედერაციის ახალი პრეზიდენტი და მმართველი საბჭო, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი, ირაკლი შიხიაშვილი სიტყვით გამოვიდა და აღნიშნა:

„ვეტერანი ომის პროდუქტია, მაგრამ ის არასდროს ინყებს ომს. ის ყოველთვის წინ აღუდგება ნგრევას, მონობას და უზნეობას. ყველაფერი იმას, რაც ხელს უშლის, აფერხებს

ჩვენი მომავალი თაობების ღირსეულ აღზრდასა და განვითარებას, ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!..

მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყანა არსებობის რამოდენიმე ათასწლეულს ითვლის. იგი ძალიან ლამაზია. ალბათ, ეს იყო მთავარი მიზეზი და რა თქმა უნდა, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა კავკასიაში, რომ უხსოვარი დროიდან მას თავს ესხმოდა ურიცხვი მტერი. მაგრამ ჩვენი ერი მუდმივად გამირულად იცავდა სამშობლოს თავისუფლებას. იყო დაღმართი, იყო აღმართი! თუმცა, ავად თუ კარგად, ჩვენ — მცირერიცხოვანმა, მებრძოლმა და სტუმართმოყვარე ერმა, შეუპოვარი ბრძოლითა და შრომით, თავი გადავირჩინეთ და დღემდე მოვდით!

200-წლოვანი რუსეთის იმპერიული ძალების და ასევე, ბოლშევიკური ბატონობის შემდეგ, თავი გავითავისუფლეთ და სულ 25 წელია, რაც დამოუკიდებლად ვაშენებთ ჩვენს

ქვეყანას, როგორც ცივილიზებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოს!

თუმცა, ეს პროცესი სამწუხაროდ, უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა. გვინევდა სულიერი, ეროვნული, კულტურული ღირებულებების დაცვა და გადარჩენა. საშინაო თუ საგარეო მტრების შემოტევების მოგერიება და დღესაც გვინევს შეურიგებელი ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. და ჩვენ აუცილებლად აღვადგენთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. აუცილებლად გამოვნახავთ საერთო ენას, ჩვენს ეთნიკურ ძმებთან, იმიტომ, რომ ტერიტორიის დაბრუნება, ჩვენი ძმების გარეშე არ გეჭირდება და დიდი იმედი მაქვს სწორედ თქვენი, მშვიდობისათვის მებრძოლთა თანადგომის! რომ სხვათა დაწყებული ომი, კონფლიქტი, მშვიდობის გამარჯვებით დავასრულოთ!

ჩვენს ქვეყანაში 75 000-მდე ვეტერანია...“



ბეინ პარი

შარლოტა ბრონტე

დასაწყისი ის. „გზა“ №6-11

თამარ მაღრაქისა და ზეინაზ ხასანაშვილის
თარგმანი

თავი მეცხრა

ნახევრად შიმშილობამ და საშინელმა სიცივემ წინასწარი პირობები შექმნა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას გადამდები სნეულება სწრაფად მოსდებოდა. ავადმყოფობამ ოთხმოცი ბავშვიდან ერთდროულად ორმოცდახუთი ჩააწვინა. მეცადინეობა შეწყდა. სასწავლებელში გამეფებულ წესრიგს აღარავინ იცავდა, ხოლო ის აღსაზრდელები, რომლებიც ჯერ კიდევ კარგად იყვნენ, დიდი თავისუფლებით სარგებლობდნენ. ექიმი დაჟინებით მოითხოვდა, რომ კარგად მყოფ ბავშვებს ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად მეტი დრო სუფთა ჰაერზე გაეტარებინათ. ასეც რომ არ ყოფილიყო, არავის ჰქონდა დრო ჩვენთვის თვალი ედევნებინა ან ოთახებში გამოვეკეტეთ. მის ტემპლს მთელი ყურადღება გადატანილი ჰქონდა ავადმყოფ ბავშვებზე. მთელ დღეებს მათთან ატარებდა და ლაზარეთიდან, რამდენიმე საათით მოსასვენებლად, მხოლოდ ღამით გამოდიოდა. მასწავლებლები საქმეს ვერ აუდიოდნენ.

ისინი ბარგს ულაგებდნენ და გასამგზავრებლად ამზადებდნენ ბავშვებს, რომელთაც, საბედნიეროდ, გამოუჩნდნენ ნათესავები და მეგობრები და იკისრეს, მოცილებინათ ისინი ამ გადამდები სენით მონამლული ადგილისთვის. მრავალ მათგანს უკვე შეყროდა სენი და შინ მხოლოდ იმიტომღა გაემგზავრა, რომ იქ დაეღია სული. ზოგმა წასვლაც ვეღარ მოასწრო — ლოვუდშივე გარდაიცვალა. ისინი იქვე დამარხეს სწრაფად და ყველასგან შეუმჩნევლად. გადამდები სნეულების ბუნება ვერავითარ დაყოვნებას ვერ ითმენს. ამიტომაც ლოვუდში სენმა ძლიერ მოიკიდა ფეხი და სიკვდილიც მისი ხშირი სტუმარი გახდა.

ლოვუდში მხოლოდ შიმშია და სევდამ დაისადგურა. ოთახები და დერეფნები საავადმყოფოს სუნიტ გაიჟლინთა. ნამლებითა და სამკურნალო სურნელოვანი აბების ახრჩოლებით ამაოდ ცდილობდნენ სიკვდილიანობა დაეძლიათ. ამ დროს ლოვუდის კედლებს იქით, ციცაბო გორაკებსა და ტყით დაფარულ, თვალწარმტაც ადგილებში უღრუბლო მაისი ბრწყინავდა. სასწავლებლის ბაღი ათასფრად გადაშლილ ყვავილებში ჩაფლულიყო.

ყვაოდა გათამამებული და ხის ტოტებივით რტოებ-
გაშლილი ნითელი ბალბა, შროშანი, ვარდი და ტიტა.
ნითლად და ვარდისფრად აყვავებული ზიზილები
არშისასავით შემორტყმოდა პატარ-პატარა კვლებად
დაყოფილ ადგილს. დილა-საღამოობით ასკილის ყვავი-
ლები ჰაერში აფრქვევდნენ ახალგაშლილი ვაშლის
ყვავილების მსგავს სურნელებას. ლოვუდის აღსაზ-
რდელთა უმრავლესობა უკვე ველარ ტკბებოდა ამ სა-
ამო სურნელებით. ამ ყვავილებითა და მწვანე ბალახით
ახლა მხოლოდ გარდაცვლილთა კუბოებს ამკობდნენ.

ბუნების ასეთ თვალწარმტაც სიმშვენიერეს სრულ-
ყოფილად მხოლოდ მე და ის ბავშვები შევიგრძნობ-
დით, რომელნიც ავადმყოფობას გადავურჩით. ნება
დაგვრთეს და ჩვენც დილიდან საღამომდე ტყეში
დავეხეტებოდით. რაც გვსურდა, იმას ვაკეთებდით,
სადაც გვინდოდა, იქ მივდიოდით და უკეთესადაც
ვცხოვრობდით. მთელი ამ ხნის განმავლობაში მისტერ
ბროკლეჰერსტი და მისი ოჯახის წევრები ლოვუდს
ახლოსაც არ გაჰქარებიათ. არც მის საშემოსავლო და
საყოფაცხოვრებო საკითხებში ერეოდნენ. გადამდები
სნეულების შიშმა ანჩხლი და გულბოროტი ეკონომიკა
გააქცია; მის ადგილზე ახალდანიშნულ, ლოუტონის
ლაზარეთიდან გადმოსულ მწე ქალს მისთვის არ მი-
უბაძავს. ის მეტი თავისუფლებით სარგებლობდა და
უფრო გულუხვადაც გვიმასპინძლდებოდა. ისიც უნდა
ითქვას, რომ ბავშვები, რომელთაც ჭამის მადა შეგ-
ვრჩა, ძალიან ცოტანილა დავრჩით. ავადმყოფებს ხომ
სულ მცირე ულუფაც ჰყოფნიდათ. აი, ალბათ, ეს იყო
მიზეზი, რომ საუზმისთვის განკუთვნილ ჯამებს ახლა
პირამდე გვიცვებდნენ. მახსოვს, ხშირად დრო არ რჩებ-
ოდათ, რომ ჩვენთვის საუზმე მოემზადებინათ. ასეთ
შემთხვევაში მოზრდილ ნაჭრებად დაჭრილ ღვეზელს
ან პურსა და ყველს გვირიგებდნენ. ჩვენ თან მიგვქონ-
და, ტყეში. იქ თითოეული ჩვენგანი თავისი ამორჩეული
ადგილისკენ მიეშურებოდა და საუზმობდა. მეც მქონ-
და ჩემი საყვარელი ადგილი. ეს გახლდათ მდინარის
შუაგულში ბრტყელზედაპირიანი, თეთრი და მშრალი
ლოდი. ქვასთან მისასვლელად ფეხზე ვიხდიდი და ფეხ-
შიშველი წყალში შევტოპავდი ხოლმე. ქვის ზედაპირი
იმდენად ფართო იყო, რომ მე და ჩემს ახალ მეგობარს,
ვინმე მერი ენ უილსონს თავისუფლად გვყოფნიდა. მი-
ხაროდა საკმაოდ ჭკვიანი და დაკვირვებული გოგონას,
მერი ენ უილსონის მეგობრობა. მეტად მიზიდავდა მისი
გონებამახვილობა და თავისებურება. თანაც თავი ისე
თავმდაბლად ეჭირა, რომ მის სიახლოვეს დიდ თავ-
ისუფლებას ვგრძნობდი. ის ჩემზე რამდენიმე წლით
უფროსი იყო და ცხოვრებასაც, რასაკვირველია, ჩემ-
ზე უკეთ იცნობდა. ხშირად ისეთ ამბებს მიყვებოდა,
რომელთა მოსმენა ძალიან მიყვარდა და მთლიანადაც
აკმაყოფილებდა ჩემს ცნობისმოყვარეობას. რაც შეე-
ხება ჩემს ნაკლს, ის ამისთვის არასოდეს მკიცხავდა.
როცა რამეს ვუყვებოდი, არასოდეს მანყვეტიებდა.
მას კარგი თხრობა ეხერხებოდა, მე კი — ანალიზი;

მას რჩევა-დარიგების მოცემა უყვარდა, მე კი — შეკი-
თხვევის. ჩვენ ჩინებულად შევეწყვეთ ერთმანეთს. თუ
ამ მეგობრულმა ურთიერთობამ ვერავითარი სიკეთე
მოგვიტანა, სიამოვნება მაინც გვაგრძნობინა.

სად იყო ამ დროს ელენ ბერნსი? რატომ მასთან არ
ვატარებდი თავისუფლების ამ სანატრელ დღეებს?
ნუთუ გადამავინყდა? თუ იმდენად უმადური ვიყავი,
რომ მომბეზრდა მისი წმინდა მეგობრობა?

მერი ენ უილსონი ვერაფრით შეედრებოდა ჩემს პირ-
ველ მეგობარს. მას მხოლოდ თავშესაქცევი ამბებისა
და ახალ-ახალი ჭორების თხრობა ეხერხებოდა. ელენ
ბერნსი კი სხვა თავისებებით იყო დაჯილდოებული. მისი
საუბარი, თუკი ვინმეს ბედნიერება ხვდებოდა წილად,
მისთვის მოესმინა, მსმენელში მაღალი იდეალებისადმი
სწრაფვას ავითარებდა.

ეს სრული ჭეშმარიტებაა, მკითხველო. ვიცოდი და
ვგრძნობდი ამას. მიუხედავად იმისა, რომ სრულქმნილი
არსება არ ვიყავი და უამრავი ნაკლიც მქონდა, მაინც
არასოდეს მბეზრდებოდა ელენ ბერნსის მეგობრობა.
ან კი რა გააქრობდა ჩემში მისდამი გაღვივებულ ასეთ
სათუთ სიყვარულსა და თავყვანისცემას? განა ოდესმე
დაუფლებია ჩემს გულს მას შემდეგ ასეთი გრძნობა?
სხვანაირად არც შეიძლებოდა. ელენ ბერნსი ხომ ყო-
ველთვის და ყველგან ნამდვილსა და გულწრფელ მეგ-
ობრობას მინევედა. ამ მეგობრობას, აბა, რას დააკლებდა
ან ცუდი განწყობილება, ან გულარძნილობა. მაგრამ
ელენ ბერნსი ახლა ავად იყო; უკვე რამდენიმე კვირა
გავიდა და თვალის არ მომეკრა. არც ის ვიცოდი, ზედა
სართულზე რომელ ოთახში იწვა. როგორც მახსოვს, ის
ტიფით დაავადებულ ბავშვებთან აღარ დაეწვინათ ლა-
ზარეთში, რადგან ჭლექით იყო ავად. ჩემი უცოდინარო-
ბის წყალობით, ეს ავადმყოფობა სრულიად იოლი მეგ-
ონა, რომელსაც დრო და მზრუნველობა განკურნავდა.

ეს აზრი იმ გარემოებამ უფრო განმიმტკიცა, რომ მის
ტემპლმა ერთხელ თუ ორჯერ, თბილ, მზიან ამინდში
დაბლა ჩამოიყვანა და ბაღში გაასეირნა. მე მაშინაც არ
დამრთეს ნება, ახლოს მივსულიყავი და დავლაპარაკ-
ებოდი. საკლასო ოთახის ფანჯრიდან შეეცქეროდი და
გარკვევით ვერც ვხედავდი, რადგანაც შეფუთნილი
იყო და აივნის ქვეშ, ჩემგან საკმაოდ მოშორებით იჯდა.

ერთ საღამოს, ივნისის დამდეგს, მე და მერი ენ უილ-
სონი მარტონი დიდხანს, გვიანობამდე დავრჩით ტყეში.
ჩვეულებისამებრ, სხვებისაგან განცალკევებულნი, ისე
შორს წავედით, რომ გზა აგვებნა და იძულებულნი გავ-
ხდით, გზის გასაგნებად განმარტოებით მდგარ პატარა
ქოხში შევსულიყავით. ამ ქოხში ვილაც კაცი და ქალი
დაგვხვდნენ. ისინი გარეული ღორების ჯოგს მწყემსავ-
დნენ და რკოთი და წინბოთი ასუქებდნენ. მთავარე კარ-
გა ხნის ამოსული იყო, უკან რომ დავბრუნდით. ბალის
კართან ექიმის ცხენი დავინახეთ. მერი მაშინვე მიხვდა,
რომ რომელიღაც ბავშვი ძალიან ცუდად უნდა ყოფი-
ლიყო, რადგან მისტერ ბეიტსი ასე გვიან მოეყვანათ.
ჩემი ამხანაგი შიგნით შევიდა, მე კი რამდენიმე წუთს

გარეთ, ბაღში დავრჩი. მინდოდა, რამდენიმე მცენარის ფესვი, რომელიც ტყეში ამოვთხარე და ვშიშობდი, დილაზე არ დამჭკნობოდა, ჩემს კვალში ჩამემატებინა. საქმე დავამთავრე და ცოტა ხანს კიდევ შევიცადე. ცის ნამი მოხვდა თუ არა ყვავილებს, ირგვლივ საამური სურნელება დადგა. სალამო საამო, მშვიდი და თბილი იყო. ჩამავალი მზის სხივებით გაბრწყინებული დასავლეთი კარგ ამინდს გვინიანსწარმეტყველებდა. ბინდით მოცული აღმოსავლეთიდან მთვარე მედიდურად ამოდიოდა. ამ სანახაობამ მეტად გამიტაცა და ისეთი სიამოვნებით ამავსო, როგორიც ბავშვის გულს შეუძლია განიცადოს. უცებ გონებაში გამიელვა აზრმა, რაზეც წინათ არასოდეს მიფიქრია:

„რა საშინელება უნდა იყოს ლოგინში წოლა და სიკვდილის მოლოდინი, როცა ქვეყანა ასე თვალწარმტაცია! — ოჰ, რა ძნელია მასთან განშორება და წასვლა სადღაც... და მერე, ვინ იცის, სად?“

და მაშინ ჩემი გონება პირველად შეეცადა ღრმად ჩასწვდომოდა ზეცისა და ჯოჯოხეთის საიდუმლოებას. ჩემს სიცოცხლეში პირველად მომიცვა შიშმა და ჩიხში მოვექეცი. მიმოვიხედე და ოთხივე კუთხით მხოლოდ პირდაღებული უფსკრული დავინახე. მხოლოდ იმ ერთ წერტილსა შევიგრძნობდი ფეხქვეშ ურყევად, რომელზეც ვიდექი, დანარჩენი კი რაღაც უფორმო ღრუბლებად და ცარიელ სიღრმედ წარმომიდგა. შიშით ვთრთოდი იმის გაფიქრებაზე, რომ, აი, თუ ოდნავ გავინძვრეოდი, დედამიწას მოვწყდებოდი და ამ ქაოსში ჩავინთქმებოდი. ამ ფიქრებით გართულს, სადარბაზო კარის გაღების ხმა შემომესმა. მისტერ ბეიტსი მომვლელი ქალის თანხლებით გამოვიდა, ცხენზე შეჯდა და გზას გაუდგა. ის იყო მომვლელი ქალი კარის დახურვას აპირებდა, რომ მასთან მივირბინე:

- როგორ არის ელენ ბერნსი?
- ძალიან ცუდად, — მიპასუხა მან.
- მის სანახავად გამოიძახეს მისტერ ბეიტსი?
- დიახ.
- რა თქვა ექიმმა?
- მან თქვა, რომ გოგონას ჩვენთან დიდხანს ყოფნა აღარ უნერია.

ეს სიტყვები რომ გუშინ მომესმინა, ალბათ, მხოლოდ იმას ვიფიქრებდი, რომ მას თავის საკუთარ სახლში, ნორთუმბერლენდში უპირებდნენ გავზავნას. აზრადაც არ მომივიდოდა, რომ ამ სიტყვებით მომვლელი ქალი მის სიკვდილს გულისხმობდა. ახლა კი ყველაფერს მაშინვე მივხვდი. ნათელი გახდა, რომ ელენ ბერნსის დღეები დათვლილი იყო. ის სულთა სამეფოში მიემგზავრებოდა, თუკი ასეთი სამეფო მართლაც არსებობდა. შიშმა შემიპყრო. ეს შიში ღრმა მწუხარებამ შეცვალა. ბოლოს, ერთი ძლიერი სურვილი დამებადა: როგორმე უნდა მენახა იგი. მომვლელ ქალს ვკითხე, თუ რომელ ოთახში იწვა.

- მის ტემპლის ოთახში, — მიპასუხა.
- შეიძლება ავიდე და ვესაუბრო?

— ოჰ, არა, ჩემო კარგო! ეს შეუძლებელია. ახლა კიდროა, შენ თვითონ შიგნით შემოხვიდე. თუ კიდევ გარეთ დარჩები, შენც გაცივდები და ავად გახდები. ხომ ხედავ, ნამით დაიფარა ირგვლივ ყველაფერი.

მომვლელმა ქალმა სადარბაზო შესასვლელის კარი დახურა; მე კი განის კარიდან შევედი შენობაში და საკლასო ოთახისკენ გავემართე. სწორედ დროზე მივედი. სრული ცხრა საათი იყო და მის მიღერი განკარგულებას იძლეოდა, აღსაზრდელები დასაძინებლად წასულიყვნენ.

ძილი არ მეკარებოდა. ასე, ორი საათის შემდეგ, დაახლოებით თერთმეტ საათზე, ფრთხილად წამოვდექი. ყველა ჩემს მეგობარს უკვე ღრმად ეძინა; ოთახში ჩამიჩუმი არ ისმოდა. საღამურ პერანგზე კაბა გადავიცვი, ფეხშიშველა კართან მივიპარე და შენობის იმ ნაწილისკენ გავეშურე, სადაც მის ტემპლის ოთახი მეგულებოდა. მისი ოთახი შენობის მეორე, სულ ბოლო ნაწილში იყო, მაგრამ გზა კარგად ვიცოდი. ზაფხულის უღრუბლო ცაზე მოქათქათე მთვარის შუქი სარკმლებიდან დერეფანში აქა-იქ იჭრებოდა და გზის გაკვლევას მიადვილებდა. ქაფურისა და ხის ქერქისგან გამოხდილი ძმრის სუნით მივხვდი, რომ ტიფით დაავადებული ბავშვების ოთახს ვუახლოვდებოდი. ამ კარს სწრაფად გავცდი იმის შიშით, რომ მომვლელ ქალს, რომელიც მთელ ღამეებს უთევდა ავადმყოფებს, შეიძლება შევემჩნიე და უკანვე დავებრუნებინე. მე კი აუცილებლად უნდა მენახა ელენ ბერნსი. სიკვდილის წინ გულში უნდა ჩამეკრა, უკანასკნელად მეკოცნა, ერთხელ კიდევ მომესმინა მისი სიტყვები და მეც მეთქვა უკანასკნელად რამე.

კიბზე ჩავედი, მთელი ქვედა სართულის დერეფანი გავიარე; ორივე კარი უხმაუროდ გავაღე და დავხურე; ბოლოს, მეორე კიბეს მივალწიე; ამ კიბეს აყვევი და მის ტემპლის ოთახის წინ აღმოვჩნდი. კარის ქვემო ჭრილიდან და გასაღების ჭუჭრუტანიდან სინათლის შუქი გამოდიოდა. იქაურობა ღრმა მდუმარებას მოეცვა. უფრო ახლოს მივედი, დავინახე, რომ კარი ოდნავ ღია იყო. ალბათ, იმიტომ, რომ სუფთა ჰაერი შეეშვათ იქ, სადაც ავადმყოფობას ამდენ ხანს დაედო ბინა. დიდხანს აღარ დამიყოვნებია; მოუთმენლობა თანდათან მატულობდა; მღელვარებისგან გული მეღეოდა; მთლად აცახცახებულმა, კარი შევადე. თვალებით ელენს ვეძებდი. ვშიშობდი, მის ნაცვლად სიკვდილის აჩრდილი არ შემეფეთებოდა. მის ტემპლის საწოლთან სულ ახლოს პატარა საწოლი იდგა, რომელსაც თეთრი ფარდა ნახევრად ფარავდა. ფარდა ისე იყო ჩამოფარებული, რომ ზენრის ქვეშ გარკვევით დავინახე ელენის სხეული, მაგრამ სახე კი არ უჩანდა. მომვლელ ქალს, რომელსაც რამდენიმე ხნის წინ ბაღში ველაპარაკე, რბილ სავარძელში ჩასძინებოდა. მაგიდაზე მკრთალად ანათებდა ნახევრად ჩამწვარი სანთელი. მის ტემპლი არსად ჩანდა. როგორც შემდეგ შევიტყვე, ის ქვედა სართულზე, ტიფით დაავადებულთა ოთახში გამოეძახათ, სადაც ერთ-ერთ ბავშვს თურმე სიცხისგან აბოდებდა. როგორც იქნა, გავბედე და შიგნით შევედი; საწოლთან შევჩერდი. ხელით უკ-

ვე შევეხე ფარდას, მაგრამ, ვიდრე გადავწვდი, ვამ-
ჯობინე, გამოვლაპარაკებოდი. კვლავ შიშმა ამიტანა,
ელენის ნაცვლად მის ცხედარს არ შევხებოდი.

— ელენ, — ნავიწურჩულე, — გლვიდავს?

ის შეტოკდა. ფარდა გადასწია და დავინახე მისი
ფერმკრთალი, განანამები, მაგრამ სრულიად დამ-
შვიდებული სახე. მასში იმდენად მცირე ცვლილებები
შევნიშნე, რომ შიში მაშინვე გაიფანტა. — ნუთუ ეს შენა
ხარ, ჯეინ? — მკითხა მან თავისი ნაზი ხმით.

„ოჰ! — გავიფიქრე მე, — მას სასიკვდილო არაფერი
სჭირს; ისინი ცდებიან. ეს რომ ასე იყოს, არც ასეთი
დანყნარებული სახე ექნებოდა და არც ასე მშვიდი
საუბარი შეეძლებოდა“.

სანოლზე ავედი და ვაკოცე. ვიგრძენი, რომ შუბლი
ცივი ჰქონდა, სახე — მეტად გამხდარი და გაყინული;
ხელებიც მთლად გასცივებოდა, მაგრამ ის მაინც ძვე-
ლებურად ილიმებოდა.

— როგორ მოხვედი აქამდე, ჯეინ? უკვე მეთორმე-
ტი საათია. სულ რამდენიმე ნუთია, რაც საათის რეკვა
გავიგონე.

— შენს სანახავად მოვედი, ელენ. გავიგე, რომ ძალ-
იან ავად ხარ, ძილი არ მომეკარა; მინდოდა, მენახე და
დაგლაპარაკებოდი.

— შენ გამოსამშვიდობებლად მოსულხარ, ჩემო კარ-
გო, სწორედ დროზე მომისწარი.

— საით მიემგზავრები? შინ ხომ არ აპირებ წასვლას?

— დიახ. გრძელ გზას დავედგომივარ. ჩემს სამუდამო
სამყოფელში მივდივარ.

— ოჰ, არა, არა, ელენ! — ვუთხარი და ხმა ჩამიწყდა.
საშინლად ვიტანჯებოდი. ვცდილობდი ცრემლები შე-
მეკავებინა. მას კი ამ დროს საშინელი ხველა აუტყდა,
მაგრამ მომვლელ ქალს ამ ხმაურზე არ გააღვიძებია.
ხველამ გადაუარა თუ არა, ქანცმილეული და მეტად
განანამები, ისევ წამოწვა და ნაიწურჩულა:

— ჯეინ, შენ ფეხშიშველა ხარ და ეგ პანანინა ფეხები
გაგიცივდება; ჩანქეი ჩემთან და საბანი გადაიფარე.

ასეც მოვიქეცი. მან ხელი მომხვია, რაც შეეძლო,
მეც ახლოს მივიწინე და გულში ჩავეკარი. ხანგრძლივი
დუმილის შემდეგ მან ისევ ჩურჩულით განაგრძო:

— მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ ახლა, ჯეინ. როდე-
საც ჩემს სიკვდილს შეიტყობ, ნუ აღელდები და ნურც
იჯავრებ, სამწუხარო არაფერია. ჩვენ, ყველანი, სიკვ-
დილის შვილები ვართ. ერთ მშვენიერ დღეს ყველანი
დავიხოცებით. ავადმყოფობა კი, რომელიც მე შემხვდა,
არც ისეთი მტკივნეულია; ის თანდათანობით და მეტად
ფრთხილად მიმაცილებს საფლავამდე. დამშვიდებული
ვარ, რადგან არავის ვტოვებ ამქვეყნად ისეთს, რომელ-
საც დიდად დაამწუხრებს ჩემი სიკვდილი. მხოლოდ
მამა მყავს, მან კი დიდი ხანი არაა, რაც ცოლი შეირთო
და დიდად არ მომისაკლისებს; ახალგაზრდა ვკვდები
და მრავალ ამქვეყნიურ ტანჯვა-წამებას ავიცილებ
თავიდან. ჩემი ხვედრი ყოველთვის დუხჭირი ცხოვ-
რება იქნებოდა, რადგანაც მე არც ისეთი თვისებები

გამაჩნია და არც ისეთი ნიჭი, რომ გზა ჩემით გამეკაფა
ცხოვრებაში.

— იცი ან ხედავ, საით მიემგზავრები, ელენ?

— დარწმუნებული ვარ ყველაფერში. მჯერა, რომ
ღმერთთან მივდივარ.

— მერედა, სად არის ღმერთი? ან რა არის ღმერთი?

— ის, ვინც მე და შენ ამქვეყნად გაგვაჩინა, და რო-
მელიც არაფერს სპობს, რაც შეუქმნია. მჯერა მისი
ძლიერების და მთლიანად ვენდობი მის კეთილ საქმეს.
უკვე საათებს ვითვლი იმ დიადი ნუთების დადგომამდე,
როდესაც კვლავ დავბრუნდები და ვიხილავ ქვეყნიე-
რების დამაარსებელს.

— მაშ, შენ დარწმუნებული ხარ, რომ მართლა არ-
სებობს ზეციური ცხოვრება და ჩვენი სულებიც იქ
მოხვებიან სიკვდილის შემდეგ?

— დიახ, დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს ასეთი
სამეფო; ისიც მჯერა, რომ ღმერთი მოწყალეა. ყოველ-
გვარი შიშის გარეშე, უდრტინველად ვთავაზობ მას ჩე-
მი სხეულის უკვდავ ნაწილს. ის ხომ ჩვენი მამაა, ჩვენი
მეგობარი. მე მიყვარს ის და მწამს, მასაც ვუყვარვარ.

— სიკვდილის შემდეგ კვლავ გიხილავ, ელენ?

— დიახ, შენც იმავე ბედნიერ სამეფოში მოხვდები,
იგივე ყოვლისშემძლე და ყოვლისმხილველი მამა მი-
გიღებს. ამაში ეჭვიც არ შეგეპაროს, ჩემო კარგო ჯეინ.

ახლა უსიტყვოდ განვაგრძობდი გამოკითხვას. კვ-
ლავ ვეკითხებოდი გონებაში, ჩემთვის. მაინტერესებდა,
სად იყო ეს სამეფო, არსებობდა თუ არა ის. უფრო მაგ-
რად შემოვხვებოდი ხელები ელენს. უფრო ძვირფასი გახდა
ის ჩემთვის, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ვიგრძენი, ძალა
არ შემწვებდა, განვშორებოდი მას, გამეშვა სამდე. მის
გვერდით ვინქეი და სახე ჩამალული მქონდა მის მხარ-
თან. უცებ მან უტკბესი ხმით წამწურჩულა:

— რა კარგად ვგრძნობ თავს. ამ უკანასკნელმა შე-
ტევამ ცოტათი დამქანცა. ახლა თავს ისე ვგრძნობ,
თითქოს დავიძინებ კიდევ. ნუ მიმატოვებ, ჯეინ, მინდა,
რომ ჩემ გვერდით იყო.

— შენთან დავრჩები, ძვირფასო ელენ. ამიერიდან
ვერავინ განმამორებს შენს თავს.

— ჩათბი, ჩემო კარგო?

— დიახ.

— ღამე მშვიდობისა, ჯეინ.

— ღამე მშვიდობისა, ელენ.

ჩვენ ერთმანეთი გადავკოცნეთ და მალე ჩავვეძინა.

როდესაც გამეღვიძა, უკვე გათენებულიყო. რაღაც
ურჩვეულო მოძრაობამ გამომაფხიზლა. თვალი გა-
ვახილე. ვილაცის მკლავებში მეძინა. მომვლელ ქალს
ვეჭირე ხელში. ის დერეფანში მიდიოდა და უკან მივ-
ყავდი საერთო საძინებელი ოთახებისკენ. საყვედური
არ მიმიღია, ჩემი სანოლი რომ მივატოვე და ელენთან
გავიპარე. გარშემო მყოფთ სხვა დარდი გასჩენოდათ.
აღარავის შეეძლო ჩემს მომაბეზრებელ კითხვებზე
პასუხი გაეცა. ერთი თუ ორი დღის შემდეგ შევიტყვე,
რომ, როცა მის ტემპლი გათენებისას თავის ოთახში

დაბრუნებულიყო, ელენის სანოლში ვენახე. სახე თურმე მის მხრებში მქონდა ჩამალული, ხელები — კისერზე შემოხვეული. ასე ჩამძინებოდა, ხოლო ელენს კი ღმერთისთვის მიებარებინა სული.

მისი საფლავი ბროკლბრიჯის ეკლესიის ეზოშია. მისი სიკვდილის შემდეგ, დაახლოებით თხუთმეტი წლის განმავლობაში, ეს საფლავი მხოლოდ მწვანე მოლით დაფარულ ბექობს წარმოადგენდა. ახლა კი იქ რუხი მარმარილოს ქვაზე ამოკვეთილია მისი გვარი, სახელი და ლათინური სიტყვა — *Resurgam*¹.

თავი მათა

აქამდე დაწვრილებით აღწერე ჩემი ცხოვრების ყველა უმნიშვნელო ამბავი. ჩემი არსებობის პირველ ათ წელს მივუძღვენი წიგნის ამდენივე თავი. მაგრამ სრულებით არ ვცდილვარ ავტობიოგრაფიული ცნობები მიმეწოდებინა მკითხველისთვის. მხოლოდ ისეთ მოგონებებს შევეხე, რომლებიც საერთოდ რაიმე ინტერესს იწვევდა. ახლა დუმლით მსურს ავუარო გვერდი თითქმის რვა წლის განმავლობაში განცდილსა და მომხდარ ამბებს. მაგრამ ჩემი სათავგადასავლო ამბების ერთმანეთთან დასაკავშირებლად კიდევ რამდენიმე სტრიქონია საჭირო.

როდესაც სწეულებამ თავისი გაიტანა და ლოვუდი მთლად დაცარიელდა, ეპიდემია თანდათანობით გაქრა. მაგრამ ამ ავადმყოფობით გამოწვეულმა უბედურებამ და აურაცხელმა მსხვერპლმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია. ავადმყოფობის წარმოშობის მიზეზები ძირფესვიანად გამოიკვლიეს და დადგინდნენ ფაქტებმა საერთო გულისწყრომა გამოიწვია. ჯანმრთელობისთვის სრულიად უვარგისი ადგილმდებარეობა, საკვების მეტისმეტი სიმცირე და უხარისხობა, მლაშე და აშშორებული წყალი, ყოვლად უვარგისი ტანსაცმელი და ცხოვრების სხვა მძიმე პირობები — აი, თურმე, რა იყო ავადმყოფობის მიზეზი. რასაკვირველია, ყოველივე ამან სასიხარულო ამბები ვერ მოუტანა მისტერ ბროკლეჰერსტს, მაგრამ სასწავლებლისთვის მეტად სასარგებლო მოვლენად იქცა.

საგრაფოს მდიდარმა და ქველმოქმედმა პირებმა დიდი თანხა გაიღეს, რათა ჯანმრთელობისთვის უკეთეს ადგილას აეგოთ უფრო კეთილმოწყობილი შენობა. სხვა მრავალი ცვლილებაც მოხდა. სრულიად ახალი წესები შემოიღეს და, ამასთანავე, როგორც კვება, ისე ჩაცმულობაც გაგვიუმჯობესეს. სასწავლებლისათვის განკუთვნილი თანხა კომიტეტის გამგებლობაში გადავიდა. მისტერ ბროკლეჰერსტი სამსახურიდან მთლიანად არ გაუთავისუფლებიათ. თავისი სიმდიდრისა და, ამასთანავე, მაღალი თანამდებობის პირებთან ოჯახური თუ ნათესაური კავშირის წყალო-

ბით, ის ხაზინადრად დატოვეს. ახლა მას მოვალეობის შესრულებაში უფრო განათლებული და კეთილშობილი ადამიანები ეხმარებოდნენ. როგორც ინსპექტორს, თავისი საქმისთვის რომ თავი გაერთმია, საჭირო იყო კომიტეტის იმ წევრთა დახმარება, რომელთაც უკეთ შეეძლოთ შეეთავსებინათ ზუსტი ანგარიშიანობა გონიერებასთან, მომჭირნეობა — ცხოვრების კარგ პირობებთან, ხოლო სამართლიანობა — სიბრაღულის გრძნობასთან. ყველა ამ სიახლის დანერგვის შედეგად, სასწავლებელი ნამდვილად სასარგებლო დაწესებულებად იქცა და დიდი სახელიც მოიხვეჭა. ამ ახალი ცვლილებების შემდეგ, მე, როგორც მისი მუდმივი ბინადარი, კიდევ რვა წლის განმავლობაში დავრჩი მის კედლებში: ექვსი წელი, როგორც მოსწავლე და ორიც — როგორც აღმზრდელი. ამ ორმხრივი გამოცდილების საფუძველზე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ეს სასწავლებელი ნამდვილად მნიშვნელოვან, დიდი სარგებლობის მომტან სააღმზრდელო დაწესებულებად გადაიქცა.

ჩემი ცხოვრება ამ რვა წლის განმავლობაში მეტად ერთფეროვანი იყო, თუმცა თავს უბედურად არ ვგრძნობდი. დამთავრდა უმოქმედობის ხანა და საშუალება მომეცა, მიმელო ნამდვილი აღზრდა-განათლება. ზოგიერთი საგნისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება აღმომაჩნდა. დიდი სურვილი მქონდა, სწავლაშიც თავი გამოემჩინა. უდიდეს სიამოვნებას განვიცდიდი და მეტი ხალისით ვმრომობდი, როდესაც ჩემი სწორი პასუხით მასწავლებლები კმაყოფილნი რჩებოდნენ, განსაკუთრებით კი ისინი, რომელთაც დიდ პატივს ვცემდი. სასწავლებელში არსებული ყველა შესაძლებლობა გამოვიყენე. რამდენიმე ხანში პირველ კლასში გადამიყვანეს და ყველაზე კარგ მოსწავლედ ვითვლებოდი. დამთავრებისთანავე მასწავლებლის წოდებაც მომანიჭეს, იქვე დამტოვეს და შემდეგ, დაახლოებით ორი წლის განმავლობაში, გულმოდგინედ ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. ორი წლის შემდეგ კი ჩემი პირადი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა.

სასწავლებელში მომხდარი დიდი ცვლილებების შემდეგაც, მის ტემპლი კვლავ კარგა ხანს დარჩა ამ დაწესებულების მმართველად. მის რჩევა-დარიგებებს უნდა ვუმაღლოდე, თუ ჩემში ცოდნა ან რაიმე საუკეთესო ჩვევა მოიპოვება. მისი მეგობრობა და სიახლოვე ჩემთვის დიდი ნუგეში იყო. ის ჯერ დედის, შემდეგ აღმზრდელის და ბოლოს კი მეგობრის მაგივრობას მიწევდა. სწორედ ამ ხანებში მის ტემპლმა ჯვარი დაინერა სასულიერო პირზე, მისი ღირსების შესაფერის მეტად კეთილშობილ ადამიანზე და მეუღლესთან ერთად შორეულ საგრაფოში გაემგზავრა. ამდენად, ეს ერთადერთი, ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანიც დამშორდა.

იმ დღიდან კი, რაც მან მიმატოვა, მთლად გამოვიცვალე. მასთან ერთად გაქრა ყველა გრძნობა და მოგონება, რომელთა გამოც ლოვუდი მშობლიურ კერად მიმაჩნდა. მის ტემპლისგან შევითვისე მისი საუკეთესო ზნე-ჩვეულებანი. ჩემი გრძნობა შეეჩვია მისებურ მშვიდ აზროვნებას, გრძნობებისა და ფიქრების უკეთ

¹ კვლავ აღვდგები (ლათ.).

დამორჩილებას, დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებასა და თადარიგიანობას. აღუშფოთებლად და კმაყოფილად ვატარებდი ჩემი ცხოვრების დღეებს. როგორც საკუთარ, ისე სხვათა თვალშიც მეტად წესიერ და უწყინარ ადამიანად ვითვლებოდი.

ალბათ, თვით ბედისწერა ჩადგა მისტერ ნესმითის სახით ჩემსა და მის ტემპლს შორის. ვხედავდი, ეს ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანი, სამგზავრო ტანსაცმელში გამოწყობილი, როგორ ჩაჯდა საქორწინო ცერემონიალის შემდეგ საფოსტო ეტლში. გავყურებდი ამ ეტლს, რომელიც ნელ-ნელა ავიდა გორაკზე და მალე კლდის ქიმს მოეფარა. მე კი დავბრუნდი ჩემს ოთახში და სრულ სიმარტოვეში გავატარე ის დღე. მის ტემპლის პატივსაცემად, გაკვეთილების უმეტესობა იმ დღეს არ ჩატარებულა. დიდხანს მიმოვიდი ოთახში; მეჩვენებოდა, რომ ვწუხდი მხოლოდ იმაზე, რაც დავკარგე და ვცდილობდი, მომეფიქრებინა, რით შემევსო ის. როცა ფიქრებიდან გამოვერკვიე, დავინახე, რომ უკვე მოსალამოებულიყო. ჩემთვის ახლა სხვა რამეც ნათელი გახდა, სახელდობრ ის, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩემში ძირფესვიანი გარდატეხა მომხდარიყო. მთელ ჩემს არსებას ნიშანწყალიც კი აღარ ეტყობოდა იმ გავლენისა, რაც მის ტემპლისგან აქამდე შემეთვისებინა. ჩემს ძვირფას აღმზრდელს თან გაჰყოლოდა ის მყუდრო და მშვიდი გარემო, რითაც აქამდე მასთან ერთად ყოფნის დროს ვსულდგმულობდი ლოვედში. ახლა, მარტოდმარტო დარჩენილმა ვიგრძენი, რომ ჩემს პირვანდელ მეს დავუბრუნდი და სწორედ ისეთივე გავხდი, როგორიც წინათ ვიყავი. ძველმა გრძნობებმა კვლავ იჩინეს თავი; ეს სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ საყრდენი გამომეცალა, მაგრამ ამ ცხოვრებას ჩემთვის აზრი დაეკარგა. სულიერი სიმშვიდე კი არ გამქრალიყო, არამედ სწორედ ის ძალა გამომეცალა, რაც ამ სიმშვიდისთვის იყო საჭირო. რამდენიმე წლის განმავლობაში ჩემთვის მთელ ქვეყნიერებას ლოვედის კედლები წარმოადგენდა. არაფერი ვიცოდი, მისი წესებისა და იქ გამეფებული ჩვეულებების გარდა. ახლა კი კარგად მივხვდი, რამდენად თვალწინდელი იყო ეს სამყარო. მათ, ვისაც ჰყოფნიდა გამბედაობა, მიეღოთ ცხოვრებაში ნამდვილი ცოდნა და გამოცდილება, წინ ელოდებოდათ ათასნაირი იმედი, შიში, განცდა და მღელვარება ამ საშიშროებით მოცულ ფართო ასპარეზზე.

ფანჯარასთან მივედი, გამოვალე და გადავიხედე. აი, შენობის ორივე მხარე, ბალი, ლოვედის საზღვრები, მის იქით ჰორიზონტზე კი მთის მწვერვალთა სილუეტები. თვალი მოვაველე ყველაფერ ამას და მხერა ყველაზე შორეულ იისფერ მწვერვალზე გადავიტანე. როგორ ვნატრობდი, გადამეგლო ეს მთები, კლდეთა საზღვრებში მოქცეული უსასრულო ტრამალები. ამ გადაულახავ ჩარჩოებში ჩარაზული, ყველაფერი საპყრობილედ მეჩვენებოდა. თვალი გავაყოლე თეთრ გზას, რომელიც ერთი მთის ძირში მიხვეულ-მოხვეულად მიიკლაკნებოდა და იქვე ხეობაში იკარგებოდა. როგორ მინდოდა ამ გზას გავყოლოდი დაუსაბამოდ,

სადღაც შორს... გამახსენდა ის დრო, როცა ამავე გზით ეტლით მოვდიოდი. ისიც მომაგონდა, თუ სალამოს ბინდუნდში როგორ დავეშვიტე ამ ფერდობზე. თითქოს საუკუნე გასულიყო იმ დღის შემდეგ, რაც პირველად ლოვედში ვიხილე. მას შემდეგ აღარსად წავსულვარ. არდადეგებსაც სასწავლებელში ვატარებდი; მისის რიდს არასოდეს მოუსურვებია, გეიტსჰედში წავეყვანე სტუმრად. ჩემს სანახავად არც ის და არც მისი ოჯახის რომელიმე წევრი არ მოსულა. გარე სამყაროსთან არაფერი მაკავშირებდა, არც წერილი და არც სხვა რაიმე ამბავი, სასწავლებელში გამეფებული წესები, მოვალეობანი, ზნე-ჩვეულებანი, იქ გაბატონებული აზრები, შეხედულებანი, ერთი და იგივე ხმები, სახეები, სიტყვები, ერთნაირი ჩაცმულობა და მუდამ ერთი და იმავეს სიყვარული და სიძულვილი; აი, ყველაფერი, რაც მე ვიცოდი ცხოვრების შესახებ. ახლა ვიცი, რომ ეს სრულიადაც არ იყო საკმარისი. მხოლოდ იმ სალამოს ვიგრძენი, როგორ დავიქანცე ერთფეროვანი ცხოვრებით ამ რვა წლის განმავლობაში. თავისუფლება მწყუროდა. მის ნატვრაში ამოდიოდა სული, მისთვის ვლოცულობდი დღედაღამ გამუდმებით. ჩემი ვედრება თითქოს ნიავის მსუბუქმა ქროლამ გაფანტა. მაშინ ლოცვა-ვედრებას თავი ვანებე და სულ სხვა რამეს, სულ მცირედს შევეთხოვდი განგებას: შეეცვალა ჩემი ცხოვრება, მოეცა ახალი ძალა და ენერჯია. მაგრამ ეს ხვეწნა-მუდარაც უსაზღვრო სივრცეში გაიფანტა.

— მაშინ ჩემი ადგილსამყოფლის გამოცვლა მაინც მაღირსე, ღმერთო! — ნამოვიძახე თითქმის სასონარკვეთილმა.

ზარმა მამცნო, რომ ვახშობის დრო იყო და ქვედა სართულზე მიხმობდნენ. მეც იქით გავეშურე.

დაძინებამდე იმდენი საქმე მქონდა, საშუალება არ მომეცა, შეწყვეტილ ფიქრებს დავბრუნებოდი. ხოლო გვიან, ძილის წინაც კი, ოთახში შესვლისთანავე, ჩემთან ერთად მცხოვრებმა მასწავლებელმა ქალმა გაუთავებელი საუბარი გამიბა სრულიად უმნიშვნელო ამბებზე და ამით ხელი შემიშალა. როგორ ვნატრობდი, ჩასძინებოდა და გაჩუმებულიყო! მეჩვენებოდა, თუ კვლავ იმ აზრს დავუბრუნდებოდი, რომელიც თავში უკანასკნელად სარკმელთან მომივიდა, რამე გამოსავალს ვიპოვიდი და შვებასაც ვიგრძნობდი.

როგორც იქნა, მის გრეისმა ხვრინვა ამოუშვა. ეს იყო უელსელი მსუქანი ქალი, რომლის ხვრინვა ყოველთვის თავს მაბეზრებდა. მაგრამ იმ ღამით, გავიგონე თუ არა ეს ხმა, ძალიან გამიხარდა. ახლა უკვე ხელს ვედარავინ შემიშლიდა. ჯერ კიდევ ბუნდოვანი ფიქრები კვლავ გამოცოცხლდნენ.

„კვლავ ახალი მონური შრომა! მაგრამ მაინც არის მასში რაღაც მიმზიდველი, — ვესაუბრებოდი ჩემს თავს (მხოლოდ გონებაში გამიელვა ამ აზრმა და ხმამაღლა არაფერი მითქვამს). — დიახ, ეს არის ერთადერთი გამოსავალი. ეს არც ისე მომხიბლავად ჟღერს, როგორც სიტყვები: თავისუფლება, აღტაცება, სიხარული —

ესენი ჩემთვის სასიამოვნოდ მოსასმენი სიტყვებია... მაგრამ მხოლოდ სიტყვები. ისინი იმდენად შორეული და განუხორციელებელი არიან, რომ მათი მოსმენაც კი დროის უზრალოდ დაკარგვა იქნებოდა. მაგრამ მუშაობა? ეს ხომ სინამდვილეა? ეს ხომ ყველა ადამიანს შეუძლია. მეც რვა წელი გავატარე აქ. ახლა მხოლოდ და მხოლოდ ერთი აზრი მასულდგმულებს: სხვაგან ვიშოვო ადგილი. ნუთუ ამის მიღწევაც შეუძლებელია? ნუთუ ჩემი სურვილი განუხორციელებელი დარჩება? დიახ, დიახ, საბოლოო მიზანი არც ისე ძნელი მისაღწევი უნდა იყოს. ამისთვის მხოლოდ გონიერი მოქმედებაა საჭირო“.

სანოლზე წამოვჯექი, რომ უფრო კარგად მომეაზრებინა ყველაფერი. სუსხიანი ღამე იყო. მხრებზე შალი წამოვისხი და კვლავ ღრმად წავედი ფიქრებში.

„რა მსურს? ახალი სამუშაო სრულიად ახალ ადგილას, სხვა ხალხში და ახალ პირობებში. ეს იმიტომ მინდოდა, რომ უკეთესზე ფიქრი უნაყოფო იყო. მაგრამ როგორ შოულობენ ადამიანები ახალ სამუშაო ადგილს? ვფიქრობ, მეგობრების დახმარებით. მე კი მეგობრები არ მყავს. ამქვეყნად ბევრია უმეგობრო ადამიანი, რომელმაც საკუთარ თავს თვითონ უნდა მიხედოს და იზრუნოს მასზე. მაშ, როგორ იქცევებიან ეს ადამიანები ამ შემთხვევაში?“

მე არ შემეძლო ამის თქმა და ვერც ვერავინ გამცემდა პასუხს. თავს ძალა დავატანე, რომ გონება სწრაფად ამუშავებულიყო, უფრო სწრაფად მეფიქრა და გამოსავალი მომიძებნა. ვგრძნობდი, როგორ ფეთქავდა სისხლი საფეთქლებში, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი. ჩემს ცდას არავითარი შედეგი არ გამოუღია. წამოვდექი და, ამ უნაყოფო ფიქრებით შემფოთებული, ოთახში მიმოვდიოდი. ფანჯარასთან მივედი და ფარდა გადავნიე. ცაზე რამდენიმე ვარსკვლავი შევნიშნე, სიცივისგან მაკანკალებდა და კვლავ სანოლს დავუბრუნდი.

თითქოს კეთილმა ფერიამ ჩემი იქ არყოფნით ისარგებლა და ჩემთვის ესოდენ სასურველი პასუხი სასთუმალზე დამახვედრა. როგორც კი დავნექი, გონება მაშინვე გამეხსნა და თითქოს ვიღაცამ წამჩურჩულა: ყველა, ვინც ახალ სამუშაო ადგილს ეძებს, განცხადებას წერს და შაირის საგრაფოს გაზეთში აქვეყნებს.

— მაგრამ, როგორ? — არ ვიცოდი, როგორ აცხადებდნენ.

პასუხი თითქოს ვიღაცამ წყნარად წამჩურჩულა: — განცხადება და მის გამოსაქვეყნებლად საჭირო თანხა კონვერტით უნდა გაგზავნო გაზეთ „ჰერალდის“ რედაქტორის სახელზე. იშოვი თუ არა თავისუფალ დროს, ნაილე და გაგზავნე. პასუხის მისაღებად კი შენი მისამართი დაანერე: ლოუტონის საფოსტო განყოფილება. მოთხოვნამდე ჯ. ე. წერილის გაგზავნიდან ერთი კვირის შემდეგ შეგიძლია მიაკითხო და პასუხი მოითხოვო. თუ პასუხი დაგხვდა, შეგიძლია შესაბამისად იმოქმედო.

გეგმა გონებაში რამდენჯერმე ავნიონ-დავნიონე, კმაყოფილება ვიგრძენი და ჩამეძინა.

დილით ძალიან ადრე ავდექი, განცხადება დავწერე; ზარის დარეკვამდე კონვერტში ჩადება და მისამართის დაწერაც კი მოვასწარი. განცხადებაში შემდეგი ეწერა:

„ახალგაზრდა ქალს, რომელსაც შესაფერისი ცოდნა და აღმზრდელის გამოცდილება აქვს (მე ხომ მასწავლებლობის ორი წლის გამოცდილება მქონდა), სურს მოენყოს აღმზრდელის თანამდებობაზე ოჯახში თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვებთან (ვიფიქრე, რადგან მე თვითონ მხოლოდ თვრამეტი წლის ვიყავი, უხერხული იქნებოდა აღსაზრდელად ამეყვანა ჩემი ასაკის ბავშვები და მეკისრა პასუხისმგებლობა მათზე). მას შეუძლია ბავშვებს მისცეს კარგი განათლება, ასწავლოს ყველა საგანი ინგლისურ ენაზე და, გარდა ამისა — ფრანგული, ხატვა და მუსიკა (ჩვენი დროისთვის სასწავლო საგანთა ასეთი შეზღუდულობა, მკითხველო, მაშინ სრულიად ჩვეულებრივი ამბავი იყო). მისამართი: ჯ. ე. საფოსტო განყოფილება, ლოუტონი — შაირის საგრაფო“.

მთელ დღეს განცხადება უჯრაში მქონდა ჩაკეტილი. ჩაის შემდეგ კი სასწავლებლის ახალ მმართველს ვთხოვე, ნება მოეცა, ლოუტონში წავსულიყავი, რადგან ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისთვის ზოგიერთი წვრილმანის ყიდვას ვაპირებდი. ის სიამოვნებით დამთანხმდა და მეც გზას გავუდექი. ლოუტონამდე ორი მილი მქონდა გასავლელი. ნისლიანი დღე იყო, მაგრამ ჯერ კიდევ გვიან ღამდებოდა. რამდენიმე მალაზიაში შევიარე. წერილი საფოსტო ყუთში ჩავუშვი. უკან დაბრუნებისას კი, მართალია, დავსველდი, მაგრამ გულმა უკვე შევება იგრძნო.

მომდევნო კვირა მეტად გრძელი მეჩვენა. ამქვეყნად ხომ ყველაფერს აქვს თავისი დასასრული და ეს კვირაც, როგორც იქნა, მიიწურა. ერთ მშვენიერ შემოდგომის დღეს, საღამო ხანს, კვლავ ფეხით გავუდექი ლოუტონისკენ მიმავალ გზას. ეს მეტად თვალწარმტაცი საცალფეხო გზა მდინარის გასწვრივ ხეობაში მიიკლანებოდა. მაგრამ იმ დღეს ეს სანახაობა სრულებით არ მხიბლავდა. ჩემს წერილზე უფრო ვფიქრობდი, რომელზედაც დიდად ვიყავი დამოკიდებული და რომელიც ქალაქში შეიძლება ჯერ კიდევ მისულიც არ იყო.

ლოუტონში წასასვლელად ფეხსაცმლის ყიდვა მოვიმიზეზე. პირველად ეს საქმე მოვაგვარე და შემდეგ ფეხსაცმელების მკერავიდან პატარა, სუფთა და წყნარი ქუჩით საფოსტო განყოფილებისკენ გავემართე. ფოსტაში მოხუცი ქალი დამხვდა, რომელსაც რქის ჩარჩოიანი სათვალე გაეკეთებინა და ხელებზე შავი, უთითო ხელთათმანები წამოეცვა.

— წერილი ხომ არ არის ჯ. ე.-ის სახელზე? — ვიკითხე მე.

მან სათვალის ზემოდან გადმოხედა. შემდეგ რომელიღაც უჯრა გამოსწია და ძებნა დაუწყო. ისე დიდხანს ეძებდა, რომ იმედი გადამეწურა. ბოლოს, კონვერტი ამოიღო, თვალებთან ახლოს მიიტანა და ასე ხუთი წუთის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღებით ათვალეიერებდა. შემდეგ კი დახლიდან წერილი გადმომანოდა და თან დიდი ცნობისმოყვარეობითა და

ეჭვის თვალთ დამაცქერდა. წერილი მართლაც ჯ. ე.-ის სახელზე იყო გამოგზავნილი.

— მხოლოდ ერთი წერილია? — კვლავ ვკითხე მას.

— მეტი არ არის, — მითხრა მან. წერილი ჯიბეში ჩავიდე და შინისკენ გამოვეშურე. მაშინვე არ შემეძლო მისი გახსნა. სასწავლებლის შინაგანაწესის მიხედვით, სრულ რვა საათზე ადგილზე უნდა ვყოფილიყავი, ახლა კი უკვე რვის ნახევარი იყო.

მისვლისთანავე მრავალნაირი მოვალეობა მიცდიდა: ვიდრე გაკვეთილებს მოამზადებდნენ, ერთი საათი გოგონებთან უნდა გამეტარებინა; რიგით, იმ სალამოს ლოცვებზე მე უნდა წამეკითხა და თვალყური მედევენებინა მათთვის დანოლის დროსაც. ეს საქმიანობა მოვათავე და სხვა მასწავლებლებთან ერთად ვივარდებო. მაშინაც კი ვერ დავრჩი მარტო, როდესაც დასაძინებლად დავემშვიდობეთ ერთმანეთს, რადგან მე და მის გრეისი ერთ ოთახში ვცხოვრობდით. სასანთლეში სანთლის პატარა ნაჭერილა დარჩენილიყო. ვშიშობდი, ის არ გაათავებდა ლაპარაკს, სანამ სანთელი მთლად არ ჩაიწვებოდა. მაგრამ მის გრეისს, საბედნიეროდ, მძიმე ვახშამმა ძილი მალე მოჰგვარა. ტანსაცმლის გახდა ძლივს მოვასწარი, რომ მან ხვრინვა ამოუშვა. სასანთლეში ერთი გოჯისოდენა სანთელილა დარჩენილიყო და ოდნავ ბუჭუტავდა. წერილი სწრაფად ამოვიღე, ბეჭდის ადგილას ასომთავრული ფ. ენერა. მაშინვე გაეხსენი და შევნიშნე, მეტად მოკლე იყო.

„თუ ჯ.ე.-ი, რომელმაც გასულ ხუთშაბათს თავისი განცხადება გამოაქვეყნა შაირის საგრაფოს გაზეთ „ჰერალდში“, ნამდვილად ფლობს ყველა ზემოაღნიშნულ საგანს და შეუძლია წარმოადგინოს საჭირო ცნობა და დახასიათება თავისი აღზრდისა და ცოდნის შესახებ, მაშინ შეგვიძლია შევთავაზოთ მას აღმზრდელის ადგილი ერთი ბავშვისთვის, რომელსაც ჯერ ათი წელი არ შესრულებია. გასამრჯელოდ მიიღებს ოცდაათ გირვანქა სტერლინგს წელიწადში. ჩვენი თხოვნაა: ჯ.ე.-მა გამოგზავნოს დახასიათება, გვაცნობოს თავისი გვარი, სახელი, საცხოვრებელი ადგილი და სხვა ცნობები მისამართზე: მისის ფეიერფექსი, თორნფილდი, მილკოტის ახლოს — შაირის საგრაფო“.

წერილს დიდხანს ვათვალისწინებდი. ხელნაწერი ძველებური და საკმაოდ გაურკვეველი იყო. ეტყობოდა, რომ იგი ხანში შესული ქალის დანერგილი უნდა ყოფილიყო. ამ ამბით კმაყოფილი დავრჩი. თან იღუმაღმა შიშმა შემიპყრო. საკუთარი თავის ხელმძღვანელობა თავად ვიკისრე და, ვაითუ, რაიმე არასასიამოვნო ამბავს გადავყროდი. ყველაზე მეტად ამქვეყნად იმისკენ მივისწრაფოდი, რომ ჩემი ძიების შედეგი ყოფილიყო ღირსეული, შესაფერისი და კანონიერი. ჩემი საქმე კარგად იწყებოდა, რადგანაც ხანში შესული ლედი მწერდა წერილს. მისის ფეიერფექსი წარმომიდგა ქვრივის თავსაბურსა და შავ სამოსში, საკმაოდ ცივ, მაგრამ თავაზიან ადამიანად. ის, ალბათ, ძველი ინგლისელი დარბაისელი მანდილოსნის განსახიერება იქნებოდა. თორნფილდი!

ეჭვგარეშეა, ასე ეწოდებოდა მის სამფლობელოს, მეტად მომზიბვლელ და გემოვნებით მოწყობილ მამულს. თუმცა, მისი წინასწარ წარმოდგენა ძალიან გამიძნელდა. მილკოტი — შაირის საგრაფო. ერთი წუთით გონებაში ინგლისის რუკა წარმოვიდგინე. დიახ, ვიცი, სადაც არის ეს ადგილი. ვიცოდი, სადაც მდებარეობდა საგრაფო და თვით ქალაქიც. შაირის საგრაფო ლონდონთან სამოცდაათი მილით უფრო ახლოა, ვიდრე ის მიყრუებული ადგილი, სადაც მე ვიმყოფებოდი ამჟამად. ყოველივე ეს უფრო მიმზიდველს ხდიდა ამ მხარეს. ვნატრობდი, წავსულიყავი იქ, სადაც სიცოცხლე და მოძრაობა ჩქეფდა. მილკოტი დიდი სამრეწველო ქალაქია მდინარე ე-ს ნაპირზე. ეჭვს გარეშეა, იქ სიცოცხლე დულს და გადმოდის. მით უკეთესი; მთლიანად შეიცვლება ჩემი ცხოვრება. მაგრამ ჩემს ოცნებას ქალაქის ქარხნების საკვამურები და შავი ბოლის ღრუბლებით დაფარული ცა კი არ ასაზრდოებდა, არამედ იმედი, რომ თორნფილდი ქალაქიდან საკმაოდ დიდი მანძილით იქნებოდა დაშორებული.

ამ დროს სასანთლე წაიქცა და ფთილაც ჩაქრა.

მეორე დღეს ახალი ნაბიჯი უნდა გადამედეგა, საიდუმლოს გულში ველარ შევინახავდი. ვინმესთვის უნდა გამეზიარებინა ჩემი ამბავი, რათა ჩემი მიზანი განმეხორციელებინა. ნაშუადღევს, შესვენების დროს, სასწავლებლის მმართველი ვნახე და დანვრილებით ვუამბე, რაც გადავწყვიტე. არ დამიმალავს, რომ ვაპირებდი ახალი სამუშაო ადგილის შოვნას, სადაც გასამრჯელოს ორჯერ მეტს მივიღებდი ლოვუდთან შედარებით (იქ მხოლოდ თხუთმეტ გირვანქა სტერლინგს ვიღებდი წელიწადში). მასვე ვთხოვე, ეცნობებინა ეს ამბავი მისტერ ბროკლეჰერსტის ან კომიტეტის სხვა რომელიმე წევრისთვის, რათა ნება დაერთოთ და ცნობები მოეცათ. სასწავლებლის მმართველმა ამ საქმეში შუამავლის როლი სიამოვნებით იკისრა. მან მეორე დღესვე საქმის ვითარება მისტერ ბროკლეჰერსტს გააცნო. ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ეს ამბავი აუცილებლად უნდა ეცნობებინათ მისის რიდისთვის, რომელიც ჩემს ნამდვილ მეურვედ ითვლებოდა. ამიტომაც იყო, რომ მისის რიდს წერილი გაუგზავნეს. პასუხმაც არ დაავიანა. ის იტყობინებოდა, რომ შემეძლო მოვქცეულიყავი ისე, როგორც მსურდა, რადგანაც მან უკვე დიდი ხანია, უარი თქვა ჩემს პირად საქმეებში ჩარეულიყო. წერილს კომიტეტის ყველა წევრი გაეცნო. ბოლოს, რამდენიმე ხნის შემდეგ, რომელიც მე საუკუნედ მეჩვენა, გამგზავრების ოფიციალური ნებართვა მივიღე. ამიერიდან ჩემი ცხოვრების პირობები შეძლებისდაგვარად უნდა გამეუმჯობესებინა. ამავე დროს, იმასაც დამპირდნენ, რომ, რადგანაც ლოვუდში ყოველთვის საუკეთესოდ ვიქცეოდი, ჯერ როგორც მოსწავლე და შემდეგ როგორც მასწავლებელი, დაუყოვნებლივ მომეცემოდა სათანადო დახასიათება და მოწმობა ჩემი ცოდნისა და აღზრდის შესახებ, რასაც ხელს მოაწერდნენ ამ სასწავლებლის ინსპექტორები.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ლუკას ლადო

ანუ სხვის შვილებზე მზრუნველი კაცის ამბავი

ამ წერილში რასაც წაიკითხავთ, გამოგონილი არაფერია. სახელ-გვარებს არ მივუთითებ, რათა არ მოხდეს იმ ადამიანების იდენტიფიცირება, ვისზედაც ვისაუბრებ. ათიოდე წლის წინ საქართველოში მიხვდნენ, რომ ის მახინჯი ინსტიტუცია, რასაც სკოლა-ინტერნატები ერქვა, გასაუქმებელი იყო. სკოლა-ინტერნატების ბენეფიციარები გადანაწილდნენ სოციალური ტიპის სახლებში, სადაც მათ ოჯახთან მიახლოებული გარემო აქვთ. სახელმწიფო ზრუნვის პროგრამა ამ ბავშვებისთვის მეტ-ნაკლებად კარგია, მაგრამ გადაჭრით შეგვიძლია იმის თქმა, რომ ყველაზე უარესთა შორის — უკეთესი.

როლანდ ხოჭანაშვილი

მაქსიმალური საბინაო კომფორტი და სახელმწიფო დაფინანსება იმ ბავშვებს შეძლებისდაგვარად

დაობლების გარდა, ისიც არის, რომ ლადოს ხშირად უწევს მოძალადე მშობლებთან ურთიერთობა.

ლადო მოკლედ გვეუბნება: „6-7 წლის წინ საქართველოში შეიქმნა

რამ. რამდენიმე დღეში ეპარქიის მეუფე გვესტუმრა და გვაკურთხა. სხვებთან ერთად, ის მღვდელიც შეეგება წინამძღვარს. ჰოდა, სწორედ მაშინ გავახმოვანეთ ეს ყველაფერი და რეაგირება თავად მეუფისგან წამოვიდა...“

რამდენიმე თვის წინ, ამ სოციალურ სახლს ლადოს მეგობარი, ახალგაზრდა ქალი ეწვია. მას ბავშვები სიხარულით შეხვდნენ, რადგან ყველა სტუმარი მათთვის სიახლეა და გარემოსთან ურთიერთობის კიდევ ერთი შესაძლებლობა. სტუმარს წინო ჰქვია და ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორია. ბავშვები მას „წინო დეიდას“ ეძახიან და კვლავ უნდათ ამ ქალბატონთან (და არა მარტო მასთან) შეხვედრა.



ალბათ, ლუკას სახლში არ გაუშვებს ლადო!

უნყოფს ხელს, რომლებსაც არ გაუმართლათ ოჯახურ პირობებში ცხოვრებისას. ზოგიერთ მათგანს მშობლების უყურადღებობას ან ძალადობას გამოარიდებენ ხოლმე, თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი ბავშვია ფარული ჩაგვრის ქვეშ და მათ გამოსავლენად სოციალური სამსახურებისა და საზოგადოების დიდი ძალისხმევაა საჭირო.

ის სოციალური სახლი, რომელზეც უნდა გესაუბროთ, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელშია. მას მაღალი, ქერა ახალგაზრდა კაცი ხელმძღვანელობს — დავარქვათ პირობითად, ლადო. ოცდაათიოდე წლისაა და ასაკთან შეუსაბამო ნაოჭები გასჩენია თავლების გარშემო. ამის მიზეზი, ადრე

მცირე საოჯახო სახლები, სკოლა-ინტერნატები კი, სადაც ბავშვები გარიყულად ცხოვრობდნენ, გაუქმდა. ახლა არასრულწლოვნები ინტეგრირებული არიან საზოგადოებასთან და საჯარო სკოლებში სწავლობენ. ვებრძვი სხვადასხვა არანორმალურ დამოკიდებულებას, რომელიც ამ ბავშვების მიმართ აქვთ. ზოგი ამბობს, — მცირე საოჯახო სახლში ვინც ცხოვრობს, ის უპატრონოაო. ერთხელ, თამაშის დროს, „ჩემი“ ბავშვი წაიქცა და ერთ-ერთმა იკითხა: ვინ არის ეს? ის ხომ არა, უპატრონო რომ არისო?! არ ვიცი, როგორ შევიკავე თავი, მაგრამ ეს სიტყვები რეაგირების გარეშე არ დავტოვე. თანაც, სასულიერო პირმა გვაკადრა მსგავსი

სოციალური სახლის ერთ-ერთ ბენეფიციარს დავარქვათ ლუკა. ისიც ქერაა. ცხვირი ოდნავ აპრეხილი აქვს, თმა — „ასლაქული“, თვალები — მორუხო-მოცისფრო და ნალვლიანი. სოციალური სახლის ფანჯარასთან ხშირად ჯდება და გადასცქერის ყვავილებად აფეთქებულ ატმებსა და ტყემლებს. გარეთ გაზაფხულია, ბავშვის გულში კი ზამთრობს დარდები. ამაზე ლაპარაკი ლუკას არ უყვარს, მაგრამ საუბრისას მაინც იკვეთება დარდის მიზეზი. ეს ჩემსა და ლუკას შორის დიალოგია:

— წინო დეიდას იცნობ (დირექტორს გულისხმობს. — ავტ.)?

— კი, ვიცნობ. წინო შენი წამდელი დეიდაა?

— მე დედა არ მყავს და რომელი ქალიც უნდა მოვიდეს ჩვენთან, ყველა დეიდაა. ახლა სადაა ნინო დეიდა, ხომ არ იცი?

— სამსახურშია. ვიცი, სადაც მუშაობს... შენ „ფეისბუქზეც“ შეგამჩნიე, სოციალურ ქსელში გვიანობამდე ხარ ხოლმე.

— მე უკვე დიდი ვარ. მეექვსეკლასელი გახლავართ და ლადომ კომპიუტერთან დაჯდომის უფლება მომცა. ვინც ვიმსახურებთ, მორიგეობით ვიყენებთ ინტერნეტს. ლადოს იცნობ?

— კი, ვიცნობ.

— ლადო ჩემია! გოჩა რომ მეუბნება, — ჩემიო, ნერვები მეშლება!

— ლუკა, დედა არ მყავსო, — თქვი. მამა თუ გყავს?

— მამა არ მინდა და არც — დედა. მამაჩემის მეშინია! სახლში სულ მეჩხუბებოდა. ჩემი უფროსი ძმა ავად არის. სახლში გალახეს და ავადმყოფობს. დავილაღე ნერვიულობით... მშობლებზე სულ ასე ვამბობ, რომ არ მყავს! ასეთ ლაპარაკს ლადო მიშლის, მაგრამ მე ისინი არ მიყვარს! ერთხელ ლადომ მამას შემახვედრა და მერე იმან ლადოს დაარტყა. კინაღამ მოვკვდი.



ჩემი უფროსი ძმა ავად არის. სახლში გალახეს და ავადმყოფობს

— ჩემს ლადოს იცნობ?! მას არ უთქვამს, არადა, ყველაფერს მეუბნება ხოლმე.

— სოციალურ სახლში მოსაწყენია?

— შაბათ-კვირა არ მიყვარს. ისე, აქ მოსაწყენი არაა.

— ტელეფონი თუ გაქვს? დაგირეკავ ხოლმე...

— მაქვს და მინდა, დამირეკო ხოლმე, მაგრამ ჩემი „კარტა“ ხშირად მირზას (ესეც სოციალური სახლის ბენეფიციარია. — ავტ.) აქვს. საღამოობით სულ თავის შეყვარებულს ელაპარაკება და როგორ ნავართვა? ჰო, იცი, მე ხაშლამის მომზადება ვისწავლე...

— ლადო ახლა სად არის?

— ბიბლიოთეკაში ზის და რაღაცებს წერს. თან, შოთასა და ნიკას ამეცადინებს.

— ლადოსთან კარგია?

ლადოს რომ რამე დაემართოს, რა გვეშველება?!

— სულ რამდენი და-ძმა ხართ?

— მე სამი ძმა და ერთი და მყავს...

ლადო ბიძიამ წაართვა ყველა შვილი ჩემს მშობლებს და ახლა აქ რომ ვართ, ეს მიხარია. მგონი, ლადოს უნდა, რომ სახლში დამაბრუნოს. ეგებ უთხრათ, რომ მე იქ არ მინდა. მსურს, სულ ჩემს ლადოსთან ვიყო...

ლუკას დავპირდი, რომ ლადოს მის სათხოვარს გადავცემდი. აქვე ერთ პატარა ჩანართს გავაკეთებ. როგორც ზემოთ ვთქვი, ლადოს საკმაოდ დიდი ხანია, ვიცნობ. ნაკლებად უყვარს თავისი ობლობის შესახებ ლაპარაკი და არც იმის გამხელა სურს, თუ როგორ მიაღწია იმას, რასაც ახლა ახერხებს, როგორ ისწავლა და ცხოვრებას

ამაყად გაუსწორა თვალი. როცა მოზარდს სოციალური სახლის დატოვება უნევს, მერე ისევე ზრუნავს მასზე, როგორც შეუძლია.

არც ის იცის ბევრმა, როგორ უმუშავია შვებულების დროს ავტოსამრეცხაოზე, რათა გულმოკლული ბავშვებისთვის ფული მოეგროვებინა და სულ მცირე, მაგრამ მაინც, საჩუქრები მიეტანა პატარებისთვის...

„ბავშვს ვერ გამოაპარებ, გიყვარს თუ — არა. ის ხვდება ყველაფერს, ის გრძნობს! დღეში თუნდაც, 15 წუთის დაშორების შემდეგ, უამრავი ზარი შემოდის ჩემს ტელეფონზე... ისე მოხდა, რომ ამ ბავშვებს შევუყვარდი და სურთ, მუდმივად მათ გვერდით ვიყო. ამ ყველაფერს ვახერხებ, მაგრამ სიფრთხილეა საჭირო, რომ შეცდომა არ დაუშვა. ყურადღებას ითხოვენ და ეს თანაბრად უნდა გაანანილო, არავინ არ უნდა განასხვავო, თორემ ისეთი გონიერები არიან, იმწუთას მიხვდებიან ყველაფერს და მტკივნეულ შენიშვნასაც მიიღებ“, — ამბობს ლადო.

ლადოს ლუკას თხოვნა გადავეცი: ნუ გაუშვებ ამ ბავშვს სახლში-მეთქი. არაფერი მიპასუხა. ეს სოციალური სახლის კონფიდენციალური საკითხია. ლუკა კი ელოდება დადებით პასუხს... ამ დროს ნათელ სახეზე, ოდნავ აპრეხილ ცხვირთან, მარცხნივ და მარჯვნივ, ველარ ვითვლი ჭორფლის წინწკლებს, ხუთი და შვიდია, შვიდი და ცხრაა თუ გაცილებით მეტი. ის კი ვიცი, რომ ლადოს ლუკაც უყვარს და სხვა დანარჩენებიც. აი, ლუკას კი ეგოისტურად უყვარს ლადო და რა ქნას?!. გარეთ ახლა ატმებისა და ტყემლის ყვავილების ყრიამულია. ეს დრო არ უყვარს ლუკას. დარდს კიდევ, ამ დროს სახეზე ჭორფლების ოდენობა ემატება (ატმის ყვავილობისას ხდება თურმე ასე)... თუმცა, ჭორფლი რა სახსენებელია? საღამოს ლადო მას მამობრივად თუ უფროსი ძმასავით მიხედავს და სევდა ნელ-ნელა უკან დაიხევს, რადგან ლადო ყველა ნაღველსა და დარდს გულში დაბუდებული სიყვარულით, უომრად ამარცხებს...

P.S. ალბათ, ლუკას სახლში არ გაუშვებს ლადო!

„ძალიან ახლობლესაც ნუ გადაჰყვებით“

39 წლის მაია, რომელიც მცამეტე წელიწადია, ემიგრანტია და საბერძნეთში მუშაობს, საერთო ნაცნობის საშუალებით დამიკავშირდა და მთხოვა, მისი გულისტკივილის შესახებ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე დამეწერა.

ინგა ჯაყელი

მაია:

— ადამიანი, პირველ რიგში, საკუთარი თავის წინაშე უნდა იყო მართალი და ამ მხრივ, სუფთა მაქვს სინდისი. თუმცა, მაინც მტკივა გული, როცა ნაცნობები მიკავშირდებიან და მსაყვედურობენ: პატიოსან გოგოდ გიცნობდით და შენი კარგი დედ-მამის სახელი ისე როგორ შეარცხვინე, რომ შენს ძმას შენი ხსენებაც აღარ უნდაო?..

უდანაშაულო ადამიანს თავის მართლება არაფერში სჭირდება. თანაც, ბიბლიაში მაქვს ამოკითხული: ნუ დაიფიცებ, რადგან ვისაც შენი არ სჯერა, ის არც ფიცით დაგიჯერებსო. მაგრამ თუ ჩემი ძმა ცდილობს, ჩირქი მოსცხოს ჩემს სახელსა და ცხოვრებას, მე რატომ არ უნდა დავანახვო ყველას მისი და მისი ცოლის ნამდვილი სახე?!

მამა ადრე გარდაგვეცვალა. დედა ექთანის იყო და ისე გაგვზარდა, არაფერი გვაკლდა, მაგრამ ჩემმა ძმამ ჩვიდმეტი წლის ასაკში შეერთო ცოლი, ერთ წელიწადში ბავშვი შეეძინათ და თავის გატანა უკვე ძალიან გაგვიჭირდა. მეტი გზა არ იყო და გადავწყვიტე, სამუშაოდ საზღვარგარეთ წამოვსულიყავი. იმაზე აღარ მოგიყვებით, რა ტანჯვით ჩამოვალწიე უცხო ქვეყანაში და რამდენი დამცირება გადავიტანე, ვიდრე ენას ვისწავლიდი და სტაბილურ სამსახურს ვიშოვიდი. რასაც ვშოულობდი, ჩემი ძმის სახელზე ვგზავნიდი. არც მას და არც მის ცოლს არასოდეს უმუშავიათ. არადა, ბევრჯერ ვუთხარი ჩემს ძმას, სხვას თუ ვერაფერს მოიფიქრებდა, ჩემი ნაყიდი მანქანით „ეტაქსავა“ და საჭმლის ფული მაინც შეეტანა ოჯახში: იმდენი „ტაქსი“ მოძრაობს, რომ ვერაფერს ვიშოვი, მხოლოდ მანქანას გავეცვეთო!

ათი წელიწადი მონურ სამსახურში გავატარე და „კაპიცი“ არ შემიწახავს ჩემთვის. ორი წლის წინ, დედას ინსულტი მოუვიდა და მძიმედ იავადმყოფა. დეიდა ადგა თავს და იმან მითხრა, რაც ხდებოდა: შენს რძალს ერთი ღამეც არ გაუთევია დედაშენისთვის და მგონი, არც

გაუხარდა მისი გადარჩენა. გაგიკვირდება, ისე აგდებულად ექცევა მწოლიარეს. ვატყობ, თუ ფულს არ გამოუგზავნი, შენც შეგიძლებენ და ზედმეტი აღმოჩნდები. ამიტომ, ჭკუას მოუხმე და სანამ მუშაობა შეგიძლია, ფული დააგროვე, რომ აქ დაბრუნებულმა ბინა იყიდო და დედასაც მიხედო, თორემ დამიჯერე, შეიძლება, სახლშიც არ შეგიშვანო... ავადმყოფი დედა მან სოფელში

სი ფულით შენს ზარმაც შვილებს არჩენო... არადა, ჩემი ორივე დედაშვილი ჩემზე ადრე ჩამოვიდა საბერძნეთში და თავად არჩენენ დედასაც და თავიანთ ოჯახებსაც... თურმე, ძმა „თავს მჭრის“: გაბოზდა და საყვარლებს ინახავს, ამიტომ ვერ იმეტებს ფულს ჩემი შვილებისთვისო...

ენას ძვალი მართლა არ ჰქონია... მისი ოჯახის გადასარჩენად რომ



ნაიყვანა და მეორე წელიწადია, დეიდა უვლის. ჩემი ძმა და რძალი არც კითხულობენ მის ამბავს და მივხვდი, მეც უნდა მივხედო თავს! შევატყობინე, რომ ბინისთვის დავინყე ფულის დაგროვება და მათ ველარაფერს გავუგზავნიდი. რომ ვერ წარმოვიდგენდი, ისეთი დღე დამაყარა ძმამ. დამირეკა და მლანძლა უკანასკნელი სიტყვებით: შენ ბოზობა მოგნდომებია, ვატყობ და იმიტომ გინდა ცალკე ცხოვრება. აქ ჩამოსვლა არ გაბედოო...

თავის მოკვლა მინდოდა, ისეთ ხასიათზე დამაყენა ძმის უსამართლობამ და უმადურობამ. ისევ დედის ხათრით ჩავყლაპე წყენა და გავაგრძელე მუშაობა. დედის წამლის ფულს დეიდას ვუგზავნიდი და მასაც მიუვარდა თურმე ჩემი ძმა, საცემრადაც გაუწევია ქალისკენ: შენ აურიე ჩემს დას გონება და მი-

არ წამოვსულიყავი საქართველოდან, შეყვარებული მყავდა, გავთხოვდებოდი და ახლა მოზრდილი შვილები მეყოლებოდა. 37 წლის ქალი მარტო ვარ და არავინ იცის, მოვესწრები თუ არა რამეს. დედის ავადმყოფობამ კიდევ დროზე გამოაშკარავა სიმართლე, თორემ ჩემი ძმა და რძალი სახლშიც აღარ შემიშვებდნენ წლების შემდეგ, უკვე მოხუცსა და დაუძლურებულს... ახლა ბინის ფულს მაინც ჩამოვიტან, რომ დედასაც მივხედო და არც თავად დავრჩე ქუჩაში, უმადური ახლობლების პატრონი...

თურმე, ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც არ უნდა გადაჰყვეყველას მანამდე სჭირდები, სანამ შენგან სარგებელს ელიან და კარგი იქნება, ჩემს გამოცდილებაზე სხვა ქალები მაინც თუ ისწავლიან ჭკუას.

გათავისუფლებული მონა ანუ მდაბიო ქალის ლეგენდარული კარიერა

ფრანგი მწერალი, მსახიობი და მოცეკვავე, სიდონი-გაბრიელ კოლეტი, ახალი ევროპელი ქალის დეკადანსის ერთ-ერთი სიმბოლო და მოდის კანონმდებელი გახლდათ. ის თითქოს სპეციალურად იმ ეპოქისთვის დაიბადა, რომელშიც ცხოვრება მოუწევდა.

ირინა ჰანდიერი

ჩამოსული გასტროლიორი

გოგონა წვრილი, ღია ფერის თვალებით, მუქი ხვეული თმითა და ფაიფურისებრი სახის ნაკვეთებით, ქვეყანას 1873 წელს მოეწვინა, ბურგუნდიაში. ოფიცრის ქალიშვილს



საკუთარ თავს ანგრევდა, იმდენად, რომ მალე ფსიქიატრიულ კლინიკაშიც მოხვდა

თვინიერი ხასიათი არასდროს ჰქონია. დამოუკიდებელი ლამაზმანის ბედ-იღბალში, საწყის ეტაპზე, მნიშვნელოვანი როლი მისმა გარეგნობამ შეასრულა. ის იმდენად მომხიბლავი იყო, რომ ჩამოსული პარიზელი „გასტროლიორის“, ანრი-გოტიე ვილარის ყურადღებაც მიიქცია, რომელსაც დედაქალაქის ბოჰემურ წრეებში ვილიდ მოიხსენიებდნენ.

ვილარი კოლეტზე 14 წლით უფროსი გახლდათ და ცნობილი ლიტერატორისა და კრიტიკოსის რეპუტაციით სარგებლობდა. დღეისთვის, ის მხოლოდ როგორც სიდონის ქმარი თუ ახსოვთ, მაგრამ მაშინ ეს სახელი მთელ საფრანგეთში გრგვინავდა. გულუბრყვილო

პროვინციელმა ჩათვალა, რომ ქალაქელი „ვარსკვლავი“ მისი ნუშისებრი ფორმის თვალებითა და ფაიფურისებრი სიფერმკრთალით მოიხიბლა. ვილი მოხიბლული კი იყო, მაგრამ ყველაფერი ასე მარტივი არ აღმოჩნდა. მალე გაირკვა, რომ ანრი-გოტიე სულაც არ ყოფილა ლიტერატორი, არამედ — მოხერხებული ბიზნესმენი და გაიძვერა. მასზე ე.წ. „ლიტერატურული ზანგების“ მთელი ბრიგადა მუშაობდა და ამგვარად, ვილარის მოხერხებული ხელმძღვანელობით, დახვეწილ ლიტერატურულ ნიმუშებს ქმნიდა.

სიდონის ქორწინება ორი მოსიყვარულე ადამიანის კავშირად არ ქცეულა. ეს, რაღაც ურთიერთ-მომგებიან ბიზნესსანარმოს უფრო ჰგავდა. ქმარმა გოგონა ფრანგული ბოჰემის წრეში შეიყვანა, სადაც მრავალი ცნობილი ადამიანი გააცნო (საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ ისინი ახალგაზრდა ქალს კარიერულ ზრდაში დაეხმარნენ). გამჭრიახმა ვილიმ კოლეტში უხინჯო ლიტერატურული ნიჭი შენიშნა და ის თავის სასარგებლოდ მიმართა. ამის შემდეგ, ნორჩი სიდონი ქმრის ლიტერატურული ფაბრიკის ერთ-ერთ მოკრძალებულ წევრად გადაიქცა.

დროთა განმავლობაში, ამგვარი ცხოვრების სტილი თავისუფლებისმოყვარე ადამიანისთვის რთულად ასატანი გახდა. მას თითქოს დამოუკიდებლად სუნთქვის საშუალებაც კი არ ჰქონდა. ქმრის ამბიციების დასაკმაყოფილებლად, მისი უზნეობის მოთმენით, ის საკუთარ თავს ანგრევდა, იმდენად, რომ მალე ფსიქიატრიულ კლინიკაშიც მოხვდა. მოთმინების ფიალისთვის უკანასკნელ წვეთად ვილარის საყვარელთა მთელი არმია იქცა.

არადა, ანრი-გოტიე ცოლთან განშორებას არც კი გეგმავდა, რადგან სიდონის ტალანტის გამოყენებას საკუთარი სახელის მეტად განდიდებისთვის აპირებდა. საამისოდ რას არ იღონებდა?! ჰოდა, საბრალო ქალი კლინიკიდან

გამოიყვანა და მზრუნველი მამასავით ეპყრობოდა. სიდონის გული მოუღბა და ქმარს თავის ადრეულ წლებზე ყველაფერს უამბო. ვილის სწორედ ეს რომ ეს სჭირდებოდა. ალტაცებას ვერ ფარავდა და ცოლი შეაგულიანა — ყველაფერი ლიტერატურად ექცია.

ასე შეიქმნა პირველი ოთხი წიგნი: „კლოდინი სკოლაში“, „კლოდინი პარიზში“, „გათხოვილი კლოდინი“ და „კლოდინი მიდის“, რომლებიც ვილარის ფსევდონიმით — „ვილი“ — გამოიცა. დედაქალაქი ვილის ტალანტით იყო აღფრთოვანებული. საფრანგეთი „კლოდინომანიით“ დაავადდა. ვილარს ახლა ქალის სულში იშვიათი ნვდომის გამო აქებდნენ.

დადგა XX საუკუნე. კოლეტი უკვე 30-ს უახლოვდებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ქმრის ლიტერატურული მონის წამგებიან როლს ასრულებდა. ვილარი მდიდრდებოდა. „კლოდინის“ მარკით უკვე სუნამოებს, ტანისამოსს, ჩანთებს აწარმოებდნენ. გაყიდვებიდან პროცენტები ვილის საფულეში ილექებოდა. ეს მონობა ალბათ არც არასდროს დასრულდებოდა, 1905 წელს მამაკაცს ცოლი თვითონ რომ არ მიეტოვებინა. ვილარმა გადაწყვიტა, რომ რაც სჭირდებოდა, მისგან უკვე მიიღო.

ახალი ცხოვრება

ლატაკმა სიდონიმ ღარიბთა უბანში პანანინა ბინა იქირავა და დამოუკიდებელ „ცურვას“ შეუდგა. ქმართან დაშორებისას ის იმდენად გადაღლილი იყო ლიტერატურული შრომით, რომ ფიქრიც კი აღარ სურდა ქალაქსა და კალამზე.

გამორჩეული გარეგნობის, გრაციოზული და დახვეწილი ახალგაზრდა ქალბატონი გარშემო მყოფთა ყურადღებას იპყრობდა. მან მსახიობობა გადაწყვიტა და, რა საოცარიც უნდა იყოს, ამ სფეროშიც ბევრს მიაღწია. მანამდე ყველასათვის უცნობი სიდონი ლეგენდარული კაბარე „მულენ რუჟის“ ვარსკვლავად იქცა. პიესებს, რომლებშიც თამაშობდა, დღეს მანერულად და ხე-

ლოვზურად მიიჩნევენ, მაგრამ მაშინ ეს ერთ რამედ ღირდა. მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ „ეგვიპტური სიზმარი“, სადაც ეგვიპტელი პრინცესის მუმიას თანამედროვე მამაკაცის ამბორი აცოცხლებდა. ამ პიესაში ულელანყვეტილმა სიდონიმ ნამდვილი სტრიპტიზის დემონსტრირება მოახდინა: სამარხიდან აღმდგარმა „მიცვალებულმა“ მუმიის სამოსი გადაადგო და მაყურებლის წინაშე მკერდი მოიპიშვლა. პუბლიკა შოკში ჩავარდა.

ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ადამიანი ერთ ღამეში სახელგანთქმული ხდება და დილას ვარსკვლავად იღვიძეს. სიდონის ფერხთით მთელი პარიზი „ინვა“, მაგრამ ქმრისგან შთაგონებული არასრულფასოვნების კომპლექსისა და შიშისგან მაინც დიდხანს ვერ თავისუფლდებოდა. კოლეტი ლიტერატურულ საქმიანობასა და მამაკაცებს დიდხანს არიდებდა თავს. არადა, სწორედ ამ სფეროებში ჰქონდა რეალური პერსპექტივა...

გავიდა დრო და ჭრილობებმაც შეხორცება დაიწყო. კოლეტმა ნელ-ნელა საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობა გააბა. მისი ერთ-ერთი საყვარელი — მოდური იტალიელი მწერალი გაბრიელე დ'ანუნციო გახლდათ.

ის მამაკაცებს დაუბრუნდა და მათთან ერთად — ლიტერატურა-საც. საკუთარი სახელით გამოუშვა წიგნი — „ცხოველთა დიალოგები“. მასში ნათლად ასახა საკუთარი ცხოვრებისეული პრინციპები.

1910-იანი წლების დასაწყისისთვის, ცხოვრებამ კოლეტისთვის რალაც პანდორას ყუთის მაგვარი გახსნა, ოღონდ — კარგი გაგებით. ლამაზმანი მწერალი ქალისკენ ცხოვრების ყველა სიამე მიედინებოდა: სახელი, წარმატება, საწინააღმდეგო სქესის მხრიდან თაყვანისცემა, ფული, საინტერესო ნაცნობები. პირად ცხოვრებაშიც მოხდა ცვლილებები: 1912 წელს პოლიტიკოს ანრი დე ჟუვენელის ცოლი გახდა. 40 წლის ასაკში თავისი პირველი და ერთადერთი ქალიშვილი გააჩინა. მისი მეორე ქორწინება თეატრალური ცხოვრების დროს შექმნილმა თავისუფალმა ჩვევებმა დაანგრია, რომელმაც ალბათ საშინელი საქციელი განაპირობა: სიდონიმ 16 წლის გერთან გააბა რომანი...

კლასიკოსი სხეული

სიდონი კოლეტი სიცოცხლეშივე ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსად იქცა. ის სწორედ იმ დროს ქმნიდა, როცა დასავლეთში ე.წ. „ქალური ლიტერატურა“ მკვიდრდებოდა. ლიტერატურულ ავანსცენაზე ასევე ფრანგი ფემინისტი მწერლის — სიმონა დე ბოვუარის გამოჩენამდე ჯერ საკმაოდ ადრე იყო. თუმცა, ქალს უკვე მოპოვებული ჰქონდა უფლება, გამოეხატა საკუთარი აზრები ქალაღზე და მკითხველებში წარმატებითაც ესარგებლა.

კოლეტი სიყვარულზე წერდა — ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებზე; რთულ ფსიქოლოგიურ მომენტებზე. მაგრამ ის არავის უფლებებს არ იცავდა; არც სატირიკოსი გახლდათ. სიდონი ცხოვრების იმ მხარეს აშუქებდა, რომელიც მისთვის კარგად იყო ცნობილი. ქალის რთულ ხვედრზე მოგვითხრობს მისი ყველაზე ცნობილი რომანი — „დაუდგრომელი“; წიგნი „მოხეტიალე“ კი მკითხველს კულისებს მიღმა ცხოვრებას აცნობს.

თუკი მწერალი რამით იყო უკმაყოფილო, ეს პირველ რიგში, ადამიანის სულიერი სიღარიბეა. ამ ცოდვას ის მხოლოდ შინაურ ცხოველებს თუ მიუტევებდა. „ცარიელ“ ადამიანებზე, როგორც მათ ცხოველები ხედავენ, კოლეტმა მკითხველს თავის წიგნში — „მშვიდობა ცხოველებს შორის“ — მოუთხრო.

თუკი იმდროინდელი პროზა გრძნობებისა და განცდების გამოხატვის კუთხით, უმეტესად რთული იყო, სიდონის ენა საკმარისად უბრალო გახლდათ და ამიტომაც, მისი წიგნების პოპულარობა შემთხვევითი არ ყოფილა. სხვათა შორის, კოლეტი ფემინიზმის იდეის მიმართ საკუთარ წინააღმდეგობასაც გამოხატავდა და ამბობდა: „როცა ქალი საკუთარ გონიერებაზე ფიქრობს, ის თანასწორობას აღწევს, ხოლო როცა სინამდვილეში ფლობს გონებას — ის მის მოპოვებაზე არ ზრუნავს“.

სქესთა თანასწორობისთვის ბრძოლას ის დაკარგულ დროდ თვლიდა. მწერალი ქალი საჭიროდ მიიჩნევდა დახმარების განევას არა საზოგადოებრივი მოძრაობებისა და ორგანიზაციებისთვის, არამედ ცალკეული ადამიანებისთვის — სწორედ „აქ და ახლა“.

ბედნიერებამ სიყვარულში სი-

დონის 62 წლისას მოუსწრო. მისი უკანასკნელი რჩეული — მორის გუდეკე მასზე 16 წლით უმცროსი იყო. ფაშისტური ოკუპაციის დროს, კოლეტმა დიდი ძალისხმევა გასწია მის გადასარჩენად: მორისი ებრაელი გახლდათ.

1949 წელს სიდონი კოლეტი გონკურის აკადემიის პრეზიდენტი გახდა, რომელიც მწერლებს ფრანგული ლიტერატურის ყველაზე ცნობილ პრემიას ანიჭებს. ამ პოსტს მწერალი ქალი სიკვდილამდე — 1954 წლამდე იკავებდა.

ართრიტმა ლოგინს მიაჯახჭვა, მაგრამ ტანმორჩილი ფრანგი ქალბატონი ისევ აგრძელებდა საქმიანობას და არ წყვეტდა კონტაქტებს ისე, რომ არც დგებოდა საწოლიდან, რომელსაც თვითონვე დაარქვა „საწოლი-სხეული“.



კოლეტი სიცოცხლეშივე ფრანგული ლიტერატურის კლასიკოსად იქცა

სიდონი კოლეტი პერ-ლაშეზის სასაფლაოზე დაკრძალეს. მისი ნაწარმოებების კრებული 15 ტომს ითვლის.

P.S. დასავლური კინოსაიტების ინფორმაციის თანახმად, ამერიკელი კინემატოგრაფისტები მუშაობას შეუდგნენ ფილმზე „კოლეტ“, რომელშიც მწერალი ქალის როლს ჰოლივუდის ვარსკვლავი კირა ნაიტლი შეასრულებს. ფილმის დამდგმელი რეჟისორი უელშ უესტმორლენდი იქნება, რომელსაც ჩვენი მაყურებელი იცნობს ფილმებით: „კეროლ“, „ისევ ის ელისი“. გადაღებები ბუდაპეშტში მაისში დაიწყება.



ბიბლუსი

წარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

<http://svetnov.wordpress.com/>
gza.fantazia@gmail.com

სვეთა კვარაცხელია

დასაწყისი ნი. „მზა“ №5-11

გამიხარდა, ბიბის ჩემი მეგობრები და მათი ქმრები რომ მოეწონა და მეც თავი გამოვიდე.

— ყველანი არაჩვეულებრივები არიან. არ იცი, როგორ მიყვარს ჩემი გოგოები, თუმცა დღეს საკმაოდ მკაცრი დაკითხვა მომიწყვეს. ყველაფრის გაგება უნდოდათ.

— ჩემზე? — ბიბიმ წარბები აზიდა.

— ჰო, — მსუბუქი ღიმილი გადავიფინე ტუჩებზე, — ყველაფრის, ბოლო წერილმანამდეც კი.

— რატომ ხართ ქალები ასეთი ცნობისმოყვარეები? ისიც ხომ არ გკითხეს, სექსში როგორია?

მის შეკითხვაზე ფხუკუნი ამიტყდა.

— ნუ, დაახლოებით, — კეკლუცად გავხედე, მაგრამ მაინც დამაინც არ მესიამოვნა, ქალები რომ გაგვიკლა. როგორც ჩანს, ეს შემეტყო სახეზე, რადგან მაშინვე შემფოთდა.

— ცუდად ხომ არ გამომივიდა?

— თითქმის, — მშრალად მივუგე, — ისინი ჩემი მეგობრები არიან, ბიბი. და ჩვენ ვენდობით ერთმანეთს.

— მესმის, განა არ მესმის, ამიტომაც არ ვიზოგავ თავს, რომ დადებითი შთაბეჭდილება მოვახდინო თითოეულზე. საერთოდ დამავინდა ჩვენი მოლაპარაკება სამსახურის თაობაზე, ისე გამიტაცა მათთან ურთიერთობამ: ვხუმრობ, ლამის ვფლირტაობ სამივესთან, ბიჭებთან საქმიანად ვსაუბრობ, თან თვალს არ გაშორებ, ისეთი ლამაზი ხარ. ვერასდროს წარმოვიდგენდი, ასეთი იდეალური სხეული თუ გექნებოდა, თავბრუს მახვევ... მეტი რა გავაკეთო? — ბოლოს ხუმრობით დაამთავრა.

მთავარი როლი



— არც არაფერი. მთავარია, ზედმეტი არ მოგვივიდეს. ცოტა არ იყოს, ვნანობ, ეს თამაში რომ წამოვიწყე. სინდისი მქენჯნის, ჩემი ყველაზე ახლობელი ადამიანების მოტყუება რომ მიწევს.

თანაგრძნობით შემომხედა და ხელზე ხელი მომიჭირა.

— ნუ განიცდი, არ ღირს. ისეთს არაფერს აკეთებ, რომ მერე სანანებელი გაგიხდეს. აქ ერთად იმიტომ აღმოვჩნდით, რომ დიდი ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს და გვსიამოვნებს ერთად ყოფნა. ასე არ არის? დავანებოთ სხვა ყველაფერს თავი. სავესებით ბუნებრივია, ძველ მეგობრებთან შეხვედრა და დროს ტარება ჩვეულებრივი ამბავია. ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. შენი არ ვიცი და, მე ამ ყველაფრისგან დიდ სიამოვნებას ვიღებ. ჩვენი ურთიერთობა ერთი თვის შემდეგაც გაგრძელდება, გუშინ ხომ არ გაგვიცნია ერთმანეთი, ამიტომ არ ღირს, ამის გამო, სინანული განიცადო.

უნდოდ შევხედე. მიხვდა, რამაც გამიელვა, და სასწრაფოდ დაამატა:

— ვიცი, ვიცი, რომ ცოტას ვაჭარბებ. მე და შენ ახლო მეგობრები არასდროს ვყოფილვართ და რაც იყო ჩვენ შორის, ისიც მე გავაფუჭე, მაგრამ რა ვქნა, ვცდილობ, ხალისი დაგიბრუნო და რაღაცებს მივედებ-მოვედები.

გამეღიმა. მისმა სიტყვებმა დამამშვიდა. მხარზე ოდნავ მივეყრდენი და ვუჩურჩულე:

— მაღლობა, ბიბი. შენ კარგი ადამიანი ხარ.

— უბრალოდ კარგი? — თეატრალური ჟესტით ჩამიკრა თვალი და ღვინით სავსე ბოკალი, რომელიც სამი თითით ეჭირა, მაღლა ასწია. — მეგობრული პაემნის სადღეგრძელო იყოს!

ეჰ, ნეტავ შემეძლოს, მხოლოდ მეგობარი მერქვას!.. მაგრამ, რატომღაც, უფრო მეტი მინდა, მისთვის ვიყო, ვიდრე მეგობარი...

ჩემი დაქალები ზრუნავდნენ ჩემზე, უნდოდათ, ბედნიერი ვყოფილიყავი. მართლა ძალიან განვიცდიდი, რომ მათი მოტყუება მიხდებოდა, რადგან ისე გულწრფელად უხაროდათ ბიბის გამოჩენა, რომ თავს ევლებოდნენ. მათი წარმოდგენით, ჩემს ბედნიერებას მხოლოდ მამაკაცი აკლდა. ბოლო მომენტამდე არ ვიზიარებდი მათ „თეორიას“, უფრო მეტიც, სასაცულოდაც არ მყოფნიდა, მაგრამ ბიბის გამოჩენამ და მის მიმართ ხელახლა გაჩენილმა გრძნობამ მეც ჩამაფიქრა. ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა ქალი ვარ და სიყვარული მჭირდება. ახლა უკვე აღარ მეცინებოდა ბანალურ ფრაზაზე: „ისინი დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ“. თუმცა, მაინც არ მსურდა, ბოლომდე დამეთმო ჩემი პოზიციები, თან — ასე ადვილად. ჩემი გეგმა ერთობ სარისკო იყო, მაგრამ უკან დახევას არ ვაპირებდი. გადავწყვიტე, თამაში ბოლომდე მიმეყვანა, მერე კი, როცა ქორნილი ჩამთავრდებოდა, სიმართლე მომეყოლა ჩემი გოგოებისთვის.

მაგრამ სიმართლე რის შესახებ? მართალია, ბიბი სულ სხვა კუთხით გავიცანი იმ დღეს, როცა ჩემთან დავპატიჟე, და სრულიად განსხვავებული შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული, მასთან ურთიერთობა ტანჯვად მექცა. თითქოს გამოცდას მიწყობდა ცხოვრება და ჩემზე იყო დამოკიდებული, გავუძლებდი თუ არა ამ გამოცდას. მთელი საღამოს განმავლობაში გაფაციცებული ვადევნებდი თვალს ბიბის ქცევას, მის ჟესტებს, საუბრის მანერას და ნაკლს ვერ ვპოულობდი. ის საოცრად მომხიბვლელი იყო, ქალებთან — ნაზი, მამაკაცებთან — ძლიერი, ჩემთან — მზრუნველი. ვიჯექი სუფრასთან, ვსინჯავდი კერძებს და გემოს ვერ ვატანდი. მთელი გულისყური ბიბისკენ მქონდა. იმ წუთებში მხოლოდ მასზე ვფიქრობდი და სხვა არაფერზე. ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ საკუთარ დაქალბელსაც კი არ ვაქცევდი ყურადღებას, გამუდმებით თავზე რომ დაგვფოფინებდნენ მე და ბიბის, თითქოს ეს სუფრა საგანგებოდ ჩვენთვის ყოფილიყო გაშლილი და არა — მეგისა და მისი მომავალი მეუღლის პატივსაცემად. მას მერე, რაც დაკითხვა მომიწყვეს, ფაქტობრივად, აღარ მანუხებდნენ. ეს მათი ტაქტიკური სვლა იყო. ვხვდებოდი, რომ შესაძლებლობას მაძლევდნენ, დავრჩენილიყავი ბიბის გვერდით, მეყურებინა მისი ლამაზი თვალებისთვის, მესაუბრა მასთან, მეფლირტავა ისე, როგორც არასდროს. ალბათ სურდათ, ეს დღე ჩემთვისაც განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი ყოფილიყო.

განა ამას არ ამტკიცებდა ბიბის კოცნაც? თვალები დავხუჭე და თავი გავაქნიე, მაგრამ ვერაფრით შევძელი კოცნის სცენის გონებიდან ამოგდება. როგორც სასურველ ქალს, ისე მკოცნიდა. განა არ ვიყავი ასეთი? ჩემი აზრით, ვიმსახურებდი ისეთ მამაკაცს, როგორიც ბიბი იყო.

მთავარი ის იყო, რამ უფრო მოხიბლა ჩემში. იქნებ მხოლოდ კაბამ? რა თქმა უნდა, კაბამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. მას ხომ არასდროს ვუნახავდარ ასეთ ფორმაში, ამიტომაც უფრო ადვილად მორიგო ქალის გულთამპყრობლის როლი და ჩემთან ფლირტაობაც გაუადვილდა. მას ხომ ნებისმიერი ქალის

მოხიბვლა შეუძლია, თუ მონდომა. მე კი... რა ვიცი, ხანდახან უიმედობა მიპყრობს, როცა მის გვერდით წარმოვიდგენ თავს. განსაკუთრებით, იმ ფორმაში, სახლში რომ ვარ ხოლმე — ლინზების გარეშე, უმაკიაყოფად და პიჟამაში. ასე რომ დამინახოს, დარწმუნებული ვარ, უკანმოუხედავად გაიქცევა, როგორც წლების წინ...

ჰო, ეს შეიძლება, კიდევ ერთხელ გამეორდეს. როგორც კი ჩვენი შეთანხმების ვადა ამოიწურება, ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს ერთმანეთს არ ვიცნობთ და გაქრება. ამისთვის აქედანვე უნდა ვიყო მზად, რომ გული არ მეტყინოს. ეს ხომ პირველი შემთხვევა არ იქნება?

არ ვიცი, როგორ გავუძლებ ამ ერთ თვეს. მხოლოდ ერთხელ ვაკოცეთ ერთმანეთს და ყველაფერი უცებ გართულდა. ასე თუ გაგრძელდა, რა იქნება შემდეგ? შევძლებ კი თავის შეკავებას? წინ მთელი თვეა... კარგი, დავუშვათ, იგი მხოლოდ თავის როლს ასრულებდა და არავითარი ქვენა გრძობა არ ჩაუქსოვია ამ კოცნაში, მაგრამ როგორ გავიგოთ მისი უცნაური ინტონაციით და სულისშემძვრელი მზერით წარმოთქმული სიტყვები: „და თუკი არ ვთამაშობდი, მაშინ?“

რა თქმა უნდა, სასიამოვნო იქნებოდა, ჩვენი ურთიერთობა უფრო გაღრმავებულიყო და სიყვარულში გადაზრდილიყო, მაგრამ ასე გარისკვა არ შემიძლო. წლების განმავლობაში კარგად დავამუღამე, რომ შეჩვევა მწარე იმედგაცრუებად შეიძლება შემოგობრუნდეს. მე

ხომ, უბრალოდ, არ ვარ გაჩენილი სასიყვარულო ურთიერთობებისთვის, მით უფრო — ოჯახის შესაქმნელად.

ფიქრი ზარის ხმამ შემანყვეტინა. ჩემი შეშინებული და დამფრთხალი ფიქრები ჰაიპარად შევრეკე გონების რომელიღაც კუნჭულში და კარის გასაღებად გავემართე.

სპორტული ღონისძიებების მარკეტინგის უფროსი მეახლა, რომლის სახელი აღარ მახსოვდა, თემური თუ თამაზი ერქვა. სიფრთხილე უნდა გამომეჩინა, რომ შეცდომით სხვა სახელით არ მიმემართა.

— მობრძანდით, — მოკლე შემოპატიჟებით შემოვიფარგლე.

ახალგაზრდა კაცი საქმიანი სახით შემოვიდა ოთახში და ტახტზე მოკალათდა.

მე წინ დავუჯექი და მოსასმენად მოვემზადე. მანამდე ყავა შევთავაზე.

— არა, გამადლობთ, ქალბატონო ელენე. პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, თქვენი ნებართვით. ბრაზილიიდან დელეგაციას ველოდებით ტურნირის მოსაწყობად. შეიძლება, უმაღლესი ლიგის რომელიმე ფეხბურთელიც გვეწვიოს, ცნობილი, რა თქმა უნდა, ამიტომ შთამბეჭდავი დახვედრაა საჭირო. როგორც ყოველთვის, თქვენ მოგმართეთ. მახსოვს თქვენი გამართული სალამოები. ვიმედოვნებთ, არც ახლა გაგვიცრუებთ იმედს.

საუბრის განმავლობაში თავს ვუქნევდი ჩემს კლიენტს, ვიღიმოდი, საჭირო სიტყვებსაც ჩავურთავდი, მაგრამ გონებით მაინც ბიბისთან ვიყავი. პარალელურად



ორ რამეზე ვფიქრობდი, რაც კონცენტრაციაში ხელს მიშლიდა.

მოველაპარაკე თემურს თუ თამაზს (მაინც ვერ გავიხსენე, რა ერქვა) — რა სახის ფურშეტი თუ სადილი სურდა, რამდენ პერსონაზე და რამდენად გრანდიოზული. ამავდროულად, წამითაც არ მავინყდებოდა ბიბის ტუჩების გემო — ერთდროულად ვნებიანი, ნაზი და მთრთოლარე, თითქოს ყოველ წამს ელოდა, როდის ვკრავდი ხელს და მოვიშორებდი თავიდან. არადა, იმ წუთებში ყველაფერი გადამაწინყდა — მიხაროდა, რომ მოურჯულბელმა ჭირვეულმა, ზღაპრული პრინცის მოჯადოება შევძელი. ამ უცნაურმა მეტაფორებმა ღიმილი მომგვარა.

— გაქვთ იდეა, სად აჯობებს ფურშეტის გამართვა? — მკითხა სტუმარმა.

მისმა შეკითხვამ მაიძულა, რეალობას დავბრუნებოდი. ადრე არასდროს გადავრთულვარ ფიქრით სხვა რამეზე, ყოველთვის მთლიანად ვეფლობოდი ჩემს სამუშაოში, ახლა კი...

— არასტანდარტული გარემო აჯობებს, ჩემი აზრით, — ვუთხარი და საჟურნალე მაგიდაზე შემოდებული ალბომი გავუნოდე, — დაათვალიერეთ ეს ფოტოები. იქნებ თქვენთვის მისაღები შეარჩიოთ. როგორ გითხრათ, ისეთ ადგილებში გამიმართავს საღამოები, რომ... საგამოფენო პავილიონებში, მატარებლის ვაგონებში, სასტუმროს ფოიეებში, აუზებზე, სახლის სახურავებზე... უბრალოდ, ახლა ზამთარია და დიდი შესაძლებლობა არ გვეძლევა. მინდა გითხრათ, რომ ბანალური და ტრადიციული გადამწყვეტილებები არ მხიბლავს. ჩემი მიზანია, არაორდინარული, ინოვაციური პროექტები განვახორციელო, თანაც — სრულად მისადაგებული კლიენტის სურვილებთან. ვიტრაზაზე და გეტყვით, რომ ეს იქნება უნიკალური პროექტი, რომელსაც ვერც ერთი სხვა კომპანია ვერ შემოგთავაზებთ.

მამაკაცი წამოდგა, ხელი ჩამოართვა და კარგა ხანს მიყურა გამომცდელი მზერით, მერე კი თქვა:

— ჩვენი მარკეტინგის სამსახურს გადავცემ თქვენს წინადადებებს, თუმცა, ვფიქრობ, წინააღმდეგობა არ შეგვხვდება. ჩათვალეთ, რომ დაკვეთა უკვე მიიღეთ, ამაზე მე ვიზრუნებ, ქალბატონო ელენე. ვიცი, რა და როგორ შეგიძლიათ.

— გმადლობთ. გარწმუნებთ, იმედგაცრუებული არ დარჩებით.

სტუმარი კარამდე მივაცილე და დავემშვიდობე.

ესეც ასე! საკმაოდ მსხვილი დაკვეთა მივიღე. მთავარია, კარგად განვახორციელო და ყველა კმაყოფილი დარჩეს. თუ ყველაფერი მეგადონეზე გამომივიდა, ჩემი პორტფოლიო კიდევ ერთი ულამაზესი პროექტით შეივსება. ეს კიდევ ახალი შეკვეთის პერსპექტივას გამიჩენს. მაგარია!

სხვა დროს ასეთ სიტუაციაში გახარებული გავვარდებოდი სამზარეულოში და შოკოლადის კექსის მომზადებას შევუდგებოდი, მერე მოვკალათებოდი ჩემს სავარძელში, ჩავრთავდი წყნარ მუსიკას და კექსით ჩავიტკბარუნებდი პირს, რომ ახალი პროექტის დაკვეთა ასე აღმენიშნა, ახლა კი სულ სხვა გიჟურმა სურვილმა წამომიარა: რა მოხდება, ბიბის რომ დაფურეკო და ჩემი სიხარული გავუზიარო? ან „უარესი“ — სადმე ბარში დავპატიჟო, რათა ჩემი ახალი შეკვეთა „დავასველოთ“?

ღმერთო ჩემო, რა მემართება? სად წავიდა ის ელენე, განმარტობას რომ ეძებდა გამუდმებით? რატომ მომინდა მაინცდამაინც ახლა და მაინცდამაინც ბიბისთან გულის გადაშლა?

არა, რა თქმა უნდა, ამას არ გავაკეთებ. ბიბისთან წამოწყებული მთელი ისტორია მხოლოდ ჩემი დაქალების „დასაბოლებლად“ არის გამოგონილი და — მორჩა. სხვა რამეში ბიბი არ მჭირდება! მკაცრად შევეძახე თავს, მაგრამ ხელი მაინც ტელეფონისკენ გამიბრუნდა, იქვე რომ ეგდო, საჟურნალე მაგიდაზე. ერთი მცირე მოძრაობა და...

თითქოს ამას ელოდებოდაო, მოულოდნელად, ჩემი მობილური ანკრიალდა. ისე დავიბენი, ეგრევე ვეცი, არც დამიხედავს, ვინ მირეკავდა, ტელეფონი ყურთან მივიდე და ვუპასუხე.

— როგორ არის ჩემი პრინცესა?

თითები მაგრად მოვუჭირე მობილურს, ძლივს შევძელი მისი ხავერდოვანი ხმის გაგონებაზე მოგვრილი სიხარულის დაფარვა.

— არა მიშავს რა. ამწუთას სწორედ შენზე ვფიქრობდი, — ჩემდა უნებურად წამომცდა და ხელისგული შუბლზე მივირტყი, რას ვფიქრობ, ბიბის ამას რომ ვეუბნე-

ბი-მეთქი?! — როგორ უნდა გაგრძელდეს მომავალში ჩვენი საერთო გეგმა, — სასწრაფოდ დავამატიე.

— ასეც ვფიქრობდი, — მისმა დამცინავმა ინტონაციამ გამაწითლა. დავიჯერო, მართლაცაა ზუსტად ხვდება ჩემს აზრებს, თუ უბრალოდ, მე მაფიქრებინებს, რომ ხვდება?

— რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, — სხაპასხუპით მომამყარა, — ჩემი კომპანიის ხელმძღვანელს ხომ იცნობ? ელგუჯას. ჰოდა, საქმიან სადილს მართავს, სადაც ახალი სტრატეგიები უნდა განიხილოს ბიზნესმენებისთვის. რა თქმა უნდა, მე, როგორც ამერიკაში სტაჟირებაგავლილი სპეციალისტი, მიწვეული ვარ.

— მშვენიერია, — მის მაგივრად გამიხარდა. იქნებ ნელ-ნელა წაინიოს წინ, სანამ მე დავეხმარები.

— მაგრამ მას სურს, რომ მეგობარ გოგონასთან ერთად მივიდე სადილზე. მონვეული ჰყავს აგრეთვე პარტნიორები და პროდუქციის პოტენციური შემსყიდველები. ასე რომ, „ჩარლის გოგონები“ თავიანთი ქმრებით იქ იქნებიან.

— „ჩარლის გოგონები“?

— მგონი, კარგი მეტსახელი მოვუძებნე შენს დაქალებს. აბა, დააკვირდი, თუ ასე არ არის: ლილი ქერაა, კატო — შავგვრემანი, მეგი კიდევ — „რიჟა“... თუ ჟღალთმიანი, როგორც არის, რა.

ორივეს გაგვეცინა.

— იცი რა, ბიბი? თუ გცალია, საღამოს შევხვდეთ სადმე ბარში და ჩვენი წარმატებისა დავლიოთ. მეც მივიღე დღეს ერთი გრანდიოზული შეკვეთა.

— გილოცავ! შენი წინადადება კი ერთობ მაცდურად ჟღერს. სადა როდის?

— სადაც პირველად შევხვდით. რაღაც საქმე მაქვს დასამთავრებელი, ვფიქრობ, ერთ საათში მოვრჩები, მერე კი სმს-ს გამოგიგზავნი.

— შევთანხმდით. დაველოდები შენს მესიჯს... და რაც შეეხება სადილზე მიპატიჟებას? წამოხვალ ჩემთან ერთად?

— რა თქმა უნდა, — ყოყმანის გარეშე ვუპასუხე, — სხვა რა გზა მაქვს? გოგონებმა იქ მარტო რომ გნახონ, იფიქრებენ, ნაჩხუბრები ვართ.

— და მართალიც იქნებიან, — გაიცინა ბიბიმ, — კარგი, მოვილაპარაკეთ. იმედია, ბარში მალე

შევხვდებით. იცოდე, მოუთმენლად ველი შენს სმს-ს.

ტელეფონი გავთიშე და ჩემი საქმეების საქალაქდეს ნაღვლიანად დავხედე. ეჰ, აჯობებს, რაც შეიძლება სწრაფად დავამთავრო შევსება, თორემ დამერხება. რაც მალე დავამთავრებ, მით უფრო მალე ვნახავ ბიბის. ოღონდ თავი ხელში უნდა ავიყვანო, რომ საბოლოოდ არ დავკარგო კონტროლი სიტუაციაზე, თორემ დავილუპები.

მაგრამ სიტუაცია მალევე შეიცვალა. მასთან შესახვედრად გავედი თუ არა, დამირეკა და მითხრა, სამსახურიდან ჯერ ვერ გამოვიდვარ, ელგუჯა არ მიშვებს და ერთი საათი მაინც მოგონევს ლოდინიო. დავ-

თვალეები გამიფართოვდა. უზარმაზარი „აპარტამენტი“ ჰქონია, ჩემსავით სორო კი არა. თან, ისეთი გემოვნებით იყო მოწყობილი, ქალსაც კი შეშურდებოდა. ერთადერთი, რაც არ მომეწონა, ჭერიდან დაშვებული ფარდები იყო, როგორც წინათ უყვარდათ თბილისში, ლამის იატაკს რომ ეხება. ჭერში შიდა სანათები იყო ჩამონტაჟებული, კედლებზე კიდეც — ლამაზი ბრები. განსაკუთრებით შანდლები მომეწონა, ცხოველებისთავიანი განშტოებებით. კამოდზე ფერადი მინისგან ჩამოსხმული მინიატიურული ბოთლები ელაგა, ოღონდ — ცარიელი. ასეთები ადრე არავისთან მინახავს. მისაღების გარდა ბინაში კიდეც რამდენიმე ოთახი იყო, მაგრამ იქ

თურმე ტყუილად ვიტყუებდი თავს. მისთვის დამახასიათებელმა ნაზმა მზერამ და ინტიმურმა ლიმილმა შეცდომაში შემეყვანა. ფაქტია, ბიბი მომწუხრებელი, მხიარული ექსტრავერტია, რომელიც ადვილად ახერხებს ქალების გულის მონადირებას. მე კი ინტროვერტი ვარ, რომელიც ყოველდღიურად ახდენს თავდაჯერებულ, საქმიანი ქალის იმიტირებას, ასე რომ სჭირდება სამსახურში.

ფაქტია, ბიბი სიცოცხლით სავსე ადამიანია, რომელსაც ურთიერთობები ხიბლავს. მე კი ნიღბით დავდივარ, რომელსაც მხოლოდ მაშინ ვიხსნი, როცა შინ ვბრუნდები.

ფაქტია, ბიბი და მე სრულიად სხვადასხვა სამყაროს განვეკუთვნებით. ის მხოლოდ იმიტომ მეფლირტავება, რომ საკუთარი მიზნებისთვის მსხვერპლი გაილოს და არა იმიტომ, რომ გრძნობები გაუჩნდა ჩემდამი, მე კი მასზე უგონოდ ვარ შეყვარებული.

ნუთუ ისეთი სულელი ვარ, რომ ბავშვობის შეცდომას კიდეც გავიმეორებ? მე ხომ მხოლოდ პლატონურ სიყვარულისმაგვარს მოვითხოვდი მისგან? როგორც ჩანს, თვითონ წამოვეგე სხვისთვის დაგებულ ანკესზე.

და აი, ახლა ვდგავარ იმ ადამიანის სახლში, ვინც ჩემი გული ხელმეორედ ააფორიაქა. რაღა მაქვს დასამალი? ხომ ვოცნებობდი, ბიბის მართლა შევეყვარებოდი და მასთან რეალურადაც გამება რომანი? მისმა კოცნამ ყველაფერი შეცვალა. მან თამამად გადალახა ის კედელი-ზღვარი, რომლის აღმართვასაც ასე საგულდაგულოდ ვცდილობდი. არადა, ჩემს ფანტაზიებში სწორედ ასეთი გიჟური ვნებით სავსე წარმომედგინა ჩვენი პირველი კოცნა...

კიდეც ერთხელ მიმოვიხედე ირგვლივ და თავი სინანულით გადავაქნიე. აჯობებს, დროზე ნავიდე აქედან, სანამ ბიბი დაბრუნებულა და ისევ არ გადავქცეულვარ მისი მომხიბვლელობის ტყვედ. იმდენ ხალხში არ მოერიდა, ჩემთვის ეკოცნა და, ცარიელ ბინაში, მარტო რომ დამიგულეებს, რა შეაჩერებს? სასწრაფოდ ამოვხიე ბლოკნოტიდან ფურცელი, ორიოდე სიტყვა წავანერე და შუშის მაგიდაზე დავდე, გამოსაჩენ ადგილას.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ლონდი, მოვლენების ასეთ შეტრიალებას არ მოველოდი. მან კი უცებ იპოვა გამოსავალი: ჩემს ბინაში ადი და იქ დამელოდა, რაღა ბარში უნდა იყურყუტო, სანამ მოვალა. ცოტა არ იყოს, მეუხერხულა, მაგრამ მაინც დავთანხმდი. გასაღები დაბლა, დაცვასთან მაქვს დატოვებულიო. გამიკვირდა, კორპუსს რა დაცვა სჭირდება-მეთქი, მაგრამ თურმე ასეთი კორპუსებიც ყოფილა თბილისში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამ კორპუსში რომელიმე მინისტრი ან პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ფიგურა ცხოვრობს.

ჩემს ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო, როცა ვილაღის ცარიელ ბინაში შევდიოდი პატრონის გარეშე. მაგრამ ეს ბიბის გადაწყვეტილება იყო და არა ჩემი, ამიტომ სანერვიულოც არაფერი მქონდა. ბინაში შესულს გაცოცხლებისგან

შეხედვა ბიბის გარეშე ვერ გავბედე.

სასტუმრო ოთახი ავეჯით არ იყო გადატენილი. მოდერნისტულ სტილში ჰქონდა მოწყობილი. მხოლოდ რბილი სამეული, ჭურჭლის-მინებიანი თანამედროვე კარადა, შუშის მაგიდა და, რაც მთავარია, ბუხარი. თუმცა, ბუხარი უფრო დეკორაცია იყო ალბათ, ვიდრე მოქმედი. აბა, სად გინახავთ, მაღალსართულიან კორპუსში ვინმეს ბუხარი ჰქონოდაც გაკეთებული? მაგრამ ლამაზი იყო და ოთახს მდიდრულ ელფერს სძენდა.

არა, არა, მე და ბიბი სხვადასხვა სამყაროს მივეკუთვნებით. ამაში კიდეც ერთხელ დავრწმუნდი. ადრევე ვიცოდი, რომ მდიდარი მშობლების შვილი იყო, მაგრამ მთლად ცალკე თუ ცხოვრობდა და თანაც ასეთ ბრწყინვალე ბინაში, ვერც წარმომედგინა.



როგორ და რატომ წარმოიშვა წარმართობა ადამიანთა შორის?

ბაბილონის გოდოლის მშენებლობის შეწყვეტისა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაფანტვის შემდეგ, კაცობრიობამ თანდათან დაივიწყა ჭეშმარიტი ღმერთი, აღტქმა მესიის მოვლინების შესახებ. ადამიანთა შორის თანდათან

გავრცელდა წარმართობა. ცრუ, გამოგონილ ღმერთებს დაუწყეს თაყვანისცემა...

შორენა მერაპვილაძე

— დაახლოებით როდის წარმოიშვა წარმართობა ადამიანთა შორის?

მამა მამარი:

— წარღვის შემდგომ ადამიანებმა დაივიწყეს ჭეშმარიტი



სარწმუნოება, როგორც ბიბლია მოგვითხრობს. ბაბილონის გოდოლის მშენებლობის პერიოდში კი, კაცობრიობის უდიდესი ნაწილი კვლავ დაშორებული იყო ღმერთს, თანდათან დაიწყო ადამიანთა რწმენის გამიწვრება. პირველად ადამიანებმა დაიწყეს ჭეშმარიტი ღვთის სწავლების დამახინჯება, შემდეგ იწყეს ციური სხეულების — მზის, მთვარის, ვარსკვლავებისა და ბუნებრივი მოვლენების თაყვანისცემა. ეს იყო პირველი გადახრა ჭეშმარიტებისგან — ადამიანებმა თაყვანისცემა დაიწყეს არა შემოქმედის, არამედ — ქმნილებების. მოგვიანებით უკვე კერპების თაყვანისცემას დაედო საფუძველი. როდესაც ადამიანები გარდაიცვლებოდნენ, მით უმეტეს — შეძლებულნი, წინაპართა საფლავებზე მათი შთამომავლები მათ ძეგლებს დგამდნენ. ამ გზით წინაპ-

რებს მიაგებდნენ პატივს. შემდეგ ძეგლების თაყვანისცემა დაიწყო, ღმერთებად აღიარეს ეს კერპები. ადამიანები თაყვანს სცემდნენ იმ ღმერთებს, რომლებსაც თავად გულისხმობდნენ ამა თუ იმ კერპის მიღმა. თვლიდნენ, რომ ღმერთები კერპებში ცხოვრობდნენ. თუ ამ დრომდე ადამიანები ღმერთისგან შექმნილ ქმნილებებს ეთაყვანებოდნენ, მერე თავიანთი ხელით შექმნილ კერპებს დაუწყეს თაყვანისცემა. უკვე მოხდა კერპთაყვანისმცემლობაზე გადასვლა. ვიცი, რომ აბრაამის დროს, როდესაც უფალმა აბრაამი გამოარჩია, რათა მისგან წარმოშობილიყო რჩეული ერი, თითქმის მთელი სამყარო კერპთმსახურებაზე იყო გადასული. ეს ხდებოდა ქრისტეს შობამდე დაახლოებით 2 000 წლით ადრე. ანტიკური და რომაული პერიოდი უკვე არის კლასიკური კერპთმსახურების ჩამოყალიბების ხანა. ქრისტეს შობის პერიოდში, წარმართობას თავისი რესურსი ამოწურული ჰქონდა. ადამიანთა ინტელექტი ამაღლდა და მიხვდნენ, რომ წარმართობა იყო ცრუ სარწმუნოება. სწორედ ეს გახდა შემდეგ იმის საფუძველი, რომ უამრავი წარმართი გახდა ქრისტიანი.

— რატომ მოიცვა ადამიანთა უმეტესი ნაწილი წარმართობაში?

— ადამიანის ცოდნა და რელიგიური ინტელექტი ძალზე დაბალი იყო, ამიტომ ადამიანები ვეღარ ჩასწვდნენ სწავლებას ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ. მხოლოდ მინიერად წყვეტდნენ. ჭეშმარიტებაში უამრავი ადამიანური ნააზრევი შეიტანეს. ამან გამოიწვია ის, რომ უამრავი „ღმერთის“ თაყვანისცემა დაიწყეს და ყველა ქმედებას თავისი „ღმერთი“ მიუჩინეს.

— ძველი აღტქმის პერიოდში, ჭეშმარიტი სარწმუნოების გარდა, ადამიანთა შორის მხოლოდ წარმართობა იყო გავრცელებული, თუმცა წარმართობაშიც არსებობ-

და სხვადასხვა განშტოება და მიმდინარეობა, სხვადასხვა სახის კერპთმსახურება. ეწინააღმდეგებოდა თუ არა წარმართული სწავლებები ერთმანეთს?

— მართლაც სხვადასხვა სახის წარმართული სწავლება არსებობდა. რადგან არ შეიძლება, ადამიანები სიცრუეში შეთანხმდნენ და ერთი სიცრუე ჩამოაყალიბონ, რადგან ყველა ადამიანი ერევა ამ სწავლებების ჩამოყალიბებაში, ხალხური ხდება. ამიტომაც, უამრავი წარმართული მიმდინარეობა და განშტოება გაჩნდა. წარმართული კერები შეგუებული იყვნენ ერთმანეთს, წარმართობა ერთმანეთის კერპებს, — „ღმერთებს“ აღიარებდა. თუკი სხვადასხვა ერს შორის დაპირისპირება და ომი მოხდებოდა, გამარჯვებული ერი ანადგურებდა დამარცხებულების კერპებს იმის გამო, რომ ისინი ვერ დახმარებოდნენ მათ. ცნობილია, რომ რომში, II საუკუნეში, ქრისტეს ქანდაკებაც კი იდგა ანუ ქრისტეს, როგორც ერთ-ერთ ღმერთს, ისე სცემდნენ თაყვანს რომაელები. რაც შეეხება ქრისტიანობას, არასოდეს მიუღია და ვერც მიიღებდა წარმართობას, რადგან ქრისტიანობა არის ერთადერთი ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება ვერაფრით შეეგუნებოდა სიცრუეს. სიცრუის მცირე ნაწილიც თუ შეუერთდება მას, ჭეშმარიტება აღარ იქნება. ამის გამო ქრისტიანობა ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა წარმართობას.

— წარმართობის ყველაზე საშიშერი გამოვლინება კერპებისადმი ადამიანების მსხვერპლად შეწირვა იყო...

— ადამიანების მსხვერპლად შეწირვა ბევრგან არსებობდა წარმართობაში. იყო წარმართობის სახეობები, რომლებიც არ აღასრულებდნენ ადამიანთა მსხვერპლად შეწირვას, — მაგალითად, ბერძნული, რომაული, ეგვიპტური წარმართობები. ამერიკაში მცხოვ-

რები ინდიელები კი, ევროპელების ჩასვლამდე და შემდეგაც აღასრულებდნენ სისხლიან მსხვერპლშენირვას. თუმცა, წარმართული მსხვერპლშენირვის ყველაზე საშინელი გამოხატულება იყო საკუთარი შვილების მსხვერპლად შეწირვა, რასაც მხოლოდ ქანანელები აღასრულებდნენ (ქანანელები სახლობდნენ დღევანდელი ისრაელის ტერიტორიაზე, რომელიც ქანანის ქვეყნად იწოდებოდა, ეს იყო ალთქმული ქვეყანა. უფალმა შემდგომში ქანანელები რჩეული ერის ხელით გაანადგურა და ეს ტერიტორია რჩეულმა ერმა დაიმკვიდრა). ადამიანების მსხვერპლად შეწირვა სხვაგანაც ხდებოდა წარმართობაში, მაგრამ ეს ადამიანები იყვნენ მონები, ტყვეები ან დამნაშავეები. ქანანელების მსხვერპლშენირვა კი იყო უსაშინლესი გამოხატულება კერპებისადმი მსხვერპლშენირვისა — ისინი ნებით სწირავდნენ მსხვერპლად საკუთარ შვილებს.

— რატომ უნდა გაველოკავოთ რიობას წარმართული პერიოდი?

— ეს იყო ადამიანების ცოდვა, ადამიანების თავისუფალი ნებით აღსრულებული ქმედებები და არა უფლის ნება. ღმერთის ნება არის ყოველთვის სიკეთე. ღმერთმა რომ ყოველივე ისე აღასრულოს, როგორც მას სურს, ადამიანს თავისუფალი ნება უნდა წაერთვას. თუ ასე მოხდება, გამოდის, რომ უფალი საკუთარი ნების წინააღმდეგ წავა, რადგან ადამიანებს მან მისცა თავისუფალი ნება. უფალი, ადამიანის მიერ ჩადენილ ცოდვასაც კი, კეთილბოლოს გამოუჩინეს — მიუტყვევებს, მაგრამ არ ართმევს თავისუფალ ნებას. თუ ადამიანს თავისუფალი ნება არ ექნება, თავად ადამიანის შექმნის აზრი იკარგება. ადამიანი შექმნილია ღვთის ხატად და მსგავსად, თავისუფალი ნების გარეშე კი, ღვთის ხატება და მსგავსება ვერ იქნება.

— საერთოდ რატომ აქვს ადამიანს რწმენა, სარწმუნოებრივი განცდა?

— მატერიალურ სამყაროში ყველაფერი — ცხოველი, ფრინველი, ცოცხალი არსება შედგება მხოლოდ მატერიისგან, ადამიანს კი აქვს ორი საწყისი — მატერიალური და ღვთაებრივი. ადამიანის სული არის უფლის მიერ შთაბერილი ანუ სული არის არამატერიალური,

მოაზროვნე ნაწილი ადამიანის, ამიტომაც თავისთავად, კავშირი აქვს არამატერიალურ სამყაროსთან, სარწმუნოებასთან, არამიწიერთან.

— მას შემდეგ, რაც ადამიანებს სრულად განეცხადათ ჭეშმარიტება და მიეცათ ერთადერთი მაცხოვრებელი სარწმუნოება, მაინც უამრავი ქრისტიანული მიმდინარეობა, სწავლა-მოძღვრება გაჩნდა. გარდა ამისა, არსებობს არაერთი არაქრისტიანული მიმდინარეობაც...

— ცხადია, ამის მიზეზიც ადამიანის გამიწიერებული აზროვნებაა. ადამიანთა უმეტესობა ჩაძირულია მატერიალიზმში, განყვეტილი აქვს აზრობრივი, გონებრივი კავშირი ღმერთთან და ამის გამო სხვადასხვა ადამიანური ნააზრევი,

— რწმენა ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ ყველას რწმენის საფუძველი ერთი არ არის, ყველას ერთი მრწამსი და სარწმუნოება არა აქვს. ზოგიერთ ადამიანს საერთოდაც არ სწამს ღმერთის არსებობის...

— მართლაც, ყველა ადამიანს აქვს რწმენა, ყველას სჯერა რაღაც უხილავის. არსებობენ ადამიანები, რომლებიც საერთოდ არ აღიარებენ ღმერთის არსებობას. როდესაც ღმერთის არსებობის შესახებ ვსაუბრობთ, ამის დამამტკიცებელი საბუთი არ შეგვიძლია წარვუდგინოთ ადამიანებს, მაგრამ არც ათეისტებს შეუძლიათ წარმოგვიდგინონ საბუთები, რომ ღმერთი არ არსებობს. ამიტომ როგორც თეიზმი, ასევე ათეიზმიც არის



სხვადასხვა სწავლება შეიტანეს ჭეშმარიტებაში. ჯერ წარმართობის, შემდეგ სხვადასხვა ქრისტიანული მიმდინარეობების სახით. თუ ადამიანმა ცნობიერად არ მიიღო სწავლება ღმერთის შესახებ, უამრავი სიცრუე შეაქვს ღვთის სწავლებაში. ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება არის მართლმადიდებლობა, რომელიც იმ სწავლებაზეა დაფუძნებული, რომელიც თავად უფალმა მოგვცა. სხვა დანარჩენი, ნებისმიერი სარწმუნებრივი, რელიგიური მიმდინარეობა არის მხოლოდ ადამიანური გონების ნაყოფი. ქრისტიანული მიმდინარეობები ჭეშმარიტებაში ცვლილების შეტანით ჩამოყალიბდა სხვადასხვა პერიოდში, თუმცა სახელის გარდა საერთო არაფერი აქვთ ქრისტიანობასთან. მცირედი სიცრუეც ჭეშმარიტებას უკვე სიცრუედ აქცევს. არაქრისტიანული მიმდინარეობები კი სუფთა ადამიანური გონების ნაყოფია.

სარწმუნოება. თუ მატერიალურ სამყაროში იარსებებდა ღმერთის არსებობის დამადასტურებელი ფაქტები, მაშინ ადამიანს აღარ ექნებოდა თავისუფალი არჩევანი, როგორ ეცხოვრა. თუ ღმერთი მსაჯულად დადგებოდა და ადამიანს ყოველწამიერად ექნებოდა მისი დანახვის შესაძლებლობა, ცოდვასაც არ ჩაიდენდა, მაგრამ ადამიანი იქნებოდა არა თავისუფალი ნების მქონე არსება, არამედ — მონა, შექმნილი იმისათვის, რომ არ ჩაედინა ბოროტება. ბოროტების არჩადენა შიშის გამო უკვე მონობაა, ხოლო ბოროტების არჩადენა სიყვარულის გამო — ღმერთის შვილობა. ამიტომაც ღვთის არსებობის შემეცნება უფალმა ადამიანის სარწმუნოებაზე დადო ანუ ადამიანს შეუძლია ეს თავად მიიღოს ან — არ მიიღოს. სარწმუნოება არის სწორედ ის, რაც არ შეგვიძლია ბოლომდე დავასაბუთოთ, მაგრამ გვწამს, გვჯერა რომ ასეა.

პერსონაჟები, რომლებთანაც მზია შარაშიძე იმეგობრებდა

„ბოლო წლებში უმეტესად, პროფესიულ ლიტერატურას ვეცნობი, პიარის და მარკეტინგის სიახლეები მაინტერესებს. მხატვრული ლიტერატურისთვის ძველებურად ველარ ვიცილი, რასაც ძალიან განვიცდი“, — ამბობს ზოოპარკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მზია შარაშიძე. მისი საყვარელი ავტორი ჯერომ სელინჯერია, საყვარელი ნაწარმოები — „თამაში ჭვავის ყანაში“.

„ის თავზე ხელაღებული და თავისუფალია“

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— ბავშვობიდან მოყოლებული, ჩვევად მქონდა — ნიგნებს უმეტესად ძილის წინ ვკითხულობდი. რაც შვილი გამიჩნდა, ამას ველარ ვახერხებ.

ახლა სკოტ ფიტცჯერალდის „დიდი გეტსები“ დავიწყე. ფილმი ვნახე და სურვილი გამიჩნდა, ხელმეორედ ნავიკითხო. საერთოდ ვამჯობინებ, ჯერ ნაწარმოები ნავიკითხო და მერე ვნახო ფილმი. კითხვის დროს ხომ წარმოსახვაში ის გმირები ცოცხალი არსებები არიან; რეჟისორის წარმოსახვა სხვაგვარია, ხშირად, წარმოსახვებს შორის შედარებაც საინტერესოა.

სტუდენტობისას აქტიური მკითხველი ვიყავი. ყველას ვურჩევ, ეს პერიოდი ამ მხრივ მაქსიმალურად გამოიყენონ, რადგან მერე ჭირს ხოლმე დროის გამოწახვა.

ოჯახის წევრები მაქსიმალურად მიწყობდნენ ხელს, რომ ნიგნები წამეკითხა. ზაფხულობით ბიძასთან დასასვენებლად თელავში რომ ჩავდიოდი, მას პირველ რიგში, ბიბლიოთეკაში მივყავდი, საიდანაც სათავე გადასავლო ლიტერატურა მოგვექონდა და დროის უმეტეს ნაწილს კითხვაში ვატარებდი. ბიძა — შალვა შარაშიძე პროფესიით ჟურნალისტი იყო. მისი დამსახურებაა, წერით რომ ვიყავი გატაცებული. უნდოდა, ჟურნალისტი გამოვსულიყავი. მამა პროფესიით არქიტექტორი იყო, პარალელურად „ნიანგში“ მუშაობდა, ნოველებს წერდა.

პროფესიულ არჩევანზე გავლენა მამამ იქონია. პატარა ასაკიდან ვხატავდი, მამა მამეცადინებდა, რჩევებს მაძლევდა. ბევრი მისი ნაცნობი სამხატ-

ვრო აკადემიის პედაგოგი იყო. მაშინ არ გვექონდა მატერიალური შესაძლებლობა, რეპეტიტორებთან მევლო. მამამ აკადემიაში წამიყვანა და ერთი წელი სხვადასხვა ჯგუფთან ერთად ვხატავდი.

ჩემი საყვარელი ავტორი ჯერომ სელინჯერია, საყვარელი ნაწარმოები — „თამაში ჭვავის ყანაში“. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩემი სამაგიდო ნიგნია. სადაც დავდივარ, ყველგან თან დამატქვს. ბიძაჩემის ნაჩუქარი ნიგნია. პირველად მისი რჩევით ნავიკითხე. მაშინ დაახლოებით იმ ასაკის ვიყავი, რა ასაკისაც ამ ნაწარმოების მთავარი გმირია და იმდენად შემიყვარდა, სამოგზაუროდ რომ მივდივარ, თან დამატქვს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ძალიან შელახულია. ერთხელ შვეიცარიაში ვიყავი წასული და ეს ნიგნი სასტუმროში დამრჩა. ძალიან განვიცადავ, ვინერვიულე: ბიძაჩემის ნაჩუქარია და როგორ დავკარგე-მეთქი?! შვეიცარიაში ჩემი მული ცხოვრობს. ვთხოვე, იმ სასტუმროში მისულიყო. პერსონალს ნიგნი შეუნახავს, გაოცებულები უყურებდნენ: ჩვენთვის უცნობ ენაზე წერია, ვერ გავიგეთ, რა არის, ისეთი ძველია, მაგიის შესახებ თუ იქნებაო... მოკლედ, ეს ნიგნი დავიბრუნე და ძალიან მიხარია.

პეპი ჩემი საყვარელი გმირია. მასთან, შერლოკ ჰოლმსთან და თავზე ხელაღებულ, თავისუფალ ჰეკლბერი ფინთან ვიმეგობრებდი.

საკუთარი თავი რომელიმე პერსონაჟისთვის მიმისგავსებია თუ არა?.. გარკვეულწილად, ყველა იმ გმირს ვგავარ, რომლებიც ჩამოვთვალე, სხვაგვარად არ შემიყვარდებოდნენ.

— ბელგიური ანდაზის მიხედვით, კარგი სიტყვა დიდხანს ძლებს; ცუდი?

— სამუდამოდ.

— „...უფრო დიდხანს“. დაასახელე წვრილწიქოსანი ცხოველი ძროხისებრთა ოჯახიდან, რომელიც იოლად ეგუება სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებს, რის გამოც თითქმის ყველა ქვეყანაშია მოშენებული.

— მადროვე, გიპასუხებ (ფიქრობს).

— მიგანიშნებ: მის წინაპრად ნიაშორი ითვლება.

— თხა.

— ვინ არის ავტორი სიმღერისა „თხამ შეჭამა ვენახი“?

— ხალხურია.

— რა ერქვა სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის მამას?

— არ მახსოვს.

— დაიბენი...

— არ დავბნეულვარ, უბრალოდ არ მახსოვს.

— ისაკი.

— (იცინის) რას ამბობ? რა სასაცილო ვარ!

— რა ჰქვია მონეტების შემსწავლელ მეცნიერებას?

— ნუმიზმატიკა.

— 1931 წელს მწერალთა ფედერაციამ ეს მწერალი თავისი ორგანიზაციის რიგებიდან ერთხმად გარიცხა. „ცნობილია, როგორც რეაქციონერი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ 10 წლის განმავლობაში განუწყვეტელი იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირი გამოსვლებით ფეოდალური თავადაზნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმის და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად... პოლიტიკურად მანვე მხატვრულ ნაშრო-

მებს აქვეყნებს. თავისი პოლიტიკური მანევრებით ამაყობს მწერლობაში და საბჭოთა საზოგადოების წინაშე "... ეს არის ამონაწერი გარიცხვის ოქმიდან. და-სახელე ეს მწერალი?

- კონსტანტინე გამსახურდია.
- გამოჩენილმა გერმანელმა მწერალმა ჰაინრიხ ჰაინემ იმ დროისთვის წარმოუდგენელი გმირობა ჩაი-დინა — 6-წლიანი არაოფიციალური თანაცხოვრების შემდეგ, თავის საყვარელზე დაქორწინდა. ქალი გლეხის ოჯახიდან იყო. მწერალმა ქორწილში მეგობრების ნა-წილი დაპატიჟა. რა ნიშნით შეაჩრია სტუმრები?
- ალბათ, ის მეგობრები დაპატიჟა, რომლებიც მას ამ საქციელისთვის არ გაკიცხავდნენ, არა?
- ანუ?
- ვისაც საყვარელი ჰყავდა.
- სად არის დაკრძალული ალექსანდრე ჭავჭავაძე?
- კახეთში.
- უფრო კონკრეტულად?
- ალავერდში. არა?
- რა პროფესიის იყო ჯოზეფ ინიას გილიოტენი?
- არ ვიცი. ყასაბი ან რალაც ამდაგვარი იქნებოდა.
- ექიმი იყო. ვინ გამოიყენა მოდელად ავტორმა თა-ვისუფლების ქანდაკების დამზადებისას?
- არ მახსოვს.
- საკუთარი დედა. ამ ცხოველის სმენა ადამიანის სმენას 4-ჯერ აღემატება, ხოლო ყნოსვა — 37-ჯერ. რომელ ცხოველზეა ლაპარაკი?
- ძაღლზე.
- დაასრულე ჩერჩილის ცნობილი გამონათქვამი: „ცხოვრების უდიდესი გაკვეთილია, იცოდე, რომ ხან-დახან გიჟიც კი...“
- ჭკვიანია.
- „...გიჟიც კი მართალია“. რომელი სათამაშო იქ-ნა დაპატენტებული 1975 წელს ბუდაპეშტში ერნო რუბიკის მიერ? ამ სათამაშოთი მილიონური გახდა და მსოფლიოს თავსატეხი გაუჩინა. ის დღემდე ერთ-ერთ ყველაზე გაყიდვად სათამაშოდ ითვლება და მომხმარებლების ასაკი განუსაზღვრელია.
- „კუბიკ-რუბიკი“.
- ბერტრან რასელი მასზე ასეთ განმარტებას აკეთებდა: ის შედგება 4 ინგრედიენტისგან — ჯან-მრთელობისგან, თბილი პირადი ურთიერთობისგან, არსებობის ღირსეული საშუალებისა და წარმატებული სამსახურისგან. რას აღწერდა ასე რასელი?
- ბედნიერებას, სხვა რა უნდა ყოფილიყო? ბედნი-ერებაა, ეს ყველაფერი თუ გაქვს.
- ვინ არის ავტორი სიმღერისა, რომელიც ჟღერს ქართულ ანიმაციურ ფილმში „სოფლის მშენებლები“?
- ალექსანდრე ბასილაია.
- გოგონა მივიდა სარკესთან, დაინახა საკუთარი გამოსახულება და შუბლზე აკოცა. შეიძლება თუ არა, ასე რომ მოხდეს?
- შეუძლებელია.
- სანამ მას მოდაში კოკო შანელი შემოიტანდა, არ იყო სასურველი, ადამიანის დაბალ წარმომავლობასა და მის მიერ შესრულებულ მძიმე სამუშაოზე მიუთი-თებდა. ექიმები ამბობდნენ, ეს ჯანმრთელობისთვის სასარგებლო არ არის და ამიტომ მოდიდან მალე გა-დავაო, მაგრამ დღესაც მოდაშია. რაზეა ლაპარაკი?
- როგორც ვხვდები, სამოსზე არ არის ლაპარაკი.

- არა?
- სუნამო ხომ არა?
- ცდები.
- შანელი სიგარეტს ეწეოდა.
- არც ეს არის სწორი პასუხი.
- ა! მივხვდი: გარუჯვა, არა?
- დიას.
- „ქარნალებულნი“ გამახსენდა. ქალბატონები დიდ „შლაპებს“ იფარებდნენ და მზისგან თავს იცავდნენ. რომელიც გარუჯული იყო, იმას ნიშნავდა, რომ მძიმე სამუშაო ჰქონდა შესრულებული.
- რა იყო გეორგიევსკი, სადაც საქართველოსა და რუსეთს შორის ცნობილ ტრაქტატს მოაწერეს ხელი?
- ციხესიმაგრე.
- „39 საფეხური“, „რებეკა“, „ჩიტები“, „ადამიანი, რომელმაც ზედმეტად ბევრი იცოდა“, „ფსიქო“ — ვინ არის ამ ფილმების რეჟისორი?
- ალფრედ ჰიჩკოკი.
- რომელ მხატვარს უწოდებდნენ „შუქრდილების დიდოსტატს“?
- (ფიქრობს)
- მიგანიშნებ: ის ქალაქ ლეიფენში მენისქვილის ოჯახში დაიბადა. იყო ბაროკოს ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. მთელ ჰოლანდიურ ფერ-წერაზე უდიდესი გავლენა მოახდინა, მაგრამ თანა-მედროვეებმა ვერ დააფასეს. უკიდურეს სიღარიბეში გარდაიცვალა.
- რემბრანდტი.
- მორიელი ვერ იტანს ალკოჰოლს. ერთი წვეთის შეხების შემთხვევაში რას აკეთებს?
- თავს ინამლავს.
- ტოკიოს ზოოპარკს წელიწადში ერთხელ ორი თვით კეტავენ. რატომ?
- ცხოველებს დამთვალეიერებლებისგან ასვენებენ. ეს ზოგიერთ ზოოპარკში ხდება. ჩვენთან ზოოპარკში იმდენი დამთვალეიერებელი არ დადის, რომ ცხოველებს დასვენება სჭირდებოდეთ. არსებობს გარკვეული სტან-დარტი, რომელსაც ზოოპარკები ექვემდებარებიან. ეს არ არის აუცილებელი მოთხოვნა. ცხოველი თუ ილღე-ბა, შეუძლია, ვოლიერშიც დაისვენოს.
- დაბოლოს, დაასრულე ჩერჩილის ცნობილი გამო-ნათქვამი: „თუ მიზნის მიღწევა გსურთ, ნუ ეცდებით იყო...“
- „...დელიკატური“.



„მეტყვეს უნდა უყვარდეს თავგადასავლები, ცხოვრების აქტიური რეჟიმი და ბუნებაში ხეტიალი“ ...

მაშინ, როცა ქვეყანაში ძალზე ჭირს დასაქმება, არსებობს სფეროები, სადაც კადრების დეფიციტს განვიცდით. მათ შორის, საქართველოსთვის ტრადიციებით მდიდარ პროფესიებში. ახალგაზრდა მეტყვე, ბიზნესმენი, საკუთარი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად ამ პრობლემასთან შეჭიდებასაც მიიჩნევს. მან ახლახან, დარგის განვითარებისა და პოპულარიზაციის, საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების, მონივნავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარება-დანერგვისა და ეკოტურიზმის განვითარების მიზნით, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, მეტყვეთა ასოციაცია ჩამოაყალიბა. როგორი უნარ-ჩვევებით უნდა გამოირჩეოდეს მეტყვე და რა მნიშვნელობა აქვს ამ დარგში კვალიფიციური კადრების არსებობას, ამ საკითხებზე გია საკუთარ შეხედულებებს გვიზიარებს.



მეტყვე, სასურველია, გამოირჩეოდეს კარგი კომუნიკაციის უნარით

შორენა ლაბაძე

— გია, მეტყვეს პროფესია, ძირითადად, ცულიან ადამიანთან ასოცირდება, თუმცა, მისი საქმიანობა საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს...

— მეტყვე, პირველ რიგში, ბუნების მომვლელია. ის ყოველდღიურ რეჟიმში პრაქტიკული საქმიანობით ზრუნავს ბუნების სიჯანსაღეზე, რათა ამით სარგებელი მიიღოს როგორც გარემომ, ისე — საზოგადოებამ. ეს გახლავთ ხის, მცენარეებისა და ნიადაგის დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა. ერთი ხის დაავადება რომ დანარჩენს არ გადაედოს და ტყე არ განადგურდეს, ტყეში სანიტარიული ჭრებია საჭირო. მეტყვე არა მარტო ხეებს, არამედ ნიადაგს და ქვესაფარსაც აკვირდება, უვლის, მის ფიზიკურ შემადგენლობას ადგენს. ზრუნავს, ასევე, ტყის გაშენებაზე — ხეების დარგვაზე, ხანძრის საფრთხის განსაზღვრასა და მის თავიდან არიდებაზე. თუ ტყეში ყველა საჭირო ღონისძიება სწორად ჩატარდება, არასოდეს გვექნება დამახინჯე-

ბული ან გაკაფული ტყე. პირიქით, განახლებულ ტყეში არასოდეს გამოილევა ადამიანისათვის ასე საჭირო მრავალგვარი რესურსი.

— გარდა კვალიფიციური ცოდნისა, რა პიროვნული თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს მეტყვე?

— პიროვნული თვისებები მართლაც განმსაზღვრელ როლს ასრულებს მეტყვეს ყოველდღიურ საქმიანობაში. მოდი, შევთანხმდეთ, რომ ადამიანები, რომლებიც ბუნების სიყვარულით გამოირჩევიან, ხასიათებიან კეთილი, შემწყნარებელი, რბილი ბუნებით. მეტყვე, სასურველია, გამოირჩეოდეს კარგი კომუნიკაციის უნარით, რადგან მას მუდმივი შეხება აქვს მოსახლეობასთან. შესაძლოა, ტყეში პირდაპირ გადაეყაროს ბრაკონიერს და მასთან პრობლემა სიფრთხილით უნდა მოაგვაროს. დროის უმეტეს ნაწილს ის ველზე ატარებს, ამიტომ უნდა გამოირჩეოდეს გამძლეობით, არ შეანუხოს ველზე არსებულმა სხვადასხვა სახის დისკომფორტმა. უყვარდეს თავგადასავლები, ცხოვრების აქტიური რეჟიმი და ბუნებაში ხეტიალი...

— პირადად თქვენ როგორ აირჩიეთ მომავალი პროფესია?

— სკოლა ქობულეთში დავამთავრე, სადაც ხშირად ჩამოდიოდნენ მეტყვეები, გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. ყოველთვის მაინტერესებდა, რას მოიცავდა მათი სპეციალობა. როცა პროფესიის არჩევისას სხვადასხვა სფეროს გადავხედე, აღმოვაჩინე, რომ ამ დარგში საკმაოდ ღია სივრცე იყო დასაქმებისთვის. გარემოს დაცვის სამინისტროს სატყეო სფეროში 1000-მდე ადამიანია დასაქმებული, საიდანაც პროფესიით მეტყვე 30%-ც არაა. გარდა ამისა, ბავშვობიდან მიყვარს ბუნება და შესაბამისად, მაინტერესებს მასთან დაკავშირებული მეცნიერებები. ხშირად დავდივარ კინტრიშისა და მტირალას დაცულ ტერიტორიებზე, პალეოსტომზე.

— მიუხედევად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიის 40% ტყეს უკავია, მეტყვეს პროფესია დღეს არც ისე პოპულარულია. თქვენ რას უკავშირებთ ამას?

— დარგის პოპულარიზაცია შესაბამის დონეზე თავიდანვე არ იყო. სწორედ ამის გამო ყოველწლიურად სატყეო ფაკულტეტზე სულ უფრო ნაკლები სტუდენტი ირიცხება. თუ კლების ეს დინამიკა შენარჩუნდა, გარკვეული წლების შემდეგ ამ დარგის ახალგაზრდა სპეციალისტები ფიზიკურად არ გვეყოლება, რაც მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, კატასტროფის ტოლფასია. სწორედ ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით დავაფუძნეთ მეტყვეთა ასოციაცია, რომლის მთავარი მიზანი დარგის პოპულარიზაცია და გარემოს დაცვით აქტივობებში ახალგაზრდების ჩართვაა. დღეს სატყეო ფაკულტეტი საქართველოს მასშტაბით მხოლოდ ოთხ — აგრარულ, ტექნიკურ, ბათუმის

შოთა რუსთაველის სახელობისა და თელავის უნივერსიტეტებშია დარჩენილი. მათთან მემორანდუმები გავაფორმეთ, შევხვდით სტუდენტებს, გაუზიარეთ ჩვენი და მოვისმინეთ მათი გეგმები. ვგეგმავთ, ასევე, საქართველოს მასშტაბით სკოლებში უფროსკლასელებს შევხვდეთ, გავაცნოთ დარგის სპეციფიკა, ვაჩვენოთ როგორი მოთხოვნაა კადრებზე, ნარკუდგინოთ ჩვენ მიერ განხორციელებული გეგმები. სხვათა შორის, მნიშვნელოვანია, რომ მალე საქართველოში ამოქმედდება გერმანული სკოლა („პროფესიონალთა გაერთიანება ხის მოვლისათვის საქართველოში“), სადაც დაინტერესებულ პირთა მომზადება-გადამზადება მოხდება. გეგმების განხორციელებაში აქტიურად გვიჭერს მხარს მეცნიერებათა აკადემია, გარემოს დაცვის სამინისტრო, აგრარული უნივერსიტეტი და კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაცია.

პროექტების განხორციელება უკვე მოასწარიტ?

— მერიასთან თანამშრომლობით ახლახან თბილისის მასშტაბით გამხმარი და დაავადებული ხეების მონიშვნის პროექტი წამოვიწყეთ. დაახლოებით 15 000 ასეთი ხიდან ნახევარზე მეტი უკვე მოვნიშნეთ კუს ტბაზე, ხუდადოვის ტყეში, ლისზე, ვეძისში. მონიშვნის შემდეგ სანიტარიული ჭრები დაიწყება. ამ ტერიტორიაზე ხეების ძირითადი პრობლემა მბეჭდავი ქერქიჭამიებია, რომლებიც ხის სითხეს სწოვენ და შესაბამისად, ხეს აზიანებენ. მე და ჩემმა პარტნიორმა, გიორგი ზურაბიანმა კვლევაც ჩავატარეთ — საკუთარი რესურსებით მოვიარეთ თბილისი და ამორტივებული ხეები აღვწესეთ, გადავიღეთ. განსაკუთრებით საშიშია სატრანსპორტო და საფეხმავლო გზებზე განლაგებული 45 გრადუსის დახრილობის მქონე ხეები. ახლახან ქარისას თამარაშვილის ქუჩაზე ერთ-ერთი სრულიად ჯანმრთელი, 4-სართულიანი შენობის სიმაღლის კედარი წაიქცა და ოთხი ავტომობილი დააზიანა.

რამდენად ბევრია ასეთი ამორტივებული ხე და რა არის მათი დახრის მიზეზი?

— ასეთი ხე ძალიან ბევრია. ხეს მრავალმხრივ აზიანებს ბეტონის საფარი, რომელიც, ძირითადად, მცენარის ყელზეა ხოლმე მიბჯე-

ნილი. ისედაც გაუწყლოებულ თბილისში, სადაც თოვლი, ფაქტობრივად, არ მოდის და არ არსებობს სარწყავი სისტემა, ბეტონის საფარი ხეს დამატებით ბარიერს უქმნის წყლის მიწოდების თვალსაზრისით. თუმცა, ახლა უკვე მერიამ გამწვანების ობიექტები გამგეობებს მიაკუთვნა და მათ საკუთარ ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ობიექტების მოვლა-პატრონობის ვალდებულება გაუჩნდათ. სარწყავი სისტემის პრობლემის მოგვარება უამრავ ხეს გადაარჩენს, რადგან უწყლობის გამო მცენარეს იმუნიტეტი უქვეითდება, რის შემდეგაც მავნებელი ძალიან იოლად აყენებს ზიანს. გარდა ამისა, ხეს დარგვიდან ხუთი წლის მანძილზე აქტიური მოვლა ესაჭიროება. კომპანიებს კი მათი მეთვალყურეობის ვალდებულება მხოლოდ ორი წლით აქვთ.

საქართველოს რომელ ტყეებშია ყველაზე რთული მდგომარეობა და რაში მდგომარეობს ის?

— ყველაზე რთული მდგომარეობა დასავლეთის იმ ტყეებშია, სადაც ბზა და ნაბლი გვხვდება. ბზას მავნებელი, ე.წ. „მზის ალუ-

„რა შეუბრალებელია ადამიანი?! რასაც კი დაინახავს, უნდა, რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს. ალბათ, ვერ აფასებს ჩვენს სილამაზეს! ჩვენ წინ კაცმა გამოიარა, ცალს მხარზედ ცული ედო, მეორეზედ თოფი ეკიდა. მიადგა ერთს მშვენიერს, ტოტგადართხმულს ნიფელს, დაუშინა ცული და წაიქცია. საბრალო, როდესაც წაიქცა, დაიკვნესა. ჩვენს იქით გუგულისკაბა ამოსულიყო და ჯერ ხმელს, ჩამოსულს ფოთოლს არ ამოსცილებოდა. როდესაც ხე წაიქცა, გადიყრინა ზევიდამ ფოთლები და წითლად გამობრჭყყინდა, ცრემლები დასხმოდა ჩაღრმავებულს გულში.“
ვაჟა-ფშაველა, „ია“

— თუმცა, პირადი, მაგრამ მეტად მძიმე სოციალური პრობლემა ადამიანს არ აძლევს საშუალებას ტყის გაკაფვის უფრო გლობალურ პრობლემაზე იფიქროს...

— რა თქმა უნდა, აბსოლუტურად გეთანხმებით. მე მეტყვევებ ვარ, მაგრამ ამ განსაცდელს, ალბათ, მეც ვერ გავუძლებდი. საერთოდ,



სარწყავი სისტემის პრობლემის მოგვარება უამრავ ხეს გადაარჩენს

რა“ ჰყავს, ნაბლს კი გულის სიდამპლე აქვს. თუმცა, ახლა უკვე ეს პრობლემა შეისწავლეს და მისი მოგვარების გზებიც დასახულია. რაც შეეხება გაჩენას, ეს პრობლემა მთელ საქართველოშია, თუმცა, გამოვყოფდი რაჭის ტყეს. ეს არ არის ტყის დამცველების პრობლემა, არამედ უფრო მენტალობის...

ტყე ხალხის რესურსია და მანვე უნდა მოიხმაროს გონივრულად, მაგრამ მე ცალკეული პირების მიერ ტყის გაკაფვის ხარჯზე ბიზნესის წარმოებაზე ვსაუბრობ. სრულიად მიუღებელია საერთო მოხმარების, სახელმწიფოსა და ხალხის კუთვნილი ტყე პირადი ბიზნესის წყაროდ აქციო...

გზა პიპინაშვილი, ოხრახუშ-ბოლოკა და მელიორაციული ექსპერიმენტები



თათა დაღეშელი

სტანდარტების ნბრევა და გაზატიით შამფარი მწვადი

— კულინარიასთან ჩემი დამოკიდებულება აბსოლუტურად ჩვეულებრივია, მაგრამ მსიამოვნებს, როცა სუფრა იშლება და „ჩიტის რძეც“ არ აკლია, ამას მაინც თვალისთვის აქვს მნიშვნელობა. თუმცა, როცა სამზარეულოში ფუსფუსებენ, ჩარევა მეც მიყვარს. არსებობს კერძები, რომლებიც ქართველებისთვის სტანდარტულად ითვლება და ამ სტანდარტების დანგრევას ხშირად ვცდილობ ინგრედიენტის დამატებით თუ გამოკლებით ან მომზადების ტექნოლოგიის შეცვლით და რაღაცები გამომდის კიდეც. როდესაც ჩემთან მეგობრები იკრიბებიან და უბრალოდ, ნაქეიფებს ვაპირებთ ხოლმე, ჩემი შემწვარი მწვადი ძალიან მოსწონთ. ეს მეხერხება. მწვადის შეწვა ძალიან გვეჩქარებოდა და მეზობელმა ბავშვმა მითხრა, კახეთში მამიკომ რომ წამიყვანა, იქ ვნახე, ერთი ბიძია მწვადს როგორ წვავდაო. ახლა ექსპერიმენტის დრო არაა-მეთქი ვუთხარი, მაგრამ მაინც დამიყოლია და იმის მერე მწვადს მხოლოდ ამ მეთოდით ვწვავ — გაზეთით.

როდესაც შამფურზე აგებული ხორცი უკვე ნაკვერჩხალზე იდება, ზედ გაზეთი ეფინება, რომელიც მარილწყლით სველდება. მწვადი „იხარშება“, ამ მარილწყლისა და გაზეთის ქვეშ, ხშირ-ხშირად უნდა აბრუნო, ცვალო და ა.შ. მოკლედ, უგემრიელესი გამოდის.

და ყიდვა მევალება, რაც ძალიან მსიამოვნებს და მიყვარს. ამას ყველაფერს დედაჩემზე ვამოწმებ ხოლმე — მან თუ დამინუნა, საქმე ცუდადაა. თუმცა, როგორც წესი, არ მინუნებს. შესანიშნავი კერძების მომზადება იცის, გემრიელი ხელი აქვს. ტრადიციული ოჯახი მექვს და მინდა, რომ ჩემმა შვილმაც ასე გააგრძელოს. კულინარიაზე „გართულება“ ახლა დაეწყო და ხან რას მეხვეწება — მამა, ეს მჭირდებაო და ხან — რას. ფორმები, ლუმელი და ა.შ. მოსწონს, როცა სახლში კარგი პროდუქტი აქვს და რაღაცებს ამზადებს, მერე კი ჩემთან ამომნებს, როგორი გამოუვიდა.

აბრონომიული მცდელობები და ოხრახუშ-ბოლოკა

— ადრე, მე და ჩემმა მეგობარმა გადავწყვიტეთ, შესაძლებლობები სოფლის მეურნეობაში გვეცადა. უამრავი მცენარის თესლი ვიყიდეთ, ჩემთან მიწა გადავბარეთ და დავეთესეთ ქინძი, ოხრახუში, ნიახური, ყველანაირი ბოსტნეული. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ არც ერთმა ვიცოდით, რა, როგორ და რანაირად უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ მაინც იმედი გვექონდა, რომ მიწა თავისას იზამდა. ვრწყავდით კიდეც და ვუვლიდით, მაგრამ ის ადგილი გამოსივდა, ბალახმაც კი არ იხარა. მომდევნო წელს, ოხრახუში ამობიზინდა. ეს ჩემი მეგობარიც ეტაკა და ყველა სალათს ზემოდან აჭრიდა. ერთ მშვენიერ დღეს, ეს ოხრახუში ძირფესვიანად ამოიღო და აღმოჩნდა, რომ ბოლოკი იყო. იმდენი ხანი სალათებზე ბოლოკის ღეროებს ვაყრიდით (იცინის). ესე იგი, ჩვენმა მელიორაციულმა ექსპერიმენტმა მაინც გაამართლა.

„გემრიელხელიანი“ დედა და შვილის კულინარიული ექსპერიმენტები

— მაგალითად, ოჯახში საახალწლო სამზადისას საარაკო ცხოველის ფუნქციას ვასრულებ ხოლმე ანუ პროდუქტის შერჩევა

და ყიდვა მევალება, რაც ძალიან მსიამოვნებს და მიყვარს. ამას ყველაფერს დედაჩემზე ვამოწმებ ხოლმე — მან თუ დამინუნა, საქმე ცუდადაა. თუმცა, როგორც წესი, არ მინუნებს. შესანიშნავი კერძების მომზადება იცის, გემრიელი ხელი აქვს. ტრადიციული ოჯახი მექვს და მინდა, რომ ჩემმა შვილმაც ასე გააგრძელოს. კულინარიაზე „გართულება“ ახლა დაეწყო და ხან რას მეხვეწება — მამა, ეს მჭირდებაო და ხან — რას. ფორმები, ლუმელი და ა.შ. მოსწონს, როცა სახლში კარგი პროდუქტი აქვს და რაღაცებს ამზადებს, მერე კი ჩემთან ამომნებს, როგორი გამოუვიდა.

ქმაკაცური ქეიფები გუნებაში

— ძეგვში სახლი გვაქვს, ხშირად ჩავდივართ და როცა ჩემი მეგობრები იგებენ, რომ იქ ვართ, გვსტუმრობენ და კერძებზე ექსპერიმენტებიც სწორედ ასეთ დროს ტარდება. ძმაკაცები იქ ვიცოდით ხოლმე ამისთვის — „ამის გაკეთება შენ არ იცი, მე უფრო კარგად ვიცი“ და არის ერთი ორომტრიალი. მყავს მეგობრები, რომლებიც კულინარიაში კარგად არიან დახელოვნებულები და გემრიელი ხელი აქვთ. მათთან ერთად ყოფნა, ქეიფი, დროს ტარება მიყვარს და მათი გაკეთებული ყველაფერი მეგემრიელდება.

საკუთარი ღვინო და ლულუნა გუნსარი

— ბოლო დროს, ღვინის თემაზე ვარ გადართული — სულ რაღაც 2-3 წელია, მე და ჩემმა მეგობარმა ღვინის დაყენება დავიწყეთ. ვყიდულობთ ყურძენს, ვწურავთ, გადაგვაქვს ბოცებში და არის

ერთი ამბავი. წელს კარგი ღვინო გვაქვს, შავიც და თეთრიც. როცა ბუხარი ღულუნებს და გარეთ კარგი ამინდია, იმ დალოცვილ ღვინოზე ნებისმიერი კერძი მიდის. ჩვენი ხელით დანზრული მაინც სხვაა, არც წყალი ურევია და არც არაფერი. ყველაზე მეტად მიყვარს, როცა ჩემი მეგობრები მოდიან ჩემთან ან მე მივდივარ მათთან. ოჯახური სიტუაცია უფრო მომწონს. შეიძლება ბევრი არაფერი გვექონდეს, მაგრამ სასიამოვნოა. კვირაში ორჯერ მაინც, ძმაკაცები სადილად რესტორანში ვიკრიბებოდით ხოლმე, მე რალაცნაირად გავარღვიე ეს „მოჯადოებული წრე“ და მათი შეუღლებებიც ჩემი მაღლიერები დარჩნენ, რადგან მერე უკვე მათთან ერთად გადავწყვიტეთ სიარული. ამან კი მოიტანა ის, რომ შეიძლება საქეიფოდ არა, მაგრამ თუნდაც ტკბილეულის სუფრაზე ერთმანეთს ხშირად ვსტუმრობთ. ეს ყველაზე სასიამოვნოა — შეხვედრა, საუბარი და ა.შ. და მერე, ამას თავისით მოაქვს ის ხილი, ნამცხვარი და სხვა. ისეთი სამეგობრო გვყავს, ღრეობას კი არ ვმართავთ, ერთმანეთს ვუსმენთ, ვინ რას ამბობს. ტრადიციულ სადღეგრძელოებს ხშირად არ მივყვებით. ჩვენი ყოველდღიურობა მრავალფეროვანია, ყოველ შეხვედრაზე ახალი სათქმელი გროვდება და შესაბამისად, სადღეგრძელოებიც ახალ-ახალი მოგვის ხოლმე.

„კოლენო“ და ლუდი ჩეხურად
 — 50-მდე ქვეყანაში ვარ ნამყოფი და განსაკუთრებული კერძებიც გამისინჯავს. თუმცა, ქართველები ისეთი ბუნების ხალხი ვართ, ჩვენთან თუ არ არის რალაცით დაკავშირებული, ის სამზარეულო მაინც დამაინც არ გვიზიდავს. ცოტა ხნის წინ, გადაღებაზე ჩეხეთში ვიყავი და ჩემს მეგობარს, რომელიც იქ 15 წელი ცხოვრობდა, ტელეფონით დავუკავშირდი, — 4 დღე თავისუფალი მაქვს და ქალაქის რომელი ღვინოა უმჯობესი? ვნახო-მეთქი? — სადაც „კოლენო“ და „გამბრინუსი“ ეწერება, ყველგან შედიო, მითხრა. ანუ ღორის კანჭი, რომელიც იქ განსაკუთრებულად მზადდება და ჩეხური ლუდი. უგემრიელესი იყო. მერე ერთი მეგობარი მეხუმრებოდა, — ბატონო გოგა, აქ იმდენჯერ ვიყავით ბარში, ერთი ღორი



ზღვის პროდუქტები არ მიყვარს

კი შეჭამეთო (იციინის). ზოგადად, უცხოური კერძები მომწონს, რალაც განსაკუთრებული ეგზოტიკა დევს მათში, თუმცა ყველაფერი მისაღები, რა თქმა უნდა, ვერ იქნება.

უარყოფითი გამოცხადება


— ზღვის პროდუქტები არ მიყვარს. ამერიკაში მეგობარმა დიდი პატივი მცა და ჩინურ რესტორანში წამიყვანა. ყველა კერძი გავსინჯე. მერე ამიხსნა, რა რა იყო და საშინლად უსიამოვნო შეგრძნებები დამეუფლა... ბაყაყი და რალაცები მიჭამია... როცა ვჭამდი, თითქოს გემრიელი იყო, მაგრამ რალაცნაირი, სპეციფიკური გემო მაინც ჰქონდა. თუმცა, მართლაც კარგი რესტორანი იყო, სუშიც მივირთვით, ჩხირებზე თევზი ინვეზობდა პირდაპირ ჩვენ თვალწინ და ძალიან მაგარი იყო.

„ბაჟომონატრული“ თეატრალი, ესპანეთში

— როცა ჩვენმა თეატრმა „ფეხი აიდგა“ და უცხოეთში პირველად გავედით, ბევრი ჩვენგანი ზესტაფონს არ იყო გაცილებული და ესპანეთში ჩავფრინდით. მაშინ მოსკოვის „გავლით“ დავდიოდით. აეროპორტში ავტობუსი დაგვხვდა და სასტუმროში დასაბინავებლად წავედით. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი წარუშლელი შთაბეჭდილებაა, როცა პირველად სადმე მიდიხარ, ისიც — მადრიდში. ყველაფერი გაინტერესებს, ათვალაიერებ, აკვირდები და ა.შ. ერთ-ერთი ახლობელი ზის თავის სავარძელზე, თავი ფანჯარაზე მიუდვია და, — ბაჟე მომენატრა, ბაჟე მომენატრაო, მღერის (იციინის). ესპანური სამზარეულო ძალიან მომეწონა, ქართულს ჰგავს.

„ქვეყანა შემოვიარე, ვერ ვნახე შენი საღარი“

— უცხოელებთან სახლში არ ვყოფილვარ და როდესაც იქაური ქართველები გვხვდებიან, ისინიც ცდილობენ, ადგილობრივი ინგრედიენტებით ქართული კერძები გაამზადონ და ქართულად გიმასპინძლონ, მაგრამ იქაური ყველით გაკეთებულ ხაჭაპურს გემო მაინც არა აქვს... იმერული ყველი მაინც სულ სხვაა. ნახევარი მსოფლიო მოვიარე და ქართულ სამზარეულოს მაინც არაფერი მირჩევნია, არსად ისე გემრიელად არ აკეთებენ, როგორც ჩვენთან. ნიგვზიანი ჭინჭრის მხალიდან და მჭადიდან დანყებული, ყველა კერძი განსაკუთრებულია.



ისეთი სამეგობრო გვყავს, ღრეობას კი არ ვმართავთ, ერთმანეთს ვუსმენთ, ვინ რას ამბობს

რა წარწერა გააკეთა ჰიტლერმა „ვეფხისტყაოსანზე“?

ყველაფერი 50 წლის წინ დაიწყო, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს დღეებში. ისევე, როგორც სხვა სკოლებმა, მისი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმაც პატარა ზეიმი მოაწყო. ამ საღამოზე, ბურამ ახალბაიამ რუსთაველის აფორიზმებით მოიწონა თავი და პედაგოგმა ზეიმის დასრულების შემდეგ, „ვეფხისტყაოსანი“ აჩუქა. ეს იყო 1966 წლის საიუბილეო სასკოლო გამოცემა.



ეს ჩემი კოლექციის დიდი ღირსებაა

ნაწილი ფოტოკოლექციიდან

„ვეფხისტყაოსანის“ ირგვლივ

— მასწავლებელი ნაწარმოების ისტორიას როცა გვიყვებოდა, დასძინა, — სხვადასხვა ენაზე „ვეფხისტყაოსანის“ უამრავი კარგი გამოცემა არსებობს. ერთხელ, ისიც მითხრა, როცა საშუალება გექნება, ეს გამოცემები შეიძინეო. სტუდენტი ვაგხდი და წიგნების შეძენის მეტი შესაძლებლობა მომეცა, მაგრამ იმ პერიოდში კარგი წიგნის შოვნა რთული იყო. თუ „ვეფხისტყაოსანს“ სადმე წავაწყდებოდი, ვყიდულობდი. საერთოდ, მდიდარი ბიბლიოთეკა მქონდა. წინა საუკუნის 80-იან წლებში, მეგობარმა მკითხა: შემთხვევით, „ვეფხისტყაოსანი“ მეგრულ ენაზე ხომ არა გაქვსო? რუსთაველის საიუბილეო წელს, კაკა ჟვანიას ნათარგმნი, საბჭედ მანქანაზე აკრეფილი ტექსტით, 7 წიგნი დაიბეჭდა და ერთი ეგზემპლარი მქონდა. მეგობარმა მთხოვა, მამაჩემს მოსკოვში გამოეფენა აქვს და თუ შეიძლება, მოგვეციო. წიგნი ვათხოვე, გამოეფენის შემდეგ დამიბრუნეს და მეგობრის

მამა, ვახტანგ ნათენაძე დაინტერესდა, — „ვეფხისტყაოსანს“ ხომ არ აგროვებო? — არა-მეთქი. — მაინც, რამდენი წიგნი გექნებო? როცა ვუთხარი, — 100-მდე-მეთქი, — კოლექციონერი ყოფილხარო. დავათვალიერე ბატონი ვახტანგის კოლექციის უნიკალური გამოცემები და აღფრთოვანდი. ამის მერე კიდევ უფრო დავინტერესდი ამ საქმით. „ვეფხისტყაოსანის“ ყიდვა

ფინური გამოცემა ჩვენმა ფეხბურთელებმა ჩამომიიტანეს. გამიკვირდა, რომ იშოვებს, რადგან ძნელი მოსაპოვებელი იყო

გავაგრძელე და ერთ-ერთი სრულყოფილი კოლექცია ასე შევაგროვე. 1712 წლიდან დღემდე რაც გამოსულა, ყველა ქართული გამოცემა მაქვს. ეს ჩემი კოლექციის დიდი ღირსებაა. „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიოში 49 ენაზე გამოვიდა და ყველა ენაზე გამოცემული წიგნი მაქვს, ოღონდ ზოგიერთი არასრულყოფილია. სულ 450-მდე სხვადასხვა ენაზე გამოცემული წიგნია ჩემს კოლექციაში. ზოგი მათგანი ავტოგრაფითაც არის. 1712 წლის

გამოცემა ყველა კოლექციონერის ოცნებაა. მეც, თითქმის 40 წლის მანძილზე ვეძებდი. ამ წიგნის ფაქსიმალური ასლი აკაკი შანიძემ 1937 წელს გამოსცა. ზუსტად გაიმეორა ყველაფერი, ქალაქიცი კი იმდენად მიმსგავსებული იყო, რომ ყველას 1712 წლის გამოცემა ეგონა. ერთხელ, ზესტაფონიდან დამირეკეს, ჩავედი და 1937 წლის გამოცემა აღმოჩნდა. კახეთშიც ჩავედი, — მიმტკიცებდნენ, ნამდვილად ძველი წიგნიაო და იქაც არ გამიმართლა. მერე, რომ მირეკავდნენ, აღარ მივდიოდი. ვეუბნებოდი, — სატიტულო გვერდს ფოტო გადაუღეთ და გამოვიგზავნეთ-მეთქი. ბოლოს, მივაგენი იმ პიროვნებას, ვინც ეს წიგნი რალაც პრობლემის გამო გაყიდა. მადლობელი ვარ, რომ ნორმალურ ფასად დამითმო. ეს გამოცემა მსოფლიოში სულ 24 ცალია დარჩენილი და ჩემი ეგზემპლარი საუკეთესოდაა შენახული, მხოლოდ რამდენიმე გვერდი აკლია. მისი გაყიდვა უცხოელებმა ბევრჯერ მთხოვეს, დიდ თანხასაც იხდიდნენ, მაგრამ არ მივეცი. განსაკუთრებულია ბალმონტის თარგმანის პირველი რუსული სრულყოფილი გამოცემა, რომელიც 1933 წელს, პარიზში დაიბეჭდა. არსებობს ამ

გამოცემის დანომრილი ეგზემპლარებიც, რომლებიც პოლიტიურის წევრებს დაურიგეს. საქართველოში აღმოჩნდა ნომერი 007, როგორც ვარაუდობენ, ბერიას ან მოლოტოვის ეგზემპლარი. ვერ მივუსწარი, ძალიან დამწყდა გული. ვინც იყიდა, ის მერე რუსეთში წავიდა და იქ გაყიდა. ყველანაირად ვეცადე, მაგრამ ვერ შევიძინე. დაუნომრავი ბალმონტის წიგნი პარიზში შევიძინე ჩემი მეგობრის, გიორგი ქაჯაიას დახმარებით, რომელიც იმ დროს


პარიზში საქართველოს საელჩოში მუშაობდა, კონსულის თანამდებობაზე. იგივე წიგნი საფრანგეთში მცხოვრებმა ემიგრანტმა, ვიქტორ ხომერიკმა იშოვა და პაატა ბურჭულაძის ხელით გამომიგზავნა. 1940 წელს, შალვა ნუცუბიძის რუსულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ გამოვიდა. იმ პერიოდში დაპატიმრებული შალვა ნუცუბიძე სტალინის ბრძანებით მოსკოვში გადაიყვანეს და თარგმანზე ციხეში მუშაობდა. სტალინმა ხელნაწერი წაიკითხა და ბერიას მისწერა: — აქამდე, „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანებიდან ყველაზე მეტად პეტრენკოს თარგმანი მომწონდა. გავცანი ნუცუბიძის თარგმანს, ის საუკეთესოა. მეც ვცადე ერთი სტროფის გადათარგმნა (სტროფი №1614). თუ ნუცუბიძეს აწყობს, იქნებ ასე ააჟღეროსო. ბოლოს კი მიაწერა — „ვო ვსიაკომ სლუჩაე, ხოროში ნადო ზამენიტ ლუჩშიმ“. ამით მიანიშნა, რომ თავისი უკეთესი იყო. რა თქმა უნდა, სტალინის ნათარგმნი სტროფი წიგნში შეიტანეს. 1940 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, ლამაზი ყდითა და შესანიშნავი ყუთით, სტალინს მიუტანეს, რომელმაც ასეთი შესწორებები შეიტანა: „პერევიოდ შალვი ნუცუბიძეზე“ ჩაასწორა — „პერევიოდ ს გრუზინსკოგო, შალვი ნუცუბიძეზე“. სატიტულო გვერდები ჩაასწორა; რამდენიმე ილუსტრაცია დაიწუნა, პირდაპირ გადახაზა და ასე მიჰყვა, თავისი მინაწერები დატოვა. წიგნის ტირაჟი იმწამსვე დააპატიმრეს (გაანადგურეს) და ხელახლა, ზუსტად იმავე ყდამი და იმავე ტირაჟით, 1941 წელს გამოსცია. ძალიან იშვიათია 1940 წლის გამოცემა. სად არ ვეძებ? ნუცუბიძის ოჯახსაც არა აქვს. მხოლოდ გორის მუზეუმშია სტალინის მიერ ჩასწორებული წიგნი, საიდანაც ასლები გადავიღე. ბერიასადმი მიწერილი წერილის ასლიც მაქვს. ნუცუბიძისეული თარგმანი დღემდე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. „ვეფხისტყაოსნის“ იშვიათი ჩინური წიგნებიდან 5 გამოცემა მაქვს. ფინური გამოცემა ჩვენმა ფეხბურთელებმა ჩამომიტანეს. გამიკვირდა, რომ იშოვეს, რადგან ძნელი მოსაპოვებელი იყო. დამირეკეს, შენთვის წიგნი მოგვაქვსო. ეს ის დროა, შუქი აეროპორტშიც კი არ იყო. არ დაველოდე მეორე დღეს

და წავედი აეროპორტში, იქ გამოვართვი. ერთ დღესაც, რამდენიმე „ვეფხისტყაოსანზე“ საინტერესო პიროვნების ავტოგრაფი აღმოვაჩინე, მათ შორის, სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტისა. გადავწყვიტე, რომ გამოფენის მომზადების წინ მეთხოვა საელჩოებისთვის, დამხმარებოდნენ — თუ ამა თუ იმ ქვეყნის პრეზიდენტი მოისურვებდა, წარწერა გაეკეთებინა მათ ენაზე გამოცემულ „ვეფხისტყაოსანზე“. მაქვს იტალიის, სომხეთის, თურქეთის, ყაზახეთის, სლოვაკეთის, ბელორუსის, გერმანიის, უკრაინის, თურქეთის პრეზიდენტების ავტოგრაფები. ეს, რაც გამახსენდა. აღსანიშნავია, იტალიისა და ბელორუსის პრეზიდენტების წარწერები. ეტყობა, ისინი წინასწარ მოემზადნენ და რუსთაველზე ინფორმაცია მოიძიეს. ამასთან ერთად, მაღლობას მიხდინა უძველესი ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის, რაც ძალიან მესიამოვნა.


მინიატიურული წიგნების კოლექცია

— საქართველოში პირველი მინიატიურული წიგნის გამოცემა შემთხვევით მოხდა. ქუთაისის სტამბაში შავი ჭირის საშიშროების გამო, დირექტორმა სტამბა რაჭის სოფელ წესში გახიზნა, სადაც დანადგარები და ცოტა ქაღალდი წაიღეს. „ღვთისმშობლის ლოცვანი“ გამოსცეს და ქაღალდის სიმცირის გამო, ის მინიატიურული გამოვიდა. ეს წიგნი მე არ მაქვს, საჯარო ბიბლიოთეკაშია ორი ცალი დაცული. ერთხანს, ნომენკლატურულ მუშაკებს უცხოური წიგნების სიას უგზავნიდნენ. პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ლევან მგალობლიშვილი შესანიშნავი ხელმძღვანელი გახლდათ. იმ დროს მასთან კომკავშირის რაიკომის პირველ მდივანად ვმუშაობდი. ერთხელაც, მსოფლიოს საუკეთესო მხატვრების (მიქელანჯელო, ტიციანი, რენუარი...) მინიატიურული წიგნები მოიტანეს. ბატონ ლევანს ეს წიგნები არ უნდოდა. უთქვამს, გურამს აინტერესებს და იმას აჩვენეთ, ჩემი კვოტიდან შესთავაზეთო. მართლაც, მაშინვე ფული ვისესხე და ყველა, 8 ტომი ავიღე. მხატვრების შესახებ ამ ტიპის 48 წიგნი გამოვიდა და მეც ნელ-ნელა შევაკეს. ამითაც დავეინტერესდი,

მინიატიურული წიგნების შექმნა და ჩამოტანა მოსკოვიდან დავიწყე. სხვა ადამიანებს დავუკავშირდი და გაცვლა-გამოცვლაც გვეკონდა. დღეს ჩემი კოლექცია 5 000-ზე მეტ წიგნს ითვლის. მსოფლიო ლიტერატურის 160 მინიატიურული ტომი მაქვს. ყველაზე პატარა



წიგნის ზომა 1 მმ-ია. მე მაქვს 1,2 მმ ზომისა, მას თავისი ლუპაც მოჰყვება. ის მოსკოვში გამოსცეს. მინიატიურული წიგნების გამოცემებით ცნობილია ჩინეთი, უნგრეთი, გერმანია. ბევრი გერმანული



ლიტერატურა მაქვს. მოსკოვიდან გამომიგზავნეს პუშკინის 250 წლისადმი მიძღვნილი წიგნები. საინ-

ტერესო ისტორია აქვს ბერლინში 1943 წელს, გრიგოლ რობაქიძის ხელმძღვანელობით მომზადებულ მინიატიურულ „ვეფხისტყაოსანს“,

უცხოეთიდან. კაიროში, ელჩის მონდომებით, „ვეფხისტყაოსანი“ არაბულად, მეორედ გამოიცა. ახლა ველოდები, ჩემთვის შეძენილ



რომელიც ქართველი ტყვეებისთვის გამოიცა. ისინი წიგნს ჩექმაში ინახავდნენ. როგორც ცნობილია, რობაქიძე ჰიტლერთან დაახლოებული პირი იყო. წიგნი მიუტანია ჰიტლერისთვის და ლეგენდის მიხედვით, მას წიგნზე მიუწერია „ქართველები ნიჭიერი ხალხია“. ეს სინამდვილეს შეეფერება თუ არა, არავინ იცის, მაგრამ უტყუარია ის, რომ წიგნს ანტისაბჭოთა შესავალი ჰქონდა. ამის გამო, უშიშროების კომიტეტი ეძებდა. ვერავის ჩამოჰქონდა საქართველოში, თუ ვინმემ მოახერხა, მაშინვე იმ შესავალს ხევდნენ, წიგნს ტოვებდნენ. რამდენიმე კოლექციონერმა ეს წიგნი თავისი შესავლით მოვიპოვეთ. მინიატიურული წიგნების ტირაჟი რაც ნაკლებია, მით მეტად ფასობს. საერთოდ, კომუნისტების დროს დიდი ტირაჟით გამოდიოდა მინიატიურული წიგნები, ახლა ასე არ ხდება. ისინი გამოდის 20, 50 ან მაქსიმუმ 100 ცალი. არის სახელობითი ეგზემპლარები. აი, მაგალითად, რუსეთში 60 ცალი პუშკინის „ევგენი ონეგინი“ გამოვიდა და ერთს აწერია, რომ გურამ ახალაიას ეგზემპლარია. რამდენიმე სახელობითი წიგნის ეგზემპლარი მაქვს.

დღეს

ახლა, ინტერნეტის საშუალებით ინფორმაცია თავისთავად მოდის. ჩვენ ყველა გვიგზავნის ამბავს, ახალი წიგნის გამოცემის შესახებ. წიგნებს მიგზავნიან კოლექციონერებიც,

წიგნს მალე ჩამომიტანენ. თავის დროზე, იქ მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულე სალარაძემ პირველი „ვეფხისტყაოსანი“ გამოსცა. წიგნი სალარაძის ავტოგრაფით მაქვს. ბულგარეთში, ჩვენი თანამემამულის, პაატა გამგონიშვილის ხელშეწყობითა და ჩვენი საელჩოს ორგანიზებით გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“. პაატა ბურჭულაძემ უკვე ჩამომიტანა. ყირგიზეთში გამოვიდა ცოტა ხნის წინ ყირგიზულ ენაზე და იმასაც ველოდები. აზერბაიჯანის ყოფილმა პრეზიდენტმა, ჰეიდარ ალიევმა ქალაქის ცენტრში ფართობი გამოუყო ჩემს კოლექციას, სადაც მან მინიატიურული წიგნე-

ბის მუზეუმი დააარსა. ის ტურისტულ სქემაში შეიტანეს და ბაქოში ვინც ჩადის, ყველა ნახულობს. მოსკოვში მინიატიურული წიგნების მოყვარულთა კლუბის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ლობურევმა, ერთხელ გამოფენაზე მთავრობა და პრეზიდენტი მიიწვია. „პროტოკოლში“ ეწერა, რომ პრეზიდენტი მხოლოდ 10 წუთს გაჩერდებოდა. იგი, თურმე საათი და 45 წუთი დარჩა იმ გამოფენაზე. ასე რომ, გულგრილი ვერავინ იქნება ამ წიგნების მიმართ. კოლექციონერები — ლევან თაქთაქიშვილი და მამუკა ჩხეიძე ახლა კარგ საქმეს აკეთებენ, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემების კატალოგის მეორე გამოცემაზე მუშაობენ. მათ ყველაფერი აღრიცხული აქვთ, დანყებული 1712 წლიდან — დღემდე. ძალიან საინტერესო წიგნია და ყველასთვის კარგი საჩუქარი იქნება. რუსთაველის 850 წლის ზეიმი როცა გვექნება, ჩემი კოლექციის გამოფენაც მოეწყობა. კიდევ ერთ პროექტზე ვმუშაობთ, ცნობილი ადამიანების ხელით დაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ წიგნად გამოვა. სხირად დაღლილი ვყოფილვარ, მაგრამ წიგნების კატალოგს ჩავუჯდები თუ არა, ყველაფერი მაზინწყდება. „ვეფხისტყაოსნის“ ნაკითხვა რთულია, ბევრს დღესაც უჭირს, მაგრამ თუ დააკვირდები, ყოველ ფრაზაში სიბრძნეა. ახალს არაფერს ვამბობ, მაგრამ ეს თითოეულმა ადამიანმა თავად უნდა აღმოაჩინოს.



დამანგრეველი მიწისძვრა ბორში

„გორში და მის შემოგარენში დიდი მიწისძვრა მოხდა დღეს, 20 თებერვალს, დილის 3 საათზე. დაინგრა უამრავი სახლი. დაზიანებულია სარკინიგზო ხაზი. განსაკუთრებით დაზარალდა სოფელი ხიდისთავი, რომელიც თითქმის მთლიანად დაინგრა. მიწისძვრის გამო, ტფილისიდან გორში სასწრაფოდ გაემგზავრა შინაგან საქმეთა მინისტრი ამხანაგი ჭიჭინაძე, სარკინიგზო მიმოსვლის უფროსი, აგრეთვე სამედიცინო პერსონალი, ინჟინრები და მუშები. მიწისძვრა ტფილისშიც საკმაოდ იგრძნობოდა. ბიძგები დილის 3 საათზე დაიწყო და რამდენჯერმე განმეორდა“, — ასე აუწყა გაზეთმა „ბორბამ“ 1920 წლის 20 თებერვლის ნომერში საკუთარ მკითხველს საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი მიწისძვრის შესახებ.

მიხეილ ბასილაძე

გორის მაზრაში ძლიერი მიწისძვრა 19 თებერვლიდან 20 თებერვლის ღამეს, 02:55 საათზე აღინიშნა. ბიძგების სიმძლავრემ რისტერის სკალით 6,2 ბალს გადააჭარბა. დაზიანდა გორში არსებული შენობების უმრავლესობა, ზოგიერთი სახლი კი მთლიანად დაინგრა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ღამის მიწისძვრა იმ უბედურების მხოლოდ დასაწყისი იყო, რომელიც გორის მაზრას მეორე დღეს დაატყდა თავს.

20 თებერვალს ბიძგები 14 საათსა და 45 წუთზე განმეორდა და გაცილებით დამანგრეველი აღმოჩნდა. ამჯერად სიმძლავრემ 8-9 ბალს მიაღწია. პირველი მიწისძვრის შედეგად დაზიანებული ყველა შენობა უკვე პირნიშნად განადგურდა. რა სიმძლავრის იყო მიწისძვრა, ამის დადგენა დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მაშინვე ვერ მოახერხეს. მიზეზი ბანალური იყო: როგორც „ბორბა“ იუწყება: „ტფილისის ობსერვატორიის ცნობით, მიწისძვრა დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით განვითარდა. რადგან ობსერვატორიის კუთვნილი სეისმოგრაფული მოწყობილობა ამჟამად შეკეთებაშია და იგი გაუმართავია, ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ რა სიმძლავრის მიწისძვრა იყო“.

რა თქმა უნდა, ასეთი ძლიერი მიწისძვრა ტფილისშიც საკმაოდ იგრძნობოდა, მაგრამ გორთან შედარებით, მიწის რყევა ისეთი დამანგრეველი არ აღმოჩნდა. დედაქალაქში მხოლოდ შენობები დაიბზარა, ფანჯრებში შუშები ჩაიმსხვრა, ხოლო ზოგიერთ საცხოვრებელ სახლს სახურავი ჩამოენგრა.

მოსახლეობაში პანიკა პირველივე მიწისძვრის დროს დაიწყო. გავრცელდა ათასი ჭორი, რომელიც ისედაც არსებული ქაოსის კიდევ უფრო გაძლიერებას უწყობდა



დილის სამ საათზე განმეორებითა მიწისძვრამ ქალაქი ფაქტობრივად ნანგრევებად აქცია

ხელს. ჭორების აღსაკვეთად, ტფილისის ობსერვატორიამ სპეციალური განცხადებაც კი გაავრცელა, რომელიც მოსახლეობისთვის მიწისძვრის თაობაზე მეცნიერულ ცნობას აწვდიდა: „ტფილისის ობსერვატორიის მყარი მონაცემებით, მოსახლეობაში გავრცელებული ხმები იმის შესახებ, თითქოს მიწისძვრა კვლავ განმეორდება, დღეს ღამის 3 საათზე, ისევე როგორც ეს გუშინ მოხდა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ობსერვატორია აცხადებს, რომ მსგავსი მარჩიელობა შეუძლებელია, რადგან თანამედროვე მეცნიერებას მიწისძვრის ზუსტი დროის დადგენა არ ძალუძს. ახლა მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება: მიწისძვრების სტატისტიკა მიუთითებს, რომ ძლიერ ბიძგებს შემდეგ უკვე მიწის მცირე რყევები მოჰყვება, რომლებიც დროთა განმავლობაში საერთოდ ქრება“.

სტიქიის ეპიცენტრში კი მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. გორის მცხოვრებლებმა ღამით საკუთარი ბინები დატოვეს და დაზიანებულ სახლებთან მიახლო-

ებასაც ვერ ბედადნენ. თებერვლის სუსხში, ხალხი ღია ცის ქვეშ დარჩა. მეორე დღეს, ზოგიერთმა დაზარალებულ შენობებში შესვლა და იქიდან საჭირო ნივთების გამოტანა სცადა, მაგრამ სტიქიამ მათ ამის საშუალება არ მისცა. დღის სამ საათზე განმეორებითა მიწისძვრამ ქალაქი ფაქტობრივად ნანგრევებად აქცია.

22 თებერვალს გაზეთმა „ბორბამ“ უბედურების ზონიდან ვრცელი რეპორტაჟი დაბეჭდა, სადაც მთელი სიცხადით ჩანს გორის მაზრაში არსებული მძიმე მდგომარეობა: „როგორც იუწყებიან, მიწისძვრის შედეგად გორზე მეტად გორის შემოგარენი და სოფლები დაზარალდნენ. მაგრამ გუშინ 20 თებერვალს, სადილობის შემდეგ, მიწისძვრა კვლავ განმეორდა და ამის შემდეგ გორში თითქმის ყველაფერი დაინგრა. ქალაქში მრთელი არც ერთი სახლი არ გადარჩენილა. დაინგრა ძველი ციხესიმაგრე და ქალაქის საპყრობილე, სადგურის შენობა. მიწისძვრას ვერც გორისჯვრის ეკლესია გადაურჩა, რომელიც მთაზე იდგა.“

გორსა და სოფელ სკრას შორის მდებარე კლდეში დიდი ნაპრალები გაჩნდა. იმ შემთხვევაში, თუ მინისძვრა განმეორდება, შესაძლოა კლდე საერთოდ ჩამოიქცეს და ეს ნაშალი მტკვარში ჩავარდება. ეს კი მდინარის კალაპოტს შეცვლის და ნყალი გორისკენ იბრუნებს პირს. გორი-სკრას გზაზე პირი დაალო მინამ და გაჩენილი ნაპრალებიდან ამოდის კვამლი, რომელსაც მოლურჯო ქვიშა მოჰყვება. ამბობენ, რომ პირველი ძლიერი მინისძვრის დროს, გორი რაღაც უცნაური ნათებით განათდა.

მიღებული ცნობებით, ძალიან დაზარალდა შემდეგი სოფლები: კავთისხევი, სასირეთი, დოესი,

ლი და ისინი პირველივე მინისძვრის დროს დაინგრა. ნგრევა იმდენად სწრაფად მოხდა, რომ ხალხმა გარეთ გამოსვლაც ვერ მოასწრო“.

როგორც თვითმხილველები ჰყვებოდნენ, მინის რყევას თან საშინელი გუგუნი ერთვოდა და მინა ისე ქანაობდა, რომ ადამიანი ფეხზე ვერ დადგებოდა. შუადღისას კი, როდესაც მ-ბალიანი ბიძგები დაფიქსირდა, ქალაქში ისეთი მტკერი ავარდა, რომ გარკვეული დროის მანძილზე ცა მთლიანად დაფარა და ირგვლივ წყვდიადი იყო.

გორში თითქმის ყველაფერი დაინგრა: განადგურდა თვითმმართველობის შენობა, ციხე, ფოსტის შენობა, საერო და სასულიერო

22 თებერვალს იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის ხელმძღვანელობით მთავრობამ სპეციალური კომიტეტი ჩამოაყალიბა. შეიქმნა დაზარალებულთა დახმარების ბიუროც, რომელიც შემოწირულობას აგროვებდა.

სტიქიის ზონაში გაიგზავნა საკვები პროდუქტები, პირველადი საჭიროების ნივთები, კარვები. დაზარალებულთათვის პირველადი დახმარების აღმოსაჩენად ადგილზე მუშაობდა სავიწრო ჰოსპიტალი. გორში გადაისროლეს საარმიო ნაწილები და მესანგრეები, რომლებსაც დანგრეული შენობების განმენდა და იქ ჩარჩენილი ადამიანების გამოყვანა დაევალებათ. ჯარისკაცებს ეხმარებოდნენ მოხალისე სტუდენტებიც. დაახლოებით 100-მდე დასახიჩრებული სამკურნალოდ ტფილისში გადაიყვანეს. გორის მოსახლეობის ნაწილმა ქალაქი თავად დატოვა, ნაწილის ევაკუაცია კი მთავრობამ ხაშურის, სურამისა და ბორჯომის მაზრებში უზრუნველყო.

მინისძვრის შედეგებს დაწვრილებით აღწერს სერ ოლივერ უორდროპი, რომელიც კავკასიაში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი გახლდათ და იმ პერიოდში ტფილისში იმყოფებოდა. 1920 წლის 25 თებერვალს იგი გორში ჩავიდა და ნანახის შთაბეჭდილება თავის მეუღლეს მარგარეტ კოლეტს წერილში გაუზიარა: „გუშინ მინისძვრის შედეგების სანახავად წავედი. ზარალი გაცილებით დიდია, ვიდრე წარმომედგინა. გორში 30 ათასი ადამიანი ცხოვრობდა და თუ აქა-იქ შემორჩენილ ხის ქოხებს არ ჩავთვლით, არც ერთ მათგანს აღარ აქვს თავზე ჭერი. ბიძგების დროს მთაზე მდგარი უძველესი ციხის კედლები ჩამოიშალა და მთის ქვეშ მდგომ სახლებს დაეყარა, საიდანაც, მარტო ჩვენი იქ ყოფნის დროს, ოთხი მიცვალებულის ცხედარი გამოასვენეს.

ბიძგები დროდადრო მეორდება, თუმცა მე ვერაფერს ვგრძნობ. ალბათ ეს ქალაქი ერთიანად უნდა აიყაროს და სადმე სხვაგან აშენდეს. გული მომიკლა საბრალო ადამიანების დანახვამ, რომლებიც კარვებსა და სახელდახელოდ გაჭიმულ ხალიჩებს შეჰფარებოდნენ. ცრემლი ვერ შევიკავე, როცა ჩვენი შვილების ასაკის ბავშვები დავი-



შეიქმნა დაზარალებულთა დახმარების ბიუროც, რომელიც შემოწირულობას აგროვებდა.

ყარაღაჯი, მეტეხი, უფლისციხე, ახალქალაქი, გრაკალი, სკრა, ხიდისთავი, ოხერა და მრავალი სხვა.

20 თებერვალს სოფელ ხიდისთავში ნანგრევებიდან გამოიტანეს 33 ადამიანის ცხედარი, ხოლო სოფელ ოხერაში — 13 ადამიანი. მსხვერპლი იყო თავად ქალაქ გორშიც. საერთო ჯამში, მარტო გორში, ოხერაში და ხიდისთავში, დღეს 54 გვამი იპოვეს. მოსახლეობა შიშის გამო, დანგრეულ შენობებთან ახლოს ვერ მიდის, ამიტომ ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ რამდენი ადამიანი დაიღუპა სინამდვილეში.

სოფლად ასეთი მსხვერპლი იმით აიხსნება, რომ გლეხთა სახლების უმეტესობა ცუდად არის აშენებუ-

სასწავლებლები, სამხედრო ყაზარმები. ნაწილობრივ დაინგრა ან სერიოზულად დაზიანდა გორის ციხე, ქვემო რიეთის ეკლესია, ნათლისმცემლის ეკლესია. ერთადერთი შენობა, რომელიც მინისძვრამ უმნიშვნელოდ დააზიანა, სახელმწიფო ხაზინის შენობა გახლდათ.

მინისძვრის ეპიცენტრში მომუშავე სპეციალისტების დასკვნით, ნგრევა იმდენად ძლიერი იყო, რომ შენობების უმრავლესობა აღდგენას უზრალოდ არ ექვემდებარებოდა. საჭირო იყო ყველა ნაგებობის დაშლა და მათი თავიდან აშენება.

მინისძვრის შედეგების ლიკვიდაციისთვის და უსახლკაროდ დარჩენილი ხალხის დასახმარებლად,

ნახე, აკანკალებულები, მშივრები, გაუსაძლის ყინვასა და თოვლში უსახლკაროდ დარჩენილები.

ქალაქში ცუდი მდგომარეობაა, მაგრამ კიდევ უარესია ახლო სოფლებში, რომელთაგანაც 47 მეტ-ნაკლებად, დანგრეულია. მათ დასახმარებლად ჯერ არაფერი გაკეთებულა. რამდენიმე ადამიანი, ბავშვების ჩათვლით, შიშისგან გაგიჟდა. ქალებს მინისძვრის დროს ნაადრევი მშობიარობა დაეწყოთ. პირველმა შოკმა იმდენად იმოქმედა ხალხზე, რომ რყევების დასრულების შემდეგ, საბედნიეროდ, სახლებში არავინ შებრუნებულა საქმლის მოსამზადებლადაც კი. შესაბამისად, როცა მეორე, უფრო ძლიერი მინისძვრა მოხდა, უკვე ყველა გარეთ იყო. ნანგრევებში ხანძარი არ გაჩენილა. მე ჯერ გორში წავედი, მერე კი სოფელ ხიდისთავში. საშინელებას, რომელიც იქ ვნახე, ნამდვილად ვერ აღვწერ. ვნახე ამილახვრების სახლი, სადაც 1897 წელს ჩვენს ოჯახს უმასპინძლეს. ფასადი ჯერ კიდევ დგას, მაგრამ სხვა ყველაფერი მიწასთანაა გასწორებული.

ერისთავების სახლიც მთლიანადაა დანგრეული. მიშო ერისთავი და მისი ოჯახის წევრები რამდენიმე ხალიჩისგან სახელდახელოდ გამართულ კარავში, თოვლში, ჭყაპსა და ყინვაში ცხოვრობენ. ხალხი სასონარკვეთილი და განადგურებულია, მაგრამ ჩვენი ვიზიტისა და თანაგრძნობის გამო მადლიერების გამოხატვა არავის დავინწყებია. თითოეულ მათგანს უზარმაზარი ტრაგედია დაატყდა თავს.

გუშინ, როცა მინისძვრით დაზარალებული საბრალო ხალხი ვნახე, დავფიქრდი კიდევ ასობით ათას ადამიანზე, რომელიც ზუსტად იმავენაირ სიღარიბესა და უიმედობაში ცხოვრობს იმ პოლიტიკოსთა მიზანმიმართული ქმედებების გამო, რომლებიც ჩამოხრჩობას იმსახურებენ.

წერილთან ერთად გორის მინისძვრის ფოტოებსაც გიგზავნი, მაგრამ ვშიშობ, რომ მინისძვრით გამოწვეულ საშინელებაზე სრული წარმოდგენა მაინც ვერ შეგექმნება“.

1920 წლის საშინელ მინისძვრას ქალაქ გორში 18 ადამიანი შეენირა. მთლიანად კი ამ კატასტროფის შედეგად 114 მოქალაქე დაიღუპა.

ორთოპედიულ დაავადებათა სკრინინგი და აღდგენითი თერაპია

მოზარდებში ხერხემლის გამრუდება და ბრტყელტერფიანობა ერთ-ერთი ყველაზე ხშირი დაავადებაა, რის გამოც იანვრის ბოლოდან, თბილისის მერიის ინიციატივით, „ორთოპედიულ დაავადებათა სკრინინგი და აღდგენითი თერაპიის პროგრამა“ დაიწყო. პროგრამის ფარგლებში მკურნალობა შესაძლებელია 4-დან 15 წლის ჩათვლით. მერია კი მკურნალობის ხარჯების 70 პროცენტს ანაზღაურებს. ამ საკითხში უფრო ღრმად გასარკვევად მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს, გელა ჩივიაშვილს მივმართეთ.



სკრინინგი უკვე ორი ათასზე მეტმა ბავშვმა და მოზარდმა გაიარა

ნათია შივიძე

გელა ჩივიაშვილი:
— ეს პროგრამა ექიმი-ორთოპედის მიერ პაციენტის გასინჯვასა და ბრტყელტერფიანობისა და სკოლიოზის დიაგნოზის დასმას ითვალისწინებს. ბენეფიციარებს, რომლებსაც ამ სკრინინგის ფარგლებში ეს დიაგნოზი დაესვათ, ორთოპედიული პროგრამის აღდგენით თერაპიაში ჩართვა შეუძლიათ. აღდგენითი თერაპია სამკურნალო ვარჯიშს, მასაჟს, ფიზიოთერაპიასა და საჭიროების შემთხვევაში, რენტგენოგრაფიას ითვალისწინებს. თბილისის მერიის პროგრამით მოსარგებლესთვის, რომელიც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში“ და რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, მომსახურება სრულად ფინანსდება, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლისთვის — 70 პროცენტით. სკრინინგის მიზანია ძვლოვანი სისტემის დეფორმაციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შემდგომი გართულებების თავიდან აცილება. სკოლიოზი და ბრტყელტერფიანობა, რაც ხშირია ამ ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში, მომავალში სხვა-

დასხვა დაავადების გაჩენის რისკს საკმაოდ ზრდის. პროგრამის მიზანი კი ამ დაავადებების პრევენციაა. იანვარ-თებერვლის მონაცემებით, სკრინინგი უკვე ორი ათასზე მეტმა ბავშვმა და მოზარდმა გაიარა.
— როგორც ვიცი, ეს პროგრამა თბილისის ყველა პოლიკლინიკაში არ დაწყებულა, რატომ?
— პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სამედიცინო დანესებულებები უნდა აკმაყოფილებდნენ საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-129 დადგენილებით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ორთოპედიულ დაავადებათა სკრინინგი და აღდგენითი თერაპიის“ პირობებს. დღეისთვის დარეგისტრირებულია მხოლოდ ის დანესებულებები (ასეთი კი 12 კლინიკაა), რომლებმაც პროგრამაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს და შესაბამისი კრიტერიუმები დააკმაყოფილეს.
— მერია დაფინანსებს თუ არა იმ ბავშვებს, რომლებსაც კერძო დაზღვევა აქვთ?
— კერძო დაზღვევის მქონე პირები არ ფინანსდებიან.
გამრეკელის ქუჩაზე არსებულ პოლიკლინიკას მივაკითხე. ორთოპედის კაბინეტთან საკმაოდ

გრძელი რიგი დამხვდა. მითხრეს, წინასწარ უნდა ჩაენერო, თორემ ისე ვერ მიგიღებსო. იმდენი პაციენტი ჰყავთ, რომ მსურველს ჩანერის შემთხვევაშიც ვიზიტი დაახლოებით ერთი თვის მერე მოუწევს. გამიმართლა და ორთოპედ ქეთევან მდინარაძესთან მორიგი პაციენტის მისვლამდე შევედი და გავესაუბრე.

ქეთევან მდინარაძე:

— ორთოპედიული პათოლოგიისა და ალდგენითი თერაპიის პროგრამა ხერხემლისა და ბრტყელტერ-

პრობლემა იყო. ამის გამომწვევი არაერთი მიზეზი არსებობს, მაგალითად: ძალზე მნიშვნელოვანია გენეტიკა. გარდა ამისა, თანამედროვე ბავშვები დუნე ცხოვრებას ეწევიან, მიჯაჭვულნი არიან ტელევიზორსა და კომპიუტერს, რაც კუნთების მოდუნებას იწვევს. მათი სასკოლო ჩანთებიც ძალიან მძიმეა და მოზარდისთვის ესეც დიდ პრობლემას ქმნის. ასევე, პრობლემას იწვევს არასწორი კვება და არასწორი ცხოვრების წესიც. ბავშვები ჯანსაღი ცხოვრების წესს უნდა



არიან ბავშვები, რომლებსაც ეს პრობლემა არ აქვთ

ფიანობის სკრინინგს მოიცავს. არსებობს მხოლოდ სკოლიოზის, მხოლოდ ბრტყელტერფიანობისა და კომბინირებული (როცა სკოლიოზიც არის და ბრტყელტერფიანობაც) ვაუჩერები. უნდა აღვნიშნო, რომ ბევრ ბავშვს ხერხემლისა და ტერფის დეფორმაციაც აქვს. მხოლოდ სკოლიოზი კი გაცილებით მეტს აღმოაჩნდა. ნებისმიერი ბავშვისთვის ორთოპედის კონსულტაცია უფასოა.

— როგორც ვხედავ, თქვენთან საკმაოდ ბევრი ადამიანი მოვიდა.

— ნამდვილად ბევრი პაციენტი გყავს. საბედნიეროდ, არიან ბავშვები, რომლებსაც ეს პრობლემა არ აქვთ, ზოგს კი სხვა ორთოპედიული პრობლემა აღმოაჩნდა.

— რა არის მიზეზი, რომ ბავშვების დიდ ნაწილს ხერხემლის გამრუდება აქვს?

— ეს დაავადება, ამ ასაკის ბავშვებისთვის, ყოველთვის დიდი

მისდევდნენ. ფიზიკურად აქტიურები უნდა იყვნენ. უნდა დაკავდნენ სპორტით, განსაკუთრებით სასარგებლოა ცურვა და ცხენოსნობა (რაიტერაპია).

— თუ მშობელი ბავშვის ხერხემალს ყურადღებას არ მიაქცევს, ამ დაავადებას რა უარყოფითი გამოვლინება ექნება?

— სკოლიოზს ოთხი ხარისხი აქვს. თუ მშობელი მას ყურადღებას არ მიაქცევს, რასაკვირველია, მდგომარეობა დამძიმდება. მკურნალობის არსი დაავადების პროგრესირების შეჩერებაა ანუ მკურნალობის მიზანი არის, რომ აღარ მოიმატოს სკოლიოზის ხარისხმა. მესამე და მეოთხე ხარისხის სკოლიოზის დროს მდგომარეობა გაცილებით რთულია და ამ შემთხვევაში ცვლილებები შინაგანი ორგანოების მხრივაც მოსალოდნელია.

— როგორ მიხვდეს მშობელი, რომ მის შვილს ეს პრობლემა აქვს

და აუცილებლად ექიმს უნდა მიმართოს?

— ორთოპედიულ დაავადებათა ადრეულ ეტაპზე გამოვლენას და მკურნალობის დროულ დაწყებას არსებული დეფორმაციის განკურნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ორთოპედთან პირველი ვიზიტი აუცილებელია 3 თვემდე ასაკში, შემდეგი ვიზიტი 6 თვის ასაკში, სიარულის დაწყებისთანავე, 3-4 წლის ასაკში. სკოლის ასაკში ბავშვები ორთოპედმა წელიწადში ერთხელ უნდა გასინჯოს.

— სკოლიოზის მკურნალობა როდემდე გრძელდება?

— 17 წლამდე. ანუ ეს მანამდეა საჭირო, სანამ ბავშვის მომნიშვნის ასაკი არ ჩამთავრდება.

— რა უნდა გაითვალისწინოს მშობელმა, რომ ბავშვს ეს პრობლემა თავიდან ააცილოს?

— მშობელმა ბავშვის ტერფს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგან ძალიან ხშირად, ტერფის დეფორმაციიდან გამომდინარეა ხერხემლის პრობლემაც. ტერფის არასწორი დატვირთვისას საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სიმეტრია ირღვევა, რაც შესაძლოა, სკოლიოზის განვითარების ერთ-ერთი მიზეზი იყოს. ტერფის ანატომიური და ფუნქციური დატვირთვის განსაზღვრა და მისი კორექცია კომპიუტერული კვლევით (პედოგრაფიით) ხდება, რის საფუძველზეც ინდივიდუალური საკორექციო ლაბაში (სუპინატორი) შეირჩევა. ეს გამოკვლევა ოთხი წლიდან ტარდება. მანამდე კი სასურველია ნებისმიერ ბავშვს, 3-4 წლამდე ორთოპედიული ფეხსაცმელი ეცვა. გარდა ამისა, ბავშვის საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია საყოფაცხოვრებო ინვენტარის სწორად შერჩევა: ბავშვი უნდა იწვეს მყარ საწოლზე, ბალიშის გარეშე, ან 20 სმ-მდე სიმაღლის ბალიშით. სკოლის ასაკის ბავშვებისთვის კი მაგიდის სიმაღლე იდაყვის დონეზე უნდა იყოს, ხოლო მანძილი გულმკერდსა და მაგიდას შორის 3-5 სანტიმეტრს უნდა შეადგენდეს. სკამის ფეხის სიმაღლე ბავშვის წვივის სიმაღლის უნდა იყოს. ასევე, სასურველი არ არის მძიმე ჩანთის ტარება. ჩანთის წონა ბავშვის წონის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

„ყვირის ჰალოცხრის“ შემდეგ ნომერში წაიკითხავთ!



ყვირის ჰალოცხრა

მშვენიერი გუნდი

№13 (1130) ◆ 28 მარტი — 3 აპრილი, 2016 წ. ფასი 1,5 ლარი

როგორ ამოვიღა გოთლიდან ჯინი

არაგული გაზაფხულიდან შავი ღროვეის ხალიფაზე



ვინ
აფინანსებს
ტერორიზმს
მსოფლიოში

„თავად ვიყავი კალაღობის მსხვერპლი, ჩავეს პოლიციელთა გადაგდებობა“

„დაემორდი მოძალადე ქმარს და ცხოვრება თავიდან დავიწყე. შინაგანი პროტესტი ყველაზე დიდი საბაზი იყო იმისა, რომ ეს საქმე ამერჩია. თითოეული ქალი უნდა აცნობიერებდეს, რომ მამაკაცზე ნაკლები არ არის და ბრძოლა გამოუცხადოს ძალადობას!“



„ჩვენთან ღაპი ქუჩაში ვერ გაივლი, თბილისში სიჩქარე კი უსაფრთხოა“



ინგლისელი უილიამ პრატი თბილისის ოპერის თეატრის ბალეტის სოლისტია. ამასობაში მშვენივრად შეისწავლა ქართული ენა და დასის ქართველ წევრებზე იქორწინა. „2012 წელს ქორწილი გავმართეთ. აქაური ქორწილი რელიგიურად დატვირთულია. აქ ყველას ვეპატიუბოდით, ინგლისში კი სტუმრები თვითონვე აკეთებენ შეკვეთას საკუთარი თავის გასამსახურებლად.“

დასაწყისი იხ. გვ. 15

აქ მხოლოდ საზოგადოებრივი ინიციატივის დონეზეა ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის აკრძალვა, კანონმდებლობა ამას ვერ არეგულირებს... საერთოდ, არასტაბილურობა ყველაფერში იგრძნობა.

ვისაც გვქონდა საშუალება, იქაურობა გვინახებ, მივხვდით, რომ საქართველო და ქართველი ხალხი შეიცვალა

დავივინყეთ მშენებლობა და აღმშენებლობა. კორუფციის აღმოფხვრა ვერ შეეძლებოდა. სამუშაო ადგილები ვერ შევქმენით. არ არსებობს სამედიცინო დაზღვევა. მასმედიის მუშაობის ფორმატს ვერ ვცვლით. მასმედიის მიუხედავად, არ ჩანს. ახლა ძალიანაც რომ მოვინდომო რომელიმე ადგილობრივ ტელევიზიაში ან პრესის ფურცლებზე მოხვედრა, ვერ შევძლებ. არ მალაპარაკებენ, რადგან ხელისუფლებისთვის მიუღებელი პოზიცია მაქვს. მიაჩნიათ, რომ მათი მტერი ვარ და ხალხსაც ამას უნერგავენ — ვინც აფხაზეთს აკრიტიკებს, ჩვენი მტერიაო... ხალხი საბჭოური აზროვნებიდან ვერ გამოვიდა. როგორც კი რამის კრიტიკას დავინყებთ, სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლები მაშინვე შეტევაზე გადმოდიან. არადა, მათ ჩემზე კარგად იციან ყველა პრობლემის შესახებ, მაგრამ ჰგონიათ ან უბრალოდ სურთ, რომ რუსეთმა გაუკეთოს ყველაფერი, აუშენოს ინფრასტრუქტურა, მოიზიდოს ტურისტები, დაუნეროს კანონი, დაიცვას

საზღვარი, უსაფრთხოება, ალაგმოს კრიმინალი, მათ კი მხოლოდ იმაზე უნდა იზრუნონ, რომ რუსეთთან კეთილგანწყობა შეინარჩუნონ... რუსეთი კი, მხოლოდ საკუთარი ინტერესების გატარებაზე ზრუნავს, რაშიც სრულებით არ ვამტყუნებ, ნებისმიერი ქვეყანა ასე მოიქცეოდა...

არ მინდა მე რუსეთის მიერ აშენებულ იფხაზეთი.

როგორია მოსახლეობისა და ხელმძღვანელობის პოზიცია მოსახლეობაში არსებული დაძაბულობის გარშემო?

— მათ ჰგონიათ, რომ აქციის მონაწილეების დასჯით ამოიწურება პრობლემა. არადა, ყველაფერი საკმაოდ რთულად არის, — უკმაყოფილოთა „არმია“ ყოველდღიურად იზრდება და ხაჯიმბას თავის ტკივილიც იმატებს. უკვე გაუფერულდა „ქართველის მტრის ხატის“ ცნება და ამით მანიპულირება, რადგან ვისაც გვექონდა საშუალება, იქაურობა გვენახა, მივხვდით, რომ საქართველო და ქართველი ხალხი შეიცვალა. ისინი თავიანთი ქვეყნის ეკონომიკის აშენებით არიან დაინტერესებული და სულაც არ სჭირდებათ ომი, მით უფრო — ჩვენთან... პირიქით, ჩვენი ხალხი გადააწყავთ იქ სამკურნალოდ. არავისთვისაა ახალი, რომ აფხაზეთის ომის არაერთ ვეტერანს აჩუქეს ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ზოგი ბედავს ამაზე ხმამაღლა საუბარს,

